

მერაბ ტულუში, თეიმურაზ შენგელია,
თემურ შენგელია, გიორგი ლომიძე

ვიზიტა

მოსწავლის ციხი

8



გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2020 წელს

ფიზიკა 8

მოსწავლის წიგნი

ავტორები:

მერაბ ტულუში, შპს „მეექესე საავტორო სკოლის“ ფიზიკის მასწავლებელი;
თეიმურაზ შენგელია, კერძო სკოლა „მერმისის“ ფიზიკის მასწავლებელი;
თემურ შენგელია, ქართულ-ამერიკული სკოლის ფიზიკის მასწავლებელი;
გიორგი ლომიძე, ვ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე
საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი

რედაქტორები: ეკა მაჭარაშვილი, ნათელა თუხარელი
დიზაინერ-დამკაბადონებელი ლია მოსეშვილი

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

მის: ქ. თბილისი, ე. მაღალაშვილის ქ. №5

ტელ: 568 10 54 67; 574 40 08 57

ელ. ფოსტა: saqmatsne@mail.ru, sakmacne@gmail.com

www.saqmatsne.ge

© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2020

© მერაბ ტულუში, თეიმურაზ შენგელია, თემურ შენგელია, გიორგი ლომიძე

გამოცემის წელი და რიგითობა 2020 წელი

ISBN 978-9941-16-727-0

სარჩევი

ძვირფასო მეგობარო!	6
თავი I. მექანიკური მუშაობა. სიმძლავრე. ენერგია	7
§ 1.1 განვლილი მასალის გამეორება	8
§ 1.2 მექანიკური მუშაობა	10
§ 1.3 სიმძიმის ძალის მუშაობა	14
§ 1.4 დრეკადობის ძალის მუშაობა	18
§ 1.5 ხახუნის ძალის მუშაობა	23
§ 1.6 სასარგებლო და სრული მუშაობა. მარგი ქმედების კოეფიციენტი	26
§ 1.7 სიმძლავრე. სიმძლავრის ერთეულები	29
§ 1.8 ენერგია	33
§ 1.9 მექანიკური ენერგიის მუდმივობის კანონი	38
§ 1.10 შინაგანი ენერგია. სრული ენერგიის მუდმივობის კანონი	42
ეს საინტერესოა	46
პირველი თავის შემაჯამებელი კითხვები და ამოცანები	49
თავი II. სხეულთა წონასწორობა. მარტივი მექანიზმები	55
§ 2.1 სხეულის წონასწორობა. მასათა ცენტრი. სიმძიმის ცენტრი	56
§ 2.2 არამბრუნავი სხეულის წონასწორობა	58
§ 2.3 უძრავი ბრუნვის ღერძის მქონე სხეულის წონასწორობა	62
§ 2.4 მომენტების წესი	66
§ 2.5 სხეულის სიმძიმის ცენტრის პოვნა. წონასწორობის სახეები	69
§ 2.6 საყრდენი ფართობის მქონე სხეულის წონასწორობა	75
§ 2.7 მარტივი მექანიზმები – ბერკეტი	80
§ 2.8 უძრავი და მოძრავი ჭოჭონაქის შესწავლა	85
§ 2.9 მექანიკის ოქროს წესი	91
§ 2.10 დახრილი სიბრტყე	96
§ 2.11 მექანიზმის მქე	99
ეს საინტერესოა	102
მეორე თავის შემაჯამებელი კითხვები და ამოცანები	105
თავი III. სითბური მოვლენები	112
§ 3.1 შინაგანი ენერგია და მისი შეცვლის გზები	113
§ 3.2 თბოგამტარობა	117
§ 3.3 მყარი სხეულების, სითხეებისა და აირების სითბური გაფართოება	120

§ 3.4 ტემპერატურის გაზომვა. თერმომეტრი	123
§ 3.5 კონვექცია	127
§ 3.6 გამოსხივება	131
§ 3.7 სითბოს რაოდენობა. ნივთიერების კუთრი სითბოტევადობა.	133
§ 3.8 სითბური ბალანსის განტოლება (ლაბორატორიული სამუშაო)	138
§ 3.9 საწვავის წვის კუთრი სითბო.....	142
§ 3.10 დნობა და გამყარება	146
§ 3.11 დნობისა და კრისტალიზაციის კუთრი სითბო	150
§ 3.12 აორთქლება და კონდენსაცია	154
§ 3.13 დუღილი	158
§ 3.14 ორთქლადქცევის კუთრი სითბო.....	162
§ 3.15 სითბური ძრავა	165
§ 3.16 სითბური მანქანებით გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემები.....	170
მესამე თავის შემაჯამებელი კითხვები და ამოცანები.....	172
საგნობრივი საძიებელი.....	177
პასუხები.....	178

პირობითი ნიშნები



ცდა



გაიხსენეთ



დაფიქტდით



ამოხსენით ამოცანები



ჯგუფური მუშაობა



ერთად ამოვხსნათ ამოცანა



აქტივობა

ძვირფასო მეგობარო!

გასულ სასწავლო წელს შენ პირველად შეაბიჯე ფიზიკის სამყაროში. ისწავლების სხვადასხვა მოვლენაზე დაკვირვება, ცდების ჩატარება, გაეცანი ბევრ საინტერესო ფაქტს და სიახლეს.

წინამდებარე სახელმძღვანელო დაგეხმარება, კიდევ უფრო გაიღრმავო მიღებული ცოდნა და გაეცნო ახალ ფიზიკურ მოვლენებს.

სახელმძღვანელო შედგება თავებისაგან, თავები – პარაგრაფებისაგან, რომლებშიც განხილულია შესასწავლი საკითხი, არის შეკითხვები და დავალებები. ნუ დატოვებ მათ პასუხის გარეშე. დაკვირვებით წაიკითხე ცდების პირობები, ყურადღება გაამახვილე დასკვნებზე, რომლებიც განსაზღვრავს ძირითადს პარაგრაფის შინაარსში. იმის შესამოწმებლად, რამდენად გაიგე ახალი მასალა, პარაგრაფის ბოლოს დასმულია საკონტროლო კითხვები, შეეცადე უპასუხო მათ. თითქმის ყველა პარაგრაფის ბოლოს მოცემულია საკითხთან დაკავშირებული ათი კითხვა და ამოცანა, რომელთა შესრულება დაგეხმარება საკითხის უკეთ გააზრებაში. ყოველი თავის ბოლოს არის დამატებითი კითხვები და ამოცანები, რომლებიც მოიცავს ამ თავში განვლილ მთელ მასალას.

ზოგიერთი პარაგრაფის ბოლოს აღნერილია საშინაო ცდა. ყურადღებით გაეცანი ცდის პირობებს, შეეცადე ზუსტად შეასრულო მითითებები, საჭიროების შემთხვევაში დაიხმარე უფროსები, დააფიქსირე ცდის შედეგები და შეცადე, გამოიტანო დასკვნები.


ეს ყველაფერი დაგეხმარება მომდევნო საკითხის უკეთ გააზრებაში.

სახელმძღვანელოს უფრო ეფექტურად გამოიყენებ, თუ ყურადღებას მიაქცევ სპეციალურ პირობით ნიშნებს, რომელთა დანიშნულება მოცემულია წიგნის დასაწყისში.

გისურვებ წარმატებას!

თავი I

მექანიკური მუშაობა. სიმძლავრე. ენერგია



ამ თავში თქვენ გაეცნობით:

- მექანიკურ მუშაობასა და სიმძლავრეს;
- მექანიკურ ენერგიას;
- კავშირს მუშაობას, ენერგიასა და სიმძლავრეს შორის;
- პოტენციალური და კინეტიკური ენერგიების ურთიერთგარდაქმნას;
- მექანიკური ენერგიის მუდმივობის კანონს;
- მექანიკური ენერგიის შინაგან ენერგიად გარდაქმნას;
- ენერგიის მუდმივობის კანონის მნიშვნელობას ყოველდღიურ ცხოვრებაში.

§ 1.1 განვლილი მასალის გამეორება

ვიდრე ამ თავის ძირითად საკითხებს შევისწავლით, გავიხსენოთ VII კლასში ნასწავლი ფიზიკური სიდიდე – ძალა და მისი კერძო სახეები.

ძალა ფიზიკური სიდიდეა, რომელიც რაოდენობრივად ახასიათებს ერთი სხეულის მეორე სხეულზე მოქმედებას. ძალა ვექტორული სიდიდეა.

ძალას, რომლითაც დედამინა იზიდავს მისი ზედაპირის მახლობლად მყოფ სხეულს, სიმძიმის ძალა ეწოდება. სიმძიმის ძალა მიმართულია ვერტიკალურად ქვევით, დედამინის ცენტრისაკენ და მისი მოდული გამოითვლება ფორმულით: $F_{\text{ნიჩ}} = mg$, რომელშიც m სხეულის მასაა, g ყველა სხეულისათვის მუდმივი სიდიდეა და დაახლოებით $9,8 \text{ N/g}$ -ის ტოლია.

ძალას, რომელიც აღიძვრება სხეულის დეფორმაციისას და მიმართულია სხეულის შემადგენელი ნაწილაკების წანაცვლების საწინააღმდეგოდ, დრეკადობის ძალა ეწოდება. ზამბარაში აღძრული დრეკადობის ძალის მოდული დეფორმაციის სიდიდის პროპორციულია და გამოითვლება ფორმულით: $F_{\text{დრ}} = kx$, რომელშიც x დეფორმაციის სიდიდეა, k – ზამბარის სიხისტე. დრეკადობის ძალის მაგალითებია საყრდენის რეაქციის ძალა და საკიდელის დაჭიმულობის ძალა.

ძალას, რომელიც აღიძვრება ერთი სხეულის მეორე სხეულის ზედაპირზე სრიალისას, სრიალის ხახუნის ძალა ეწოდება. უძრავ ზედაპირზე მოსრიალე სხეულზე მოქმედი სრიალის ხახუნის ძალა მიმართულია სხეულის მოძრაობის საწინააღმდეგოდ. როცა მოსრიალე სხეული ზედაპირს mg -ს ტოლი ძალით აწვება, სრიალის ხახუნის ძალა გამოითვლება ფორმულით: $F_{\text{ხახ}} = \mu mg$, რომელშიც μ ხახუნის კოეფიციენტია.

ძალას, რომლითაც სითხე მოქმედებს მასში მოთავსებულ სხეულზე, ამომგდები (არქიმედეს) ძალა ეწოდება. ეს ძალა მოდებულია სხეულზე, მიმართულია ვერტიკალურად ზევით და იგი მოდულით ამ სხეულის მიერ გამოდევნილი სითხის სიმძიმის ძალის ტოლია: $F_{\text{არ}} = \rho V g$, რომელშიც ρ სითხის სიმკვრივეა, V კი – სხეულის სითხეში მოთავსებული ნაწილის მოცულობა. ამომგდები ძალა მოქმედებს აირში მოთავსებულ სხეულზეც და იმავე ფორმულით გამოითვლება.



შევასრულოთ რამდენიმე ტესტური დავალება:

1. ძალას ზომავენ
ა) სასწორით;
ბ) დინამომეტრით;
გ) მენზურით;
დ) ბარომეტრით.

2. ძალის მოქმედების შედეგი დამოკიდებულია
ა) მხოლოდ ძალის მოდულზე;
ბ) მხოლოდ ძალის მიმართულებაზე;
გ) ძალის მოდების წერტილსა და მოდულზე;
დ) ძალის მოდების წერტილზე, მოდულზე და მიმართულებაზე.

3. რა არის ძალის ერთეული SI-ში?
ა) 1 კილოგრამი;
ბ) 1 პასკალი;
გ) 1 ნიუტონი;
დ) 1 ლიტრი.

4. სიმძიმის ძალა მოდებულია

 - ა) დედამიწაზე და მიმართულია ვერტიკალურად ზევით;
 - ბ) სხეულზე და მიმართულია ჰორიზონტალურად;
 - გ) სხეულზე და მიმართულია ვერტიკალურად ქვევით;
 - დ) სხეულზე და მიმართულია ვერტიკალურად ზევით.
5. დრეკადობის ძალა აღიძვრება

 - ა) ზამპარის შეკუმშვისას;
 - ბ) ზამპარის გაჭიმვისას;
 - გ) დრეკადი სხეულის დეფორმაციისას;
 - დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში.
6. ზამპარის სიხისტის განზომილებაა

 - ა) ნ·მ;
 - ბ) ნ/ზ;
 - გ) მ/ნ;
 - დ) ნ/კგ.
7. მაგიდაზე მოთავსებულ უძრავ სხეულზე მოქმედებს ზედაპირის პარალელური წევის ძალა. სხეულზე მოქმედი უძრაობის ხახუნის ძალა

 - ა) მოდულით ტოლია ამ სხეულზე მოქმედი წევის ძალის;
 - ბ) მოდულით ნაკლებია ამ სხეულზე მოქმედ წევის ძალაზე;
 - გ) მოდულით მეტია ამ სხეულზე მოქმედ წევის ძალაზე;
 - დ) არ არის დამოკიდებული ამ სხეულზე მოქმედ წევის ძალაზე.
8. ქვემოთ მოყვანილთაგან შეარჩიე მცდარი წინადადება

 - ა) ხახუნის კოეფიციენტს განზომილება არ აქვს;
 - ბ) ხახუნის კოეფიციენტი დამოკიდებულია შემხები ზედაპირების მასალაზე;
 - გ) ხახუნის კოეფიციენტი დამოკიდებულია ზედაპირზე მოსრიალე სხეულის მასაზე;
 - დ) ხახუნის კოეფიციენტი დამოკიდებულია შემხები ზედაპირების დამუშავების ხარისხზე.
9. სხეულზე მოქმედებს ერთი წრფის გასწრივ მარჯვნივ მიმართული 20 ნ-ის ტოლი ძალა და მარცხნივ მიმართული 14 ნ-ის ტოლი ძალა. ამ ძალების ტოლქმედი მიმართულია

 - ა) მარცხნივ და მოდულით 6 ნ-ის ტოლია;
 - ბ) მარჯვნივ და მოდულით 34 ნ-ის ტოლია;
 - გ) მარცხნივ და მოდულით 34 ნ-ის ტოლია;
 - დ) მარჯვნივ და მოდულით 6 ნ-ის ტოლია.
10. გვაქვს ალუმინისაგან, სპილენდისაგან და ტყვიისაგან დამზადებული ერთი და იმავე მოცულობის სამი სხეული. მათი წყალში ჩაშვების შემდეგ

 - ა) ყველაზე მეტი ამომგდები ძალა იმოქმედებს ალუმინის სხეულზე;
 - ბ) ყველაზე მეტი ამომგდები ძალა იმოქმედებს სპილენდის სხეულზე;
 - გ) ყველაზე მეტი ამომგდები ძალა იმოქმედებს ტყვიის სხეულზე;
 - დ) სამივე სხეულზე იმოქმედებს ერთნაირი ამომგდები ძალა.


§ 1.2 მექანიკური მუშაობა

ჩვეულებრივ, სიტყვა „მუშაობაში“ ჩვენ ვგულისხმობთ ადამიანის ან რაიმე მოწყობილობის მოქმედებას. მაგალითად, ვამბობთ: მშენებელი მუშაობს, ექიმი მუშაობს, სარეცხი მანქანა მუშაობს, კომპიუტერი მუშაობს და ა.შ. (სურ. 1.1).



სურ. 1.1

ყველაფერი, რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში მუშაობას ვუწოდებთ ხოლმე, ფიზიკის თვალსაზრისით მუშაობას არ წარმოადგენს – ფიზიკაში „მუშაობას“ გააჩნია უფრო კონკრეტული აზრი. ავხსნათ ეს მაგალითით. განვიხილოთ ცხენიანი ეტლის მოძრაობა ჰორიზონტალურ გზაზე (სურ. 1.2). ცხენი ექაჩება ეტლს ჰორიზონტალურად მიმართული ძალით, აღვნიშნოთ ეს ძალა $F_{\text{წევის}}$ -ით. ეტლზე მჯდომი ადამიანი აწვება მას ვერტიკალურად ქვევით მიმართული ძალით, რომელიც აღვნიშნოთ $F_{\text{წევის}} - F_{\text{წევის}}$ -ით. ეტლი მოძრაობს ცხენის წევის ძალის მიმართულებით, წნევის ძალის გასწვრივ (ქვევით) კი – ეტლი არ გადაადგილდება. ამიტომ ამბობენ, რომ $F_{\text{წევის}}$ ძალა მუშაობას ასრულებს, $F_{\text{წევის}}$ ძალა კი – არა.



სურ. 1.2

ძალის მიერ შესრულებული მუშაობა ძალის მოდულის და ამ ძალის მიმართულებით გავლილი მანძილის პირდაპირპორციულია.

რაც უფრო დიდია ცხენის წნევის ძალა და ეტლის მიერ გავლილი მანძილი, მით მეტია ამ ძალის მიერ შესრულებული მუშაობა.

თუ სხეულზე მოქმედებს მუდმივი ძალა და იგი ამ ძალის მოქმედების მიმართულებით ხმანდილს გადის, მაშინ ძალა ასრულებს მექანიკურ მუშაობას, რომელიც ძალის მოდულისა და გავლილი მანძილის ნამრავლის ტოლია:



ჯეიმს ჯოული (1818-1889), ცნობილი ინგლისელი ფიზიკოსი. ექსპერიმენტულად დაამტკიცა ენერგიის მუდმივობის კანონი, განსაზღვრა სითბოს მექანიკური ეკვივალენტი.

$$\text{მუშაობა} = \text{ძალის მოდული} \times \text{გავლილი მანძილი}$$

მექანიკურ მუშაობას აღნიშნავენ A ასოთი, ამიტომ

$$A = F \cdot s$$

ერთეულთა საერთაშორისო სისტემაში (SI) მუშაობის ერთეულს ეწოდება ჯოული (J), ინგლისელი მეცნიერის ჯეიმს ჯოულის პატივსაცემად.

1 ჯოული არის მექანიკური მუშაობა, რომელსაც ასრულებს 1 ნ ძალა ამ ძალის მიმართულებით ძალის მოდების ნერტილის 1 მ-ით გადაადგილებისას:

$$1 \text{ ჯოული} = 1 \text{ ნიუტონი} \cdot 1 \text{ მეტრი}$$

1 ჯოულზე ბევრად დიდი მუშაობის გასაზომად იყენებენ ჯოულის ჯერად ერთეულებს:

$$1 \text{ кН} = 1000 \text{ Н} = 10^3 \text{ Н};$$

$$1 \text{ МН} = 1000000 \text{ Н} = 10^6 \text{ Н}.$$

1 ჯოულზე ბევრად მცირე მუშაობის გასაზომად კი გამოიყენება ჯოულის წილადი ერთეულები:

$$1 \text{ дж} = 0,001 \text{ кН} = 10^{-3} \text{ кН};$$

$$1 \text{ мкН} = 0,000001 \text{ кН} = 10^{-6} \text{ кН}.$$

მიაქციეთ ყურადღება: ვინაიდან სხეულზე ძალის მოქმედება არის მასზე სხვა სხეულის მოქმედების შედეგი (ეტლზე მოქმედებს ცხენი), ამიტომ სხირად საუბრობენ არა ძალის მიერ შესრულებულ, არამედ სხეულის მიერ შესრულებულ მუშაობაზე (მუშაობას ასრულებს ცხენი).


 თქვენ უკვე იცით, რომ ძალას გააჩნია მიმართულება, ანუ ძალა ვექტორული სიდიდეა. მუშაობას მიმართულება არ გააჩნია – ის სკალარული სიდიდეა. ამასთან, როცა ძალის მიმართულება მოძრაობის მიმართულების თანხვდენილია, მის მიერ შესრულებული მუშაობა დადგებითია. დავსვათ კითხვა: რა მუშაობას ასრულებს მოძრაობის საპირისპიროდ მოქმედი ძალა?

განვიხილოთ წრფივად და თანაბრად მოძრავი სხეული, რომელზეც მოქმედებს მოძრაობის წრფის გასწვრივ მიმართული ორი ძალა, ეს ძალები მოდულით ტოლია და ურთიერთსაპირისპიროდაა მიმართული. ამ ძალების ტოლქმედი (ჯამი) ნულის ტოლია. ნულის ტოლი იქნება მათი ჯამური მუშაობაც. მაგრამ მოძრაობის მიმართულების თანხვდენილი ძალის მუშაობა დადგებითია, ამიტომ მოძრაობის საპირისპიროდ მოქმედი ძალის მუშაობა უარყოფითი უნდა იყოს. ე.ი. მოძრაობის საპირისპიროდ მოქმედი ძალა უარყოფით მუშაობას ასრულებს და იგი გამოისახება ფორმულით:

$$A = -F \cdot s$$

თუ სხეულზე მოქმედი ძალა მოძრაობის მიმართულებასთან მართ კუთხეს ქმნის, მის მიერ შესრულებული მუშაობა ნულის ტოლია.

ამრიგად, ძალის მიერ შესრულებული მუშაობა შეიძლება იყოს დადებითი, უარყოფითი ან ნულის ტოლი. ეს შემთხვევები სქემატურად გამოსახულია სურ. 1.3-ზე.




სურ. 1.3

სხეულზე მოქმედმა ერთმა და იმავე ძალამ სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება შეასრულოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი და ნულის ტოლი მუშაობაც.

გავარკვიოთ მექანიკური მუშაობის გეომეტრიული აზრი.

ვთქვათ, სხეული მოძრაობს მუდმივი F_1 ძალის მოქმედებით, რომლის მიმართულება ყოველთვის ემთხვევა მოძრაობის მიმართულებას. ავაგოთ ძალის სხეულის მიერ გავლილ მანძილზე დამოკიდებულების გრაფიკი. ეს გრაფიკი წარმოადგენს OS ღერძის პარალელური წრფის მონაკვეთს (სურ. 1.4).



სურ. 1.4

ერთი მხრივ, ამ ძალის მუშაობა ტოლია მისი მოდულისა და გავლილი s_1 მანძილის ნამრავლის: $A = F_1 \cdot s_1$. მეორე მხრივ, სურათიდან ჩანს, რომ ნამრავლი $F_1 \cdot s_1$ არის მართკუთხედის სიგრძისა და სიგანის ნამრავლი, რაც რიცხობრივად მოცემული მართკუთხედის ფართობის ტოლია.

ამრიგად, ძალის მიერ შესრულებული მუშაობა რიცხობრივად ტოლია მისი გრაფიკის ქვეშ მოთავსებული ფიგურის ფართობისა.

ეს მტკიცება სამართლიანია იმ შემთხვევაშიც, როცა ძალა იცვლება მანძილის მიხედვით (დროის განმავლობაში). სწორედ ესაა მექანიკური მუშაობის გეომეტრიული აზრი.

დასკვნები:

- როცა სხეულზე მოქმედი მუდმივი ძალის მიმართულება ემთხვევა მოძრაობის მიმართულებას, მაშინ ძალის მიერ შესრულებული მუშაობა დადებითია და გამოითვლება ფორმულით: $A = Fs$;
- როცა სხეულზე მოქმედი მუდმივი ძალა მოძრაობის საპირიპიროდაა მიმართული, მაშინ ძალის მიერ შესრულებულ მუშაობა უარყოფითია და გამოითვლება $A = -Fs$ ფორმულით;
- როცა სხეულზე მოქმედი ძალა მოძრაობის მიმართულებასთან მართკუთხეს ქმნის, მის მიერ შესრულებული მუშაობა ნულის ტოლია;
- S_1 -ში მუშაობის ერთეულია ჯოული (ჯ). 1 ჯოული არის მექანიკური მუშაობა, რომელსაც ასრულებს 1 ნ ძალა, ამ ძალის მიმართულებით ძალის მოდების წერტილის 1 მ-ით გადაადგილებისას;
- ერთმა და იმავე ძალამ სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება შეასრულოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მუშაობა ან არ შეასრულოს მუშაობა;
- ძალის მიერ შესრულებული მუშაობა რიცხობრივად ტოლია ძალის მანძილზე დამოკიდებულების გრაფიკის ქვეშ მოთავსებული ფიგურის ფართობის.


საკონტროლო კითხვები:

- რა განსხვავებაა ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებულ სიტყვა „მუშაობასა“ და ფიზიკურ სიდიდე „მუშაობას“ შორის?
- რა შემთხვევაშია სხეულზე მოქმედი ძალის მიერ შესრულებული მუშაობა დადებითი?
- რა შემთხვევაშია სხეულზე მოქმედი ძალის მიერ შესრულებული მუშაობა უარყოფითი?
- რა შემთხვევაშია სხეულზე მოქმედი ძალის მიერ შესრულებული მუშაობა ნულის ტოლი?



ერთად ამოვხსნათ ამოცანა

ორი მუშა აწვება ყუთს ურთიერთსაპირისპიროდ მიმართული $F_1 = 100\text{ N}$ და $F_2 = 200\text{ N}$ ძალით. ყუთი მოდულით მეტი ძალის მიმართულებით 50 მ მანძილს გადის. განსაზღვრეთ თითოეული მუშის მიერ შესრულებული მუშაობა და ამ ძალების ტოლქმედის მუშაობა (სურ. 1.5).



სურ. 1.5

ამოხსნა:


მოც:
$F_1 = 100 \text{ N}$
$F_2 = 200 \text{ N}$
$S = 50 \text{ cm}$
უ.ვ. A_1, A_2

რადგან ყუთი გადაადგილდება \bar{F}_2 ძალის მიმართულებით, ამ ძალის მუშაობა დადებითა და ტოლია: $A_2 = F_2 \cdot S = 200 \cdot 50 = 10000 = 10^4 (\text{N})$. \bar{F}_1 ძალა მიმართულია ყუთის გადაადგილების საწინააღმდეგოდ, ამიტომ მისი მუშაობა უარყოფითია და ტოლია: $A_1 = -F_1 \cdot S = -100 \cdot 50 = -5 (\text{N})$. ყუთზე მოქმედი ძალების ტოლქმედი მოდულით ტოლია $F_t = F_2 - F_1 = 100 \text{ N}$ -ის და მიმართულია ყუთის გადაადგილების მიმართულებით, ამიტომ ტოლქმედი ძალის მუშაობა იქნება დადებითი: $A_t = F_t \cdot S = 100 \cdot 50 = 5 (\text{N})$.



ამოხსნით ამოცანები:

- დაფიქრდით და ივარაუდეთ, სრულდება თუ არა მექანიკური მუშაობა:
ა) კალმით წერისას; ბ) სუნთქვისას; გ) ფიქრისას; დ) თვალის დახამხამებისას.
მოიყვანეთ მექანიკური მუშაობის შესრულების მაგალითები და ჩაწერეთ რვეულში.
- შეუძლია თუ არა მუშაობის შესრულება ქარს? მდინარეს? მოიყვანეთ სათანადო მაგალითები და იმსჯელეთ ამ მხრივ მიღებულ სარგებელზე.
- ამწერ 1 კნ ძალის მოქმედებით ტვირთი 10 მ სიმაღლეზე აიტანა. განსაზღვრეთ ამწის მიერ შესრულებული მუშაობა.
- მოძრავ ავტომობილზე მოქმედი წევის ძალა 750 ნ-ია. განსაზღვრეთ ამ ძალის მიერ შესრულებული მუშაობა ავტომობილის მიერ 3 კმ-ის გავლისას.
- ჰორიზონტალურად მიმართული რა ძალით აწვება მუშა ყუთს, თუ ყუთის ამ ძალის მიმართულებით 10 მ მანძილზე გასრიალებისას შესრულებული მუშაობა 150 ჯ-ია?
- პირველ სხეულზე მოქმედი ძალა მოდულით 10-ჯერ მეტია მეორეზე მოქმედ ძალაზე. განსაზღვრეთ პირველ სხეულზე მოქმედი ძალის მიერ შესრულებული მუშაობის შეფარდება მეორე სხეულზე მოდებული ძალის მიერ შესრულებულ მუშაობასთან, თუ პირველმა სხეულმა ძალის მიმართულებით 500 მ გაირა, მეორემ კი – ასევე ძალის მიმართულებით – 1000 მ.
- მარხილი ჰორიზონტალურ ზედაპირზე გადაადგილდება თანაბრად ისე, რომ მასზე მოქმედი სრული წინააღმდეგობის ძალა 750 ნ-ია. განსაზღვრეთ მარხილზე მოქმედი წევის ძალა და მის მიერ შესრულებული მუშაობა 1 კმ მანძილის გავლისას.
- ცილინდრულ ჭურჭელში მოთავსებულ დგუშზე სითხე აწარმოებს P წნევას და გადაადგილებს მას L მანძილზე. განსაზღვრეთ ამ დროს სითხის მიერ შესრულებული მუშაობა, თუ დგუშის ფართობია S (სურ. 1.6)
- გლუვ ჰორიზონტალურ ზედაპირზე მოთავსებულ სხეულზე მოსდევს ერთი მიმართულების მქონე, ზედაპირის პარალელური ორი ძალა. პირველი ძალის მოდული 200 ნ-ია, მეორესი კი – 300 ნ. განსაზღვრეთ:
ა) თითოეული ძალის მიერ შესრულებული მუშაობა სხეულის 15 მ მანძილის გავლისას;
ბ) ამ ძალების ტოლქმედის მუშაობა იმავე 15 მ მანძილის გავლისას.
- გლუვ ჰორიზონტალურ ზედაპირზე მოთავსებულ სხეულზე მოსდევს ურთიერთსაპირისპიროდ მიმართული ზედაპირის პარალელური ორი ძალა. პირველი ძალის მოდულია 100 ნ, მეორისა კი – 150 ნ. განსაზღვრეთ:
ა) თითოეული ძალის მიერ შესრულებული მუშაობა სხეულის 10 მ მანძილის გავლისას;
ბ) ამ ძალების ტოლქმედის მიერ შესრულებული მუშაობა იმავე 10 მ მანძილის გავლისას.



სურ. 1.6


§ 1.3 სიმძიმის ძალის მუშაობა

მე-7 კლასში თქვენ შეისწავლეთ სიმძიმის, დრეკადობისა და ხახუნის ძალები. გავეცნოთ თითოეული ამ ძალის მიერ შესრულებულ მუშაობას. დავიწყოთ სიმძიმის ძალის მუშაობის შესწავლით.

 გავიხსენოთ: სხეულზე მოქმედი სიმძიმის ძალა პირდაპირპროპორციულია სხეულის მასის, მიმართულია ვერტიკალურად ქვევით და მისი მოდული გამოითვლება ფორმულით: $F = mg$. პროპორციულობის g კოეფიციენტი დედამიწის ზედაპირის მახლობლად შეიძლება მივიჩნიოთ მუდმივად (დედამიწის ფართის $g \approx 9,8 \text{ N/kg}$), შესაბამისად, მუდმივად მივიჩნიოთ ერთსა და იმავე სხეულზე მოქმედი სიმძიმის ძალაც.

განვიხილოთ სხეულის მოძრაობის სხვადასხვა შემთხვევა:

1. სხეულის ვერტიკალურად ქვევით მოძრაობისას სიმძიმის ძალის მიმართულება ემთხვევა გადაადგილების მიმართულებას, ამიტომ მის მიერ შესრულებული მუშაობა დადებითია. როდესაც სხეული გადაადგილდება რაიმე დონიდან ათვლილი h_1 სიმაღლიდან h_2 სიმაღლემდე, ის გაივლის $h = h_1 - h_2$ მანძილს (სურ. 1.7). სიმძიმის ძალის მუშაობა ტოლი იქნება: $A = F_{\text{სიმ}} \cdot h = F_{\text{სიმ}} \cdot (h_1 - h_2)$. რადგან $F_{\text{სიმ}} = mg$, მივიღებთ: $A = mg \cdot (h_1 - h_2)$.



h_1 და h_2 სიმაღლეები სავალდებულო არაა ავითვალოთ დედამიწის ზედაპირიდან. სიმაღლის ათვლა შეიძლება ნებისმიერი დონიდან, რომელსაც ნულვან დონეს ვუწოდებთ. იგი შეიძლება იყოს მერხის ან სკამის ზედაპირი, საკლასო ოთახის იატაკი და ა. შ. განვლილ მანძილს ვითვლით სიმაღლეთა სხვაობით, რომელიც არაა დამოკიდებული ნულვანი დონის არჩევაზე. ნულოვანი დონიდან ათვლილი h სიმაღლიდან ამ დონეზე სხეულის დაშვებისას სიმძიმის ძალის მუშაობა ტოლი იქნება:

$$A = mgh$$

2. სხეულის ჰორიზონტალური მიმართულებით მოძრაობისას სიმძიმის ძალის მიმართულება მოძრაობის მიმართულებასთან 90° -იან კუთხეს ქმნის. ამიტომ ამ ძალის მიერ შესრულებული მუშაობა ნულის ტოლია.

სხეულის ჰორიზონტალური მიმართულებით მოძრაობისას სიმძიმის ძალის მუშაობა ნულის ტოლია.

3. სხეულის ვერტიკალურად ზევით მოძრაობისას სიმძიმის ძალა მიმართულია მოძრაობის საპირისპიროდ, ამიტომ მისი მუშაობა უარყოფითია. სხეულის ასვლისას ნულოვანი დონიდან h სიმაღლემდე სიმძიმის ძალის მიერ შესრულებული მუშაობა ტოლი იქნება:

$$A = -mgh$$


4. სხეული მოძრაობს ნებისმიერი AB მრუდის გასწრივ (სურ. 1.8). ნარმოვადგინოთ ეს მრუდი საფეხურების მსგავსი ისეთი ტეხილის სახით, რომელიც შედგება იმდენად მცირე ვერტიკალური და ჰორიზონტალური უბნებისგან, რომ მრუდზე მოძრაობა შეგვიძლია ტეხილზე მოძრაობით შევცვალოთ. მის ჰორიზონტალურ უბნებზე მოძრაობისას სიმძიმის ძალა მუშაობას არ ასრულებს. ამიტომ, განვიხილოთ მუშაობა ვერტიკალურ

უბნებზე. ვინაიდან ვერტიკალური უბნების სიმაღლეთა ჯამი ($h_1 - h_2$)-ის ტოლია, ამიტომ სხეულის ამ უბნებზე მოძრაობისას შესრულებული ჯამური მუშაობა ტოლია მუშაობის, რომელსაც შეასრულებდა სიმძიმის ძალა სხეულის ვერტიკალური გადაადგილებისას ($h_1 - h_2$) სიმაღლეზე. ამრიგად, სიმძიმის ძალის მუშაობა AB მრუდის გასწვრივ გამოითვლება იმავე ფორმულით: $A = mg(h_1 - h_2)$.


სიმძიმის ძალის მუშაობა არ არის დამოკიდებული ტრაექტორიის ფორმაზე, ის დამოკიდებულია მხოლოდ ტრაექტორიის საწყისი და საბოლოო წერტილების სიმაღლეთა სხვაობაზე.

5. სხეული მოძრაობს შეკრულ (ჩაკეტილ) ტრაექტორიაზე, ვთქვათ, BCDEB მრუდის გასწვრივ (სურ. 1.9) სხეულის გადაადგილებისას B-დან D წერტილში BCD მრუდის გასწვრივ სიმძიმის ძალის მუშაობა ტოლია: $A_1 = mgh$, ხოლო D-დან B წერტილში DEB მრუდის გასწვრივ მისი მუშაობაა $A_2 = -mgh$. ჯამური მუშაობა მთელ ტრაექტორიაზე ტოლი იქნება:

$$A = A_1 + A_2 = mgh + (-mgh) = 0.$$



სურ. 1.8



სურ. 1.9

შეკრულ ტრაექტორიაზე სხეულის მოძრაობისას სიმძიმის ძალის მიერ შესრულებული მუშაობა ნულის ტოლია.

ძალებს, რომელთა მუშაობა შეკრულ ტრაექტორიაზე ნულის ტოლია, კონსერვატიული ძალები ეწოდება.

სიმძიმის ძალა კონსერვატიული ძალაა. მომავალში ჩვენ სხვა კონსერვატიულ ძალებსაც გავეცნობით.

დასკვნები:

- სიმძიმის ძალის მუშაობა სხეულის ქვემოთ მოძრაობისას დადებითია და h სიმაღლით დაშვებისას გამოითვლება ფორმულით: $A = mgh$;
- სიმძიმის ძალის მუშაობა სხეულის ზემოთ მოძრაობისას უარყოფითია და h სიმაღლით აწევისას გამოითვლება ფორმულით: $A = -mgh$;
- სხეულის ჰორიზონტალურ ზედაპირზე მოძრაობისას სიმძიმის ძალის მუშაობა ნულის ტოლია: $A = 0$;
- სიმძიმის ძალის მუშაობა დამოკიდებული არ არის ნულოვანი დონის არჩევაზე, სხეულის მოძრაობის ტრაექტორიის ფორმაზე და იგი მუდამ ტოლია სიმძიმის ძალის მოდულის ნამრავლისა საწყისი და საბოლოო მდებარეობების სიმაღლეთა სხვაობაზე: $A = mg(h_1 - h_2)$;
- შეკრულ (ჩაკეტილ) ტრაექტორიაზე სიმძიმის ძალის მუშაობა ნულის ტოლია;
- სიმძიმის ძალა კონსერვატიული ძალაა.


საკონტროლო კითხვები:

- რა შემთხვევაში ასრულებს სიმძიმის ძალა დადებით მუშაობას? უარყოფით მუშაობას? არ ასრულებს მუშაობას?
- რატომ არ არის დამოკიდებული სიმძიმის ძალის მუშაობა ნულოვანი დონის არჩევაზე?
- არის თუ არა დამოკიდებული სიმძიმის ძალის მუშაობა ტრაექტორიის ფორმაზე?
- რისი ტოლია სიმძიმის ძალის მუშაობა შეკრული მრუდის შემოვლისას?
- შემცირდება, გაიზრდება თუ უცვლელი დარჩება მოსწავლეზე მოქმედი სიმძიმის ძალის მუშაობა, თუ ის სკოლაში წასვლისას ლიფტის ნაცვლად კიბით ისარგებლებს?
- რა მუშაობა შეასრულა თქვენზე მოქმედმა სიმძიმის ძალამ მთელი დღის განმავლობაში, თუ დილით გასული საღამოს სახლში დაბრუნდით?
- რისი ტოლია იატაკის მხრიდან ადამიანზე მოქმედი რეაქციის ძალის მუშაობა მისი მოძრაობისას?
- როგორი ტიპის ძალაა სიმძიმის ძალა?
- შეიცვლება თუ არა პარაგრაფში მოყვანილი დებულებები, თუ დედამიწიდან მარსზე გადავინაცვლებთ?



ერთად ამოვხსნათ ამოცანა

ბიჭი $h = 50$ სმ სიმაღლიდან გარკვეული სიჩქარით იატაკისკენ ისვრის 50 გ მასის რეზინის ბურთს. ბურთი ირეკლება იატაკიდან და ადის მაქსიმალურ $H = 80$ სმ სიმაღლემდე (სურ. 1.10). განსაზღვრეთ ბურთზე მოქმედი სიმძიმის ძალის მიერ შესრულებული მუშაობა: ა) იატაკამდე მოძრაობისას; ბ) ბურთის იატაკიდან მაქსიმალურ სიმაღლეზე ასვლისას ($g \approx 10$ ნ/კგ).



სურ. 1.10

ამოხსნა:

მოც:
 $h=50$ სმ = $0,5$ მ;
 $H=80$ სმ = $0,8$ მ;
 $m=50$ გ = $0,05$ კგ;
 $g \approx 10$ ნ/კგ.
 უ.გ. A_1, A_2

ა) ბურთის გატყორცნიდან იატაკზე დაცემამდე სიმძიმის ძალა ასრულებს დადებით მუშაობას. რადგან სიმძიმის ძალის მიერ შესრულებული მუშაობა დამოკიდებულია მხოლოდ სხეულის საწყის და საბოლოო მდებარეობებს შორის დონეთა სხვაობაზე, ამიტომ:

$$A_1 = mgh = 0,05 \cdot 10 \cdot 0,5 = 0,25 \text{ კ.}$$

ბ) იატაკიდან არეკვლის შემდეგ მაქსიმალურ სიმაღლეზე ასვლამდე სიმძიმის ძალის მუშაობა უარყოფითია. ამ შემთხვევაშიც მნიშვნელობა არ აქვს ბურთის მოძრაობის ტრაექტორიას, ამიტომ $A_2 = -mgH = -0,05 \cdot 10 \cdot 0,8 = -0,4 \text{ კ.}$



ამოხსენით ამოცანები:

- დედამიწის ზედაპირიდან 3 მეტრი სიმაღლის აივნიდან გადმოვარდა 500 გ მასის ბურთი. განსაზღვრეთ ვარდნისას ბურთზე მოქმედი სიმძიმის ძალის მიერ შესრულებული მუშაობა ($g \approx 10$ ნ/კგ).
- 10 კგ მასის სხეული ვარდება 20 მეტრი სიმაღლიდან, ხოლო 2,5 კგ მასის სხეული – 10 მეტრი სიმაღლიდან. განსაზღვრეთ, რამდენჯერ ალემატება ვარდნისას პირველ

სხეულზე მოქმედი სიმძიმის ძალის მიერ შესრულებული მუშაობა მეორე სხეულზე მოქმედ სიმძიმის ძალის მუშაობას.

3. ერთი და იგივე სხეული გორდება ჯერ A წერტილიდან B-ში, შემდეგ კი C-დან D-ში. ივარაუდეთ, რომელ შემთხვევაში იქნება მეტი სიმძიმის ძალის მიერ შესრულებული მუშაობა, თუ AC და BD წრფეები ჰორიზონტალურია (სურ. 1.11)?

4. წინა ამოცანის პირობის მიხედვით, განსაზღვრეთ სიმძიმის ძალის მიერ შესრულებული მუშაობა, თუ სხეულის მასა 5 კგ-ია, მანძილი A წერტილიდან BD წრფემდე კი 10 მეტრი ($g \approx 10 \text{ N/kg}$).

5. ჰორიზონტალური გზის ერთი მხრიდან მეორეზე გადასასვლელად მოსწავლემ მინისქვეშა გადასასვლელით ისარგებლა. განსაზღვრეთ სიმძიმის ძალის მიერ შესრულებული მუშაობა:

- ა) გადასასვლელში ჩასვლისას;
- ბ) გადასასვლელიდან ამოსვლისას;
- გ) გადასასვლელით სარგებლობისას.

მოსწავლის მასა 50 კგ-ია, მინისქვეშა გადასასვლელის სიღრმე კი 4 მეტრია ($g \approx 10 \text{ N/kg}$).

6. დედამინის გარშემო ბრუნავს ხელოვნური თანამგზავრი სახელად „საერთაშორისო კოსმოსური სადგური“ ისე, რომ მისი დაშორება დედამინიდან არ იცვლება. განსაზღვრეთ თანამგზავრზე დედამინის მხრიდან მოქმედი მიზიდულობის ძალის მიერ შესრულებული მუშაობა თანამგზავრის ერთი ბრუნის შესრულებისას (სურ. 1.12).

მოიძიეთ ინფორმაცია „საერთაშორისო კოსმოსური სადგური“-ს შესახებ. ვებგვერდზე www.youtube.com ჩანერეთ საძიებო ფრაზა „international space station live“.

7. ატრაქციონ „ამერიკული მთების“ ვაგონეტები მოძრაობისას რთული ფორმის ტრაექტორიას აღწერს. რისი ტოლი იქნება ვაგონეტზე მოქმედი სიმძიმის ძალის მიერ ერთ სრულ გზაზე შესრულებული მუშაობა (სურ. 1.13).



სურ. 1.12




სურ. 1.13

8. 5 კგ მასის აგური ჯერ მაღლა ასწიეს 20 მეტრით, შემდეგ კი 5 მეტრით ქვევით დაუშვეს. განსაზღვრეთ აგურზე მოქმედი სიმძიმის ძალის მიერ შესრულებული მუშაობა ა) აწევისას; ბ) დაწევისას; გ) მთლიან გზაზე.

9. დედამინის ზედაპირიდან h სიმაღლეზე m მასის სხეულის აწევისას სხეულზე მოქმედი სიმძიმის ძალა ასრულებს A-ს ტოლ მუშაობას. რისი ტოლი იქნება სიმძიმის ძალის მუშაობა, თუ $2m$ მასის სხეულს მარსის ზედაპირიდან $5h$ სიმაღლეზე ავიტანთ? მიიჩნიეთ, რომ $g_{\text{დედამინ}} = 2,5 \cdot g_{\text{მარსი}}$.

10. გვანცა პირველი სართულიდან მეორეზე ავიდა. ამ დროს მასზე მოქმედმა სიმძიმის ძალამ -800 კ მუშაობა შეასრულა. რისი ტოლია გვანცას მასა, თუ სართულის სიმაღლე 4 მეტრია? რისი ტოლი იქნება სიმძიმის ძალის მიერ შესრულებული მუშაობა, თუ ის მეორე სართულიდან მესუთეზე ავა ($g \approx 10 \text{ N/kg}$)?




სურ. 1.11

§ 1.4 დრეკადობის ძალის მუშაობა

ჩვენთვის ცნობილია, რომ დრეკადობის ძალა წარმოიქმნება დრეკადი სხეულების დეფორმაციისას. ჰუცის კანონის თანახმად, ამ ძალის მოდული პროპორციულია დეფორმაციის მოდულის და მიმართულია სხეულის შემადგენელი ნაწილაკების გადაადგილების საწინააღმდეგოდ.

განვიხილოთ არადეფორმირებული ზამბარა, რომლის მარცხენა ბოლო დამაგრებულია, მეორე ბოლოზე კი მიმაგრებულია ძელაკი (სურ. 1.14 ა). ძელაკს შეუძლია მოძრაობა გლუვ ზედაპირზე. გადავაადგილოთ ის x_1 , მანძილით მარჯვნივ (სურ. 1.14 ბ), ძელაკი წაიყოლებს ზამბარის ბოლოს, ზამბარა გაიჭიმება და მასში აღიძვრება დრეკადობის ძალა, რომელიც ძელაკზე მოქმედებს მარცხნივ – მისი საწყისი მდებარეობისაკენ. ამ ძალის მოდული ტოლია: $F_{\text{დრ}_1} = kx_1$, რომელშიც k ზამბარის სიხისტეა.

გავათავისუფლოთ ძელაკი. დრეკადობის ძალის მოქმედებით ის ამოძრავდება მარცხნივ და ეს ძალა შეასრულებს დადებით მუშაობას. გამოვთვალოთ ეს მუშაობა.




სურ. 1.14

ვთქვათ, ძელაკი გადაადგილდა 1-დან მე-2 მდებარეობაში (სურ. 1.14 გ), რომელშიც ზამბარის დეფორმაციაა x_2 . ამ მოძრაობისას ძელაკმა გაიარა $s = x_1 - x_2$ მანძილი. მუშაობის გამოსათვლელად საჭიროა ეს მანძილი გავამრავლოთ დრეკადობის ძალის მოდულზე. მაგრამ დრეკადობის ძალის მოდული ძელაკის მოძრაობისას მუდმივი არ არის. თუ საწყის წერტილში ის kx_1 -ის ტოლი იყო, საბოლოო წერტილში kx_2 -ის ტოლია. ჩვენ კი მუშაობის გამოთვლა ჯერ მხოლოდ მუდმივი ძალისათვის ვიცით.

იბადება კითხვა: როგორ ვიპოვოთ დრეკადობის ძალის მიერ შესრულებული მუშაობა ამ შემთხვევაში? ამისათვის გამოვიყენოთ მუშაობის გეომეტრიული აზრი. ავაგოთ ზამბარის დრეკადობის F ძალის მის x წაგრძელებაზე დამოკიდებულების გრაფიკი, რომელიც წარმოადგენს კოორდინატთა სათავეზე გამავალ OC წრფის მონაკვეთს (სურ. 1.15).

ძელაკის ($x_1 - x_2$) მანძილზე გადაადგილებისას დრეკადობის ძალის მიერ შესრულებული მუშაობა ტოლია $BCDE$ ოთკუთხედის ფართობის. სურ. 1.15-დან ჩანს, რომ $S_{BCDE} = S_{COD} - S_{BOE}$. COD და BOE სამკუთხედები მართკუთხაა. მართკუთხა სამკუთხედის ფართობი კი კათეტების ნამრავლის ნახევრის ტოლია:



$$S_{COD} = \frac{OD \cdot CD}{2}; \quad S_{BOE} = \frac{OE \cdot BE}{2}.$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ $OD = x_1$, ხოლო $OE = x_2$, აგრეთვე, CD ტოლია $F_{\text{დრ}_1}$ -ის, BE კი $F_{\text{დრ}_2}$ -ის, მივიღებთ:

$$A = \frac{F_{\text{დრ}_1}x_1}{2} - \frac{F_{\text{დრ}_2}x_2}{2} = \frac{kx_1 \cdot x_1}{2} - \frac{kx_2 \cdot x_2}{2} = \frac{kx_1^2}{2} - \frac{kx_2^2}{2}.$$

მუშაობის ამ ფორმულის მიღება შეიძლება შემდეგი მსჯელობითაც: ვინაიდან დრეკადობის ძალა დეფორმაციის პროპორციულია, დრეკადობის ძალის საშუალო მნიშვნელობა შეიძლება ვიპოვოთ შემდეგნაირად:

$$F_{\text{საშ.}} = \frac{F_{\text{დრ}_1} + F_{\text{დრ}_2}}{2} = \frac{kx_1 + kx_2}{2} = \frac{k}{2}(x_1 + x_2),$$

მუშაობის გამოსათვლელად ძალის საშუალო მნიშვნელობა უნდა გავამრავლოთ გავლილ მანძილზე $-(x_1 - x_2)$ -ზე. მივიღებთ:

$$A = \frac{k}{2}(x_1 + x_2) \cdot (x_1 - x_2) = \frac{kx_1^2}{2} - \frac{kx_2^2}{2}.$$

თუ ზამბარის საწყისი დეფორმაციაა $x_1 = x$ და იგი უბრუნდება არადეფორმირებულ მდგომარეობას ($x_2 = 0$), მაშინ დრეკადობის ძალა შეასრულებს მუშაობას:

$$A = \frac{kx^2}{2}$$

ეს ფორმულა შეიძლება ასეც ჩავწეროთ: $A = \frac{kx \cdot x}{2}$. მაგრამ $kx = F$ არის დრეკადობის ძალა ზამბარის x დეფორმაციისას, ამიტომ დრეკადობის ძალის მუშაობა, ამ შემთხვევაში, შეიძლება ასეც გამოვსახოთ:

$$A = \frac{F \cdot x}{2}$$

საინტერესოა, რომ არსებობს გარკვეული მსგავსება სიმძიმისა და დრეკადობის ძალის მუშაობებს შორის. თუ დავაკვირდებით ამ ძალების მუშაობის გამომსახველ ფორმულებს, შევამჩნევთ, რომ ორივე შემთხვევაში მუშაობა დამოკიდებულია სხეულის საწყის და საბოლოო მდებარეობაზე. სიმძიმის ძალის მუშაობის ფორმულაში \hbar სიმაღლე განსაზღვრავს სხეულის მდებარეობას, მაგალითად, დედამიწის ზედაპირის მიმართ. დრეკადო-

ბის ძალის მუშაობის ფორმულაში X წაგრძელება განსაზღვრავს, მაგალითად, ზამპარის მოძრავი ბოლოს მდებარეობას მისი საწყისი მდებარეობის მიმართ.

ზამპარის გაჭიმვისას (შეკუმშვისას) დრეკადობის ძალა მიმართულია ზამპარის ნაწილების გადაადგილების საწინააღმდეგოდ, ამიტომ მისი მუშაობა უარყოფითია. უკვე გაჭიმული (შეკუმშული) ზამპარის არადეფორმირებულ მდგომარეობაში დაბრუნებისას დრეკადობის ძალა მიმართულია გადაადგილების მიმართულებით, შესაბამისად, მისი მუშაობა დადებითია. ეს მუშაობა მოდულით ტოლია, ესე იგი, თუ ზამპარას გავჭიმავთ (ან შევკუმშავთ) და შემდეგ საწყის მდგომარეობაში დავაბრუნებთ, დრეკადობის ძალის სრული მუშაობა ნულის ტოლი იქნება. მივიღეთ: სხეულის შეკრულ ტრაექტორიაზე მოძრაობისას მასზე მოქმედი დრეკადობის ძალის მუშაობა ნულის ტოლია.

სიმძიმის ძალის მუშაობის მსგავსად დრეკადობის ძალის მუშაობა დამოკიდებული არ არის ტრაექტორის ფორმაზე. ის დამოკიდებულია მხოლოდ ზამპარის საწყის და საბოლოო დეფორმაციაზე და შეკრულ ტრაექტორიაზე ნულის ტოლია.

დრეკადობის ძალა კონსერვატიული ძალაა.

დასკვნები:

- ერთი ბოლოთი დამაგრებული ზამპარის გაჭიმვისა და შეკუმშვისას დრეკადობის ძალა უარყოფით მუშაობას ასრულებს;
- ერთი ბოლოთი დამაგრებული ზამპარის დეფორმირებულიდან არადეფორმირებულ მდგომარეობაში დაბრუნებისას დრეკადობის ძალის მუშაობა დადებითია;
- ზამპარის დეფორმაციის ცვლილებისას x_1 -დან x_2 -მდე, დრეკადობის ძალის მიერ შესრულებული მუშაობა გამოითვლება ფორმულით: $A = \frac{kx^2}{2} - \frac{kx_2^2}{2}$;
- x -ით დეფორმირებული ზამპარის არადეფორმირებულ მდგომარეობაში გადასვლისას დრეკადობის ძალა ასრულებს მუშაობას, რომელიც გამოითვლება $A = \frac{kx^2}{2}$ ფორმულით;
- დრეკადობის ძალის მუშაობა დამოკიდებულია მხოლოდ ზამპარის საწყის და საბოლოო დეფორმაციაზე;
- შეკრულ ტრაექტორიაზე დრეკადობის ძალის მიერ შესრულებული მუშაობა ნულის ტოლია;
- დრეკადობის ძალა კონსერვატიული ძალაა.

საკონტროლო კითხვები:

1. ერთი ბოლოთი დამაგრებული ზამპარის შეკუმშვის ან გაჭიმვისას, რატომ ასრულებს დრეკადობის ძალა უარყოფით მუშაობას?
2. ერთი ბოლოთი დამაგრებული დეფორმირებული ზამპარის არადეფორმირებულ მდგომარეობაში დაბრუნებისას რატომ ასრულებს დრეკადობის ძალა დადებით მუშაობას?
3. რა ნიშანი აქვს ზამპარის გაჭიმვისას (შეკუმშვისას) დეფორმაციის გამომწვევი გარეშე ძალის მუშაობას?
4. რატომა შედარებით რთული დრეკადობის ძალის მუშაობის გამოთვლა?
5. რა მსგავსებაა სიმძიმისა და დრეკადობის ძალის მუშაობას შორის?



ერთად ამოცსენათ ამოცანა

ჯოხის მიწაში ჩარჩობისას მასზე მოქმედი წინააღმდეგობის ძალა თანაბრად იზრდება ჯოხის ჩარჩობის სილირიტის მიხედვით, ამიტომ თანაბრად უნდა ვზარდოთ ჩასარჩობად საჭირო დაწოლის ძალაც. განსაზღვრეთ ჯოხის 30 სმ-ით ჩარჩობისას შესრულებული მუშაობა, თუ ჩარჩობის დასრულებისას დაწოლის ძალა 200 ნ-ს აღნევს. ჯოხის მასას ნუ გაითვალისწინებთ.

ამოხსნა:

$$\begin{aligned} \text{მოც:} \\ h=30 \text{ სმ}=0,3 \text{ მ; } \\ F_1=0 \text{ ნ; } \\ F_2=200 \text{ ნ; } \\ \text{უ.ვ. A} \end{aligned}$$

ჯოხის მიწაში ჩარჩობის დაწყების მომენტში დაწოლის ძალის მნიშვნელობაა $F_1 = 0$ ნ. ჩარჩობის დამთავრებისას დაწოლის ძალაა $F_2 = 200$ ნ. რადგან ჩარჩობასთან ერთად ჯოხზე დაწოლის ძალა თანაბრად იზრდება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩარჩობისას ჯოხზე დაწოლის ძალის საშუალო მნიშვნელობაა: $F_{\text{საშ}} = \frac{F_1 + F_2}{2}$.

ჩარჩობისას შესრულებული მუშაობა იქნება: $A = F_{\text{საშ}} \cdot h = 30 \text{ ჯ.}$
ეს მეთოდი შეიძლება გამოიყენოთ ისეთი ამოცანების ამოხსნისას, რომლებშიც გავლილი მანძილის მიხედვით თანაბრად ცვლადი ძალის მუშაობის გამოთვლაა საჭირო.



ამოხსენით ამოცანები:

1. განსაზღვრეთ, დადებითია თუ უარყოფითი დრეკადობის ძალის მიერ შესრულებული მუშაობა:

- ა) არადეფორმირებული ზამბარის გაჭიმვისას;
- ბ) არადეფორმირებული ზამბარის შეკუმშვისას.


2. ალბათ გინახავთ, კარი გაღებული რომ არ დარჩეს, მასზე ერთი ბოლოთი მიბმულია ზამბარა, რომლის მეორე ბოლო უძრავადაა დამაგრებული. დადებითია თუ უარყოფითი კარზე მოქმედი დრეკადობის ძალის მიერ შესრულებული მუშაობა, როდესაც კარს ვაღებთ? როდესაც გაჭიმული ზამბარა გაღებულ კარს ხურავს?

3. რა მუშაობა უნდა შევასრულოთ, რომ 500 ნ/მ სიხისტის არადეფორმირებული ზამბარა 10 სმ-ით გავჭიმოთ? რისი ტოლია ამ დროს დრეკადობის ძალის მიერ შესრულებული მუშაობა?

4. ზამბარა ისეა გაჭიმული, რომ მასში აღძრული დრეკადობის ძალა 100 ნ-ია. ზამბარა კიდევ 10 სმ-ით გაჭიმეს, რის გამოც დრეკადობის ძალა 500 ნ-ის ტოლი გახდა. განსაზღვრეთ ზამბარის მეორედ გაჭიმვაზე შესრულებული მუშაობა და ზამბარის სიხისტე.

5. სურ. 1.16-ზე გამოსახულია ერთი ბოლოთი დამაგრებულ ზამბარაში აღძრული დრეკადობის ძალის ზამბარის დეფორმაციაზე დამოკიდებულების გრაფიკი. განსაზღვრეთ ზამბარის სიხისტე და მისი 8 სმ-ით გაჭიმვისას შესრულებული მუშაობა.

6. ჰორიზონტალურად მოთავსებული 200 ნ/მ სიხისტის არადეფორმირებული ზამბარა ერთი ბოლოთი გამობმულია კედელზე. განსაზღვრეთ ზამბარის 10 სმ-ით გაჭიმვისას შესრულებული მუშაობა და დახაზეთ დრეკადობის ძალის წაგრძელებაზე დამოკიდებულების გრაფიკი. რა ფიზიკური აზრი აქვს ამ გრაფიკის ქვეშ არსებულ ფიგურის ფართობს?



სურ. 1.16

7. 800 ნ/მ სიხისტის მქონე 5 სმ-ით გაჭიმული ზამბარა კიდევ 3 სმ-ით გაჭიმეს. განსაზღვრეთ ზამბარის მეორედ გაჭიმვისას შესრულებული მუშაობა.

მინიშნება: გამოითვალეთ ზამბარაში ალძრული დრეკადობის ძალის მოდულები 5 და 8 სმ დეფორმაციების დროს. შემდეგ გამოითვალეთ ძალის საშუალო მნიშვნელობა.

8. კიდევ რამდენი სანტიმეტრით უნდა გავჭიმოთ 1000 ნ/მ სიხისტის ზამბარა, რომ მასში ალძრული დრეკადობის ძალა 100 ნ-დან 300 ნ-მდე გაიზარდოს? განსაზღვრეთ ამ გაჭიმვისას შესრულებული მუშაობა.

მინიშნება: განსაზღვრეთ ზამბარის საწყისი და საბოლოო დეფორმაციები.

9. სურ. 1.17-ზე მოცემული გრაფიკი გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლება სხეულზე მოდებული ძალა სხეულის გავლილი მანძილის მიხედვით. გრაფიკის გამოყენებით უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:


ა) რისი ტოლია ძალის საწყისი მნიშვნელობა? ძალის მნიშვნელობა იმ მომენტში, როცა სხეულმა 4 დმ გაიარა?

ბ) როგორ იცვლება სხეულზე მოდებული ძალა?

გ) რისი ტოლია ძალის საშუალო მნიშვნელობა სხეულის მიერ 4 დმ-ის გავლისას?

დ) რა კავშირია ძალის მიერ შესრულებულ მუშაობასა და გრაფიკის ქვეშ გამოსახულ სამკუთხედის ფართობს შორის?

10. ფიცარში 10 სმ-ზე ჩარჭობილმა ლურსმანმა ამოძრობა დაიწყო, როცა მასზე მოსდეს ლურსმნის გასწვრივ მიმართული 100 ნ ძალა. ეს ძალა ლურსმნის ამოძრობისას თანაბრად მცირდება და ბოლოს ნულის ტოლი ხდება. განსაზღვრეთ ლურსმნის ბოლომდე ამოძრობისას შესრულებული მუშაობა. ლურსმნის მასას ნუ გაითვალისწინებთ.



სურ. 1.17



საშინაო ცდა:

ცდის მიზანი: დრეკადობის ძალის მუშაობის განსაზღვრა.

ცდისთვის საჭიროა: ასანთის ორი კოლოფი, სასწორი, ხის ან ლითონის ორი სახაზავი, ჭიქა და წყალი.

ცდის აღწერა: ასანთის ორ კოლოფზე ბოლოებით დადეთ სახაზავი. დადგით მის შუაში ჭიქა და დაიწყეთ მასში წყლის ჩასხმა. ჩაასხით იმდენი წყალი, რომ სახაზავი მცირდება ჩაიღუნოს (სურ. 1.18), გაზომეთ h მანძილი, რომლითაც ჩაინია სახაზავის შუა ნაწილმა. შემდეგ სასწორით განსაზღვრეთ წყლიანი ჭიქის m მასა. მიიჩნიეთ, რომ ლუნვის დეფორმაციისას ალძრული დრეკადობის ძალა h -ის პროპორციულია და $A = -F_{საშ} \cdot h = -\frac{mg}{2} \cdot h$ ფორმულით გამოთვალეთ სახაზავის დრეკადობის ძალის მუშაობა.



სურ. 1.18

§ 1.5 ხახუნის ძალის მუშაობა

§ 1.6 სასარგებლო და სრული მუშაობა. მარგი ქმედების კოეფიციენტი

§ 1.7 სიმძლავრე. სიმძლავრის ერთეულები

ერთსა და იმავე სამუშაოს ორი განსხვავებული მანქანა ან მექანიზმი, საზოგადოდ, სხვადასხვა დროში ასრულებს – ერთი სწრაფად, მეორე – ნელა.

განვიხილოთ ასეთი მაგალითი: სახლის მშენებლობაზე მუშაობს ორი ამწე. ორივეს ააქვს ერთნაირი – 4 ტ მასის ტვირთი ერთსა და იმავე, 24 მ სიმაღლეზე. ასეთ შემთხვევაში ორივე ამწის მიერ შესრულებული მუშაობა ერთნაირია. გამოვთვალოთ ეს მუშაობა:

$$A_1 = A_2 = Fh = mgh = 4000 \text{ კგ} \cdot 10\text{ ნ/კგ} \cdot 24\text{ მ} = 960000 \text{ ჯ.}$$

ვთქვათ, პირველი ამწე ტვირთის ატანას ანდომებს 2 წუთს, მეორე კი – 4 წუთს. რომელი ამწე ასრულებს დროის ერთეულში, მაგალითად, 1 წამში, მეტ მუშაობას?

ერთ წამში შესრულებული მუშაობის საპოვნელად საჭიროა მუშაობა გავყოთ მასზე დახარჯულ დროზე. ალვნიშნოთ მიღებული სიდიდე N -ით. პირველი ამწისათვის მივიღებთ:

$$N_1 = \frac{A_1}{t_1} = \frac{960000 \text{ ჯ}}{120 \text{ წ}} = 8000 \text{ ჯ/წმ},$$

მეორე ამწისათვის:

$$N_2 = \frac{A_2}{t_2} = \frac{960000 \text{ ჯ}}{240 \text{ წ}} = 4000 \text{ ჯ/წმ}.$$

N_1 და N_2 სიდიდეების მნიშვნელობები გვიჩვენებს, რომ პირველი ამწე წამში ორჯერ მეტ მუშაობას ასრულებს, ვიდრე – მეორე, ანუ ორჯერ უფრო სწრაფად მუშაობს, ვიდრე მეორე ამწე.

მუშაობის შესრულების სისწრაფეს ახასიათებენ ფიზიკური სიდიდით – სიმძლავრით.


სიმძლავრე ფიზიკური სიდიდეა, რომლითაც ხასიათდება მუშაობის შესრულების სისწრაფე და ტოლია შესრულებული მუშაობის ფარდობისა დროის იმ შუალედთან, რომლის განმავლობაშიც ეს მუშაობა შესრულდა:

$$N = \frac{A}{t}$$

რომელიც N სიმძლავრეა, A – მუშაობა, t – ამ მუშაობის შესრულების დრო.

თუ სიმძლავრე დროის განმავლობაში იცვლება, მაშინ $\frac{A}{t}$ შეფარდებით განისაზღვრება საშუალო სიმძლავრე:

$$N_{\text{საშ}} = \frac{A}{t}$$



სიმძლავრის ერთეულს SI-ში ეწოდება ვატი ცნობილი ბრიტანელი გამომგონებლის ჯეიმს უატის პატივსაცემად.

1 ვატი (ვტ) სიმძლავრე აქვს ისეთ მანქანას ან მექანიზმს, რომელიც 1 წმ-ში 1 ჯ მუშაობას ასრულებს: $1\text{ ვტ} = 1\text{ ჯ/1წმ}$.

დიდი სიმძლავრეების გასაზომად იყენებენ ვატის ჯერად ერთეულებს:

ჯეიმს უატი (1736-1819), ბრიტანელი გამომგონებელი – მექანიკოსი, უნივერსალური ორთქლის მანქანის მშენებელი

$1 \text{ კილოვატი} = 1 \text{ კვტ} = 10^3 \text{ ვტ}; 1 \text{ მეგავატი} = 1 \text{ მგვტ} = 10^6 \text{ ვტ}; 1 \text{ გეგავატი} = 1 \text{ გვტ} = 10^9 \text{ ვტ}.$

პატარა სიმძლავრებისთვის იყენებენ ვატის წილად ნაწილებს:

$1 \text{ მილივატი} = 1 \text{ მვტ} = 10^{-3} \text{ ვტ}; 1 \text{ მიკროვატი} = 1 \text{ მკვტ} = 10^{-6} \text{ ვტ}.$

სიმძლავრე გვიჩვენებს, რა მუშაობა სრულდება დროის ერთეულში. ამიტომ, თუ ცნობილია მექანიზმის N სიმძლავრე, შეგვიძლია ვიპოვოთ მის მიერ t დროში შესრულებული მუშაობა:

$$A = N \cdot t$$

ავტომობილის ძრავას სიმძლავრეს ხშირად ზომავენ არა ვატით, არამედ ცხენის ძალით (ცხ.დ.). მისი კავშირი ვატთან ასეთია:

$$1 \text{ ცხ.დ.} - 735,5 \text{ ვტ.}$$

დავუშვათ, საჭიროა გამოვთვალოთ მუდმივი V სიჩქარით მოძრავი ავტომობილის ძრავას სიმძლავრე. ძრავას მუშაობის შედეგად ავტომობილზე მოქმედებს F წევის ძალა. თუ ავტომობილმა S მანძილი გაიარა, მაშინ ძრავა შეასრულებს მუშაობას: $A = Fs$. ამასთან, თანაბარი მოძრაობისას $S = vt$, ამიტომ ძრავას სიმძლავრისთვის მივიღებთ:

$$N = \frac{A}{t} = \frac{Fs}{t} = Fv. \text{ ამრიგად,}$$

$$N = Fv$$

ამ ფორმულიდან ჩანს, რომ როდესაც ძრავას წევის ძალა მუდმივია, სიჩქარე სიმძლავრის პროპორციულია. მუდმივი სიმძლავრისას კი – რაც უფრო მცირეა სიჩქარე, მით უფრო დიდია წევის ძალა. სწორედ ამიტომ, ველოსიპედისტი ალმართში ასვლისას კბილანური გადაცემის (სურ. 1.27) რეგულირებით ამცირებს მოძრაობის სიჩქარეს და სიმძლავრის შეუცვლელად ზრდის წევის ძალას. ასევე იქცევა ავტომობილის მძლოლიც, რომელიც გადაცემათა კოლოფის მეშვეობით არეგულირებს სიჩქარეს და წევის ძალას.



სურ. 1.27

დასკვნები:

- სიმძლავრე ახასიათებს მუშაობის შესრულების სისწრაფეს;
- სიმძლავრე ტოლია შესრულებული მუშაობის ფარდობისა დროის იმ შუალედთან, რომლის განმავლობაშიც ეს მუშაობა შესრულდა: $N = \frac{A}{t};$
- სიმძლავრის ერთეული SI-ში არის 1 ვატი (ვტ);
- სიმძლავრის საშუალებით შეგვიძლია ვიპოვოთ გარკვეულ დროში შესრულებული მუშაობა: $A = N \cdot t;$
- თანაბრი მოძრაობისას ძრავას სიმძლავრე წევის ძალისა და სიჩქარის ნამრავლის ტოლია: $N = Fv;$
- მუდმივი სიმძლავრისას წევის ძალა სიჩქარის უკუპროპორციულია: $F = \frac{N}{v}.$

საკონტროლო კითხვები:

- რას გვიჩვენებს მანქანის ან მექანიზმის სიმძლავრე?
- შესაძლებელია თუ არა ორი მანქანა ავითარებდეს ერთნაირ სიმძლავრეს, თუ მათი შესრულებული მუშაობები განსხვავებულია?
- რატომ ამცირებს მძღოლი სიჩქარეს აღმართში ასვლისას?
- როგორ გამოთვლით თქვენ მიერ განვითარებულ სიმძლავრეს ერთი სართულიდან მეორეზე კიბით ასვლისას?

მოიძიეთ ინფორმაცია, როგორაა დამოკიდებული ავტომობილზე (თვითმფრინავზე, გემზე) მოქმედი წინააღმდეგობის ძალა მის სიჩქარეზე.

 დაფიქრდით, რატომ აქვთ სპორტულ ავტომობილებს დიდი სიმძლავრის ძრავები?



ერთად ამოვხსნათ ამოცანა

500 გ მასის მაგნიტს, რომელიც ლითონის ვერტიკალურ დაფას **40** ნიუტონი ძალით ეკვრის, **50** სმ/წმ სიჩქარით მიასრიალებენ ვერტიკალურად ზევით მიმართული F ძალის მოქმედებით. მაგნიტის დაფასთან ხახუნის კოეფიციენტი **0,2**-ია. განსაზღვრეთ წევის ძალის მიერ განვითარებული სიმძლავრე ($g \approx 10$ ნ/კგ).

ამოხსნა:

მოც:
 $m=0,5$ კგ;
 $N=40$ ნ;
 $v=0,5$ მ/წმ;
 $\mu=0,2$;
 $g\approx 10$ ნ/კგ.
უ.გ. P

რადგან მაგნიტს თანაბრად მიასრიალებენ, მასზე ვერტიკალურად ზევით მიმართული F ძალა მოდულით ტოლია მაგნიტზე მოქმედი სიმძიმისა და დაფასთან სრიალის ხახუნის ძალების ჯამისა: $F = mg + F_{\text{საზ}} = \mu N = \mu m g + F_{\text{საზ}} = \mu N = 8$ ნ. რიცხვითი მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ $F = 13$ ნ. მაგნიტის სიჩქარე მასზე მოქმედი წევის ძალის მიმართულებისაა, ამიტომ წევის ძალის მიერ განვითარებული სიმძლავრე იქნება: $P = Fv = 13 \cdot 0,5 = 6,5$ (ვტ).



ამოხსენით ამოცანები:

- რას ნიშნავს გამონათქვამი: მექანიზმის სიმძლავრეა **100** ვტ? **2500** ვტ?
- ტუმბოს სიმძლავრე **3** კვტ-ია. განსაზღვრეთ ტუმბოს მიერ **2** წმ-ში შესრულებული მუშაობა.
- განსაზღვრეთ დროის შუალედი, რომელშიც **2** კვტ სიმძლავრის ამწე **10** კჟ მუშაობას შეასრულებს.
- განსაზღვრეთ მუშაობა, რომელსაც **14** კვტ სიმძლავრის ძრავა შეასრულებს **6** წმ-ის განმავლობაში.
- ავტომობილზე მოქმედი წევის ძალა **700** ნ-ია. განსაზღვრეთ ავტომობილის თანაბარი მოძრაობისას განვითარებული სიმძლავრე, თუ მან ჰორიზონტალურ გზაზე **1** კმ მანძილი **50** წმ-ში გაიარა.
- ამწემ **500** კგ მასის ტვირთი თანაბრად აიტანა **10** მ სიმაღლეზე. განსაზღვრეთ ტვირთის ასატანად საჭირო დრო, თუ ამწის მიერ განვითარებული სასარგებლო სიმძლავრე **5** კვტ-ია ($g \approx 10$ ნ/კგ). წინააღმდეგობის ძალები არ გაითვალისწინოთ.

7. ტუმბომ 5 მ სიღრმის ჭიდან 15 მ სიმაღლეზე არსებულ რეზერვუარში 50 ლ მოცულობის წყალი თანაბრად აიტანა 20 წმ-ში. განსაზღვრეთ ტუმბოს მიერ განვითარებული სიმძლავრე ($g \approx 10$ ნ/კგ). მიიჩნიეთ, რომ ტუმბოს მიერ შესრულებული მთელი მუშაობა წყლის ატანას მოხმარდა.

8. კატერი ტბაში მოძრაობს მუდმივი 15 მ/წმ სიჩქარით. მასზე მოქმედი წყლის წინააღმდეგობის ძალა 100 ნ-ია. განსაზღვრეთ კატერის ძრავას მიერ განვითარებული სიმძლავრე.

9. ამწემ 1 ტ მასის ტვირთი მუდმივი 1 მ/წმ სიჩქარით აიტანა გარკვეულ სიმაღლეზე. განსაზღვრეთ ამწის მიერ განვითარებული სიმძლავრე ($g \approx 10$ ნ/კგ).

10. მიწაზე უდიდესი წახნაგით დევს 5 ერთნაირი აგური. თითოეული აგურის სიგრძე, სიგანე და სიმაღლე შესაბამისად არის: 20 სმ, 10 სმ და 5 სმ. განსაზღვრეთ ხუთივე აგურის იმავე წახნაგებით ერთმანეთზე დაწყობისას განვითარებული სიმძლავრე, თუ დასაწყობად საჭირო დრო 9 წამია ($g \approx 10$ ნ/კგ).



საშინაო ცდა:

ცდის მიზანი: ბურთულის მიერ მუშაობის შესრულების უნარის შესწავლა.


ცდისთვის საჭიროა: პლასტმასის განიერი წყლიანი ჭურჭელი; სხვადასხვა ზომის პლასტელინის ბურთულები.

ცდის აღწერა: აიღეთ ყველაზე პატარა პლასტელინის ბურთულა. ფრთხილად მიიტანეთ წყლის ზედაპირთან და გაუშვით ხელი (სურ. 1.28 ა). შემდეგ ბურთულა სხვადასხვა სიმაღლიდან ჩააგდეთ წყალში. რომელ შემთხვევაში გადაისხმება წყლის შეფეხი ყველაზე დიდ მანძილზე (სურ. 1.28 ბ)?



დაფიქრდით და ეცადეთ უპასუხოთ კითხვებს:

- ასრულებს, თუ არა მუშაობას ბურთულა წყალში ჩავარდნისას?
- რომელ შემთხვევაშია შესრულებული მუშაობა მეტი?
- რომელ შემთხვევაში იქნება ბურთულის სიჩქარე მეტი წყლის ზედაპირთან შეხებისას?
- გაიმეორეთ ცდა უფრო დიდი ბურთულით. დააკვირდით, ერთი და იმავე სიმაღლიდან ჩამოვარდნისას, რომელი ბურთულა გამოიწვევს მეტ შეფეხს – დიდი თუ პატარა?
- თქვენი აზრით, რომელი ბურთულა ასრულებს მეტ მუშაობას?
- გააანალიზეთ მიღებული შედეგები და ჩაიწერეთ რვეულში.



სურ. 1.28

§ 1.8 ენერგია

განვიხილოთ საშინაო ცდაში მიღებული შედეგები:

ბურთულის წყალში ჩავარდნისას წარმოიქმნებოდა შხეფები, ე.ი. ბურთულა ასრულებდა მუშაობას.

რაც უფრო დიდი სიმაღლიდან აგდებდით ბურთულას წყალში, წარმოიქმნებოდა უფრო დიდი შხეფები, ე.ი. ბურთულა ასრულებდა მეტ მუშაობას. დიდი ბურთულის ჩაგდებისას შხეფების ზომა იზრდებოდა – იგი მეტ მუშაობას ასრულებდა.

რატომ გაუჩნდა ბურთულას მუშაობის შესრულების უნარი? მას იზიდავს დედამინა – დედამინა და ბურთულა ურთიერთქმედებს. სიმაღლეზე ატანილი ბურთულა იწყებს ვარდნას, მატულობს მისი სიჩქარე და წყალში ჩავარდნისას ის ასრულებს მუშაობას.

თუ სხეულს (სხეულთა სისტემას) შეუძლია შეასრულოს მუშაობა, ამბობენ, რომ მას აქვს ენერგია. ენერგია ძველი ბერძნული სიტყვაა და ქმედებას ნიშნავს.

ენერგია ფიზიკური სიდიდეა, რომელიც განისაზღვრება იმ მუშაობით, რომლის შესრულებაც შეუძლია სხეულს (სხეულთა სისტემას).

რაც უფრო მეტი მუშაობის შესრულება შეუძლია სხეულს (სხეულთა სისტემას), მით უფრო მეტი ენერგია აქვს მას.

ენერგიის განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, რომ იგი იზომება მუშაობის ერთეულებში. SI-ში ენერგიის ერთეულია 1 ჯოული (ჯ). ენერგია სკალარული სიდიდეა. მას აღნიშნავენ E ასოთი.


მუშაობის შესრულების შედეგად სხეულის ენერგია იცვლება.

დავუბრუნდეთ საშინაო ცდას. როგორც დავრწმუნდით, ბურთულას, რომელიც ანეულია დედამინის ზედაპირიდან (სურ. 1.29), დედამინის მიზიდულობის გამო აქვს ენერგია. ასეთ ენერგიის პოტენციალური ენერგია* უწოდეს (პოტენცია – ლათინური სიტყვაა და შესაძლებლობას, უნარს ნიშნავს).

პოტენციალური ენერგია გვიჩვენებს რა მუშაობის შესრულების უნარი აქვს ურთიერთმოქმედ სხეულებს, ან სხეულს მისი ნაწილების ურთიერთქმედების გამო.

დედამინის ზედაპირიდან რაიმე h სიმაღლეზე ატანილი სხეულის პოტენციალური ენერგია ტოლია მუშაობის, რომელსაც შეასრულებს სხეულზე მოქმედი სიძირის ძალა მოცემული სიმაღლიდან ამ ზედაპირამდე ვარდნისას:

$$E_{\text{პოტ}} = mgh$$



სურ. 1.29

სხეულის პოტენციალური ენერგია დამოკიდებულია სიმაღლეზე. თავის მხრივ, სიმაღლე დამოკიდებულია ნულოვან დონეზე, საიდანაც ათვლება ის. ამიტომ ნულოვანი დონის არჩევა განსაზღვრავს პოტენციალური ენერგიის მნიშვნელობას. მუშაობის შესრულების უნარი აქვს არა ცალკე აღებულ სხეულს, არამედ სისტემას, რომელიც სხეულისა და დედამინისაგან შედგება. მაგრამ ხშირად დედამინას არ ახსენებენ და ამბობენ, რომ ენერგია აქვს სხეულს.

პოტენციალური ენერგია აქვს დრეკად-დეფორმირებულ სხეულსაც. ასეთი დეფორმაციის დროს სხეულის ნაწილების ურთიერთქმედების შედეგად წარმოიქმნება დრეკადობის ძალა. თუ სხეულს „გავათავისუფლებთ“, მაშინ დრეკადობის ძალა დააბრუნებს მას არადეფორმირებულ მდგომარეობაში და ის შეასრულებს მექანიკურ მუშაობას.

* „პოტენციალური ენერგია“ იგივეა, რაც „პოტენციური ენერგია“.

როგორც ვიცით, X -ით დეფორმირებული ზამბარის არადეფორმირებულ მდგო-
მარეობაში დაპრუნებისას დრეკადობის ძალა ასრულებს $A = \frac{kx^2}{2}$ მუშაობას, ამიტომ X -ით
დეფორმირებული ზამბარის პოტენციალური ენერგია გამოისახება ფორმულით:

$$E_{\text{პოტ}} = \frac{kx^2}{2}$$

რაც უფრო მეტად გაჭიმავს მშვილდოსანი სიმს, მით უფრო დიდი პოტენციალური ენერგია ექნება მას და მშვილდის მხრებს (სურ. 1.30), შესაბამისად, ისარიც უფრო დიდი სიჩქარით გაიტყორცნება.

დეფორმირებულ ზამბარას შეუძლია „შეინახოს“ პოტენციალური ენერგია და შემდეგ
მის ხარჯზე შეასრულოს მუშაობა. ამ პრინციპით მუშაობს დასაქოქი სათამაშო, მექანი-
კური საათი და სხვა.




სურ. 1.30



სურ. 1.31

ალბათ გინახავთ, როგორ თამაშობენ ბოულინგს. ბოულინგის ბურთს გააგორებენ გლუვ ჰორიზონტალურ ბილიკზე. გაგორებიდან კეგლთან დაჯახებამდე ბურთი ინერ-
ციით მოძრაობს და მუშაობას არ ასრულებს. კეგლთან შეჯახებისას ბურთი დაშლის მას და შეასრულებს მუშაობას (სურ. 1.31). ე.ო. მოძრავ სხეულს აქვს მუშაობის შესრულების უნარი – ენერგია. მუშაობის შესრულების შემდეგ ბურთის სიჩქარე შემცირდება. ამავე დროს ბურთის პოტენციალური ენერგია არ შეცვლილა – ის იმყოფებოდა ერთსა და იმავე ჰორიზონტალურ დონეზე. შეიცვალა მხოლოდ მისი სიჩქარე. ამიტომ ენერგია, რომლის ხარჯზეც ბურთმა მუშაობა შეასრულა, დაკავშირებულია მის მოძრაობასთან. ფიზიკაში ამ ენერგიას კინეტიკურ ენერგიას უწოდებენ (ბერძ. კინეტიკულს – მოძრაობაში მომყვანი).


კინეტიკური ენერგია $E_{\text{კინ}}$ – ენერგია, რომელიც სხეულს მოძრაობის გამო აქვს.



სურ. 1.32

კინეტიკური ენერგია დამოკიდებულია სხეულის მასასა და სიჩქარეზე. ერთნაირი სიჩქარით მოძრავი ორი ბურთიდან დიდი მასის ბურთი უფრო შორს გასწევს ერთსა და იმავე ძელაკს, ანუ შეასრულებს უფრო დიდ მუშაობას (სურ. 1.32). ეს იმას ნიშნავს, რომ ერთნაირი სიჩქარის შემთხვევაში დიდი მასის ბურთის აქვს მეტი კინეტიკური ენერგია.

თუ ბურთების მასები ერთნაირია, მაშინ მეტ მუშაობას შეასრულებს ის ბურთი,



სურ. 1.33

რომლის მოძრაობის სიჩქარე მეტია, ანუ მეტი სიჩქარის მქონე ბურთს მეტი კინეტიკური ენერგია აქვს (სურ. 1.33).

სხეულის კინეტიკური ენერგიის სიდიდე დამოკიდებულია სხეულის მასასა და სიჩქარეზე. დადგენილია, რომ v სიჩქარით მოძრავი m მასის სხეულის კინეტიკური ენერგია გამოითვლება ფორმულით:

$$E_{\text{კნ}} = \frac{mv^2}{2}$$

ისევე, როგორც სხეულის სიჩქარე, კინეტიკური ენერგიაც სხვადასხვა დამკვირვებლის მიმართ შეიძლება სხვადასხვა იყოს. მაგალითად, მოძრავ ავტომობილს მასში მჯდომი მგზავრის მიმართ კინეტიკური ენერგია არ აქვს, ხოლო გზის პირას მდგომი ადამიანის მიმართ აქვს ნულისაგან განსხვავებული კინეტიკური ენერგია.

m მასის უძრავი სხეულისათვის v სიჩქარის მისანიჭებლად საჭიროა სხეულზე მოქმედმა ძალამ შეასრულოს $\frac{mv^2}{2}$ -ის ტოლი მუშაობა. გაჩერებისას კი სხეული თვითონ ასრულებს იმავე მუშაობას.

სხეულს (სხეულთა სისტემას) შეიძლება ერთდროულად ჰქონდეს როგორც პოტენციალური, ასევე კინეტიკური ენერგიაც. მაგალითად, აივნიდან გასროლილ ბურთს აქვს კინეტიკური ენერგია იმიტომ, რომ აქვს სიჩქარე და აქვს პოტენციალური ენერგია, რადგან გარკვეულ სიმაღლეზე იმყოფება.

დასკვნები:

- სხეულის (სხეულთა სისტემის) ენერგია განისაზღვრება იმ მუშაობით, რომლის შესრულებაც სხეულს (სხეულთა სისტემას) შეუძლია;
- SI-ში ენერგია იზომება ჯოულებში;
- პოტენციალური ენერგია ურთიერთქმედების ენერგიაა;
- კინეტიკური ენერგია მოძრაობის ენერგიაა;
- h სიმაღლეზე მოთავსებული m მასის სხეულის პოტენციალური ენერგია გამოისახება ფორმულით: $E_{\text{პო}} = mgh$;
- x -ით დეფორმირებული K სიხისტის ზამბარის პოტენციალური ენერგია ტოლია:
$$E_{\text{პო}} = \frac{kx^2}{2};$$
- v სიჩქარით მოძრავი m მასის სხეულის კინეტიკური ენერგია გამოითვლება ფორმულით: $E_{\text{კნ}} = \frac{mv^2}{2};$
- სხეულს (სხეულთა სისტემას) შეიძლება ერთდროულად ჰქონდეს როგორც პოტენციალური, ასევე კინეტიკური ენერგიაც.

საკონტროლო კითხვები:


- როთო განისაზღვრება სხეულის (სხეულთა სისტემის) ენერგია?
- რატომ აქვს სიმაღლეზე ატანილ სხეულს ენერგია?
- რატომ აქვს დეფორმირებულ ზამბარას ენერგია?
- რატომ აქვს რაიმე სიჩქარით მოძრავ სხეულს ენერგია?
- არის თუ არა ფარდობითი პოტენციალური და კინეტიკური ენერგია?
- როგორ იცვლება სხეულის პოტენციალური ენერგია ქვემოთ მოძრაობისას?
- როგორ იცვლება აივნიდან გადმოვარდნილი კენჭის კინეტიკური ენერგია?



ერთად ამოვხსნათ ამოცანა

20 მეტრი სიმაღლის ფერდობიდან 2 მ/წმ საწყისი სიჩქარით გორდება **50** კგ მასის ურიკა. ფერდობის ბოლოს მისი სიჩქარე **15** მ/წმ-ს აღნევს (სურ. 1.34). პოტენციალური ენერგიის ნულოვან დონედ ფერდობის ბოლო მიიჩნიეთ და განსაზღვრეთ:

- ურიკის საწყისი კინეტიკური ენერგია;
- ურიკის საწყისი პოტენციალური ენერგია ($g \approx 10$ ნ/კგ);
- ურიკის საბოლოო კინეტიკური ენერგია;
- ურიკის საბოლოო პოტენციალური ენერგია.



სურ 1.34

ამოხსნა:

მოც:
$h_1=20$ მ;
$v_1=2$ მ/წმ;
$v_2=15$ მ/წმ;
$m=50$ კგ;
$g \approx 10$ ნ/კგ.
უ.გ. E_{j1} , E_{j1} , E_{j2} , E_{j2} .

- ა) ურიკის საწყისი კინეტიკური ენერგია ტოლია:

$$E_{j1} = \frac{mv_1^2}{2} = 100 \text{ ჯ;}$$

- ბ) რადგან ფერდობის ბოლო პოტენციალური ენერგიის ნულოვან დონედ მივიჩნიეთ, ურიკის საწყისი პოტენციალური ენერგია ტოლია:

$$E_{j1} = mgh_1 = 10000 \text{ ჯ} = 10 \text{ კჯ;}$$

- გ) ურიკის კინეტიკური ენერგია ფერდობის ბოლოს ტოლია:

$$E_{j2} = \frac{mv_2^2}{2} = 5625 \text{ ჯ;}$$

- დ) რადგან ურიკა ნულოვან დონეზე ჩამოვიდა, მისი საბოლოო პოტენციალური ენერგია ნულის ტოლია $E_{j2} = 0$.



ამოხსენით ამოცანები:

- განსაზღვრეთ ფრენბურთის ბურთის კინეტიკური ენერგია ჩაწოდებისას, თუ მისი მასა **500** გ-ია, საწყისი სიჩქარე **კი – 126** კმ/სთ.
- რამდენჯერ აღემატება მზის გარშემო მოძრაობისას დედამიწის კინეტიკური ენერგია მარსის კინეტიკურ ენერგიას, თუ დედამიწის მასა დაახლოებით **10**-ჯერ მეტია მარსის მასაზე, ხოლო დედამიწის და მარსის ორბიტაზე მოძრაობის სიჩქარეების მიახლოებითი მნიშვნელობები, შესაბამისად, **30** კმ/წმ და **24** კმ/წმ-ია.

3. რამდენჯერ აღემატება საქალაქთაშორისო ავტობუსის მასა მსუბუქი ავტომობილის მასას, თუ ავტობუსის კინეტიკური ენერგია $1,25 \cdot \text{ჯერ}$ მეტია ავტომობილის ენერგიაზე, მათი სიჩქარეები კი შესაბამისად არის: $v_{\text{ავტ}} = 54 \text{ კმ/სთ}$ და $v_{\text{მსუბ}} = 30 \text{ მ/წნ.}$

4. განსაზღვრეთ დედამიწის ზედაპირიდან 10 მ სიმაღლეზე მყოფი 200 გ მასის ვაშლის პოტენციალური ენერგია. პოტენციალური ენერგიის ნულოვან დონედ დედამიწის ზედაპირი მიიჩნიეთ ($\approx 10 \text{ ნ/კგ}$).

5. რა სიმაღლეს მიაღწია ჰაერში ასროლილმა 500 გ მასის ბურთმა, თუ მისი პოტენციალური ენერგია $ამ$ სიმაღლეზე 100 ჯ გახდა. პოტენციალური ენერგიის ნულოვან დონედ დედამიწის ზედაპირი მიიჩნიეთ ($\approx 10 \text{ ნ/კგ}$).

6. პირველი სართულიდან მეხუთემდე 16 მეტრია. განსაზღვრეთ მეათე სართულზე მყოფი 40 კგ მასის ყმანვილის პოტენციალური ენერგია. პოტენციალური ენერგიის ნულოვან დონედ პირველი სართულის იატაკი მიიჩნიეთ ($\approx 10 \text{ ნ/კგ}$).

7. მოიფიქრეთ, რა პრაქტიკული გამოყენება შეიძლება ჰქონდეს დეფორმირებული ზამბარის ან რეზინის ზონრის პოტენციალურ ენერგიას?

8. განსაზღვრეთ 5 სმ-ით გაჭიმული ზამბარის პოტენციალური ენერგია, თუ მისი სიხისტე 800 ნ/მ-ია.

9. 800 ნ/მ სიხისტის ზამბარა გაჭიმულია 5 სმ-ით. რისი ტოლი გახდება მისი პოტენციალური ენერგია, თუ ზამბარას კიდევ 3 სმ-ით გავჭიმავთ?

10. პირველი ზამბარის სიხისტე 400 ნ/მ , მეორესი 3000 ნ/მ . განსაზღვრეთ ზამბარების დეფორმაცია, თუ მეორე ზამბარის პოტენციალური ენერგია 60 ჯ-ია და იგი 30-ჯერ მეტია პირველი ზამბარის პოტენციალურ ენერგიაზე.

საშინაო ცდა:


ცდის მიზანი: კინეტიკური და პოტენციალური ენერგიების ურთიერთგარდაქმნაზე დაკვირვება.

ცდისთვის საჭიროა: ძაფი და პლასტილინი.

ცდის აღწერა: მსუბუქ ძაფზე მიამაგრეთ პლასტილინისაგან დამზადებული მაგიდის ჩოგბურთის ბურთის ზომის ბურთულა. ბურთულა ძაფით ჩამოკიდეთ ჭერზე ან ჭალზე ისე, რომ ბურთულას ნიკაპით ეხებოდეთ (სურ. 1.35 ა) (უსაფრთხოების მიზნით, ბურთულის დაკიდებისას დახმარება სთხოვეთ უფროსებს). გადახარეთ ძაფი ისე, რომ ბურთულა მუბლზე მიიდოთ (სურ. 1.35 ბ) (ამ დროს ძაფი არ უნდა იყოს მოშვებული). ბიძგის გარეშე გაათავისუფლეთ ბურთულა და თავი არ გაანძრიოთ! როგორ ფიქრობთ, უკან დაბრუნებისას ბურთულა დაგეჯახებათ? რატომ?

დაკვირდით ბურთულის მოძრაობას და შეეცადეთ უპასუხოთ კითხვებს:

- რომელ მდებარეობაშია ბურთულის კინეტიკური ენერგია მაქსიმალური და რომელში – მინიმალური?
- მოძრაობის რომელ ეტაპზე იზრდება კინეტიკური ენერგია და რომელზე მცირდება?
- მოძრაობის რომელ ეტაპზე იზრდება მისი პოტენციალური ენერგია და რომელზე მცირდება? თქვენი დასკვნები ჩაწერეთ რვეულში.



სურ 1.35

§ 1.9 მექანიკური ენერგიის მუდმივობის კანონი


ნინა პარაგრაფში ჩვენ გავეცანით ენერგიის ორ სახეს – პოტენციალურსა და კინეტიკურს, რომელთაც მექანიკური ენერგია ეწოდება.

 გაიხსენეთ, შესაძლებელია თუ არა სხეულს ერთდროულად ჰქონდეს პოტენციალური და კინეტიკური ენერგია?

აქვს თუ არა პოტენციალური ენერგია თვითმფრინავს, რომელიც გარკვეულ სიმაღლეზე მიფრინავს? რატომ?

აქვს თუ არა იმავე თვითმფრინავს კინეტიკური ენერგია? რატომ?

სხეულის მოძრაობის პროცესში შესაძლებელია შეიცვალოს მისი როგორც კინეტიკური, ასევე პოტენციალური ენერგია. ენერგიათა ეს ცვლილება გარკვეული კანონზომიერებით მიმდინარეობს. აღვნეროთ ეს კანონზომიერება.



სურ. 1.36

დავაკვირდეთ გარკვეული სიჩქარით ვერტიკალურად ზევით ასროლილი ბურთულის მოძრაობას (სურ. 1.36). ასროლის წერტილში ბურთულას მივანიჭეთ კინეტიკური ენერგია და იგი მოძრაობს ქვევიდან ზევით. ბურთულაზე მოქმედებს სიმძიმის ძალა, რომელიც ვერტიკალურად ქვემოთაა მიმართული, ამიტომ მისი სიჩქარე და, შესაბამისად, კინეტიკური ენერგია იკლებს. იმავდროულად, სიმაღლის მატებასთან ერთად, ბურთულა იძენს მეტ პოტენციალურ ენერგიას: $E_{\text{პო}} = mgh$. ე.ი. ზევით მოძრაობისას კინეტიკური ენერგია მცირდება, ხოლო პოტენციალური ენერგია იზრდება. მაქსიმალური სიმაღლის მიღწევისას ბურთულის სიჩქარე და კინეტიკური ენერგია ნულის ტოლი ხდება, პოტენციალური ენერგია კი – მაქსიმალური. მაშასადამე, ერთი სახის მექანიკური ენერგია (კინეტიკური) გადავიდა მეორე სახის მექანიკურ ენერგიაში (პოტენციალურში). უკან ჩამოვარდნისას კვლავ მოხდება მექანიკური ენერგიის ერთი სახიდან მეორეში გადასვლა: სიმაღლის კლებისას შემცირდება ბურთულის პოტენციალური ენერგია, სამაგიეროდ, მოიმატებს მისი კინეტიკური ენერგია.

ჰაერის წინააღმდეგობა რომ არ ყოფილიყო, ბურთულა ასროლის წერტილს იმავე კინეტიკური ენერგიით დაუბრუნდებოდა.

განვიხილოთ ბურთულის ენერგია რაიმე ორ შუალედურ h_1 და h_2 სიმაღლეზე. ვთქვათ, ამ სიმაღლეებზე მისი სიჩქარეებია შესაბამისად v_1 და v_2 . h_1 სიმაღლეზე ბურთულას აქვს კინეტიკური ენერგია $E_{\text{კინ}} = \frac{mv^2}{2}$ და პოტენციალური ენერგია $E_{\text{პო}} = mgh_1$.

სხეულის კინეტიკური და პოტენციალური ენერგიების ჯამს სხეულის სრული მექანიკური ენერგია ეწოდება:

$$E_{\text{სრ}} = E_{\text{კინ}} + E_{\text{პო}}$$

h_2 სიმაღლეზე ბურთულის კინეტიკური ენერგია იქნება უფრო მცირე, ვიდრე h_1 , სიმაღლეზე ($v_2 < v_1$), მაგრამ პოტენციალური ენერგია უფრო დიდი იქნება ($h_2 > h_1$). კვლევების შედეგად დადგინდა, რომ თუ წინააღმდეგობის ძალები არ გვექნება, რამდენიმე შემცირდება კინეტიკური ენერგია, იმდენითვე გაიზრდება პოტენციალური ენერგია, ამიტომ მათი ჯამი – სრული მექანიკური ენერგია – არ შეიცვლება:

$$E_{\text{კინ1}} + E_{\text{პო1}} = E_{\text{კინ2}} + E_{\text{პო2}}$$

ანუ,

$$E_{\text{სრ}_1} = E_{\text{სრ}_2}.$$

შეიძლება დავასკვნათ: წინააღმდეგობის ძალების არარსებობის დროს სისტემის (ბურ-თულა – დედამიწა) სრული მექანიკური ენერგია არ იცვლება.

დადგენილა, რომ სრული მექანიკური ენერგია არ შეიცვლება იმ შემთხვევაშიც, თუ სხეულები ურთიერთ-ქმედებენ დრეკადობის ძალებით.

ალბათ გითამაშიათ საბავშვო ზამბარიანი დამპარით, რომელიც სურ. 1.37-ზეა გამოსახული. გასროლამდე დამპარის ზამბარას კუმშავენ. შეკუმშულ ზამბარას მიადებენ გასასროლ „ტყვიას“, შემდეგ სასხლეტით ზამბარას ათავისუფლებენ. იგი იწყებს გაშლას და „ტყვიას“ გარკვეულ სიჩქარეს ანიჭებს.




დაფიქრდით და აღწერეთ გასროლისას მიმდინარე ენერგიების ურთიერთგარდაქმნა. როგორ გამოსახავთ მას ფორმულით?

განხილულ მაგალითებში სხეულები მხოლოდ ერთმანეთთან ურთიერთქმედებენ (სხეული – დედამიწა, ზამბარა – ბურთულა), ანუ სხეულთა სისტემა არის ჩაკეტილი.

ამრიგად, თუ სხეულთა ჩაკეტილ სისტემაში სხეულები ურთიერთქმედებენ მხოლოდ სიმძიმის ან დრეკადობის ძალებით, მაშინ სისტემის სრული მექანიკური ენერგია მუდმივია.

ეს დებულება მექანიკური ენერგიის მუდმივობის კანონის სახელითაა ცნობილი.



სურ. 1.37

დასკვნები:

- კინეტიკური და პოტენციალური ენერგია მექანიკური ენერგიის ორი სახეა;
- კინეტიკური და პოტენციალური ენერგიების ჯამს სრული მექანიკური ენერგია ეწოდება;
- რამდენითაც მცირდება (იზრდება) სხეულის კინეტიკური ენერგია, იმდენითვე იზრდება (მცირდება) მისი პოტენციალური ენერგია;
- სისტემის სრული მექანიკური ენერგია მუდმივია, თუ სისტემის სხეულებს შორის მოქმედებს მხოლოდ სიმძიმის ან დრეკადობის ძალები:

$$E_{\text{ჸო}_1} + E_{\text{პო}_1} = E_{\text{ჸო}_2} + E_{\text{პო}_2}, \text{ ანუ } E_{\text{სრ}_1} = E_{\text{სრ}_2}.$$

საკონტროლო კითხვები:

1. რატომ იკლებს ბურთულის სიჩქარე ვერტიკალურად ზევით მოძრაობისას?
2. როგორ იცვლება ბურთულის პოტენციალური ენერგია ზევით მოძრაობისას?
3. რისი ტოლია ბურთულის კინეტიკური ენერგია მაქსიმალურ სიმაღლეზე?
4. რატომ არის ასროლისას ბურთულის კინეტიკური ენერგია მაქსიმალურ სიმაღლეზე მისი პოტენციალური ენერგიის ტოლი?
5. რომელი ენერგიის ხარჯზე იძენს „ტყვია“ კინეტიკურ ენერგიას ზამბარიან დამბარიში?
6. შესრულდება თუ არა მექანიკური ენერგიის მუდმივობის კანონი, თუ ჩაკეტილი სისტემის სხეულებს შორის მოქმედებს წინააღმდეგობის ძალები?



ერთად ამოცხესნათ ამოცან

100 მეტრი სიმაღლის ცათამბჯენის სახურავიდან ვერტიკალურად ზევით 20 მ/წმ სიჩქარით აისროლეს მცირე ზომის სხეული (სურ. 1.38). დედამინის ზედაპირიდან რა სიმაღლეზე გახდება ამ სხეულის სიჩქარე 5 მ/წმ-ის ტოლი? წინააღმდეგობის ძალებს ნუ გაითვალისწინებთ ($g \approx 10 \text{ ნ/კგ}$).

ამოცხესნა:

მოც:
 $h_1 = 100 \text{ მ};$
 $v_1 = 20 \text{ მ/წმ};$
 $v_2 = 5 \text{ მ/წმ};$
 $g \approx 10 \text{ ნ/კგ}.$
 უ.გ. ჟ.


პოტენციალური ენერგია ნულის ტოლად ცათამბჯენის სახურავზე მივიჩნიოთ. მაშინ ასროლის მომენტში სხეულის სრული მექანიკური ენერგია მხოლოდ მისი კინეტიკური ენერგიის ტოლია: $E_{სრ1} = \frac{mv_1^2}{2}$. დავუშვათ, ცათამბჯენის სახურავიდან h_2 სიმაღლეზე სხეულის სიჩქარე 50/წმ-ის ტოლი გახდა. მაშინ ამ სიმაღლეზე სხეულის სრული მექანიკური ენერგია ტოლი იქნება: $E_{სრ2} = \frac{mv_2^2}{2} + mgh_2$. რადგან წინააღმდეგობის ძალები არ გვაქვს, სხეულის სრული მექანიკური ენერგია ნებისმიერ სიმაღლეზე ერთნაირია, ამიტომ $E_{სრ1} = E_{სრ2}$ ანუ $\frac{mv_1^2}{2} = \frac{mv_2^2}{2} + mgh_2$. გამოსახულების ორივე მხარე გავყოთ სხეულის მასაზე, მივიღებთ, $\frac{v_1^2 - v_2^2}{2} = \frac{v_2^2}{2} + gh_2 \Rightarrow h_2 = \frac{v_1^2 - v_2^2}{2g}$. რიცხვითი მნიშვნელობების შეფარის მივიღებთ $h_2 = 18,75 \text{ მ}$.

პასუხი: სხეულის სიჩქარე 5 მ/წმ-ის ტოლი გახდება დედამინის ზედაპირიდან $H = h_1 + h_2 = 118,75 \text{ მეტრ სიმაღლეზე}$.



ამოცხენით ამოცანები:

1. სხეულის კინეტიკური ენერგია დროის გარკვეულ მომენტში 400 ჯ-ია. განსაზღვრეთ მისი პოტენციალური ენერგია ამავე მომენტში, თუ სხეულის სრული მექანიკური ენერგია 1 კჯ-ის ტოლია.
2. დედამინის ზედაპირიდან გარკვეულ სიმაღლეზე მყოფი სხეულის პოტენციალური ენერგია 500 ჯ-ია. განსაზღვრეთ ამ სხეულის სრული მექანიკური ენერგია, თუ იმავე სიმაღლეზე მისი კინეტიკური ენერგია პოტენციალურზე 2-ჯერ მეტია.
3. დედამინის ზედაპირიდან ვერტიკალურად ასროლილი სხეულის კინეტიკური ენერგია ასროლის მომენტში 100 ჯ-ია. განსაზღვრეთ მისი მაქსიმალური პოტენციალური ენერგია. წინააღმდეგობის ძალები არ გაითვალისწინოთ. ნულოვან დონედ დედამინის ზედაპირი მიიჩნიეთ.
4. დედამინის ზედაპირიდან ვერტიკალურად აისროლეს 5 კგ მასის სხეული. ასროლის მომენტში მისი კინეტიკური ენერგია 100 ჯ-ია. ჰარის წინააღმდეგობა არ გა-



სურ. 1.38

ითვალისწინოთ და განსაზღვრეთ მაქსიმალური სიმაღლე, რომელსაც ეს სხეული მიაღწევს ($g \approx 10 \text{ N/g}$).

5. რა მაქსიმალურ სიმაღლეს მიაღწევს დედამიწის ზედაპირიდან ვერტიკალურად 5 მ/ნმ სიჩქარით ასროლილი სხეული? წინააღმდეგობის ძალები არ გაითვალისწინოთ ($g \approx 10 \text{ N/g}$).

6. გარკვეული სიმაღლიდან ვერტიკალურად ერთნაირი სიჩქარით ისვრიან ორ სხეულს, ერთს – ზევით, მეორეს – ქვევით. შეადარეთ სიჩქარეები, რომლებითაც ეს სხეულები დაეცემან დედამიწაზე. წინააღმდეგობის ძალები არ გაითვალისწინოთ.

7. დედამიწის ზედაპირიდან 40 მ სიმაღლეზე მდებარე აივნიდან ერთნაირი 10 მ/ნმ სიჩქარით ისვრიან ორ სხეულს: ერთს – ვერტიკალურად ზევით, მეორეს – ვერტიკალურად ქვევით. წინააღმდეგობის ძალებს ნუ გაითვალისწინებთ და განსაზღვრეთ:

ა) დედამიწის ზედაპირიდან რა მაქსიმალურ სიმაღლეზე ავა ზევით ასროლილი სხეული;

ბ) რა სიჩქარით დაეცემა თითოეული სხეული დედამიწაზე ($g \approx 10 \text{ N/g}$).


8. სურ. 1.39-ზე მოცემულია ზამბარის გაჭიმავი ძალის მის წაგრძელებაზე დამოკიდებულების გრაფიკი. განსაზღვრეთ:

ა) ზამბარის სიხისტე;


ბ) ზამბარის დეფორმაცია, როცა მასში აღძრული დრეკადობის ძალა 15 ნ-ია.

გ) 5 სმ-ით გაჭიმული ზამბარის პოტენციალური ენერგია.


9. ერთი ბოლოთი კედელზე მიმაგრებულ ჰორიზონტალურ ზამბარას ეჯახება V საწყისი სიჩქარით მოძრავი სხეული და კუმშავს მას x -ით (სურ. 1.40.) რამდენით შეიკუმშება ზამბარა, თუ მას იგივე სხეული დაეჯახება $2V$ სიჩქარით? წინააღმდეგობის ძალები არ გაითვალისწინოთ და მიიჩნიეთ, რომ ზამბარა იკუმშება მისი დრეკადობის ფარგლებში.



სურ. 1.39



სურ. 1.40



სურ. 1.41

10. ერთი ბოლოთი კედელზე მიმაგრებული გაჭიმული ზამბარა თანდათან უბრუნდება არადეფორმირებულ მდგომარეობას. სურ. 1.41-ზე ნაჩვენებია ამ დროს ზამბარაში აღძრული დრეკადობის ძალის დამოკიდებულება ზამბარის ბოლო წერტილის მიერ გავლილ მანძილზე. ამ ჰირობით უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

ა) რამდენი სმ-ით იყო ზამბარა გაჭიმული?

ბ) რისი ტოლია ზამბარაში აღძრული დრეკადობის ძალის საშუალო მნიშვნელობა?

გ) რისი ტოლია დრეკადობის ძალის მიერ შესრულებული მუშაობა?

დ) რას გვიჩვენებს ნახაზზე გამოსახული სამკუთხედის ფართობი?

§ 1.10 შინაგანი ენერგია. სრული ენერგიის მუდმივობის კანონი



სურ. 1.42

აღბათ, გინახავთ თვითმფრინავის აფრენა (სურ. 1.42). ამ დროს ძრავას წევის ძალა ასრულებს მუშაობას. თვითმფრინავის კინეტიკური ენერგია იზრდება, რადგან ასვლასთან ერთად იზრდება მისი სიჩქარე. იზრდება მისი პოტენციალური ენერგიაც, რადგან იზრდება თვითმფრინავის ასვლის სიმაღლე დედამიწის ზედაპირიდან. მაშასადამე, იზრდება ამ ენერგიების ჯამი, ანუ თვითმფრინავის სრული მექანიკური ენერგია.

ვიცით, რომ სხეულის მიერ დადებითი მუშაობის შესრულებისას მისი ენერგია მცირდება. მაგრამ თვითმფრინავის ზევით ასვლისას მექანიკური ენერგია კი არ მცირდება, არამედ იზრდება. რითი აიხსნება ეს წინააღმდეგობა?

საქმე ისაა, რომ ბუნებაში მექანიკური ენერგიის გარდა არსებობს ენერგიის სხვა სახეც – შინაგანი ენერგია – სხეულის შემადგენელი ნაწილაკების ენერგია. სწორედ საწვავის დაწვის დროს გამოყოფილი შინაგანი ენერგიის ხარჯზე სრულდება მექანიკური მუშაობა, რასაც თან ახლავს თვითმფრინავის მექანიკური ენერგიის ზრდა.

შინაგანი ენერგია აქვს ნებისმიერ სხეულს. ის იზრდება სხეულის ტემპერატურის ზრდისას და შეიძლება გარდაიქმნას მექანიკურ ენერგიად.



ჩავატაროთ ცდა: წყლიან კოლბას დავახუროთ საცობი, დავამაგროთ შტატივზე და გავაცხელოთ სპირტჭერის ალზე. როდესაც წყალი კოლბაში ადულდება, წყლის ორთქლი გაფართოვდება და საცობს ამოაგდებს – შეასრულებს მექანიკურ მუშაობას (სურ. 1. 43).

რომელი ენერგიის ხარჯზე შესრულდა მუშაობა? ცხადია, წყლის ორთქლის შინაგანი ენერგიის ხარჯზე. ორთქლის შინაგანი ენერგია საცობის ამოგდებისას მოიკლებს.

ამრიგად, შინაგანი ენერგია ეს სხეულის ისეთი ენერგიაა, რომლის ხარჯზეც შეიძლება შესრულდეს მექანიკური მუშაობა.

საიდან აქვთ სხეულებს შინაგანი ენერგია?

(გაიხსენეთ: ყველა სხეული შედგება ნაწილაკებისაგან – მოლეკულებისგან და ატომებისგან. ნაწილაკები ქაოსურად მოძრაობს და ურთიერთქმედებს. მოძრაობის გამო მათ გააჩნიათ კინეტიკური ენერგია, ურთიერთქმედების გამო – პოტენციალური ენერგია.

სხეულის შემადგენელი ყველა ნაწილაკის ქაოსური მოძრაობის კინეტიკური და მათი ურთიერთქმედების პოტენციალური ენერგიების ჯამს სხეულის შინაგანი ენერგია ეწოდება.

სხეულის შინაგან ენერგიას აღნიშნავენ U-თი.

ნებისმიერი სხეულის შინაგანი ენერგია დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე: ნივთიერების გვარობასა და მდგომარეობაზე, სხეულის მასასა და ტემპერატურაზე და სხვ. შინაგანი ენერგია აქვს ყველა სხეულს: დიდსა თუ პატარას, ცხელსა თუ ცივს, მყარს, თხევადსა და აირადს.

შესაძლებელია მექანიკური ენერგია გარდაიქმნას შინაგან ენერგიად. მაგალითად, როდესაც ველოსიპედით მოძრაობისას ვაწვებით მუხრუჭს, სამუხრუჭე ხუნდები უჭერს ბორბლის დისკოს (სურ. 1.44). სრიალის ხახუნის ძალის მოქმედებით ბორბლის ბრუნვის სიჩქარე და, შესაბამისად, ველოსიპედის კინეტიკური ენერგია მცირდება, ანუ იკლებს მისი მექანიკური ენერგია. თუ დამუხრუჭების შემდეგ შევეხებით ხუნდებს და დისკოს, შევიგრძნობთ მათ გაცხელებას. ტემპერატურის მატება მიუთითებს, რომ ამ სხეულების შინაგანი ენერგია გაიზარდა.

ველოსიპედის კინეტიკური ენერგია გარდაიქმნა ხუნდების, დისკოსა და გარემოს შინაგან ენერგიად.

ჩატარებული მრავალრიცხოვანი ცდითა და მათი შედეგების გაანალიზებით დადგინდა, რომ სისტემის სრული ენერგია – მექანიკური და შინაგანი ენერგიების ჯამი – უცვლელია. ველოსიპედის მაგალითში რამდენითაც შემცირდა მექანიკური ენერგია, იმდენით გაიზარდა შინაგანი ენერგია. აღვნიშნოთ სრული ენერგია W-თი. მივიღებთ:

$$W = E + U = \text{const}$$

ჩამოვაყალიბოთ სამყაროს ერთ-ერთი ძირითადი კანონი – ენერგიის გარდაქმნისა და მუდმივობის კანონი:

ენერგია არც ქრება და არც არაფრისგან წარმოიქმნება. ენერგია ერთი სხეულიდან გადაეცემა მეორე სხეულს ან ერთი სახიდან გარდაიქმნება მეორე სახის ენერგიად. სრული ენერგია უცვლელი რჩება.

დასკვნები:

- სხეულს გარდა მექანიკური ენერგიისა აქვს შინაგანი – მის შიგნით არსებული – ენერგია;
- სხეულის შინაგანი ენერგია მისი შემადგენელი ყველა ნაწილაკის ქაოსურად მოძრაობის კინეტიკური ენერგიისა და ერთმანეთთან ურთიერთქმედების პოტენციური ენერგიების ჯამის ტოლია;
- სხეულის შინაგანი ენერგიის ხარჯზე შეიძლება შესრულდეს მექანიკური მუშაობა;
- შინაგანი ენერგიის ხარჯზე შეიძლება გაიზარდოს სხეულის მექანიკური ენერგია;
- სხეულის მექანიკური ენერგია შეიძლება გარდაიქმნას შინაგან ენერგიად;
- ენერგია არც ქრება და არც არაფრისგან წარმოიქმნება. ენერგია ერთი სხეულიდან გადაეცემა მეორე სხეულს ან ერთი სახიდან გარდაიქმნება მეორე სახის ენერგიად. სრული ენერგია კი უცვლელი რჩება.

საკონტროლო კითხვები:

1. რა სახის ენერგიის ხარჯზე იზრდება თვითმფრინავის მექანიკური ენერგია?
2. რომელი ენერგია იზრდება სპირტქურაზე კოლბის გაცხელებისას?
3. რატომ ცხელდება ველოსიპედის ხუნდები დამუხრუჭებისას?




სურ. 1.44



ერთად ამოვხსნათ ამოცანა

გლუვ ჰორიზონტალურ ზედაპირზე 10 მ/წმ სიჩქარით მისრიალებს 10 კგ მასის ძელაკი (სურ. 1.45). შემდეგ მან გაიარა $|AB| = 8$ მეტრი სიგრძის მქისე ზედაპირი, რომლის ძელაკთან ხახუნის კოეფიციენტი 0,2-ია. AB უბნის შემდეგ ზედაპირი კვლავ გლუვია ($g \approx 10$ ნ/კგ). განსაზღვრეთ:

- ა) ხახუნის ძალის მიერ შესრულებული მუშაობა;
- ბ) სხეულის მექანიკური ენერგიის ცვლილება;
- გ) ძელაკის მქისე ზედაპირზე სრიალისას ძელაკისა და ზედაპირის შინაგანი ენერგიის ნაზრდი.



სურ. 1.45

ამოხსნა:

მოც:
 $v_1 = 10$ მ/წმ;
 $m = 10$ კგ;
 $|AB| = 8$ მ;
 $g \approx 10$ ნ/კგ;
 $\mu = 0,2$.
 უ.ვ. ა, ΔE , ΔU .

ა) რადგან ზედაპირი ჰორიზონტალურია, რეაქციის ძალა $N = mg$, ხოლო სრიალის ხახუნის ძალა – $F_{\text{სა}} = \mu N = \mu mg = 20$ ნ. სრიალის ხახუნის ძალის მიერ შესრულებული მუშაობა ტოლია:

$$A_{\text{სა}} = -F_{\text{სა}} \cdot |AB| = -\mu mg |AB| = -160 \text{ ჯ.}$$

ბ) სხეულზე მოქმედი სრიალის ხახუნის ძალის მიერ შესრულებული უარყოფითი მუშაობა ამცირებს მექანიკურ ენერგიას. ძელაკის მექანიკური ენერგია შეიცვლება იმდენით, რა მუშაობაც შეასრულა სრიალის ხახუნის ძალამ, ანუ ძელაკის მექანიკური ენერგია შემცირდება 160 ჯოულით: $\Delta E = -160$ ჯ.

გ) ძელაკისა და ზედაპირის მექანიკური და შინაგანი ენერგიების ჯამი მუდმივი სიდიდეა. რადგან ძელაკი უძრავ ზედაპირზე სრიალებს, მათი შინაგანი ენერგია გაიზრდება იმდენი ჯოულით, რამდენითაც შემცირდა ძელაკის მექანიკური ენერგია ($\Delta E = -160$ ჯ). ე.ი. ძელაკისა და ზედაპირის შინაგანი ენერგია გაიზარდა $\Delta U = 160$ ჯ-ით.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოხახუნე სხეულების შინაგანი ენერგიის ნაზრდი მოდულით სრიალის ხახუნის ძალის მუშაობის ტოლია.



ამოხსენით ამოცანები:

1. მოიყვანეთ მექანიკური ენერგიის შინაგან ენერგიად გარდაქმნის მაგალითები და ჩანერეთ რვეულში.
2. ალბათ შეგიმჩნევიათ, სიცივეში ხელებს ერთმანეთზე გასმით ითბობენ. ახსენით, რატომ?
3. ალბათ შეგიმჩნევიათ, ზამთარში სირბილისას თბებით, დგომისას ან ნელი სიარულისას კი გცივათ. რატომ ხდება ასე?
4. გამათბობელთან ახლოს მოთავსებული გაბერილი რეზინის ბუჭტი ზომაში იზრდება და შეიძლება გასკდეს. როგორ გარდაქმნება ენერგია გასკდომისას?
5. 1 ტ მასის ავტომობილი გამორთული ძრავათი იწყებს მოძრაობას 100 მ სიმაღლის დაღმართზე და მის ბოლოს ავთარებს 40 მ/წმ სიჩქარეს. განსაზღვრეთ, რამდენი ჯოული მექანიკური ენერგია გარდაიქმნა შინაგან ენერგიად ($g \approx 10$ ნ/კგ).

6. იატაკზე გასრიალებული 200 ჯ კინეტიკური ენერგიის მქონე ყუთი ხახუნის ძალის მოქმედებით გაჩერდა. რამდენი ჯოულით მოიმატა ყუთის შინაგანმა ენერგიამ, თუ მექანიკური ენერგიის დანაკარგი ყუთსა და იატაკზე თანაპრად განაწილდა?

7. იატაკზე მდებარე 10 კგ მასის ძელაკს ბიძგით მიანიჭეს 2 მ/წმ სიჩქარე. განსაზღვრეთ ძელაკის სრიალისას იატაკისა და ძელაკის შინაგანი ენერგიის ცვლილება, თუ ძელაკი ხახუნის ძალის მოქმედებით გაჩერდა.

8. დაფის გასუფთავებისას საშლელზე მოქმედმა სრიალის ხახუნის ძალამ -10 ჯ მუშაობა შეასრულა. რამდენი ჯოულით მოიმატა საშლელის შინაგანმა ენერგიამ, თუ შინაგანი ენერგიის ნაზრდის 50% საშლელს გადაეცა?

9. 8 კგ მასის ციგაზე მჯდომი 22 კგ მასის ბიჭი 2 მ/წმ სიჩქარით იწყებს დაშვებას 10 მეტრი სიმაღლის გორაკიდან და მის ბოლოს ავითარებს 10 მ/წმ სიჩქარეს. განსაზღვრეთ, რამდენი ჯოული მექანიკური ენერგია გარდაიქმნა შინაგან ენერგიად (≈ 10 ნ/კგ).

10. 50 კგ მასის პარაშუტისტი დაშვებისას სიმაღლის ბოლო 50 მეტრს გადის თანაბრად. პარაშუტის მასა 20 კგ-ია (≈ 10 ნ/კგ). განსაზღვრეთ:

- ა) პარაშუტზე მოქმედი ჰაერის წინააღმდეგობის ძალა ბოლო 50 მეტრზე;
- ბ) პარაშუტზე მოქმედი ჰაერის წინააღმდეგობის ძალის მუშაობა ბოლო 50 მეტრზე;
- გ) რამდენით მოიმატა პარაშუტის შინაგანმა ენერგიამ, თუ შინაგანი ენერგიის ნამატის 40% მას გადაეცა.




საშინაო ცდა:

ცდის მიზანი: ზედაპირზე გასრიალებული სხეულის მიერ გავლილი მანძილის მასაზე დამოკიდებულების დადგენა.

ამ დამოკიდებულების დასადგენად საჭიროა სხვადასხვა მასის სხეულებს მივანიჭოთ ერთნაირი სიჩქარე და შევადაროთ გაჩერებამდე გავლილი მანძილები.

ცდისთვის საჭიროა: 5 თეთრიანი და 20 თეთრიანი მონეტები, მყარი სახაზავი.

ცდის ალწერა: მაგიდაზე ერთმანეთის გვერდით დაფეთ 5 და 20 თეთრიანი მონეტები. დაიჭირეთ სახაზავი ისე, რომ ამოძრავებისას თან წაიყოლოს მონეტები (სურ. 1.46). აამოძრავთ სახაზავი და შემდეგ მკვეთრად გააჩერეთ. ამით მონეტები შეიძენენ ერთნაირ სიჩქარეს. ისინი ინერციით გააგრძელებენ მოძრაობას და ბოლოს გაჩერდებიან. ცდის შედეგიდან გამომდინარე, გამოიტანეთ დასკვნა და ახსენით შედეგი.



სურ. 1.46

ეს საინტერესოა

ადამიანი უძველესი დროიდან ცდილობს ენერგიის სხვადასხვა წყაროს მოძიებას და მის გამოყენებას. ჯერ კიდევ პირველყოფილი ადამიანები სითბური ენერგიის მისაღებად შეშას წვავდნენ. განვითარებასთან ერთად კაცობრიობამ აღმოაჩინა ენერგიის სხვადა-სხვა წყარო და დაიწყო მათი გამოყენება.

ქარის მექანიკური ენერგიის გამოყენების ერთ-ერთი პირველი მაგალითია იალქნიანი გემები (სურ. 1.47), რომელებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნაოსნობის განვითარებაში. ჩვენს წელთაღრიცხვამდე უკვე არსებობდა ქარის ენერგიაზე მომუშავე წისქვილები (სურ. 1.48). მათი მუშაობის პრინციპი ასეთია: ჰაერის ნაკადი ეჯახება წისქვილის დამ-რეც ფრთას, უბიძგებს მას გარკვეული ძალით და იწვევს ბრუნვას, რომელიც გადაეცემა წისქვილის ქვებს.



სურ. 1.47



სურ. 1.48

ზოგიერთი ისტორიული წყაროს მიხედვით, ქარის წისქვილები პირველად ჩინეთში შეიქმნა.

ქარის ენერგიას სხვა დანიშნულებით იყენებდნენ ძველ საბერძნეთში. ბერძნებს ქა-რის წისქვილის მსგავსი მოწყობილობით ამოჰქონდათ ზღვის წყალი, რომელსაც შემდეგ სარწყავად იყენებდნენ.

ამჟამად ქარის ენერგია გამოიყენება ელექტროენერგიის მისაღებად (სურ. 1.49). მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში (მათ შორის საქართველოშიც) აშენებულია ქარზე მომუშავე ელექტროსადგურები, რომელთა მუშაობის პრინციპს მომდევნო კლასებში გავეცნობით.

ზოგიერთ ქვეყანაში ავტომაგისტრალების გამყოფი ზოლის გასწვრივ დააყენეს ქარის დაბალსიმძლავრიანი ელექტროსადგურები (სურ 1.50), რომლებიც ავტომობილების მოძ-რაობით გამოწვეული ჰაერის ნაკადების ხარჯზე მუშაობს. გამომუშავებული ელექტრო-ენერგია ძირითადად ავტომაგისტრალების განათებას ხმარდება.

უძველესი დროიდან დღემდე აქტუალურია წყლის მექანიკური ენერგიის გამოყენებაც. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე რომაელებმა შექმნეს წყალზე მომუშავე პირველი წისქვილი, რომელშიც წყლის ჭავლი აბრუნებდა სპეციალურ „ფრთებიან ბორბალს“ (სურ. 1.51). წისქვილის მუშაობის მთავარ მიზეზს წყლის კინეტიკური ენერგია წარმოადგენს. წყლის წისქვილებს დღესაც შეხვდებით საქართველოს სხვადასხვა მხარეში.

წყლის მექანიკური ენერგია უფრო მასშტაბურად გამოიყენება ჰიდროელექტროსად-გურებში, სადაც წყლის პოტენციალური ენერგია ელექტრულ ენერგიად გარდაიქმნება. პირველად წყალზე მომუშავე ელექტროსადგური ინგლისში შეიქმნა 1878 წელს.



სურ. 1.49



სურ. 1.50

ქარისა და წყლის მექანიკური ენერგიების გამოყენება გარემოსათვის ნაკლებად ზიანის მომტანია. ამიერკავკასიაში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურია ენგურშესი (სურ. 1.52), რომლის კაშხლის სიმაღლე დაახლოებით 270 მეტრია. მას მინიჭებული აქვს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.



სურ. 1.51



სურ. 1.52

კაცობრიობისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ენერგიის სხვადასხვა წყაროს მოძიება, არამედ ისიც, რომ მისი გამოყენება არ აღმოჩნდეს დამაზიანებელი ბუნებისათვის. ქარისა და წყლისაგან მიღებული ენერგია განახლებადია, რადგან ბუნება თავად „გვასაჩუქრებს“ ქარით და წყლით. მაგრამ იმ ენერგიის განახლებას, რომელსაც მოვიპოვებთ დედამიწის წიაღიდან, მიღიონობით წელი სჭირდება.



კროსვორდი


შეულად: ↑

- 4 – ტვირთის გადასაზიდი
(5 ასო)
3 – ძვლების მოძრაობაში
მომყვანი (5 ასო)
6 – დროის ერთეული (4 ასო)
5 – დეფორმაციის სახე (4 ასო)

თარაზულად: ↔

- 1 – მექანიკური ენერგიის სახე (10 ასო)
2 – მექანიკური ენერგიის სახე (12 ასო)
7 – ენერგიის ერთ-ერთი სახე (10 ასო)
5 – ურთიერთქმედების ზომა (4 ასო)
8 – დრეკადი სხეული (7 ასო)
9 – მასის ერთეული (5 ასო)
10 – ძალის ერთეული (7 ასო)
11 – მოლეკულების შემადგენელი ნაწილაკი
(5 ასო)

ნ ი გ ნ ჟ ი ა რ ჩ ა ნ ი რ თ !



პირველი თავის შემაჯამებელი კითხვები და ამოცანები

1. ყინულის პორიზონტალურ ზედაპირზე გასრიალებული 20 კგ მასის ყუთი 100 მ-ის გავლის შემდეგ გაჩერდა. განსაზღვრეთ ყუთის ყინულთან ხახუნის კოეფიციენტი, თუ ამ დროს ხახუნის ძალამ -2 კჯ მუშაობა შეასრულა ($g=10 \text{ N/კგ}$).

2. 20 კგ მასის ყუთს თანაბრად მიასრიალებენ პორიზონტალურ ზედაპირზე მისი პარალელური ძალის მოქმედებით. ხახუნის კოეფიციენტი ყუთსა და ზედაპირს შორის 0,15-ია. განსაზღვრეთ ყუთზე მოქმედი წევის ძალის მოდული და მის მიერ შესრულებული მუშაობა ყუთის 10 მეტრზე გადაადგილებისას ($g=10 \text{ N/კგ}$).

3. ალუმინის ბურთულა იძირება წყალში. შეაფასეთ, ჩაძირვის პროცესში არქიმედეს ძალის მიერ შესრულებული მუშაობის მოდული უფრო მეტი იქნება თუ სიმძიმის ძალის.

4. ალუმინის $V = 0.5 \text{ ლ}$ მოცულობის ბურთულა იძირება წყალში. განსაზღვრეთ 10 მ სიღრმეზე ჩაძირვისას არქიმედეს ძალისა და სიმძიმის ძალის მიერ შესრულებული მუშაობა ($g=10 \text{ N/კგ}$).

5. წყალში ჩაძირული კორპის ბურთულა გაათავისუფლეს. შეაფასეთ ბურთულის ზემოთ ამოსვლის პროცესში რომელი ძალის მიერ შესრულებული მუშაობა იქნება მოდულით უფრო მეტი: არქიმედეს ძალისა თუ სიმძიმის ძალის.

6. 15 მეტრი სიღრმის ტბის ფსკერიდან ზედაპირზე ამოტივტივდა 10 სმ^3 მოცულობის კორპის ნაჭერი. განსაზღვრეთ არქიმედეს ძალისა და სიმძიმის ძალის მიერ შესრულებული მუშაობა ამ მოძრაობისას ($g=10 \text{ N/კგ}$).

7. $0,5 \text{ ლ}$ მოცულობის ალუმინის ბურთულა თანაბრად იძირება წყალში 10 მ სიღრმეზე. განსაზღვრეთ ჩაძირვისას წყლის წინააღმდეგობის ძალის მიერ შესრულებული მუშაობა ($g=10 \text{ N/კგ}$).

8. წყალში ჩაძირულ $0,5 \text{ დღ}^3$ მოცულობის სპილენძის სხეულს თოვით თანაბრად ეწევიან ვერტიკალურად ზევით. განსაზღვრეთ სხეულის 10 მ-ით ანევაზე შესრულებული მუშაობა. სხეულზე მოქმედ წყლის წინააღმდეგობის ძალას ნუ გაითვალისწინებთ ($g=10 \text{ N/კგ}$).

9. წყალში 10 მეტრ სიღრმეზე ჩაძირული $0,5 \text{ დღ}^3$ მოცულობის აგური თოვით თანაბრად ამოიტანეს წყლის $0,5 \text{ მეტრ}$ ზედაპირზე. განსაზღვრეთ აგურის ამოტანაზე შესრულებული მუშაობა, თუ წყლის წინააღმდეგობის საშუალო ძალა 50 ნ-ია ($g=10 \text{ N/კგ}$).

10. ერთი და იგივე სხეული ერთნაირ სიმაღლეზე თანაბრად აიტანეს ჯერ მასზე გამობმული თოვით, შემდეგ კი ჰიდრავლიკური წნევით. შეადარეთ ერთმანეთს თითოეულ შემთხვევაში შესრულებული მუშაობა. თოვისა და დგუშების მასებს, ასევე წინააღმდეგობის ძალებს ნუ გაითვალისწინებთ.

11. შეაფასეთ, ერთსა და იმავე კიბეზე არბენისას უფრო მეტ მუშაობას ასრულებთ, თუ ნელა ასვლისას? მიიჩნიეთ, რომ ორივე შემთხვევაში მოძრაობა თანაბარია.

12. შეაფასეთ, ერთსა და იმავე კიბეზე არბენისას მეტ სიმძლავრეს ავითარებთ, თუ ნელა ასვლისას?

13. ლაშქრობისას ციცაბო აღმართზე პირდაპირ ასვლას ამჯობინებთ, თუ მიხვეულ-მოხვეული ტრაექტორით? შეაფასეთ, რომელ შემთხვევაში ასრულებთ მეტ მუშაობას.

14. ნავზე მოქმედი წყლის წინააღმდეგობის ძალა მისი სიჩქარის პროპორციულია: $F \sim v$. ნავის სიჩქარე ორჯერ გაზიარდეს. როგორ შეიცვალა მისი ძრავას სიმძლავრე? მიიჩნიეთ, რომ ორივე შემთხვევაში მოძრაობა თანაბარია.

15. ნავზე მოქმედი წყლის წინააღმდეგობის ძალა მისი სიჩქარის კვადრატის პროპორციულია: $F \sim v^2$. რამდენჯერ უნდა გავზიარდოთ ნავის ძრავას სიმძლავრე, რომ სიჩქარე ორჯერ გაიზიარდოს? მიიჩნიეთ, რომ ორივე შემთხვევაში მოძრაობა თანაბარია.

16. სატვირთო ავტომობილის წევის ძალა $9-\text{ჯერ}$ მეტია მსუბუქისაზე, სიჩქარე კი – სამჯერ ნაკლები. განსაზღვრეთ სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების ძრავას სიმძლავრეების შეფარდება, თუ ავტომობილები თანაბრად მოძრაობს.

17. პირველი ავტომობილის ძრავას მიერ განვითარებული სიმძლავრე 10-ჯერ მეტია მეორისაზე. რამდენჯერ აღემატება პირველი ავტომობილის ძრავას მიერ შესრულებული მუშაობა მეორისას, თუ მათი მუშაობის ხანგრძლივობები, შესაბამისად, 20 წმ და 50 წმ-ია.

18. ტყვია მოხვდა ხეს და შეიჭრა მასში 10 სმ სიღრმეზე. განსაზღვრეთ შეჭრისას ტყვიის მიერ განვითარებული საშუალო სიმძლავრე, თუ ამ ძალის საშუალო მნიშვნელობა 200 ნ-ია, ხოლო ტყვიის ხეში მოძრაობის ხანგრძლივობა – ნამის მეასედი.

19. ტყვია მოხვდა ხეს და შეაღწია მასში 20 სმ სიღრმეზე. შეჭრისას წარმოქმნილი წინააღმდეგობის ძალის საწყისი მნიშვნელობა 600 ნ-ია. მიიჩნიეთ, რომ წინააღმდეგობის ძალა ტყვიის მიერ გავლილი მანძილის მიხედვით თანაბრად მცირდება და განსაზღვრეთ ტყვიის მიერ განვითარებული საშუალო სიმძლავრე, თუ ის მოხვედრიდან 1/20 წამში გაჩერდა.

20. დედამინის ზედაპირის მიმართ სხეულის პოტენციალური ენერგია 200 ჯ-ია. რა მუშაობას შეასრულებს ამ სხეულზე მოქმედი სიმძიმის ძალა მისი დედამინაზე ჩამოვარდნისას?

21. გოგონა მეათე სართულიდან მეხუთე სართულზე ლიფტით ჩავიდა. შეადარეთ ერთმანეთს გოგონას პოტენციალური ენერგიის ცვლილება შემდეგ ორ შემთხვევაში:
ა) თუ პოტენციალური ენერგიის ნულოვან დონედ პირველი სართულის იატაკს მივიჩნევთ;
ბ) თუ პოტენციალური ენერგიის ნულოვან დონედ მესამე სართულის იატაკს მივიჩნევთ.

22. წინა ამოცანის პირობის მიხედვით, განსაზღვრეთ დადებითია თუ უარყოფითი თითოეულ შემთხვევაში სიმძიმის ძალის მიერ შესრულებულ მუშაობასა და პოტენციალური ენერგიის ცვლილებას შორის?

მინიშნება: ფიზიკური სიდიდის ცვლილება ნიშნავს მისი საბოლოო და საწყისი მნიშვნელობების სხვაობას.

23. ერთი სხეულის პოტენციალური ენერგია 10-ჯერ მეტია მეორისაზე. განსაზღვრეთ პირველი სხეულის მასის შეფარდება მეორის მასასთან, თუ მეორე სხეული ნულოვანი დონიდან 20-ჯერ მაღლაა, ვიდრე – პირველი.

24. სხეულის პოტენციალური ენერგია დედამინის ზედაპირის მიმართ 100 ჯ-ია. 50 მ-ით აწევის შემდეგ მისი პოტენციალური ენერგია სამჯერ გაიზარდა. განსაზღვრეთ სხეულის მასა ($g=10$ ნ/კგ).

25. სხეულის 150 მ-ით დანევისას მისი პოტენციალური ენერგია 75%-ით შემცირდა. განსაზღვრეთ სხეულის ნულოვანი დონიდან დაშორება საწყის მდებარეობაში ($g=10$ ნ/კგ).

26. m_1 მასის სხეულის პოტენციალური ენერგიის შეფარდება m_2 მასის სხეულის პოტენციალურ ენერგიასთან $\frac{5}{3}$ -ის ტოლია. როდესაც ამ სხეულებს ადგილები გაუცვალეს, m_1 მასის სხეულის პოტენციალური ენერგია $\frac{20}{3}$ -ჯერ მეტი აღმოჩნდა, ვიდრე m_2 -ის. განსაზღვრეთ $\frac{m_1}{m_2}$.


27. 2 კგ მასის სხეულის პოტენციალური ენერგია 10-ჯერ მეტია 1 კგ მასის სხეულის პოტენციალურ ენერგიაზე. თუ ამ სხეულებს ადგილებს გაუცვლით, მაშინ 1 კგ მასის სხეულის პოტენციალური ენერგია 150 ჯ-ით მეტი გახდება, ვიდრე 2 კგ მასის სხეულის. განსაზღვრეთ, რა სიმაღლეზე იმყოფებდნენ ეს სხეულები თავდაპირველად ($g=10$ ნ/კგ).

28. ორ ვერტიკალურ ზამბარაზე ჩამოკიდებული ტვირთები წონასწორობაშია. პირველი ზამბარის დეფორმაცია 2-ჯერ მეტია მეორისაზე: $x_1 = 2x_2$. განსაზღვრეთ პირველი ზამბარის პოტენციალური ენერგიის შეფარდება მეორე ზამბარის პოტენციალურ ენერგიასთან, თუ: ა) ზამბარაზე დაკიდებული ტვირთების მასები ერთნაირია; ბ) პირველ ზამბარაზე დაკიდებული ტვირთის მასა 4-ჯერ აღემატება მეორე ზამბარაზე დაკიდებული ტვირთის მასას.

29. ზამბარაზე ჩამოკიდებული 5 კგ მასის ტვირთი წონასწორობაშია. ამ დროს ზამბარის პოტენციალური ენერგია 1,5 ჯ-ია. განსაზღვრეთ ზამბარის წაგრძელება ($g=10$ ნ/კგ).

30. ვერტიკალურ გლუვ ცილინდრში ჩასმულია დგუში, რომელიც დევს მის ქვემოთ, იატაკზე დამაგრებულ ვერტიკალურ ზამბარაზე (სურ. 1.53). დგუშზე ყოველ წმ-ში 500 გრამი მასის ქვიშა თანაბრად იყრება. რამდენ ხანში გახდება ზამბარის პოტენციალური ენერგია $2,5 \text{ J}$ -ის ტოლი, თუ ზამბარის სიხისფერ 2 კნ/მ-ია?

31. ფიცარში ბოლომდე ჩარჭობილმა 10 სმ სიგრძის ლურსმან-მა ამოძრობა დაიწყო ლურსმნის გასწვრივ მიმართული 100 ნ ძალის მოქმედებისას. ლურსმანზე მოდებული ძალა თანაბრად მცირდება მისი ამოძრობის მიხედვით, ბოლოს კი ნულის ტოლი ხდება. და-საზეთ ლურსმანზე მოდებული ძალის მის გადაადგილებაზე დამოკიდებულების გრაფიკი და განსაზღვრეთ ლურსმნის ნახევრის ამოძრობაზე შესრულებული მუშაობა. რა ფიზიკური აზრი აქვს გრაფიკის ქვეშ მოთავსებული ფიგურის ფართობს?



სურ. 1.53

32. გასართობ პარკში გიგანტური შადრევნისათვის აღმართეს 30 მეტრი სიმაღლის ვერტიკალური ცილინდრული მილი. მილის განივცვეთის ფართობი 300 см^2 -ია. ტუმბოს საშუალებით დაიწყეს მილის ძირიდან წყლის შეშვება ისე, რომ წყალი ნელა და თანაბრად იწვეს ზევით. განსაზღვრეთ მილის 20 მ სიმაღლემდე ავსების მომენტისთვის ტუმბოს მიერ შესრულებული მუშაობა ($g=10 \text{ Н/კგ}$).

33. წინა ამოცანის პირობის მიხედვით, განსაზღვრეთ მილის 10 მ-დან 20 მ სიმაღლემდე წყლით შევსებისას ტუმბოს მიერ შესრულებული მუშაობა.


34. სურ. 1.54-ზე გამოსახულ გრაფიკზე ნაჩვენებია სხეულზე მოდებული ძალის ცვლილება გავლილი მანძილის მიხედვით. გრაფიკის გამოყენებით უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

ა) რისი ტოლია ძალის საწყისი და საბოლოო მნიშვნელობები?

ბ) რისი ტოლია ძალის საშუალო მნიშვნელობა?

გ) რისი ტოლია სხეულზე მოდებული ძალის მიერ შესრულებული მუშაობა?

დ) რა კავშირია სხეულზე მოდებული ძალის მუშაობასა და გრაფიკის ქვეშ მოთავსებული ფიგურის ფართობის შორის?



სურ. 1.54

35. 3 დმ³ მოცულობის რეზინის ბუშტი მიმაგრებულია 10 მ სიღრმის ტბის ფსკერზე. ბუშტი გაათავისუფლეს და ამოვიდა ტბის ზედაპირზე. მიიჩნიეთ, რომ ბუშტის მოცულობა, წყლის ზედაპირთან მიახლოების მიხედვით, თანაბრად იზრდება და განსაზღვრეთ არქიმედეს ძალის მიერ შესრულებული მუშაობა, თუ ტბის ზედაპირთან ბუშტის მოცულობა 5 დმ³-ს აღნევს ($g=10 \text{ Н/კგ}$).

36. 1000 მ³ მოცულობის საპარკო ბურთმა დაიწყო მოძრაობა ვერტიკალურად ზევით. განსაზღვრეთ საპარკო ბუშტზე მოქმედი ამოგდები ძალის მიერ შესრულებული მუშაობა ბუშტის 2 კმ სიმაღლეზე ასვლისას. მიიჩნიეთ, რომ ამ მოძრაობისას ატმოსფეროს სიმკრივე, სიმაღლის მიხედვით, თანაბრად მცირდება $1,2 \text{ кგ/მ}^3$ -დან 1 кგ/მ^3 -მდე ($g=10 \text{ Н/კგ}$).

37. რა სიჩქარით უნდა მოძრაობდეს 1 კგ მასის სხეული, რომ მისი კინეტიკური ენერგია 2 J -ის ტოლი იყოს?

38. განსაზღვრეთ 20 м/ნ სიჩქარით მოძრავი ჩოგბურთის ბურთის მასა, თუ მისი კინეტიკური ენერგია 50 J -ის ტოლია.

39. ავტომობილის მასაა 2 ტ. სამაშველო კატერისა კი – 1 ტ. განსაზღვრეთ კატერის სიჩქარის შეფარდება ავტომობილის სიჩქარესთან, თუ კატერის კინეტიკური ენერგია 50-ჯერ აღემატება ავტომობილის კინეტიკურ ენერგიას.

40. მოტორიანი ნავის კინეტიკური ენერგია 200 J -ია. მისი სიჩქარე გაიზარდა 3-ჯერ. რამდენი ჯოულით გაიზარდა ნავის კინეტიკური ენერგია?

41. ელექტრომობილის კინეტიკური ენერგია 800 J -ია. რამდენჯერ უნდა გავზარდოთ მისი სიჩქარე, რომ კინეტიკური ენერგია 2400 J -ით გაიზარდოს?

42. რამდენი პროცენტით შემცირდება სხეულის კინეტიკური ენერგია, თუ მის სიჩქარეს ორჯერ შევამცირებთ?

43. 9 ტონიანი ავტობუსის კინეტიკური ენერგია $7,2 \cdot 10^6 \text{ J}$ -ია. 50 მგზავრის ასვლის შემდეგ კინეტიკური ენერგია $15 \cdot 10^6 \text{ J}$ -ის ტოლი გახდა. რამდენით გაიზარდა ავტობუსის სიჩქარე, თუ თითოეული მგზავრის მასა საშუალოდ 60 kg -ია?

44. 10 მ სიმაღლიდან ვარდნას იწყებს 5 kg მასის სხეული. განსაზღვრეთ ამ სხეულის პოტენციალური და კინეტიკური ენერგიები დედამინის ზედაპირიდან 3 m სიმაღლეზე. პოტენციალური ენერგიის ნულოვან დონედ დედამინის ზედაპირი მიიჩნიეთ. წინააღმდეგობის ძალები არ გაითვალისწინოთ ($g=10 \text{ N/kg}$).

45. სხეული ვარდნას იწყებს 20 მ სიმაღლიდან. რა სიჩქარით დაეჯახება ეს სხეული დედამინის ზედაპირს? წინააღმდეგობის ძალები არ გაითვალისწინოთ ($g=10 \text{ N/kg}$).

46. 20 მ სიმაღლის აივნიდან ვერტიკალურად ზევით აისროლეს ბურთი, რომელმაც დედამინის ზედაპირიდან 40 m/s სიმაღლეს მიაღწია. განსაზღვრეთ ბურთის ასროლის სიჩქარე. წინააღმდეგობის ძალები არ გაითვალისწინოთ ($g=10 \text{ N/kg}$).

47. დედამინის ზედაპირიდან ვერტიკალურად 10 m /ნმ სიჩქარით აისროლეს სხეული. პოტენციალური ენერგია 60 J -ის ტოლად დედამინის ზედაპირზე მიიჩნიეთ და განსაზღვრეთ, რა სიმაღლეზე გახდება სხეულის პოტენციალური და კინეტიკური ენერგიები ერთმანეთის ტოლი. წინააღმდეგობის ძალები არ გაითვალისწინოთ ($g=10 \text{ N/kg}$).


48. დედამინის ზედაპირიდან ვერტიკალურად 15 m /ნმ სიჩქარით აისროლეს სხეული. პოტენციალური ენერგია 120 J -ის ტოლად დედამინის ზედაპირზე მიიჩნიეთ და განსაზღვრეთ სხეულის სიჩქარე იმ მომენტში, როდესაც მისი პოტენციალური ენერგია კინეტიკურზე სამჯერ მეტი გახდება. წინააღმდეგობის ძალები არ გაითვალისწინოთ ($g=10 \text{ N/kg}$).

49. A და C ნერტილებში მოთავსებულ ბურთულებს ათავისუფლებენ (სურ 1.55.). რომელ ბურთულას ექნება უფრო მეტი სიჩქარე BD დონეზე დაშვებისას, თუ AC და BD ნრფები ჰქონიან ფალურია? წინააღმდეგობის ძალები არ გაითვალისწინოთ და პასუხი დაასაბუთეთ.


50. დედამინის ზედაპირიდან V სიჩქარით ვერტიკალურად ასროლილი სხეული h სიმაღლეს აღწევს. რა სიმაღლეს მიაღწევს იმავე ზედაპირიდან $2V$ სიჩქარით ასროლილი სხეული? წინააღმდეგობის ძალები არ გაითვალისწინოთ.

51. გლუვ ჰორიზონტალურ ზედაპირზე 10 m /ნმ სიჩქარით მისრიალებს 500 g მასის ძელაკი, რომელიც ეჯახება კედელზე ერთი ბოლოთი მიმაგრებულ ზამბარას (სურ. 1.56). განსაზღვრეთ ზამბარის მაქსიმალური შეკუმშვის სიგრძე, თუ ზამბარის სიხისტე 200 N/m -ია.

52. 200 N/m სიხისტის ზამბარის ერთი ბოლო მიმაგრებულია კედელზე, მეორე ბოლო კი – 2 kg მასის ბირთვზე (სურ. 1.57). იმ მომენტში, როდესაც ბირთვის სიჩქარე 2 m /ნმ-ია, ზამბარის დეფორმაცია 10 s . განსაზღვრეთ: ა) სისტემის სრული მექანიკური ენერგია; ბ) ზამბარის დეფორმაცია იმ მომენტში, როდესაც ბირთვის სიჩქარე განახევრდება. წინააღმდეგობის ძალები არ გაითვალისწინოთ.



სურ. 1. 56



სურ. 1. 57


53. $k=1000 \text{ N/m}$ სიხსისტის არადეფორმირებულ ზამპარაზე ჩამოკიდეს $m=10 \text{ kg}$ მასის ტვირთი. ზამპარა გაიჭიმა და ტვირთი გაჩერდა (სურ. 1.58). განსაზღვრეთ სიმძიმის ძალის მიერ შესრულებული მუშაობა და ზამპარის პოტენციალური ენერგია ($g=10 \text{ m/s}^2$).

54. წინა ამოცანის პირობის მიხედვით, დაადგინეთ, ზამპარისა და სხეულის ჯამური მექანიკური ენერგიის რანაწილი დაიკარგა (მომზარდა წინაალმდეგობის დაძლევას) ტვირთის მოძრაობისას?


55. 3000 N/m სიხსისტის $x=10 \text{ cm}$ -ით შეკუმშულ ზამპარას ზემოდან დაადგეს $m=5 \text{ kg}$ მასის ტვირთი და გაათავისუფლეს (სურ. 1.59). განსაზღვრეთ ტვირთის სიჩქარე ზამპარიდან მოცილების მომენტში. მიიჩნიეთ, რომ ტვირთის მოცილების მომენტში ზამპარა არადეფორმირებულია. წინაალმდეგობის ძალები და ზამპარის მასა არ გაითვალისწინოთ ($g=10 \text{ m/s}^2$).

56. პირიზონტალურ მაგიდაზე დევს 5 kg მასის ორი ერთნაირი ბირთვი. მათ შორის მოათავსეს $k=4000 \text{ N/m}$ სიხსისტის 10 cm -ით შეკუმშული ზამპარა (სურ. 1.60). განსაზღვრეთ ტვირთების სიჩქარე მათი ზამპარიდან მოცილების შემდეგ. წინაალმდეგობის ძალები არ გათვალისწინოთ.


57. სურ. 1.61-ზე გამოსახულ გრაფიკზე ნაჩვენებია სხეულზე მოდებული ძალის ცვლილება გავლილი მანძილის მიხედვით. განსაზღვრეთ: ა) ძალის საშუალო მნიშვნელობა 10 s მანძილის გავლისას; ბ) ძალის მიერ შესრულებული მუშაობა 10 s მანძილზე; გ) ძალის მოდული 5 s მანძილის გავლის მომენტისთვის.




სურ. 1.60



სურ. 1.58



სურ. 1.59



სურ. 1.61


58. სურ. 1.62-ზე გამოსახულ გრაფიკზე ნაჩვენებია სხეულზე მოდებული ძალის ცვლილი მანძილის მიხედვით. განსაზღვრეთ:

ა) ძალის მიერ სხეულის 8 s მანძილის გავლისას შესრულებული მუშაობა;

ბ) სხეულზე მოდებული ძალის მოდული 16 s მანძილის გავლის მომენტისათვის;

გ) 16 s მანძილის გავლისას ძალის მიერ შესრულებული მუშაობა.

59. დაფიქრდით და ივარაუდეთ, როგორ შეიცვლება სხეულის კინეტიკური ენერგია, თუ მასზე მოქმედი ძალების ტოლქმედი დადებით მუშაობას შეასრულებს?



სურ. 1.62

60. როგორ შეიცვლება სხეულის კინეტიკური ენერგია, თუ მასზე მოქმედი ძალების ტოლქედი 100 ჯ მუშაობას შეასრულებს?

61. დაფიქრდით და ივარაუდეთ, როგორ შეიცვლება სხეულის კინეტიკური ენერგია, თუ მასზე მოქმედი ძალების ტოლქედი უარყოფით მუშაობას შეასრულებს?

62. როგორ შეიცვლება სხეულის კინეტიკური ენერგია, თუ მასზე მოქმედი ძალების ტოლქედი -200 ჯ მუშაობას შეასრულებს?

63. დაფიქრდით და ივარაუდეთ, როგორ ცვლის ჰორიზონტალურ ზედაპირზე მოსრიალე სხეულის კინეტიკურ ენერგიას მასზე მოქმედი სიმძიმის, რეაქციისა და ხახუნის ძალები?

64. გლუვ ჰორიზონტალურ ზედაპირზე მდებარე 20 კგ მასის უძრავ ყუთზე მოქმედებას იწყებს 100 ნ ჰორიზონტალური ძალა. განსაზღვრეთ ყუთის შეძენილი სიჩქარე 10 მ მანძილის გავლისას.

65. 26 კგ მასის უძრავ ველოსიპედზე მოქმედებას იწყებს 150 ნ წევის ძალა. განსაზღვრეთ ველოსიპედისტის მასა, თუ ამ ძალის მოქმედებით ველოსიპედის მიერ ჰორიზონტალურ გზაზე 200 მეტრის გავლისას შეძენილი სიჩქარე 25 მ/წმ-ია. წინააღმდეგობის ძალებს ნუ გაითვალისწინებთ.

66. განსაზღვრეთ ავტომობილის მკვეთრი დამუხრუჭებისას გაჩერებამდე გავლილი მანძილი (სამუხრუჭები მანძილი), თუ ავტომობილის სიჩქარე დამუხრუჭების დაწყების მომენტში 20 მ/წმ-ია, ბორბლების გზის საფართან სრიალის ხახუნის კოეფიციენტი კი - 0,4 ($g \approx 10$ ნ/კგ).

67. გზაზე სწრაფად მიმავალი ავტომობილის მძლოლმა მოულოდნელად შეამჩნია წინააღმდეგობა და მკვეთრად დაამუხრუჭა. განსაზღვრეთ, რა სიჩქარით მოძრაობდა ავტომობილი, თუ ბორბლების მიერ გზის საფარზე დატოვებული კვალის სიგრძე 40 მ-ია (სურ. 1.63), ბორბლების გზის საფართან სრიალის ხახუნის კოეფიციენტი კი - 0,5.

68. 10 კგ მასის ხის ძელი უძრავად დევს ჰორიზონტალურ ზედაპირზე. მას მოსდეს ზედაპირის პარალელური 200 ნ ძალა. განსაზღვრეთ ძელის მიერ 50 მეტრ მანძილზე შეძენილი კინეტიკური ენერგია, თუ მისი ზედაპირთან ხახუნის კოეფიციენტი 0,2-ია ($g \approx 10$ ნ/კგ).






სურ. 1.63

69. 10 კგ მასის ხის ძელი უძრავად დევს ჰორიზონტალურ ზედაპირზე. მას მოსდეს ზედაპირის პარალელური 180 ნ ძალა. 100 მეტრის გავლის შემდეგ ძალის მიმართულება საპირისპიროთ შეცვალეს. ძალის მიმართულების შეცვლის ადგილიდან რა მანძილს გაივლის ძელი გაჩერებამდე, თუ მისი ზედაპირთან სრიალის ხახუნის კოეფიციენტი 0,2-ია ($g \approx 10$ ნ/კგ).

70. ავტომობილი მოძრაობდა 20 მ/წმ სიჩქარით. მკვეთრი დამუხრუჭებისას, სამუხრუჭები სისტემა მწყობრიდან გამოვიდა და გარკვეული დროის შემდეგ ამოქმედდა. შედეგად დამუხრუჭების დაწყებიდან 60 მ მანძილზე ავტომობილის მხოლოდ უკანა ორი ბორბალი ამუხრუჭებდა, უკანასკნელ 20 მეტრზე კი - ოთხივე ბორბალი. განსაზღვრეთ ბორბლების გზის საფართან სრიალის ხახუნის კოეფიციენტი. მიიჩნიეთ, რომ დამუხრუჭებისას ავტომობილის მასა თანაბრად არის განაწილებული ოთხივე ბორბალზე ($g \approx 10$ ნ/კგ).

თავი II

სხეულთა წონასწორობა. მარტივი მექანიზმები



ამ თავში თქვენ გაეცნობით:

- სხეულის წონასწორობის პირობებს;
- წონასწორობის სახეებს;
- მომენტების წესს;
- მარტივ მექანიზმებს;
- მექანიზმის მარგი ქმედების კოეფიციენტს;
- მარტივი მექანიზმების გამოყენებას ყოველდღიურ ცხოვრებაში.

§ 2.1 სხეულის წონასწორობა. მასათა ცენტრი. სიმძიმის ცენტრი

თქვენ იწყებთ ფიზიკის ნაწილის – სტატიკის შესწავლას. „სტატიკა“ ბერძნული სიტყვაა და წონასწორობას, უძრაობას ნიშნავს. რას ვგულისხმობთ სხეულის წონასწორობაში?

სხეულის წონასწორობა დროის განმავლობაში სხეულის უძრაობის ან თანაბარი მოძრაობის მდგომარეობის შენარჩუნებაა.

რას ნიშნავს სხეულის თანაბარი მოძრაობის მდგომარეობის შენარჩუნება?

(გავიხსენოთ სხეულის ბრუნვითი და გადატანითი მოძრაობის განმარტებები:


ბრუნვითი მოძრაობა – მოძრაობა, რომლის დროსაც სხეულის წერტილები ბრუნვენ წრენირებზე, რომელთა ცენტრები ერთ წრფეზე – ბრუნვის ღერძზე მდებარეობს.

გადატანითი მოძრაობა – მოძრაობა, რომლის დროსაც სხეულის ყველა წერტილი ერთნაირად მოძრაობს. გადატანითი მოძრაობისას ბრუნვა და დეფორმაცია არ ხდება. ეს ნიშნავს, რომ სხეულის ნებისმიერ ორ წერტილს შორის მანძილი არ იცვლება და მათზე გავლებული წრფე თავისი თავის პარალელური რჩება.

განვიხილოთ ბურთულის თანაბარი მოძრაობა ოდნავ დახრილ ღარში (სურ. 2.1). ეს რთული მოძრაობაა, რომელიც შეიძლება დავშალოთ ორ მოძრაობად:

- ბურთულის ბრუნვით მოძრაობად AB ღერძის გარშემო;
- ბურთულის, როგორც მთლიანის გადატანით მოძრაობად \vec{v} სიჩქარით, რომელიც AB ღერძის წერტილების სიჩქარის ტოლია.

ბურთულა ინარჩუნებს თანაბარი მოძრაობის მდგომარეობას, ანუ იმყოფება წონასწორულ მდგომარეობაში, თუ მისი ბრუნვითი და გადატანითი მოძრაობის სიჩქარეები არ იცვლება.




სურ. 2.1

რა შემთხვევაში ასრულებს სხეული გადატანით მოძრაობას? ბრუნვით მოძრაობას?

(**ჩავატაროთ ცდა:** უძრავ სხეულს მოვდოთ რაღაც ძალა. ჩევეულებრივ, სხეული იწყებს შემობრუნებას და ამავე დროს გადატანით მოძრაობას. მაგრამ გარკვეული კუთხით შემობრუნების შემდეგ სხეულის ბრუნვითი მოძრაობა შეწყდება და იგი გააგრძელებს მხოლოდ გადატანით მოძრაობას. ეს მოხდება მაშინ, როცა ძალის მოქმედების წრფე გაივლის სხეულის მასათა ცენტრზე.

სხეულის მასათა ცენტრი იმ ძალთა მოქმედების წრფეების გადაკვეთის წერტილია, რომელთაგან თითოეულის მოქმედება იწვევს სხეულის მხოლოდ გადატანით მოძრაობას.



სურ. 2.2


(სურ. 2.2)-ზე \vec{F}_1 და \vec{F}_2 ძალები გამოიწვევს სხეულის მხოლოდ გადატანით მოძრაობას, რადგან მათი მოქმედების წრფეები გადის სხეულის მასათა ცენტრზე (O წერტილი). \vec{F}_3 ძალა გამოიწვევს სხეულის როგორც გადატანით, ასევე ბრუნვით მოძრაობას.

თუ სხეულის ზომები მცირეა, მასზე მოქმედი სიმძიმის ძალა მასათა ცენტრზეა მოდებული.

წერტილს, რომელზეც მოდებულია სხეულზე მოქმედი სიმძიმის ძალა, სიმძიმის ცენტრი ეწოდება.

ერთგვაროვანი წესიერი ფორმის სხეულის სიმძიმის ცენტრი მის გეომეტრიულ ცენტრს ემთხვევა. სხეულის სიმძიმის ცენტრი შესაძლებელია არ ეკუთვნოდეს ამ სხეულს. მაგალითად, ერთგვაროვანი რგოლის მასათა ცენტრი მის ცენტრშია, რომელიც რგოლს არ ეკუთვნის (სურ. 2.3).

სხეულის სიმძიმის ცენტრის პოვნის ხერხებს შემდეგ პარაგრაფებში გავეცნობით.



სურ. 2.3

დასკვნები:

- დღროის განმავლობაში სხეულის უძრაობის ან თანაბარი მოძრაობის მდგომარეობის შენარჩუნებას სხეულის წონასწორობა ეწოდება;
- წერტილს, რომელშიც გადაიკვეთება ყველა ის ძალა, რომელთა მოქმედებითაც სხეული მხოლოდ გადატანით მოძრაობას ასრულებს, მასათა ცენტრი ეწოდება;
- მცირე ზომის სხეულზე მოქმედი სიმძიმის ძალა მის მასათა ცენტრზეა მოდებული;
- წერტილს, რომელზეც მოდებულია სხეულზე მოქმედი სიმძიმის ძალა, სიმძიმის ცენტრი ეწოდება.



საშინაო ცდა:

ცდის მიზანი: რეზინის ბუშტის წონასწორობის მდგომარეობაზე დაკვირვება.

ცდისთვის საჭიროა: რეზინის ბუშტი და ძაფი.

ცდის აღწერა: გაბერეთ ბუშტი და დახურულ ოთახში ძაფით ჩამოკიდეთ ჭალზე (სურ. 2.4 ა) (უსაფრთხოებისთვის დახმარება სთხოვეთ უფროსებს). დააკვირდით მას და ახსენით ბუშტის უძრაობის მიზეზი. შემდეგ გადაჭერით ძაფი და დააკვირდით ბუშტის მოძრაობას (სურ. 2.4 ბ). იცვლება თუ არა მისი სიჩქარე იატაკისკენ დაშვებისას? დაკვირვების შედეგები ჩაწერეთ რვეულში.

ა)



ბ)



სურ. 2.4

§ 2.2 არამბრუნავი სხეულის წონასწორობა

წინა პარაგრაფში აღვწერეთ ბურთულის მოძრაობა დახრილ ღარში. ამ მოძრაობისას ბურთულა ბრუნავს გარკვეული ღერძის გარშემო და, იმავდროულად, გადაადგილდება ღარის გასწვრივ. შესარულებს თუ არა იმავე სახის მოძრაობებს მბრუნავი ბზრიალა, რომელიც მაგიდიდან ჩამოვარდა?

 დაფიქრდით და მოიყვანეთ ანალოგიური მაგალითები ყოველდღიური ყოფა-ცხოვრებიდან.

ამ მაგალითების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შესაძლებელია სხეული ერთდროულად ასრულებდეს ბრუნვით მოძრაობას და გადაადგილდებოდეს კიდეც. რას ნიშნავს ასეთ შემთხვევაში სხეულის წონასწორობა?

ჯერ განვიხილოთ წონასწორობა მხოლოდ იმ სხეულისა, რომელიც არ ასრულებს ბრუნვითს, მაგრამ შესაძლოა ასრულებდეს გადატანით მოძრაობას. როგორც ვიცით, თუ სხეულზე მოდებული ყველა ძალის მოქმედების წრფე გადის მის მასათა ცენტრზე, მაშინ იგი გადატანით მოძრაობას ასრულებს.


ჩავატაროთ ცდები:

 1. შტატივზე ძაფით ჩამოვეკიდოთ ბურთულა (სურ. 2.5). ბურთულაზე მოქმედებს ორი ძალა: ვერტიკალურად ქვევით მიმართული სიმძიმის ძალა – $\vec{m\bar{g}}$, და ვერტიკალურად ზევით მიმართული ძაფის დაჭიმულობის ძალა – \vec{T} . ბურთულა უძრავია, ანუ იმყოფება წონასწორულ მდგომარეობაში. გადავჭრათ ძაფი. ბურთულაზე იმოქმედებს მხოლოდ სიმძიმის ძალა, ბურთულა ამოძრავდება მზარდი სიჩქარით ქვევით, ანუ წონასწორობა დაირღვევა (სურ. 2.6).


ძაფზე უძრავად დაკიდებულ ბურთულაზე მოქმედი $\vec{m\bar{g}}$ და \vec{T} ძალების მოქმედების წრფეები გადის ბურთულის მასათა ცენტრზე, ეს ძალები ერთმანეთს აწონასწორებს და მათი ტოლქმედი ნულის ტოლია:

$\vec{m\bar{g}} + \vec{T} = 0$. ძალთა მოდულებისათვის: $m\bar{g} = T$.


 2. კორპის ძელაკი თოკით მივაბათ მასიურ (მაგალითად, რკინის) სხეულს და მოვათავსოთ წყლიან ჭურჭელში ისე, რომ ძელაკი ჩაძირული იყოს (სურ. 2.7).



სურ. 2.5



სურ. 2.6



სურ. 2.7

ძელაკი წონასწორულ მდგომარეობაშია. მასზე მოქმედებს სამი ძალა: შვეულად ქვევით მიმართული სიმძიმის ძალა – $\vec{m\bar{g}}$, ასევე ქვევით მიმართული, ძაფის დაჭიმულობის ძალა – \vec{T} და შვეულად ზევით მიმართული ამომგდები ძალა – \vec{F}_s . ამომგდები ძალის მოქმედება გაწონასწორებულია სიმძიმისა და ძაფის დაჭიმულობის ძალების მოქმედებით. ამ შემთხვევაშიც სრულდება პირობა: $\vec{m\bar{g}} + \vec{T} + \vec{F}_s = 0$. ძალთა მოდულებისთვის: $m\bar{g} + T = F_s$.


თუ ძაფს გადავჭრით, მხოლოდ სიმძიმის ძალა ვერ გააწონასწორებს ამომგდებ ძალას ($F_s > mg$) და ძელაკი დაიწყებს მოძრაობას ზევით – მისი წონასწორობა დაირღვევა.

მოყვანილი ორივე ცდა ეხებოდა უძრავი სხეულის წონასწორობას.

ახლა განვიხილოთ თანაბრად მოძრავი სხეულის მაგალითი. ორთქლმავალი, რომელიც თანაბრად მოძრაობს წონასწორულ მდგომარეობაშია (სურ. 2.8). მასზე მოქმედებს ოთხი ძალა: სიმძიმის ძალა – $m\ddot{g}$, საყრდენის რეაქციის ძალა – \bar{N} , წევის ძალა – \bar{F} და წინააღმდეგობის ძალა – \bar{F}_c . სიმძიმის ძალა გაწონასწორებულია საყრდენის რეაქციის ძალით, წევის ძალა – წინააღმდეგობის ძალით, ამიტომ:

$$m\ddot{g} + \bar{N} + \bar{F} + \bar{F}_\text{c} = 0.$$

ძალთა მოდულებისათვის: $mg = N$ და $F = F_\text{c}$.



სურ. 2.8

თუ მემანქანე გაზრდის წევის ძალას, ორთქლმავლის სიჩქარე მოიმატებს – წონასწორული მდგომარეობა დაირღვევა.

 დაფიქრდით: რა მოხდება, თუ წინააღმდეგობის ძალა გაიზრდება და მისი მოდული მეტი გახდება წევის ძალის მოდულზე?

 გაიხსენეთ საშინაო ცდა: ძაფზე ჩამოეცებული ბუშტი გაწონასწორებულია, რადგან მასზე მოქმედი არქიმედეს, სიმძიმისა და ძაფის დაჭიმულობის ძალების ჯამი ნულის ტოლია. ძაფის გადაჭრის შემდეგ ბუშტი თანაბრად ეშვება ქვევით, რადგან მასზე მოქმედი სიმძიმის ძალა გაწონასწორებულია ჰაერის წინააღმდეგობისა და არქიმედეს ძალით.

ამრიგად, სხეული, რომელიც არ ასრულებს ბრუნვით მოძრაობას, წონასწორობაშია (უძრავია ან მოძრაობს წრფივად და თანაბრად), თუ მასზე მოდებული ძალების ტოლქმედი ნულის ტოლია.

ეს არის არამპრუნავი სხეულის წონასწორობის პირობა.

დასკვნები:

- არამპრუნავი სხეულის წონასწორობა ნიშნავს მისი უძრაობის ან წრფივი თანაბრაობის მდგომარეობას;
- არამპრუნავი სხეული წონასწორულ მდგომარეობაშია, თუ მასზე მოქმედი ყველა ძალის (ვექტორის) ჯამი ნულის ტოლია;
- წონასწორულ მდგომარეობაში მყოფ სხეულზე მოქმედი ძალებიდან რომელიმე ერთი ძალის შეცვლა იწვევს წონასწორული მდგომარეობის დარღვევას;
- უძრავი სხეულის წონასწორობის პირობა ისეთივეა, როგორიც თანაბრად მოძრავის – სხეულზე მოქმედი ყველა ძალის ვექტორული ჯამი ნულის ტოლი უნდა იყოს.

საკონტროლო კითხვები:

- როგორ მდგომარეობას ეწოდება წონასწორული იმ სხეულისათვის, რომელიც არ ბრუნავს?
- რა პირობას უნდა აკმაყოფილებდნენ არამბრუნავ სხეულზე მოქმედი ძალები, რომ ის წონასწორობაში იყოს?
- რას იწვევს წონასწორობაში მყოფ სხეულზე მოქმედი ძალებიდან ერთი რომელიმე ძალის ცვლილება?
- შესაძლებელია თუ არა სხეულზე ერთი წრფის გასწვრივ მოქმედი ძალებიდან ორი ძალა შეიცვალოს ისე, რომ წონასწორობა არ დაირღვეს? თუ შესაძლებელია, როგორ უნდა იყოს მიმართული ეს ძალები?
- როგორ ახსნით მაგიდაზე დადებული წიგნის წონასწორობას?
- როგორ ახსნით ზამბარაზე უძრავად დაკიდებული ბურთულის წონასწორობას?



ერთად ამოვხსნათ ამოცანა

ჰორიზონტალურ ზედაპირზე მოთავსებულ 4 კგ მასის კუბს ეწვიან ვერტიკალურად ზევით მიმართული მზარდი ძალით, მასზე გამობმული დინამომეტრით (სურ. 2.9). განსაზღვრეთ:


- კუბზე მოქმედი საყრდენის რეაქციის ძალა იმ მომენტში, როდესაც დინამომეტრის ჩვენება $20 \text{ ნ-ია};$
- დინამომეტრის ჩვენება იმ მომენტში, როდესაც კუბიკის წონასწორობა დაირღვევა.

ამოხსნა:

$$\begin{aligned} \text{მოც:} \\ m &= 4 \text{ კგ;} \\ T_1 &= 20 \text{ ნ;} \\ \text{უ.ვ. } N_1, T_2. \end{aligned}$$

- ა) რადგან კუბი წონასწორულ მდგომარეობაშია, მასზე მოქმედი სიმძიმის ძალის მოდული ტოლია ვერტიკალურად ზევით მიმართული საყრდენის რეაქციის ძალისა და დინამომეტრის მხრიდან მოქმედი ძალის მოდულების ჯამის:

$$mg = N_1 + T_1 \Rightarrow N_1 = mg - T_1 = 40 - 20 = 20 \text{ (ნ).}$$



სურ. 2.9

- ბ) კუბის წონასწორობა დაირღვევა მაშინ, როდესაც ზევით მიმართული ძალის მოდული გადააჭარბებს სიმძიმის ძალის მოდულს. იმ მომენტში, როდესაც დინამომეტრის ჩვენება $T_2 = 40 \text{ ნ}$ გახდება, კუბი დაძვრის ზღვარზე აღმოჩნდება. ამ მომენტში $N_2 = 0$. დინამომეტრით შემდგომი დაქაჩვისას კუბი ზევით ამოძრავდება. როცა დინამომეტრის ჩვენება გადააჭარბებს 40 ნ-ს , კუბის წონასწორობა დაირღვევა.




ამოხსენით ამოცანები:

- ნივთიერ K წერტილზე მოდებულია მარჯვნივ მიმართული მოდულით 10 ნ ძალა (სურ. 2.10). რა მოდულის და მიმართულების ძალა უნდა მოვდოთ ამ წერტილს, რომ იგი გაწონასწორდეს? (შესაბამისი ნახაზი შეასრულეთ რვეულში).
- ნივთიერ K წერტილზე მოდებულია ორი ძალა (სურ. 2.11): მოდულით 10 ნ ძალა მიმართულია მარჯვნივ, ხოლო მოდულით 3 ნ – მარცხნივ. რა მოდულისა და მიმარ-

თულების ძალა უნდა მოვდოთ ამ წერტილს, რომ იგი აღმოჩნდეს წონასწორულ მდგომარეობაში? შესაბამისი ნახაზი შეასრულეთ რვეულში.



სურ. 2.10



სურ. 2.11

3. ჰორიზონტალურ ზედაპირზე უძრავად დევს 5 კგ მასის აგური (სურ. 2.12). რა ძალა აწონასწორებს აგურზე მოქმედ სიმძიმის ძალას? საითაა მიმართული ეს ძალა ($g \approx 10 \text{ N/kg}$)?


4. ჰორიზონტალურ ზედაპირზე უძრავად დევს ორი ერთნაირი აგური (სურ. 2.13). თითოეულის მასა 5 კგ-ია. განსაზღვრეთ:

ა) იმ ძალის მოდული და მიმართულება, რომელიც აბათილებს ზედა აგურზე მოქმედ სიმძიმის ძალას.

ბ) ქვედა აგურზე მოქმედი ძალების მოდული და მიმართულება ($g \approx 10 \text{ N/kg}$). შესაბამისი ნახაზი შეასრულეთ რვეულში.



სურ. 2.12



სურ. 2.13

5. რისი ტოლია 15 კგ მასის პარაშუტზე მოქმედი ჰაერის წინააღმდეგობის ძალა, თუ 70 კგ მასის პარაშუტისტი თანაბრად ეშვება ($g \approx 10 \text{ N/kg}$)?

6. დიდი სიმაღლიდან გადმომხტარი პარაშუტისტი პარაშუტის გახსნამდე წონასწორულ მდგომარეობაშია. დაირღვევა თუ არა მისი წონასწორობის მდგომარეობა პარაშუტის გახსნის შემდეგ? პასუხი დაასაბუთეთ.

7. მატარებელი, რომელიც 20 ვაგონისგან შედგება, თანაბრად მოძრაობს ჰორიზონტალურ ლიანდაგზე. თითოეულ ვაგონზე მოქმედი წინააღმდეგობის ძალა 2 კნ-ია. განსაზღვრეთ:


ა) მატარებელზე მოქმედი წევის ძალა;

ბ) რამდენჯერ უნდა შემცირდეს წევის ძალა, რომ 5 ვაგონის ჩახსნის შემდეგაც მატარებელმა თანაბრად იმოძრაოს?

8. სურ. 2.14-ზე მოცემულია ჭერზე ჩამოკიდებული, ერთმანეთზე გადაბმული ორი ზამბარა. მათზე დაკიდებული 10 კგ მასის სხეული წონასწორულ მდგომარეობაშია. განსაზღვრეთ თითოეული ზამბარის წაგრძელება, თუ მათი სიხისტეებია $\zeta_1 = 2000 \text{ N/m}$ და $\zeta_2 = 1000 \text{ N/m}$. ზამბარების მასა არ გაითვალისწინოთ ($g \approx 10 \text{ N/kg}$).

9. თუ ტვირთს ერთდროულად 3 თოკზე ჩამოკიდებთ, თითოეული თოკის დაჭიმულობის ძალა 200 ნ იქნება. რისი ტოლი განდება თითოეული თოკის დაჭიმულობის ძალა, თუ ამ ტვირთს ერთდროულად 4 თოკზე ჩამოკიდებთ? მიიჩნიეთ, რომ ორივე შემთხვევაში თოკები ვერტიკალურია და ერთნაირადაა დაჭიმული.


10. უძრავ მსუბუქ საქანელაზე ზის 40 კგ მასის ბავშვი და იმავდროულად ფეხებით მიწასაც ეყრდნობა. საქანელას ორი თოკი აქვს, რომელთაგან თითოეული 150 ნიუტონითაა დაჭიმული. რა ძალით აწვება ბავშვი მიწას ($g \approx 10 \text{ N/kg}$)?



სურ. 2.14

§ 2.3 უძრავი ბრუნვის ლერძის მქონე სხეულის წონასწორობა

წინა პარაგრაფში ჩვენ განვიხილეთ იმ სხეულების წონასწორობა, რომელთაც შეეძლოთ მხოლოდ გადატანითი მოძრაობის შესრულება. ახლა კი იმ სხეულის წონასწორობა განვიხილოთ, რომელსაც არ შეუძლია გადაადგილება, მაგრამ შეუძლია ბრუნვა რაიმე უძრავი ლერძის გარშემო. ასეთია, მაგალითად, კედელზე ერთი ჭიკარტით მიმაგრებული მუყაოს ნაჭერი, კარი, მანქანის საჭე და სხვა. როგორი იქნება უძრავი ბრუნვის ლერძის მქონე სხეულის წონასწორობის პირობა, როდესაც მასზე ძალები მოქმედებს?



სურ. 2.15



ჩავატაროთ ცდა: ავილოთ თხელი ფიცრის პატარა ნაჭერი და ერთი ლურსმნით (O) დავამაგროთ კედელზე, მაგიდაზე ან რაიმე დიდ დაფაზე ისე, რომ ფიცარს თავისუფლად შეეძლოს შემობრუნება ლურსმნის გარშემო (სურ. 2.15). ლურსმნის ორ სხვადასხვა მხარეს, ნებისმიერად არჩეულ A და B ნერტილებში, ნაწილობრივად ჩავაჭედოთ ორი პატარა ლურსმანი, რომლებზეც გამოვდოთ დინამომეტრები. დინამომეტრების დაქაჩვით ჩვენ შეგვიძლია ფიცარზე ვიმოქმედოთ სხვადასხვა მიმართულებისა და მოდულის \vec{F}_1 და \vec{F}_2 ძალით. ამ ძალების მიმართულება ისე შევარჩიოთ, რომ მათ გამოიწვიონ ფიცრის სხვადასხვა მიმართულებით ბრუნვა. ფიცარზე

მხოლოდ \vec{F}_1 ძალის მოქმედებით იგი შემობრუნდება საათის ისრის სანინააღმდეგო მიმართულებით, მხოლოდ \vec{F}_2 ძალის მოქმედებით კი – საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით.

თუ ორივე დინამომეტრს ერთი მოსწავლე გაქაჩავს, მან მარტივად შეიძლება შეარჩიოს განსხვავებული მიმართულებისა და მოდულის მქონე ძალები ისე, რომ ფიცარი არც ერთი მიმართულებით არ შემობრუნდეს, ანუ ფიცარი აღმოჩნდეს წონასწორულ მდგომარეობაში. ასეთ შემთხვევაში \vec{F}_1 და \vec{F}_2 ძალებს ერთნაირი მაბრუნებელი მოქმედება ექნებათ, მიუხედავად იმისა, რომ მათი მოდულები განსხვავებულია. რა ფიზიკური სიდიდით შეიძლება დავახასიათოთ ძალის მაბრუნებელი მოქმედება? ცხადია, მას ერთნაირი რიცხვითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ორივე ძალისათვის.

ფიცარზე გავავლოთ ძალების მოქმედების წრფეები და გავზომოთ ბრუნვის ლერძიდან (0 ნერტილიდან) ამ წრფეებამდე d_1 და d_2 მანძილები. ადვილად დავრწმუნდებით, რომ თუ $F_1 > F_2$, მაშინ $d_1 < d_2$. ცდებით შეიძლება დავადგინოთ, რომ რამდენჯერაც F_1 მეტია F_2 -ზე, იმდენჯერ d_1 ნაკლებია d_2 -ზე, ამიტომ $F_1 \cdot d_1 = F_2 \cdot d_2$. ე. ი. ორივე ძალისთვის ერთნაირია ძალის მოდულის ნამრავლი მისი მოქმედების წრფიდან ბრუნვის ლერძამდე მანძილზე. სწორედ ამ ნამრავლით შეიძლება დავახასიათოთ ძალის მაბრუნებელი მოქმედება.

მანძილს ბრუნვის ლერძიდან ძალის მოქმედების წრფემდე ძალის მხარი ეწოდება და აღნიშნავენ დასოთი. (d_1 არის \vec{F}_1 ძალის მხარი, $d_2 - \vec{F}_2$ ძალის მხარი.)

ძალის მოდულის ნამრავლს მის მხარზე ძალის მომენტი (მაბრუნებელი მომენტი) ეწოდება. ძალის მომენტი აღინიშნება M ასოთი:

$$M = Fd$$

ძალის მომენტის ერთეულად SI-ში მიღებულია 1 ნ ძალის მომენტი, რომლის მხარი 1 მ-ის ტოლია: $1 \text{ ნ} \cdot \text{მ} = 1 \text{ ნ}\cdot\text{მ}$.



დაფიქრდით და შეეცადეთ უპასუხოთ კითხვებს:

- რა შემთხვევაში იქნება ძალის მომენტი ნულის ტოლი?
- რა მიმართულების ძალით უნდა ვიმოქმედოთ გაღებულ კარზე, რომ იგი არც ერთი მიმართულებით არ შემობრუნდეს?

- როგორ შეიძლება ვცვალოთ ძალის მხარი?

ძალის მომენტისათვის ერთნაირად მნიშვნელოვანია ძალის მოდულიც და მისი მხარიც – ერთი და იგივე მომენტი შეიძლება შევქმნათ დიდი ძალითა და მცირე მხრით ან მცირე ძალითა და დიდი მხრით.

ჩატარებული ცდიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ უძრავი ბრუნვის ლერძის მქონე სხეული ორი ძალის მოქმედებისას გაწონასწორებულია, თუ საათის ისრის მიმართულებით მაბრუნებელი ძალის მომენტი რიცხობრივად საათის ისრის საწინააღმდეგოდ მაბრუნებელი ძალის მომენტის ტოლია:

$$F_1d_1 = F_2d_2$$

დასკვნები:

- ბრუნვის ლერძის მქონე სხეული გაწონასწორებულია, თუ იგი არ ბრუნავს ან ბრუნავს მუდმივი სიჩქარით;
- ძალის მოქმედების წრფე – წრფე, რომელიც გავლებულია ძალის ვექტორზე;
- ძალის მხარი – მანძილი ბრუნვის ლერძიდან ძალის მოქმედების წრფემდე;
- ძალის მაბრუნებელ მოქმედებას ახასიათებენ ძალის მომენტი;
- ძალის მომენტისათვის ერთნაირად მნიშვნელოვანია ძალის მოდულიც და მისი მხარიც;
- ძალის მომენტი მისი მოდულისა და მხრის ნამრავლის ტოლია: $M=F \cdot d$;
- ერთი და იგივე მაბრუნებელი მომენტი შეიძლება შევქმნათ დიდი ძალითა და მცირე მხრით ან მცირე ძალითა და დიდი მხრით;
- უძრავი ბრუნვის ლერძის მქონე სხეულის წონასწორობის პირობა მასზე ირი ძალის მოქმედებისას: $F_1d_1 = F_2d_2$.

საკონტროლო კითხვები:

- რას ნიშნავს, რომ უძრავი ბრუნვის ლერძის მქონე სხეული წონასწორობაშია?
- როგორი მიმართულებით აბრუნებენ \bar{F}_1 და \bar{F}_2 ძალები ფიცარს (სურ. 2.15)?
- როგორ შევარჩიეთ \bar{F}_1 და \bar{F}_2 ძალების მოდულები (სურ. 2.15)?
- რას ენოდება ძალის მხარი?
- როგორ შეიძლება შევცვალოთ ძალის მხარი?
- რა საერთო სიდიდე აქვთ ერთნაირი \bar{F}_1 და \bar{F}_2 ძალებს (სურ. 2.15)?
- შეიძლება თუ არა 10 ნ და 1 ნ მოდულის ძალებმა შექმნან ტოლი მაბრუნებელი მომენტი?
- რა შემთხვევაში არ მობრუნდება სხეული, თუ მასზე მოქმედი ორი ძალიდან $F_2 > F_1$?




ერთად ამოვხსნათ ამოცანა

იატაკზე სახსრულად დამაგრებულ მსუბუქ ლეროს ხახუნის გარეშე შეუძლია ბრუნვა O ლერძის გარშემო (სურ. 2.16). ლერო გაწონასწორებულია მისი მართობული $F_1 = 200 \text{ N}$ და $F_2 = 100 \text{ N}$ ძალების მოქმედებით. განსაზღვრეთ ამ ძალების მხრის სიგრძეები, თუ ცნობილია, რომ $d_2 - d_1 = 50 \text{ cm}$.

ამოხსნა:

მოც:
 $F_1 = 200 \text{ N}$;
 $F_2 = 100 \text{ N}$;
 $d_2 - d_1 = 50 \text{ cm}$.
 უ.ვ. d_1 , d_2

\vec{F}_1 ძალის მომენტია $M_1 = F_1 \cdot d_1$, \vec{F}_2 ძალის მომენტი – $M_2 = F_2 \cdot d_2$. ვინაიდან ლერო გაწონასწორებულია, მასზე მოქმედი \vec{F}_2 და \vec{F}_1 ძალის მომენტები მოდულით ტოლი იქნება $M_2 = M_1 \Rightarrow F_2 \cdot d_2 = F_1 \cdot d_1$. რიცხვითი მნიშვნელობების შეტანით მივიღებთ: $d_2 = 2 \cdot d_1$ (1). მოცემულობის თანახმად, $d_2 - d_1 = 50 \text{ cm}$ (2). (1) განტოლებაში მიღებული შედეგი შევიტანოთ (2) განტოლებაში. მივიღებთ: $2 \cdot d_1 - d_1 = 50 \text{ cm} \Rightarrow d_1 = 50 \text{ cm}$. თუ ამ შედეგს გავითვალისწინებთ (1) განტოლებაში, მივიღებთ: $d_2 = 2 \cdot 50 = 100 \text{ cm}$.



სურ. 2.16



ამოხსენით ამოცანები:

1. როგორ ფიქრობთ, როდის უფრო მარტივია გემის საჭის დატრიალება, როდესაც საჭეს დიდი რადიუსი აქვს, თუ მცირე (სურ. 2.17)? პასუხი დაასაბუთეთ.
2. დაფიქრდით, რატომ აყენებენ კარისა და ფანჯრის სახელურებს ანჯამებისგან ყველაზე შორს?
3. რატომ იყენებენ ჭანჭიკების დასაჭერად ან მოსახსნელად ქანჩს? რატომაა ძნელი მოჭერილი ჭანჭიკის მოხსნა ინსტრუმენტის გარეშე (სურ. 2.18)?



სურ. 2.17




სურ. 2.18

4. რისი ტოლია ფანჯარაზე მოდებული 5 N ძალის მომენტი, თუ მანძილი ბრუნვის ლერძიდან ამ ძალის მოქმედების წრფემდე 50 cm -ია?

5. სურ. 2.19-ზე გამოსახულ ბრტყელ დისკოს ხახუნის გარეშე შეუძლია ბრუნვა O წერტილში გამავალი ლერძის გარშემო. მასზე მოდებული ძალების მოდულებია: $F_1 = 120 \text{ N}$ და $F_2 = 90 \text{ N}$. მათი მხრები კი – $d_1 = 20 \text{ cm}$ და $d_2 = 40 \text{ cm}$. განსაზღვრეთ:

- \vec{F}_1 ძალის მომენტი და მიმართულება, საითაც ცდილობს ეს ძალა დისკოს მობრუნებას;
- \vec{F}_2 ძალის მომენტი და მიმართულება, საითაც ცდილობს ეს ძალა დისკოს მობრუნებას;
- შესაძლებელია თუ არა, რომ ამ ძალების მოქმედებისას დისკი იყოს გაწონასწორებული?



სურ. 2.19

6. სურ. 2.20-ზე გამოსახულ ბრტყელ დისკოს ხახუნის გარეშე შეუძლია ბრუნვა O წერტილში გამავალი ღერძის გარშემო. მასზე მოდული ძალების მოდულებია: $F_1 = 100 \text{ N}$ და $F_2 = 80 \text{ N}$. მათი მხრები კი – $d_1 = 20 \text{ cm}$ სმ და $d_2 = 25 \text{ cm}$ სმ. განსაზღვრეთ:

ა) \vec{F}_1 ძალის მომენტი და მიმართულება, საითაც ცდილობს ეს ძალა დისკოს მობრუნებას;

ბ) \vec{F}_2 ძალის მომენტი და მიმართულება, საითაც ცდილობს ეს ძალა დისკოს მობრუნებას;

გ) განვიხილოთ, თუ არა დისკო? პასუხი დაასაბუთეთ.

7. ბორბლის მაბრუნებელი ძალის მოდული 5-ჯერ გაზარდეს, როგორ უნდა შევცვალოთ მისი მხარი, რომ ძალის მომენტი უცვლელი დარჩეს?

8. მექანიკური ამოცანის პირობის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

ა) \vec{F}_1 ძალის მოდული 2-ჯერ გაზარდეს, რისი ტოლი უნდა გახდეს \vec{F}_2 ძალის მოდული, რომ დისკო კვლავ განვიხილოთ იყოს?

ბ) \vec{F}_1 ძალის მხარი ორჯერ გაზარდეს, რისი ტოლი უნდა გახდეს \vec{F}_2 ძალის მხარი, რომ დისკო კვლავ განვიხილოთ იყოს?

გ) \vec{F}_2 ძალის მოდული ორჯერ შეამცირეს, რისი ტოლი უნდა გახდეს \vec{F}_1 ძალის მხარი, რომ დისკო კვლავ განვიხილოთ იყოს?

დ) \vec{F}_2 ძალის მხარი ოთხჯერ შეამცირეს, რისი ტოლი უნდა გახდეს \vec{F}_1 ძალის მოდული, რომ დისკო კვლავ განვიხილოთ იყოს?

9. დისკოზე მოდებული ძალის მოდული 5-ჯერ გაზარდეს, ძალის მხარი კი უცვლელი დატოვეს. შედეგად ძალის მომენტი $40 \text{ N} \cdot \text{m}$ -ით გაიზარდა. განსაზღვრეთ ძალის მომენტის საწყისი მნიშვნელობა.

10. ბიჭი გაჭედილ კარს შუა წერტილში მართობულად 50 cm ძალით მიაწვა. რადგან ვერ გააღო, ძალის მხარი ორჯერ გაზარდა ისე, რომ ძალა არ შეუცვლია. შედეგად ძალის მომენტი $25 \text{ N} \cdot \text{m}$ -ით გაიზარდა. განსაზღვრეთ ძალის მხრის საწყისი მნიშვნელობა.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ ნახოთ საინტერესო ვიდეორგოლი ბმულზე: <http://tiny.cc/whq2jz>.



საშინაო ცდა:


ცდის მიზანი: ცნობილი მასის მონეტებით პლასტილინის ბურთულის მასის დადგენა.

ცდისთვის საჭიროა: პლასტილინი, $10-15 \text{ cm}$ ცალი ხუთეთრიანი მონეტა (ცნობილია, რომ თითოეულის მასა $2,5 \text{ g}$ ამია), ხის დანაყოფებიანი სახაზავი და მრგვალი განივევეთის ფანქარი.

ცდის აღწერა: ფანქარი ასანთის ორ კოლოფზე ბოლოებით პლასტილინით დაამაგრეთ. დადეთ სახაზავი შუანერტილით ფანქარზე. პლასტილინისაგან გააკეთოთ ბურთულა და დააწერეთ სახაზავის ერთ მხარეს რომელიმე ადგილზე. სახაზავის მეორე მხარეს დადეთ ერთმანეთზე დაწყობილი რამდენიმე მონეტა და შეარჩიეთ მათი მდებარეობა ისე, რომ სახაზავი განვიხილოთ (სურ. 2.21). სახაზავზე აითვალეთ მონეტებისა და ბურთულის მხრები. გამოთვალეთ გამოყენებული მონეტების საერთო მასა და განსაზღვრეთ ბურთულის მასა. ცდის მონაცემები და მიღებული შედეგი ჩანერეთ რვეულში.



სურ. 2.21




სურ. 2.20

§ 2.4 მომენტების წესი

ნინა პარაგრაფში ჩვენ განვიხილეთ წონასწორობა უძრავი ბრუნვის ღერძის მქონე სხეულისა, რომელიც ვერ ასრულებდა გადატანით მოძრაობას, მაგრამ შეეძლო შემობრუნვება ღერძის გარშემო. სხეულზე ორი ძალის მოქმედებისას დავასკვენით, რომ უძრავი ბრუნვის ღერძის მქონე სხეული განვინასწორებულია, თუ საათის ისრის მიმართულებით მაბრუნებელი ძალის მომენტი მოდულით საათის ისრის საწინააღმდეგოდ მაბრუნებელი ძალის მომენტის ტოლია: $F_1d_1 = F_2d_2$.

 გაიხსენეთ: საშინაო ცდაში პლასტილინის ბურთულის წონის მიერ შექმნილი მომენტი ბრუნვის ღერძის (ფანჯრის) მიმართ, მოდულით ტოლია იმავე ღერძის მიმართ მონეტების წონის მიერ შექმნილი მაბრუნებელი მომენტისა. სწორედ ამით ვისარგებლეთ პლასტილინის ბურთულის მასის გამოთვლისას.

ძალის მომენტი შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი. იმ ძალის მომენტი, რომელიც სხეულს საათის ისრის მიმართულებით აპრუნებს, დადებითად მიიჩნევა, საათის ისრის საწინააღმდეგოდ მაბრუნებელი კი – უარყოფითად.



სურ. 2.22

ჩვენ შემთხვევაში $F_1d_1 = M_1 < 0$, ხოლო $F_2d_2 = M_2 > 0$ (სურ. 2.22). ე.ი M_1 -ის და M_2 -ის მნიშვნელობები მოპირდაპირე რიცხვებია, ამიტომ მათი ჯამი ნულის ტოლია:

$$M_1 + M_2 = 0$$

მტკიცდება, რომ ეს ტოლობა სრულდება მაშინაც, თუ სხეულზე მოქმედებს ორზე მეტი ძალა.

უძრავი ბრუნვის ღერძის მქონე სხეული განვინასწორებულია, თუ ამ ღერძის მიმართ მასზე მოქმედი ყველა ძალის მომენტების ჯამი ნულის ტოლია:

$$M_1 + M_2 + M_3 + \dots + M_n = 0$$

რომელშიც ი სხეულზე მოქმედ ძალთა რაოდენობაა.

წონასწორობის ამ პირობას მომენტების წესი ეწოდება.

მომენტების წესი შეიძლება სხვაგვარადაც ჩამოვაყალიბოთ: უძრავი ბრუნვის ღერძის მქონე სხეული განვინასწორებულია, თუ მასზე მოქმედი საათის ისრის მიმართულებით მაბრუნებელ ძალთა მომენტების ჯამი მოდულით საათის ისრის საწინააღმდეგოდ მაბრუნებელ ძალთა მომენტების ჯამის ტოლია.

როდესაც სხეულს ერთდროულად ბრუნვითი და გადატანითი მოძრაობა შეუძლია, წონასწორობის ზოგადი პირობა ჩამოყალიბდება შემდეგნაირად:

სხეულის წონასწორობისთვის საჭიროა მასზე მოქმედი ძალების ტოლქმედი და ბრუნვის ღერძის მიმართ ამ ძალების მომენტების ჯამი ნულის ტოლი იყოს.

დასკვნები:

- ძალის მომენტი შეიძლება იყოს დადებითიც და უარყოფითიც;
- საათის ისრის მიმართულებით მაბრუნებელი ძალის მომენტი მიჩნეულია დადებითად, მის საწინააღმდეგოდ მაბრუნებელი ძალისა კი – უარყოფითად;
- უძრავი ბრუნვის ლერძის მქონე სხეული არ ბრუნავს, ან ბრუნავს თანაბრად, თუ ამ ლერძის მიმართ მასზე მოქმედი ყველა ძალის მომენტების ჯამი ნულის ტოლია: $M_1 + M_2 + M_3 + \dots + M_n = 0$;
- სხეულის წონასწორობის ზოგადი პირობა – სხეულზე მოქმედი ძალების ტოლები და ბრუნვის ლერძის მიმართ ამ ძალების მომენტების ჯამი ნულის ტოლია.

საკონტროლო კითხვები:

1. რა შემთხვევაშია ძალის მაბრუნებელი მომენტი ნულის ტოლი?
2. როგორ ადგენენ ძალის მაბრუნებელი მომენტის ნიშანს?
3. შესაძლებელია თუ არა, რომ ერთი და იმავე ნიშნის მაბრუნებელი მომენტის მქონე ძალების მოქმედებისას სხეული გაწონასწორებული იყოს?
4. შესაძლებელია თუ არა ერთი და იგივე ძალის მომენტი ერთ შემთხვევაში იყოს დადებითი, მეორე შემთხვევაში კი – უარყოფითი ან ნულის ტოლი? თუ მიიჩნევთ, რომ ეს შესაძლებელია, ეცადეთ, მოიყვანოთ შესაბამისი მაგალითი.

პროექტი



მომენტების წესის ცდით შემონება და დემონსტრირება (ჯგუფური მუშაობა)

ბრუნვის ლერძის მქონე სხეულთა წონასწორობა, რომელიც მომენტების წესს ემორჩილება, ხშირად გვხვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაგალითად, სათამაშო აიწონა-დაიწონაზე ბავშვები წონასწორობას საყრდენი ლერძის მიმართ სწორედ თავიანთი წონის მომენტებით ქმნიან; ჭის ჯალამბრით წყლიანი სათლის თანაბარი ამოტანისას (სურ. 2.23), ბრუნვის ლერძის მიმართ სახელურზე მოქმედი ძალის მომენტი მოდულით ლილვზე მოქმედი სათლის წონის მომენტის ტოლია.



სურ. 2.23

მოიფიქრეთ და წარმოადგინეთ წონასწორობის სხვა მაგალითებიც.

მოამზადეთ ამ მაგალითების შესაბამისი სლაიდ-სურათები, რომელებზეც დაიტანეთ სხეულებზე მოქმედი ძალები და გამოსახეთ მათი მხრები. ჩანსერეთ მომენტების წესი თითოეულ შემთხვევაში.


მომენტების წესის შემოწმება მპრუნავი დისკოს გამოყენებით.

დაგეგმეთ და მოამზადეთ ექსპერიმენტი მომენტების წესის შესამოწმებლად. დამზადეთ მომენტების წესის სადემონსტრაციო ხელსაწყო და წარმოადგინეთ გაკვეთილზე. პროექტზე მუშაობის ეტაპები:

- მპრუნავი დისკოს დამზადება;
- ექსპერიმენტისათვის საჭირო ინვენტარის მომზადება;
- სადემონსტრაციო დანადგარის აწყობა;
- მომენტების წესის დემონსტრირება;
- დასკვნა.

თხელი ფანერისაგან დაამზადეთ დაახლოებით 30 სმ რადიუსის დისკო. მის დასამზადებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვა მასალაც (ორგანული მინა, პენოპლასტი, თაბა-შირ-მუყაო). დისკოზე შემოხაზეთ კონცენტრული წრეზირები, რომელთა რადიუსები შესაბამისად 5, 10, 15, 20 და 25 სმ-ია. ორი ურთიერთმართობი დიამეტრის გასწვრივ ჩაარჭეთ პატარა ლურსმნები, რომლებზეც შესაძლებელი იქნება თოკის გამოაბმა (სურ. 2.24). გახვრიტეთ დისკო ცენტრში და ჩამოაცვით შტატივზე მიმაგრებულ ჰორიზონტალურ ლეროზე, რომელიც იქნება დისკოს ბრუნვის ლერძი. სამ ლურსმანზე გამოაბით თოკი, გადადეთ ისინი ჭოჭონაქებზე და ჩამოკიდეთ მათზე ტვირთები ისე, როგორც სურათზეა ნაჩვენები. ტვირთზე მოქმედი სიმძიმის ძალა თოკის საშუალებით დაქაჩივს დისკოს იმ წერტილს, სადაც ლურსმანია ჩარჭობილი და შეეცდება მოაბრუნოს დისკო.

ტვირთების მასა ისე შეარჩიეთ, რომ დისკო არ ბრუნავდეს.



სურ. 2.24



დაფიქრდით:

- რისი ტოლია დისკოზე მოქმედი თითოეული ძალის მოდული?
- რისი ტოლი იქნება თითოეული ძალის მხარი?
- როგორი ნიშანი აქვს მოქმედი ძალებიდან თითოეულის მაპრუნებელ მომენტს?
- რისი ტოლია დისკოზე მოქმედი თითოეული ძალის მაპრუნებელი მომენტი?
- სრულდება თუ არა მომენტების წესი ($M_1 + M_2 + M_3 = 0$) ამ ექსპერიმენტში?

მომენტების წესი შეიძლება შეამოწმოთ ოთხი ძალისთვისაც.
გამოიტანეთ დასკვნები.

§ 2.5 სხეულის სიმძიმის ცენტრის პოვნა. წონასწორობის სახეები

§ 2.6 საყრდენი ფართობის მქონე სხეულის წონასწორობა

ჯ 2.7 მარტივი მექანიზმები. ბერკეტი

თითოეულ თქვენგანს ალბათ ჩაუჭედებია ლურსმანი, ჭიდან ამოუღია წყალი, ამოუთხრია ორმო, მოუჭერია ხრახნი ქანჩით, გაუჭრია ფურცელი და სხვა. ყველა ამ სამუშაოს შესრულებისას თქვენ იყენებთ სხვადასხვა ხელსაწყოს (ჩაქუჩი, ჯალამბარი, ონინარი, ბრტყელტუჩა, ქანჩი, ბარი, მაკრატელი და ა.შ.), რომელთაც შეიძლება დავარქვათ მექანიზმები. ძლიერ ადამიანსაც კი მექანიზმის გამოყენების გარეშე ძალიან გაუჭირდება შეასრულოს გარკვეული სამუშაო – ამოთხაროს ორმო ბარის გარეშე, ჩააჭედოს ლურსმანი ჩაქუჩის გარეშე ან ჩახრახნოს თვითმჭრელი ხრახნი სახრახნისის გამოყენების გარეშე. მექანიზმის გამოყენებით ჩვენ მიერ მოდებული ძალა გარდაიქმნება, რაც სამუშაოს შესრულებას ადვილსა და მოსახერხებელს ხდის.

ხელსაწყოებსა და მოწყობილობებს, რომელებიც გამოიყენება ძალის გარდასაქმნელად, **მარტივი მექანიზმები** ეწოდება.

მაგალითისთვის, განვიხილოთ ისეთი მარტივი მექანიზმი, როგორიცაა ბარი. მისი გამოყენებით გაცილებით იოლია ორმოს ამოთხრა, ვიდრე ხელით. მას შემდეგ, რაც ბარს მინაში ჩავარჭობთ, ბელტის ამოსატრიალებლად საჭიროა მოვქარით ბარის ტარს.

 დაფიქრდით, რა ადგილას მოქაჩავთ ტარს ეს სამუშაო უფრო ადვილად რომ შეასრულოთ? გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ძალა უნდა მოვდოთ ტარის ბოლოსთან ახლოს (სურ. 2.52). თუ შეეცდებით ძალა მოსდოთ ბარის პირთან ახლოს, მიწის ბელტის ამოტრიალება საკმაოდ გაგიძნელდებათ.

ბარი წარმოადგენს ბერკეტს. **ბერკეტი მყარი სხეულია, რომელსაც უძრავი ბრუნვის ლერძი გააჩნია.** ხშირად ბრუნვის ლერძი საყრდენი ან დაკიდების წერტილია. ბარზე მოქმედებენ ძალები, რომელებიც ცდილობენ, მოაბრუნონ ის სხვადასხვა მიმართულებით ბრუნვის ლერძის გარშემო. მისი ბრუნვის O ლერძი ბარის პირისა და ნიადაგის ზედაპირის შეხების მონაკვეთია.



სურ. 2.53


განვიხილოთ სხვა მაგალითი: ყველასათვის ნაცნობი საქანელა „აინონა-დაინონაც“ ბერკეტია. მას აქვს უძრავი ბრუნვის ლერძი, რომელზეც ეყრდნობა საქანელა. მის მოპირდაპირე ბოლოებში მჯდომ ბავშვთა წონები ბრუნვის ლერძის მიმართ ქმნის საპირისპირო მაბრუნებელ მომენტებს (სურ. 2.53). მოპირდაპირე სკამზე მჯდომი მეგობრის გადასაწინად, თქვენ რაც შეიძლება უნდა დაშორდეთ ბრუნვის ლერძს და დაჯდეთ საქანელის კიდეზე. თუ

დაჯდებით საქანელის საყრდენთან ახლოს, ვერ გადაწინით მეგობარს.

ძალაყინი რეინის ან სხვა რაიმე მყარი მასალი-საგან დამზადებული ძელია. იგი შეიძლება გამოვიყენოთ, მაგალითად, მძიმე სხეულის წამოსაწევად (სურ. 2.54) ან სხვა დანიშნულებით. შეეცადეთ, დაახასიათოთ ძალაყინზე მოქმედი ძალები მძიმე ლოდის წამოწევისას. რას გააკეთებთ, ამ სამუშაოს შესრულებისას ნაკლები ძალა რომ გამოიყენოთ?



სურ. 2.52



სურ. 2.54

ბარიც, აიწონა-დაიწონაც და ძალაყინიც უძრავი ბრუნვის ღერძის მქონე სხეულებია, რომლებისთვისაც უნდა შესრულდეს მომენტების წესი. ე.ი. ბერკეტი გამოიყენება დიდი ძალის მისაღებად, რისთვისაც დიდ მხარზე პატარა ძალით ვმოქმედებთ.

ძალის მოგება, რომელსაც იძლევა კონკრეტული ბერკეტი, დამოკიდებულია მის მხრებზე. მომენტების წესის თანახმად, ძალის მოგების გამოსაანგარიშებლად შეიძლება გამოვიყენოთ თქვენთვის ნაცნობი ფორმულა:

$$\frac{F_1}{F_2} = \frac{d_2}{d_1},$$

ე.ი. ბერკეტის გამოყენებით იმდენჯერ ვიგებთ ძალას, რამდენჯერაც ბერკეტის დიდი მხარი მეტია მის პატარა მხარზე.

დავუბრუნდეთ ბარის მაგალითს. მიწის ბელტის ამოტრიალებისას წინააღმდეგობას გვიწევს F_1 ძალა, რომლის მხარიც მცირეა, ხოლო ჩვენ მიერ ტარზე მოდებული F_2 ძალის მხარი – დიდი (სურ. 2.52).

მას შემდეგ, რაც ჩვენ ნიადაგს დავაცილეთ მიწის ბელტი, საჭიროა მისი მთლიანად აწევა. ამისთვის ბარს ორივე ხელი უნდა მოვკიდოთ. ერთ-ერთი ხელი ხდება ბერკეტის ახალი საყრდენი, ამიტომ ის ბარის ტარს ისეთ ადგილზე უნდა მოვკიდოთ, რომ ძალა კვლავ მოვიგოთ. ე.ი. ხელმა ბერკეტი უნდა გაყოს დიდ და პატარა მხრებად. ამისათვის ჩვენ ამ ხელს ვკიდებთ რაც შეიძლება ახლოს ბარის პირთან (სურ. 2.55). წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ ცარიელი ბარის აწევაც კი გაგიჭირდებათ.



სურ. 2.55

სამივე განხილულ მაგალითში ბერკეტზე მოქმედი ძალები მოდებულია საყრდენის სხვადასხვა მხარეს – ასეთ ბერკეტს პირველი გვარის ბერკეტი ეწოდება. პირველი გვარის ბერკეტის მაგალითია ბრტყელტუჩა, ლურსმნის ამოსაღები, მაკრატელი (სურ. 2.56 ა, ბ, გ) და სხვ.


დააკვირდით სურათებს, მათზე მითითებულია ბერკეტის ბრუნვის ღერძი (O) და მასზე მოქმედი ძალები. სურათების მიხედვით, მიახლოებით შეაფასეთ, ძალის რა მოგებას იძლევა თითოეული ბერკეტი.



სურ. 2.56

ბერკეტს, რომელზეც ძალები მოდებულია საყრდენის ერთ მხარეს და ძალას გვაგებინებს, მეორე გვარის ბერკეტი ეწოდება. მეორე გვარის ბერკეტის მაგალითია ხელის

ურიკა, თხილის (კაკლის) სამტვრევი და სხვა (სურ. 2.57 ა, ბ). შეეცადეთ ახსნათ, რატომ გვიადვილდება ურიკით მძიმე ტვირთის გადატანა.



სურ. 2.57

 დაფიქრდით და იმსჯელეთ: თუ ბერკეტის გამოყენებით ვიგებთ ძალას, მუშაობასაც მოვიგებთ?

ცნობილია არქიმედეს გამონათქვამი: „მომეცით საყრდენი წერტილი და მე დედამიწას ამოვატრიალებ“. რა იგულისხმა არქიმედემ ამ გამონათქვამში? რატომაა პრაქტიკულად შეუძლებელი ამის განხორციელება? მოამზადეთ პრეზენტაცია „არქიმედეს მექანიზმები“.

მოიძიეთ ინფორმაცია და ახსენით ადამიანის კუნთებისა და სახსრების მუშაობა ბერკეტის პრინციპით.

დასკვნები:

- მარტივი მექანიზმი – ხელსაწყო-მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ძალის გარდაქმნისათვის;
- ბერკეტი მყარი სხეულია, რომელსაც უძრავი ბრუნვის ღერძი აქვს;
- ბერკეტი შეიძლება გამოვიყენოთ პატარა ძალით დიდი ძალის მისაღებად;
- ბერკეტის გამოყენებით იმდენჯერ ვიგებთ ძალას, რამდენჯერაც ბერკეტის დიდი მხარი მეტია მის მცირე მხარზე;
- ბერკეტს, რომელზეც ძალები ბრუნვის ღერძის სხვადასხვა მხარესაა მოდებული, პირველი გვარის ბერკეტი ეწოდება;
- ბერკეტს, რომელზეც ძალები ბრუნვის ღერძის ერთსა და იმავე მხარესაა მოდებული და ძალას გვაგებინებს, მეორე გვარის ბერკეტი ეწოდება.


საკონტროლო კითხვები:

1. რა არის ადამიანის მიერ სხვადასხვა სამუშაოს შესრულებისას მოწყობილობის გამოყენების მთავარი აზრი?
2. როგორ მოვიქცეთ იმისათვის, რომ ბერკეტით ძალის მოგება გავზარდოთ?
3. რატომ აქვს ლითონის ფურცლის საჭრელ მაკრატელს გრძელი სახელურები?
4. შესაძლებელია თუ არა, რომ ბერკეტით ძალას ვაგებდეთ?
5. მე-7 კლასის ფიზიკის კურსიდან რა ხელსაწყოს გაიხსენებდით, რომელიც ძალას გვაგებინებს გვაძლევს?



ერთად ამოცხსნათ ამოცანა

ბერკეტი გაწონასწორებულია მასზე დაკიდებული ტვირთებით (სურ. 2.58). ცნობილია, რომ $m_1=10$ კგ და $m_2=4$ კგ. განსაზღვრეთ m_3 ტვირთის მასა. ბერკეტის მასას ნუ გაითვალისწინებთ ($g \approx 10$ ნ/კგ).



სურ. 2.58

ამოცხსნა:


მოც:
 $m_1=10$ კგ;
 $m_2=4$ კგ;
 $g \approx 10$ ნ/კგ.
 უ.ვ. m_3 .

სურათზე ჩანს, რომ ბერკეტი გაყოფილია 8 ტოლ ნაწილად. ალენიშნოთ თითოეული დანაყოფის სიგრძე d -თი. მაშინ m_1 მასის ტვირთზე მოქმედი სიმძიმის ძალის მხარი იქნება $2d$; m_2 სიმძიმის ძალის მხარიც – $2d$; m_3 სიმძიმის ძალის მხარი კი – $6d$. საათის ისრის საწინააღმდეგოდ მაპრუნებელი ძალის მომენტის მოდულია $M_1=m_1g \cdot 2d$, საათის ისრის მიმართულებით მაპრუნებელი ძალების მომენტები კი: $M_2=m_2g \cdot 2d$ და $M_3=m_3g \cdot 6d$, რადგან ბერკეტი გაწონასწორებულია $M_1=M_2+M_3$. ე.ი. $m_1g \cdot 2d=m_2g \cdot 2d+m_3g \cdot 6d$. განტოლების ორივე მხარე შევკვეცოთ $2gd$ -ზე: $2m_1=2m_2+6m_3$. რიცხვითი მნიშვნელობების შეტანით მივიღებთ: $10=4+3m_3 \Rightarrow m_3=2$ კგ.




ამოცხსენით ამოცანები:

1. სურ. 2.59-ზე გამოსახული ბერკეტი გაწონასწორებულია. განსაზღვრეთ მის მარცხენა ბოლოზე დაკიდებული ტვირთის მასა, თუ მარჯვენა ბოლოზე მოქმედი ძალის მოდული 50 ნიუტონია. ცნობილია, რომ $d_1=20$ სმ და $d_2=80$ სმ. ბერკეტის მასას ნუ გაითვალისწინებთ ($g \approx 10$ ნ/კგ).



სურ. 2.59

2. სურ. 2.60-ზე გამოსახული ბერკეტი გაწონასწორებულია მის ბოლოებზე დაკიდებული $m_1=27$ კგ და m_2 მასის ტვირთებით. მათი მხრებია $d_1=30$ სმ და $d_2=90$ სმ. განსაზღვრეთ m_2 ტვირთის მასა. ბერკეტის მასას ნუ გაითვალისწინებთ.



სურ. 2.60

3. სურ. 2.60-ზე გამოსახული 1 მეტრი სიგრძის ბერკეტი გაწონასწორებულია მის ბოლოებზე დაკიდებული $m_1 = 12$ კგ და $m_2 = 3$ კგ მასის ტვირთებით. განსაზღვრეთ ამ ტვირთების წონის მხრები. რა ძალით აწვება ბერკეტი საყრდენს? ბერკეტის მასას ნუ გაითვალისწინებთ ($g \approx 10$ ნ/კგ).

4. სურ. 2.60-ზე გამოსახული ბერკეტი გაწონასწორებულია მის ბოლოებზე დაკიდებული ორი ტვირთით. მათი წონის მხრებია $d_1 = 40$ სმ და $d_2 = 80$ სმ. განსაზღვრეთ ტვირთების მასა, თუ ცნობილია, რომ ბერკეტი საყრდენს 300 ნ ძალით აწვება. ბერკეტის მასას ნუ გაითვალისწინებთ ($g \approx 10$ ნ/კგ).


5. გაწონასწორებული ბერკეტის მოკლე მხრის ბოლოზე დაკიდებული ტვირთის მასა 5-ჯერ მეტია მის გრძელი მხრის ბოლოზე დაკიდებული ტვირთის მასაზე. განსაზღვრეთ ბერკეტის სიგრძე, თუ მისი მოკლე მხრის სიგრძე 40 სმ-ია. ბერკეტის მასას ნუ გაითვალისწინებთ.

6. 1,5 მეტრი სიგრძის ბერკეტის ბოლოებზე დაკიდებული ტვირთის მასები ისე შეეფარდება ერთმანეთს როგორც 1:4. განსაზღვრეთ მათი მხრები, თუ ბერკეტი გაწონასწორებულია. ბერკეტის მასას ნუ გაითვალისწინებთ.

7. ბერკეტი, რომლის მხრებია 60 სმ და 6 სმ, გაწონასწორებულია მის ბოლოებზე დაკიდებული ორი ტვირთით. განსაზღვრეთ მათი მასა, თუ ერთ-ერთი ტვირთის მასა 18 კგ-ით მეტია მეორისაზე. რა ძალით აწვება ბერკეტი საყრდენს? ბერკეტის მასას ნუ გაითვალისწინებთ ($g \approx 10$ ნ/კგ).

8. ბერკეტი გაწონასწორებულია მის ბოლოებზე დაკიდებული 5 კგ და 20 კგ მასის ტვირთებით. გრძელი მხრის სიგრძე 60 სმ-ით მეტია მოკლე მხრის სიგრძეზე. განსაზღვრეთ ბერკეტის სიგრძე და იმ ძალის მოდული, რომლითაც იგი საყრდენს აწვება. ბერკეტის მასას ნუ გაითვალისწინებთ ($g \approx 10$ ნ/კგ).

9. $M=10$ კგ მასის ერთგვაროვანი ბერკეტი გაწონასწორებულია მის მარცხენა ბოლოზე დაკიდებული ტვირთით (სურ. 2.61). განსაზღვრეთ ამ ტვირთის მასა. რა ძალით აწვება ბერკეტი საყრდენს?



სურ. 2.61

10. 1 მეტრი სიგრძის ერთგვაროვანი ბერკეტი გაწონასწორებულია მის ბოლოზე დაკიდებული 20 კგ მასის ტვირთით. ამ ტვირთის მხარი $d_1 = 25$ სმ-ია (სურ. 2.62). ბერკეტის საყრდენი 15 სმ-ით მარცხნივ გადასწინეს. რა მასის ტვირთი უნდა დავამატოთ ბერკეტის მარცხენა ბოლოზე, რომ იგი კვლავ გაწონასწორებული იყოს?



სურ. 2.62

§ 2.8 უძრავი და მოძრავი ჭოჭონაქის შესწავლა



სურ. 2.63

ჭოჭონაქი ბერკეტის ნაირსახეობაა. ის წარმოადგენს ღარიან დისკოს, რომელსაც აქვს ბრუნვის ღერძი (სურ. 2.63).

ლაპორატორიული სამუშაო (ჯგუფური მუშაობა):

ცდის მიზანი: დავადგინოთ ჭოჭონაქის წონასწორობის პირობა და გავზომოთ ძალის მოგება ჭოჭონაქის გამოყენებისას.

სამუშაოსათვის საჭიროა: შტატივი, ჭოჭონაქები, ტვირთების ნაკრები, დინამომეტრი, 2 სახაზავი, დაახლოებით 1 მ სიგრძის თოკი. **სამუშაოს მსვლელობა:**



ცდა 1:

- დაამაგრეთ ჭოჭონაქი შტატივის თათში ისე, როგორც სურ. 2.64-ზეა ნაჩვენები;
- თოკის ბოლოებზე გააკეთეთ მარყუჟები და გადაკიდეთ ჭოჭონაქზე;
- თოკის მარცხენა მარყუჟზე ჩამოკიდეთ 100 გ მასის ტვირთი, ხოლო მარჯვენა მარყუჟზე გამოსდეთ დინამომეტრის კაუჭი;
- გააწონასწორეთ ტვირთი დინამომეტრზე მოდებული ქვემოთ მიმართული ძალით. შეიტანეთ ცხრილში ტვირთზე მოქმედი სიმძიმის ძალისა და დინამომეტრის ჩვენების შესაბამისი მნიშვნელობები;
- გაიმეორეთ ცდა 200, 300 და 400 გ მასის ტვირთებისთვის;




ტვირთის მასა, m (კგ)	0.1	0.2	0.3	0.4
ტვირთზე მოქმედი სიმძიმის ძალა mg (ნ)			ჩართოთ!	
დინამომეტრის ჩვენება F (ნ)	60 გნ	120 გნ	180 გნ	

- ჩამოსწიეთ დინამომეტრი $h_1 = 10$ სმ-ით და გაზომეთ ტვირთის ანევის სიმაღლეც h_2 (გასაზომად გამოიყენეთ სახაზავები). შეადარეთ ერთმანეთს h_1 -ისა და h_2 -ის მნიშვნელობები;
- გააანალიზეთ შედეგები და გამოიტანეთ დასკვნები.



ცდა 2:

- თოკის მარცხენა მარყუჟი ჩამაგრეთ შტატივის თათში, ხოლო მარჯვენა მარყუჟზე გამოსდეთ დინამომეტრის კაუჭი;
- აიღეთ მსუბუქი ჭოჭონაქი და ამოსდეთ თოკი მას ისე, როგორც სურ. 2.65-ზეა ნაჩვენები;
- ჩამოკიდეთ ჭოჭონაქზე 100 გ მასის ტვირთი;
- გააწონასწორეთ ტვირთი დინამომეტრზე ვერტიკალურად ზევით მოდებული ძალით. შეიტანეთ ცხრილში ტვირთზე მოქმედი სიმძიმის ძალისა და დინამომეტრის ჩვენების შესაბამისი მნიშვნელობები;



სურ. 2.65

5. გაიმეორეთ ცდა 200, 300 და 400 გ მასის ტვირთებისთვის;

ტვირთის მასა, m (კგ)	0.1	0.2	0.3	0.4
ტვირთზე მოქმედი სიმძიმის ძალა mg (ნ)			ჩაწერ !	
დინამომეტრის ჩვენება F (ნ)	ნიზაში	არა		


6. ასწიეთ დინამომეტრი $h_1 = 10$ სმ-ით და გაზომეთ ტვირთის აწევის h_2 სიმაღლეც (გასაზომად გამოიყენეთ სახაზავები). შეადარეთ ერთმანეთს h_1 -ისა და h_2 -ის მნიშვნელობები;

7. გააანალიზეთ შედეგები და გამოიტანეთ დასკვნები.

პირველი ცდის დროს ჭოჭონაქის ბრუნვის ღერძი უძრავია, ამიტომ მას **უძრავ ჭოჭონაქს** უწოდებენ. თუ დააკვირდებით მიღებულ შედეგებს, შეამჩნევთ, რომ ტვირთზე მოქმედი სიმძიმის ძალის მნიშვნელობა და დინამომეტრის ჩვენება თითქმის ერთნაირია. ე.გ. უძრავმა ჭოჭონაქმა ძალის მოგება არ მოგვცა. ამასთან, რამდენი სანტიმეტრითაც ჩამოვწიეთ დინამომეტრი, იმდენით აინია ტვირთმა. უძრავმა ჭოჭონაქმა ძალას შეუცვალა მიმართულება – თქვენ თოკს ექაჩებოდით ქვევით, ტვირთი ადიოდა ზევით.

ავხსნათ, რატომ მოხდა ასე. უძრავი ჭოჭონაქი ბრუნვას O წერტილზე გამავალი ღერძის გარშემო (სურ. 2.66). ის შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ტოლმხრიანი ბერკეტი. ძალების მხრები ტოლია ჭოჭონაქის რადიუსის: $OA = OB = r$. როგორც ვიცით, ასეთი ბერკეტი ძალას არ გვაგებინებს. ტვირთის სიმძიმისა და დინამომეტრის მხრიდან მოქმედი ძალები მოდულით ტოლია:

$$F_1 = F_2$$




სურ. 2.66

უძრავ ჭოჭონაქზე ძალები მოდებულია ბრუნვის ღერძის სხვადასხვა მხარეს, ამიტომ ის პირველი გვარის ბერკეტია.

მეორე ცდის დროს ჭოჭონაქის ღერძი ტვირთთან ერთად მოძრაობს, ამიტომ მას **მოძრავ ჭოჭონაქს** უწოდებენ. მიღებული შედეგების მიხედვით, ტვირთზე მოქმედი სიმძიმის ძალა დაახლოებით ორჯერ მეტია დინამომეტრის ჩვენებაზე. მოძრავმა ჭოჭონაქმა ძალა ორჯერ მოგვაგებინა, თუმცა დინამომეტრის 10 სმ-ით აწევისას, ტვირთმა 5 სმ-ით აინია – მანძილი წავაგეთ ორჯერ.

ავხსნათ მიღებული შედეგი. ვინაიდან ჭოჭონაქსა და ტვირთს იჭერს ორი თოკი, თითოეულის დაჭიმულობის ძალა ტვირთზე მოქმედი სიმძიმის ძალის ნახევრის ტოლი უნდა იყოს. დავამტკიცოთ ეს მომენტების წესის გამოყენებითაც. მოძრავი ჭოჭონაქი მობრუნდება O წერტილის მიმართ (სურ. 2.67). ტვირთის სიმძიმის \vec{F}_1 ძალის მხარია $OA = r$, დინამომეტრის მხრიდან მოქმედი \vec{F}_2 ძალისა კი – $OB = 2r$. მომენტების წესის თანახმად, $F_1 \cdot r = F_2 \cdot 2r$, საიდანაც



სურ. 2.67

$$F_2 = \frac{F_1}{2}$$

მოძრავი ჭოჭონაქის შემთხვევაში ძალები მოდებულია ბრუნვის ღერძის ერთ მხარეს, ამიტომ ის მეორე გვარის ბერკეტია.

შეცადეთ დახაზოთ უძრავი და მოძრავი ჭოჭონაქების კომბინაცია.


 შეცადეთ ახსნათ, რატომაა სურ. 2.68-ზე გამოსახული რამდენიმე ჭოჭონაქისა და ტვირთის სისტემა გაწონასწორებული. მიიჩნიეთ, რომ ყველა ტვირთის მასა ერთნაირია. ჭოჭონაქებისა და თოვის მასას, ასევე, ჭოჭონაქების ღერძთან ხახუნს ნუ გაითვალისწინებთ.

სურ. 2.69 ა-ზე გამოსახულია ორმაგი ჭოჭონაქი. ის წარმოადგენს საერთო ღერძის მქონე ორი სხვადასხვა r_1 და r_2 რადიუსის ლილვს.

 დაფიქრდით და სურ. 2.69 ბ-ს მიხედვით დაწერეთ ფორმულა, რომლითაც ვიპოვით, თუ რამდენჯერ გვაგებინებს ძალას ასეთი ჭოჭონაქი.



სურ. 2.68



სურ. 2.69

დასკვნები:

- ჭოჭონაქი – ღარიანი დისკო, რომელსაც შეუძლია ბრუნვა ღერძის გარშემო;
- ჭოჭონაქი ბერკეტის ერთ-ერთი სახეა;
- ჭოჭონაქი უძრავია, როცა მისი ბრუნვის ღერძი უძრავადაა დამაგრებული;
- ჭოჭონაქი მოძრავია, როცა მის ბრუნვის ღერძს შეუძლია გადაადგილება;
- უძრავი ჭოჭონაქი ძალას არ გვაგებინებს. ის ძალას უცვლის მიმართულებას;
- მოძრავი ჭოჭონაქით ძალას ორჯერ ვიგებთ, თუმცა მოძრავი ვაგებთ მანძილს.

საკონტროლო კითხვები:

1. რა შემთხვევაში გამოიყენებთ უძრავ ჭოჭონაქს?
2. რა შემთხვევაში გამოიყენებთ მოძრავ ჭოჭონაქს?
3. რა უპირატესობა აქვს მოძრავ ჭოჭონაქს უძრავთან შედარებით?
4. გვაგებინებს თუ არა მუშაობას უძრავი ჭოჭონაქი? რატომ?
5. გვაგებინებს თუ არა მუშაობას მოძრავი ჭოჭონაქი? რატომ?
6. რატომაა უძრავი ჭოჭონაქი პირველი გვარის ბერკეტი?
7. რატომა მოძრავი ჭოჭონაქი მეორე გვარის ბერკეტი?




ერთად ამოვხსნათ ამოცანა

მოც:
 $m=10$ კგ;
 $g \approx 10$ ნ/კგ.
 უ.ვ. T , T_1 , T_2

სურ. 2.70-ზე გამოსახულია უძრავი და მოძრავი ჭოჭონაქებისაგან შედგენილი განვითარებული სისტემა. მოძრავ ჭოჭონაქზე ჩამოკიდებულია 10 კგ მასის ტვირთი. განსაზღვრეთ:

- ა) ტვირთზე მოქმედი ძალების მოდული;
- ბ) მოძრავ ჭოჭონაქზე მოქმედი ძალების მოდული;
- გ) უძრავ ჭოჭონაქზე მოქმედი ძალების მოდული;
- დ) ჭერსა და იატაკზე მოქმედი ძალების მოდული. ჭოჭონაქებისა და თოკის მასას, ასევე ჭოჭონაქების ღერძთან ხახუნს ნუ გაითვალისწინებთ ($g \approx 10$ ნ/კგ).



სურ. 2.70

ამოხსნა:

რადგან ჭოჭონაქების ღერძთან ხახუნის ძალები და თოკის მასა უგულებელყოფილია, ჭოჭონაქზე უძრავი გადადებული თოკის დაჭიმულობის ძალა ყველა წერტილში ერთნაირი იქნება. ეს ფაქტი შეგიძლიათ გამოიყენოთ მსგავსი ამოცანების ამოხსნისას.

ა) ტვირთზე მოქმედი ძალების მოდულებია mg და T_2 . რადგან ტვირთი განვითარებულია: $mg = T_2 = 100$ ნ.

ბ) მოძრავ ჭოჭონაქზე ვერტიკალურად ქვევით მოქმედებს T_2 ძალა, ზევით $g - 2T$ ძალა. რადგან მოძრავი ჭოჭონაქი განვითარებულია, $T_2 = 2T$. ამიტომ $T = \frac{g}{2} = 50$ ნ.


გ) უძრავ ჭოჭონაქზე ვერტიკალურად ქვევით მოქმედებს $2T$ ძალა, ზევით $g - T_1$ ძალა. რადგან უძრავი ჭოჭონაქი განვითარებულია $T_1 = 2T$. რიცხვითი მნიშვნელობის შეტანით მივიღებთ $T_1 = 2 \cdot 50 = 100$ (ნ).

დ) ჭერზე ვერტიკალურად ქვევით მოქმედებს T და T_1 ძალები, მათი ჯამი იქნება $T + T_1 = 3T = 150$ ნ. იატაკზე მოქმედებს ვერტიკალურად ზევით მიმართული $T = 50$ ნ ძალა.




ამოხსნით ამოცანები:

1. უძრავი ჭოჭონაქზე გადადებული თოკით აკავებენ $m=10$ კგ მასის ტვირთის (სურ. 2.71). განსაზღვრეთ ტვირთის შემაკავებელი \vec{F} ძალისა და იმ თოკის დაჭიმულობის ძალის მოდული, რომლითაც ჭოჭონაქი ჭერზეა ჩამოკიდებული. ჭოჭონაქისა და თოკის მასას, ასევე ჭოჭონაქის ღერძთან ხახუნს ნუ გაითვალისწინებთ ($g \approx 10$ ნ/კგ).



სურ. 2.71

2. სურ. 2.72-ზე მოცემული მოძრავი ჭოჭონაქის საშუალებით მუშას თანაბრად ააქვს 40 კგ მასის ტვირთი. განსაზღვრეთ \vec{F} ძალისა და იმ თოკის დაჭიმულობის ძალის მოდული, რომელზეც ტვირთია ჩამოკიდებული. ჭოჭონაქისა და თოკების მასას, ასევე ჭოჭონაქის ღერძთან ხახუნს ნუ გაითვალისწინებთ ($g \approx 10$ ნ/კგ).



სურ. 2.72

3. სურ. 2.73-ზე მოცემული ჭოჭონაქების სისტემის საშუალებით ტვირთი თანაბრად აიტანეს 10 N სმ სიმაღლეზე. რამდენი სანტიმეტრით ჩამოიწია \vec{F} ძალის მოდების წერტილმა? მიიჩნიეთ, რომ თოკის სიგრძე უცვლელია.

4. სურ. 2.73-ზე მოცემული ჭოჭონაქების სისტემის დახმარებით აკავებენ 50 g მასის ტვირთს. განსაზღვრეთ:

ა) \vec{F} ძალის მოდული;

ბ) იმ თოკის დაჭიმულობის ძალა, რომელზეც კიდია ტვირთი;

გ) იმ თოკის დაჭიმულობის ძალა, რომელზეც კიდია უძრავი ჭოჭონაქი;

დ) რა ძალით მოქმედებს ჭოჭონაქების სისტემა ჭერზე.

ჭოჭონაქებისა და თოკების მასას, ასევე ჭოჭონაქების ღერძთან ხახუნს ნუ გაითვალისწინებთ ($g \approx 10 \text{ m/s}^2$).

5. სურ. 2.74-ზე გამოსახული ჭოჭონაქების სისტემა გაწონასწორებულია. მოძრავ ჭოჭონაქზე დაკიდებული ტვირთის მასა $m_1 = 20 \text{ g}$ -ს. განსაზღვრეთ უძრავ ჭოჭონაქზე დაკიდებული ტვირთის მასა და ჭოჭონაქებზე გადადებული თოკის დაჭიმულობის ძალა. ჭოჭონაქებისა და თოკების მასას, ასევე ჭოჭონაქების ღერძთან ხახუნს ნუ გაითვალისწინებთ ($g \approx 10 \text{ m/s}^2$).

6. სურ. 2.75-ზე მოცემული ჭოჭონაქების სისტემის საშუალებით ხელოსანმა თანაბრად აიტანა 100 g მასის ტვირთი 2 m სიმაღლეზე. განსაზღვრეთ:


ა) რამდენჯერ მოიგო ხელოსანმა ძალა ტვირთის ატანისას;

ბ) რამდენით აიწია ძალის მოდების წერტილმა ტვირთის ატანისას;


გ) რისი ტოლია თოკის დაჭიმულობის ძალის მოდული T_1 ;

დ) რა ძალით მოქმედებს ჭოჭონაქების სისტემა ჭერზე.


ჭოჭონაქებისა და თოკების მასას, ასევე ჭოჭონაქების ღერძთან ხახუნს ნუ გაითვალისწინებთ ($g \approx 10 \text{ m/s}^2$).



სურ. 2.73




სურ. 2.74




სურ. 2.75

7. რას გვიჩვენებს სურ. 2.76-ზე გამოსახული დინამომეტრი, თუ თოკზე ჩამოკიდებული თითოეული ტვირთის მასა 15 კგ-ია? თოკის მასას და ჭოჭონაქების ღერძთან ხახუნს ნუ გაითვალისწინებთ ($g \approx 10$ ნ/კგ).

8. სურ. 2.77-ზე მოცემული ჭოჭონაქების სისტემა განონასწორებულია. მარცხნივ ჩამოკიდებული თითოეული ტვირთის მასა $m = 28$ კგ-ია. განსაზღვრეთ უცნობი M ტვირთის მასა. ჭოჭონაქებისა და თოკების მასას, ასევე ჭოჭონაქების ღერძთან ხახუნს ნუ გაითვალისწინებთ.




სურ. 2.76



სურ. 2.77

9. სურ. 2.78-ზე გამოსახული ორმაგი ჭოჭონაქის საშუალებით ჭიდან ამოაქვთ წყლით სავსე სათლი, რომლის მასა წყლიანად 16 კგ-ია. დიდი ლილვის დიამეტრია 80 სმ. განსაზღვრეთ წყლის თანაბრად ამოსატანად საჭირო \vec{F} ძალის მოდული, თუ პატარა ლილვის რადიუსი 28 სმ-ია. ღერძის ბრუნვისას ხახუნის ძალებს და თოკის მასას ნუ გაითვალისწინებთ ($g \approx 10$ ნ/კგ).




სურ. 2.78

10. სურ. 2.78-ზე გამოსახული ორმაგი ჭოჭონაქის საშუალებით 20 გ სიღრმის ჭიდან ამოაქვთ წყალი. განსაზღვრეთ, რა მანძილს გაივლის \vec{F} ძალის მოდების წერტილი, თუ ერთი შემობრუნებისას პატარა ლილვზე 50 სმ სიგრძის თოკი ეხვევა, დიდი ლილვიდან კი ამ დროს 70 სმ სიგრძის თოკი იშლება. თოკების სიგრძის ცვლილება არ გაითვალისწინოთ.

§ 2.9 მექანიკის ოქროს წესი

ნინა პარაგრაფებში, ბერკეტებისა და ჭოჭონაქების შესწავლისას, ჩვენ ვნახეთ, რომ ამ მარტივი მექანიზმების გამოყენებისას შეგვიძლია მოვიგოთ ძალა. ამავე პარაგრაფების ბოლოს ჩვენ დავსვით საინტერესო შეკითხვა: მოგვაგებინებს თუ არა ეს მექანიზმები მუშაობას? იმედია, თქვენ ამ საკითხზე უკვე იფიქრეთ და თქვენული დასკვნაც გამოიტანეთ, მაგრამ მოდით, ერთად ვიმსჯელოთ ამ კითხვაზე.

მოვდოთ ბერკეტს მისი მართობული და მოდულით განსხვავებული ორი ისეთი \vec{F}_1 და \vec{F}_2 ძალა, რომელთა მოქმედებითაც ის გაწონასწორებულია (სურ. 2.79). წარმოვიდგინოთ, რომ ბერკეტი თანაბრად ბრუნავს O ღერძის გარშემო. სურათიდან ჩანს, რომ ერთსა და იმავე დროში მოდულით პატარა \vec{F}_2 ძალის მოდების წერტილი გაივლის მეტ მანძილს, ვიდრე – მოდულით დიდი \vec{F}_1 ძალისა, ვინაიდან \vec{F}_2 ძალის მხარი მეტია \vec{F}_1 ძალის მხარზე. ე. ი. $S_2 > S_1$.



სურ. 2.79

მრავალრიცხოვანი ცდებით დასტურდება, რომ ძალების მოდების წერტილების მიერ გავლილი მანძილები ძალების მოდულების უკუპროპორციულია:

$$\frac{F_2}{F_1} = \frac{S_1}{S_2}.$$

ამრიგად, ბერკეტის გრძელ მხარზე მოქმედებისას ძალას ვიგებთ იმდენჯერ, რამდენ-ჯერაც ვაგებთ მანძილს.

ამ დასკვნამდე ჯერ კიდევ ძველ საბერძნებში მივიღნენ და მას მექანიკის ოქროს წესი უწოდეს.

მიღებული შედეგი სხვა სახითაც შეიძლება ჩავწეროთ:

$$F_1 S_1 = F_2 S_2.$$

 გავიხსენოთ, რომ მუშაობა ეწოდება ძალის მოდულისა და ამ ძალის მიმართულებით გავლილი მანძილის ნამრავლს. ამიტომ მივიღებთ:

$$A_1 = A_2$$

ამრიგად, ბერკეტი მუშაობას არ მოგვაგებინებს.

 გავიხსენოთ: ძალაყინს ვიყენებთ პატარა ძალით დიდი ძალის გასავითარებლად (სურ. 2.54). პატარა ძალას დიდი მხარი აქვს და მისი მოდების წერტილი მობრუნებისას იმდენჯერ მეტ მანძილს გადის, რამდენჯერაც პატარა ძალის მხარი მეტია დიდი ძალის მხარზე. შედეგად ვერ ვიგებთ მუშაობას.


ზუსტად იგივე შედეგი გვაქვს მოძრავ ჭოჭონაქზე ჩატარებულ ცდაში: მოძრავი ჭოჭონაქით ძალას ვიგებთ ორჯერ, მაგრამ ორჯერ ვაგებთ მანძილს. ამიტომ მუშაობას ამ შემთხვევაშიც ვერ ვიგებთ.

 ივარაუდეთ, რა შედეგს მივიღებდით, მარტივი მექანიზმი მუშაობის მოგებას რომ გვაძლევდეს?

მექანიკის ოქროს წესიდან გამომდინარე, შეიძლება მოვიგოთ მანძილი, მაგრამ წავაგოთ ძალას.

ბერკეტს, რომელზეც ძალები ბრუნვის ლერძის ერთსა და იმავე მხარესაა მოდებული და მანძილს მოგვაგებინებს, მესამე გვარის ბერკეტი ეწოდება.

მესამე გვარის ბერკეტის მაგალითებია ანკესი, პინცეტი, ჩაქუჩი (სურ. 2.80 ა, ბ, გ), ცოცხი, წინამხრის ძვლები და სხვ.



სურ. 2.80

აღსანიშნავია, რომ მექანიკის ოქროს წესი სამართლიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მარტივი მექანიზმების მასას და წინააღმდეგობის ძალებს უგულებელვყოფთ.

დასკვნები:

- იდეალური ბერკეტით და ჭოჭონაქით რამდენჯერაც ვიგებთ ძალას, იმდენჯერ ვაგებთ მანძილს;
- ბერკეტისა და ჭოჭონაქის გამოყენებისას მუშაობას არ ვიგებთ;
- თუ ბერკეტის გამოყენებისას წავაგებთ ძალას, მოვიგებთ მანძილს;
- ბერკეტს, რომლზეც მოდებული ძალები ბრუნვის ლერძის ერთსა და იმავე მხარესაა და მისი გამოყენებით ვიგებთ მანძილს, მესამე გვარის ბერკეტი ეწოდება;
- მექანიკის ოქროს წესი სამართლიანია იდეალური მექანიზმისათვის, რომელშიც მექანიზმის სიმძიმისა და ხასუნის ძალები ნულის ტოლია.

საკონტროლო კითხვები:


1. რატომ ვაგებთ მანძილს ძალის მოგებისას?
2. რას ნიშნავს – რამდენჯერაც ვიგებთ ძალას, იმდენჯერვე ვაგებთ მანძილს?
3. რატომ არ შესრულდება მექანიკის ოქროს წესი იმ შემთხვევაში, თუ მექანიზმი გვექნებოდა წიმააღმდეგობის ძალა?
4. რა მსგავსება და განსხვავებაა მეორე და მესამე გვარის ბერკეტებს შორის?



ერთად ამოვხსნათ ამოცანა

სურ. 2.81-ზე გამოსახული ბერკეტით მუშამ $m=70$ კგ მასის ტვირთი 10 სმ სიმაღლეზე თანაბრად ასწია. განსაზღვრეთ: ა) მუშის მხრიდან ბერკეტის მარჯვენა ბოლოზე მოქმედი \vec{F} ძალის მოდული; ბ) \vec{F} ძალის მიერ შესრულებული მუშაობა; გ) \vec{F} ძალის მოდების წერტილის მიერ გავლილი მანძილი.

მიიჩნიეთ, რომ ბერკეტი მცირე კუთხით თანაბრად შემობრუნდა და მასზე მოქმედი ძალები ყოველთვის ბერკეტის მართობულია. ბერკეტის მასა და წინააღმდეგობის ძალები არ გაითვალისწინოთ.



სურ. 2.81

ამოხსნა:

მოც:
 $m=70$ კგ;
 $h=0,1$ მ;
 $g\approx 10$ ნ/კგ.
 უ.ვ. F , A_2 , H

ა) ვინაიდან ბერკეტი თანაბრად ბრუნავს, მასზე მოქმედი ძალების მაპრუნებელი მომენტის მოდული O წერტილის მიმართ ტოლია. ბერკეტზე ტვირთის დაკიდების წერტილში მოქმედებს ტვირთის $m\vec{s}$ სიმძიმის ძალა. თუ ბერკეტის თითოეული დანაყოფის სიგრძეს d -თი აღვნიშნავთ, მომენტების წესის თანახმად, მივიღებთ: $mg \cdot 2d = F \cdot 7d$. განტოლების ორივე მხარე გავყოთ d -ზე და შევიტანოთ რიცხვითი მნიშვნელობები, მივიღებთ $F = 200$ ნ.


ბ) თუ \vec{F} ძალის მოდების წერტილმა აიწია H მანძილზე, მაშინ მისი მუშაობაა $A_2=FH$. მექანიკის ოქროს წესის თანახმად, \vec{F} ძალის მიერ შესრულებული მუშაობა ტოლია ტვირთის აწევაზე შესრულებული $A_1=mgh$ მუშაობის. ე.ი. $A_2 = mgh = 70$ ჯ.

$$\text{გ) } FH = mgh \Rightarrow H = \frac{mgh}{F} = 0,35 \text{ მ.}$$



ამოხსენით ამოცანები:

1. ბერკეტზე, რომელსაც ხახუნის გარეშე შეუძლია ბრუნვა O წერტილზე გამავალი ჰორიზონტალური ლერძის გარშემო, ჩამოკიდებულია ორი ტვირთი (სურ. 2.82). თითოეულის მასა $m=10$ კგ-ია. \vec{F} ძალის მოქმედებით ტვირთების დაკიდების წერტილმა 1 სმ-ით თანაბრად აიწია. განსაზღვრეთ \vec{F} ძალის მიერ შესრულებული მუშაობა. მიიჩნიეთ, რომ ბერკეტი მცირე კუთხით შემობრუნდა და მასზე მოდებული ძალები ყოველთვის ბერკეტის მართობულია. ბერკეტის მასას ნუ გაითვალისწინებთ ($g\approx 10$ ნ/კგ).




სურ. 2.82

2. წინა ამოცანის პირობის მიხედვით, განსაზღვრეთ \vec{F} ძალის მოდული და მისი მოდების წერტილის მიერ გავლილი მანძილი.

3. ბერკეტზე, რომელსაც ხახუნის გარეშე შეუძლია ბრუნვა O წერტილზე გამავალი ჰორიზონტალური ლერძის გარშემო, ჩამოკიდებულია ორი, $m=5$ კგ მასის ტვირთი (სურ. 2.83). განსაზღვრეთ \vec{F} ძალის მოდული და მანძილი, რომელსაც გაივლის ტვირთების და-

კიდების წერტილი, თუ \vec{F} ძალის მოდების წერტილმა 2 სმ-ით თანაბრად აიწია. მიიჩნიეთ, რომ ბერკეტზე მოდებული ძალები ყოველთვის ბერკეტის მართობულია. ბერკეტის მასას ნუ გაითვალისწინებთ ($g \approx 10$ ნ/კგ).



სურ. 2.83


4. ბერკეტზე, რომელსაც ხახუნის გარეშე შეუძლია ბრუნვა O წერტილზე გამავალი ჰორიზონტალური ღერძის გარშემო, ჩამოკიდებულია 50 კგ მასის ტვირთი (სურ. 2.84). უძრავ ჭოჭონაქზე შემოტარებული თოკი თანაბრად გასწიეს. რა სიმაღლეზე აიწევს ტვირთი, თუ \vec{F} ძალა 15 ჯოულ მუშაობას შეასრულებს? თოკის მასა და ჭოჭონაქის ღერძთან ხახუნი არ გაითვალისწინოთ. მიიჩნიეთ, რომ ბერკეტზე მოდებული ძალები ყოველთვის ბერკეტის მართობულია. ბერკეტის მასას ნუ გაითვალისწინებთ ($g \approx 10$ ნ/კგ).




სურ. 2.84

5. სურ. 2.85-ზე გამოსახული ჭოჭონაქების სისტემის საშუალებით თანაბრად ააქვთ 60 კგ მასის ტვირთი. ამ დროს \vec{F} ძალის მოდების წერტილმა 30 სმ-ით დაიწია. განსაზღვრეთ \vec{F} ძალის მოდული და ამ ძალის მიერ შესრულებული მუშაობა. ჭოჭონაქებისა და თოკის მასა, აგრეთვე ჭოჭონაქების ღერძთან ხახუნი არ გაითვალისწინოთ. მიიჩნიეთ, რომ თოკის სიგრძე უცვლელია ($g \approx 10$ ნ/კგ).

6. სურ. 2.86-ზე გამოსახული ჭოჭონაქების სისტემის დახმარებით ქვევით 50 სმ-ზე თანაბრად უშვებენ გარკვეული მასის ტვირთს. თოკის თავისუფალ ბოლოზე მოდებული \vec{F} ძალის მოდული 200 ნ-ია. განსაზღვრეთ ტვირთის მასა და \vec{F} ძალის მიერ შესრულებული მუშაობა. ჭოჭონაქებისა და თოკების მასა, აგრეთვე ჭოჭონაქების ღერძთან ხახუნი არ გაითვალისწინოთ. მიიჩნიეთ, რომ თოკების სიგრძე უცვლელია ($g \approx 10$ ნ/კგ).




სურ. 2.85



სურ. 2.86

7. ჰიდრაულიკური წნევის დიდ დგუშზე მოთავსებულია $m=2$ ტ მასის ტვირთი. მცირე დგუშმა \vec{F} ძალის მოქმედებით 20 სმ-ით დაიწია (სურ. 2.87). განსაზღვრეთ \vec{F} ძალის მოდული და ტვირთის ასაწევად შესრულებული მუშაობა, თუ ჰიდრაულიკური წნევის დიდი დგუშის ფართობი 100-ჯერ მეტია მცირე დგუშის ფართობზე. წინააღმდეგობის ძალებს და დგუშების მასას ნუ გაითვალისწინეთ ($g \approx 10$ ნ/კგ).




სურ. 2.87

8. სურ. 2.88-ზე გამოსახული ორმაგი ჭოჭონაქის საშუალებით 50 მ სიმაღლეზე თანაბრად ასწიეს $m = 60$ კგ მასის ტვირთი. განსაზღვრეთ \vec{F} ძალის მიერ შესრულებული მუშაობა. თოკების მასა და ხახუნის ძალები არ გაითვალისწინოთ ($g \approx 10$ ნ/კგ).


9. სურ. 2.88-ზე გამოსახული ორმაგი ჭოჭონაქის საშუალებით 30 მ სიმაღლეზე თანაბრად ასწიეს 60 კგ მასის ტვირთი. დიდი ლილვის რადიუსი 2-ჯერ მეტია პატარა ლილვის რადიუსზე. განსაზღვრეთ ტვირთის ასაწევად საჭირო \vec{F} ძალის მოდული. რამდენი ბრუნი შეასრულა ლილვმა, თუ მისი ერთი შემობრუნებისას პატარა ლილვზე 60 მ სმ სიგრძის თოკი ეხვევა. თოკების მასა და ხახუნის ძალები არ გაითვალისწინოთ ($g \approx 10$ ნ/კგ).

10. ჰიდრაულიკური წნევით ძალის მოგების გასაზრდელად მცირე დგუშს დაუყენეს მოძრაობაში მომყვანი AB ბერკეტი (სურ. 2.89). ბერკეტის ბრუნვის ღერძი უძრავ B წერტილშია. ცნობილია, რომ $|AO| = 2 \cdot |OB|$ და $S_2 = 100 \cdot S_1$. განსაზღვრეთ:

- ა) რამდენჯერ მოვიგებთ ძალას ასეთი ჰიდრაულიკური წნევით;
- ბ) რა მუშაობას შეასრულებს ბერკეტის გრძელ მხარზე მოდებული \vec{F}_1 ძალა დიდ დგუშზე მოთავსებული 1 ტონა მასის ტვირთის $0,2$ სმ-ით აწევისას. ბერკეტის და დგუშების მასა, აგრეთვე წინააღმდეგობის ძალები არ გაითვალისწინოთ ($g \approx 10$ ნ/კგ).



სურ. 2.88




სურ. 2.89

§ 2.10 დახრილი სიბრტყე



სურ. 2.90



სურ. 2.91

ვთქვათ, მთასვლელთა ჯგუფს გადაწყვეტილი აქვს მყინვარწვერის დაღაშქვრა. თქვენი აზრით, რომელი მარშრუტით გაუადვილდებათ მათ მწვერვალზე ასვლა, ციცაბო აღმართით თუ ნაკლებად დამრეცი ფერდობით? რა თქმა უნდა, თქვენი პასუხი იქნება – ნაკლებად დამრეცი ფერდობით, თუმცა ამ მარშრუტით ასვლისას მათ მოუწევთ შედარებით მეტი მანძილის გავლა (სურ. 2.90). ეს ყველასათვის ცხადი ჭეშმარიტება შევეცადოთ ავსნათ მექანიკის ოქროს წესით.

წარმოვიდგინოთ, რომ გვინდა m მასის ტვირთის ატანა I სიგრძის დახრილი სიბრტყის დახმარებით h სიმაღლეზე. დავუშვათ, რომ ტვირთსა და დახრილ სიბრტყეს შორის ხახუნის ძალა იმდენად მცირეა, რომ იგი შეიძლება უგულებელვყოთ. იმისათვის, რომ ტვირთი თანაბრად ვამოძრაოთ ზევით, საჭიროა მასზე ვიმოქმედოთ დახრილი სიბრტყის პარალელური გარკვეული F ძალით (სურ. 2.91).

როგორც ვიცით, h სიმაღლეზე m მასის სხეულის თანაბრად აწევისას შესრულებული მუშაობა $A_1 = mgh$. მეორე მხრივ, დახრილი სიბრტყის გასწვრივ I მანძილზე თანაბრად გადაადგილებისას F ძალა შეასრულებს $A_2 = FI$ მუშაობას.

მექანიკის ოქროს წესის თანახმად, მექანიზმების გამოყენებით შეუძლებელია მოვიგოთ მუშაობა. რადგან ხახუნს არ ვითვალისწინებთ, $A_1 = A_2$. ამ ტოლობაში A_1 -სა და A_2 -ის მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ: $mgh = FI$, საიდანაც

$$\frac{F}{mg} = \frac{h}{I}$$

დახრილი სიბრტყის სიმაღლე ყოველთვის ნაკლებია მის სიგრძეზე, ამიტომ $F < mg$.

მაშასადამე, მცირე ხახუნის შემთხვევაში დახრილი სიბრტყით ძალას ვიგებთ თითქმის იმდენჯერ, რამდენჯერაც დახრილი სიბრტყის სიგრძე მეტია მის სიმაღლეზე.


ზუსტად ამიტომ, რაც უფრო ნაკლებად დამრეცია მთის ფერდი, მით უფრო ადვილია მწვერვალზე ასვლა, თუმცა ამ შემთხვევაში მეტი მანძილის გავლა იქნება საჭირო.

დახრილი სიბრტყის გარკვეული სახეობაა ხრახნი, კიბე, სოლი და სხვ.

ხრახნი ცილინდრის გარშემო დახრილად მოჭრილი სპრალური ზედაპირა, რომლის თითოეული უბანი მცირე ზომის დახრილი სიბრტყეა (სურ. 2.92 ა). რაც უფრო ნაკლებად დამრეცია ეს დახრილი სიბრტყე, მით უფრო ადვილია მისი ჩახრახვნა, მაგალითად, ხეში.

კიბე (სურ. 2.92 ბ) – საფეხურები ქმნის დახრილ სიბრტყეს. ნაკლებად დამრეც კიბეზე ასვლა ადვილია, ციცაბოზე – ძნელი.

სოლი (სურ. 2.92 გ) – სოლს ქმნის ერთი ან ორი გაერთიანებული დახრილი სიბრტყე. სოლის პრინციპით მუშაობს დანა, ნემსი, ნაჯახი, შალაშინი. ძალა, რომლითაც მოქმედებენ სოლზე, იყოფა გვერდებისაკენ მიმართულ ძალებად. რაც უფრო მცირეა სოლის წვერის კუთხე, მით უფრო მეტად მოვიგებთ ძალას.



სურ. 2.92

დასკვნები:

- დახრილი სიბრტყე მარტივი მექანიზმის ერთ-ერთი სახეა;
- როცა ხახუნი უმნიშვნელოა, დახრილი სიბრტყით სხეულის სიმაღლეზე ატანას სიმძიმის ძალაზე იმდენჯერ ნაკლები ძალა სჭირდება, რამდენჯერაც დახრილი სიბრტყის სიგრძე მეტია მის სიმაღლეზე: $\frac{F}{mg} = \frac{h}{L}$.

საკონტროლო კითხვები:

- რატომაა მწვერვალის დალაშქვრა ციცაბო აღმართით ძნელი?
- როცა სპეციალური ტექნიკა არ არის, სატვირთო ავტომობილის ძარაზე ტვირთის ატანისას რატომ სარგებლობენ დახრილი სიბრტყით?
- რას წარმოადგენს პანდუსი?
- რატომ არის სურათზე (სურ. 2.93) გამოსახული გზა დაკლაკნილი?




სურ. 2.93



ერთად ამოვხსნათ ამოცანა

დახრილი სიბრტყის სიმაღლე მისი სიგრძის $\frac{3}{5}$ ნაწილია. მასზე ზევით თანაბრად მიასრიალებენ 60 კგ მასის სხეულს, სიბრტყის პარალელური \vec{F} ძალის მოქმედებით (სურ. 2.94). განსაზღვრეთ: ა) \vec{F} ძალის მოდული იმ შემთხვევაში, როცა ხახუნი სხეულსა და დახრილ სიბრტყეს შორის არ გვაქვს ($g \approx 10 \text{ m/s}^2$);

ბ) \vec{F} ძალის მოდული იმ შემთხვევაში, როცა ხახუნის კოეფიციენტი სხეულსა და დახრილ სიბრტყეს შორის 0,2-ია და სხეული დახრილ სიბრტყეს მოდულით $\frac{4}{5} mg$ ძალით აწვება ($g \approx 10 \text{ m/s}^2$).



სურ 2.94

ამოხსნა:

ა) ვინაიდან ხახუნს სხეულსა და დახრილ სიბრტყეს შორის არ ვითვალისწინებთ, შეგვიძლია გამოვიყენოთ მექანიკის ოქროს წესი: $F_1 L = mgh \Rightarrow F_1 = \frac{mgh}{L} = \frac{360}{5} \text{ N} = 72 \text{ N}$.


ბ) როდესაც დახრილ სიბრტყესთან ხახუნი გვაქვს, სხეულის თანაბრად ასრიალებას დასჭირდება F_1 -ზე $F_{\text{ხახ}}$ -ით მეტი ძალა, სადაც $F_{\text{ხახ}}$ სხეულზე მოძრაობის საწინააღმდეგოდ მოქმედი სრიალის ხახუნის ძალაა. ამიტომ $F_2 = F_1 + F_{\text{ხახ}}$. თავის მხრივ, $F_{\text{ხახ}} = \mu \cdot N = \frac{4 \mu mg}{5} = 96 \text{ N}$. მივიღებთ: $F_2 = 360 + 96 = 456 \text{ N}$.

მოც:
$h = \frac{3}{5} L$
$m = 60 \text{ kg}$
$g \approx 10 \text{ m/s}^2$
$\mu = 0,2$
$N = \frac{4 mg}{5}$
უ.გ. F_1, F_2



ამოხსენით ამოცანები:

1. $h = 5 \text{ მ}$ სიმაღლისა $L = 15 \text{ მ}$ სიგრძის გლუვ დახრილ სიბრტყეზე თანაბრად მიასრიალებენ 27 კგ მასის სხეულს მასზე მოდებული დახრილი სიბრტყის პარალელური \vec{F} ძალის მოქმედებით (სურ. 2.95). განსაზღვრეთ ამ ძალის მოდული ($g \approx 10 \text{ ნ/კგ}$).



სურ. 2.95

2. გლუვ დახრილ სიბრტყეზე სხეულის თანაბრად ატანისას სიმძიმის ძალამ -200 ჯ მუშაობა შეასრულა. განსაზღვრეთ ამ სხეულის ასატანად საჭირო სიბრტყის პარალელური ძალის მოდული, თუ დახრილი სიბრტყის სიგრძე 5 მ-ია .


3. გლუვ დახრილ სიბრტყეზე სხეულის თანაბრად ჩამოტანისას მასზე მოდებულმა სიბრტყის პარალელურმა ძალამ -500 ჯ მუშაობა შეასრულა. განსაზღვრეთ სხეულის მასა, თუ დახრილი სიბრტყის სიმაღლე 10 მ-ია ($g \approx 10 \text{ ნ/კგ}$).

4. გლუვ დახრილ სიბრტყეზე, რომლის სიგრძე 5-ჯერ მეტია მის სიმაღლეზე, ზევით თანაბრად მიასრიალებენ ტვირთს მასზე მოდებული სიბრტყის პარალელური ძალით. რამდენით ნაკლებია გამწევი ძალის მოდული ტვირთის სიმძიმის ძალასთან შედარებით, თუ ტვირთის მასა 50 კგ-ია ($g \approx 10 \text{ ნ/კგ}$)?

5. გლუვი დახრილი სიბრტყის სიგრძე 30 სმ-ით მეტია მის სიმაღლეზე. სიბრტყეზე ზევით თანაბრად მიასრიალებენ 20 კგ მასის სხეულს სიბრტყის პარალელური 50 ნ ძალის მოქმედებით. განსაზღვრეთ დახრილი სიბრტყის სიგრძე და სიმაღლე ($g \approx 10 \text{ ნ/კგ}$).

6. გლუვ დახრილ სიბრტყეზე ზევით თანაბრად მიასრიალებენ სხეულს სიბრტყის პარალელური ძალით, რომლის მოდული 50 ნ-ით ნაკლებია სხეულის სიმძიმის ძალის მოდულზე. განსაზღვრეთ სხეულის მასა, თუ დახრილი სიბრტყის სიგრძე $1,2\text{-ჯერ}$ მეტია მის სიმაღლეზე.

7. გლუვი დახრილი სიბრტყის სიმაღლე $h = 1,5 \text{ მ}$, სიგრძე $კი - L = 4,5 \text{ მ}$. მასზე ზევით თანაბრად მიასრიალებენ 30 კგ მასის სხეულს, რომელზეც მოქმედებს სიბრტყის პარალელური, ურთიერთსაპირისპიროდ მიმართული ორი ძალა (სურ. 2.96). მათგან $F_2 = 25 \text{ ნ-ს}$. რისი ტოლია \vec{F}_1 ძალის მოდული ($g \approx 10 \text{ ნ/კგ}$)?



სურ. 2.96

8. სურ. 2.96-ზე გამოსახულ გლუვ დახრილ სიბრტყეზე ზევით თანაბრად მიასრიალებენ m მასის სხეულს მასზე მოქმედი სიბრტყის პარალელური ორი ძალით. ცნობილია, რომ $F_1 = 1,5 \text{ mg}$ და $F_2 = 1,3 \text{ mg}$. განსაზღვრეთ დახრილი სიბრტყის სიმაღლე, თუ მისი სიგრძე 50 სმ-ია .

9. დახრილი სიბრტყის სიგრძე და სიმაღლე, შესაბამისად, 10 მ და 2 მ-ია . მასზე ზევით თანაბრად მიასრიალებენ 60 კგ მასის სხეულს სიბრტყის პარალელური ძალის მოქმედებით. განსაზღვრეთ ამ ძალის მოდული, თუ სახუნის კოეფიციენტი სხეულსა და დახრილ სიბრტყეს $\mu = 0,2$. მიიჩნიეთ, რომ სხეული დახრილ სიბრტყეს მოდულით $0,6 \text{ mg}$ ძალით აწვება ($g \approx 10 \text{ ნ/კგ}$).

10. 10 კგ მასის სხეულს ზევით თანაბრად მიასრიალებენ 8 მ სიმაღლისა და 10 მ სიგრძის დახრილ სიბრტყეზე მისი პარალელური ძალის მოქმედებით. განსაზღვრეთ ამ ძალის მოდული, თუ სახუნის კოეფიციენტი სხეულსა და დახრილ სიბრტყეს $\mu = 0,2$. მიიჩნიეთ, რომ სხეული დახრილ სიბრტყეს მოდულით $0,6 \text{ mg}$ ძალით აწვება ($g \approx 10 \text{ ნ/კგ}$).

§ 2.11 მექანიზმის მქა

გაიხსენეთ:

- რა არის სასარგებლო მუშაობა ($A_{სას}$)?
 - რა არის სრული მუშაობა ($A_{სრ}$)?
 - რას ეწოდება მარგი ქმედების კოეფიციენტი (η)?
- თუ გაგიჭირდათ პასუხების გაცემა, გაიმეორეთ § 1.6.


ლაბორატორიული სამუშაო, ჯგუფური მუშაობა

მიზანი: მარტივი მექანიზმის (დახრილი სიბრტყის) მქა-ს დადგენა;

სამუშაოსთვის საჭიროა: შტატივი თათით, სახაზავი, სკოლის სადემონსტრაციო სამკუთხედი, დინამომეტრი, დაახლოებით 1 მ სიგრძის ფიცარი, კაუჭიანი ძელაკი, ტვირთების ნაკრები.

სამუშაოს მსვლელობა:

1. სახაზავით გაზომეთ ფიცრის სიგრძე L ;
2. შტატივის საშუალებით ფიცარი დაამაგრეთ ისე, რომ პორიზონტალურ ზედაპირთან შეემნას 30° -იანი კუთხე—ამას მიაღწევთ, თუ $h = \frac{L}{2}$ (სურ. 2.97);
3. დინამომეტრის საშუალებით დაადგინეთ ძელაკის მასა;
4. დადეთ ძელაკზე ტვირთი, მაგალითად, 400 გ და დინამომეტრის საშუალებით თანაბრად აამოძრავეთ ის დახრილ სიბრტყეზე ზევით. ჩანერეთ დინამომეტრის ჩვენება (\bar{F} ძალის მოდული);



სურ 2.97

5. შეადარეთ ერთმანეთს \bar{F} ძალის მოდული და ტვირთიან ძელაკზე მოქმედი სიმძიმის $m\ddot{g}$ ძალის მოდული, გამოიტანეთ დასკვნა (m მასის ქვეშ იგულისხმება ძელაკისა და ტვირთის მასათა ჯამი);

6. გამოიანგარიშეთ \bar{F} ძალის მიერ შესრულებული მუშაობა L მანძილზე, ეს არის სრული მუშაობა: $A_{სრ} = FL$;

7. $A_{სას} = mgh$ ფორმულით გამოიანგარიშეთ h სიმაღლეზე ტვირთიანი ძელაკის ატანაზე შესრულებული სასარგებლო მუშაობა;

$$8. \eta = \frac{A_{სას}}{A_{სრ}} \cdot 100\% \text{ ფორმულით გამოიანგარიშეთ დახრილი სიბრტყის მქა;}$$

9. გამეორეთ ცდა 45° -ით დახრილი სიბრტყისათვის. კუთხე გაზომეთ სკოლის სადემონსტრაციო სამკუთხედის საშუალებით.

მიღებული შედეგების მიხედვით, თქვენ დარწმუნდებით, რომ სასარგებლო მუშაობა ყოველთვის ნაკლებია სრულ მუშაობაზე, ანუ $\eta < 100\%$. დახრილი სიბრტყის შემთხვევაში ამის მიზეზია ძელაკსა და დახრილ სიბრტყეს შორის მოქმედი სრიალის ხახუნის ძალა.

ხახუნის ძალის არსებობისას იმავე შედეგს მივიღებთ სხვა მარტივი მექანიზმების შემთხვევაშიც.

მაგალითად, უძრავი ჭოჭონაქით ჭიდან წყლის ამოღებისას ჩვენ გვინევს არასასარგებლო მუშაობის შესრულება სათლისა და თოკის ამოსატანად, ჭოჭონაქსა და მის პრუნვის ღერძს შორის ხახუნის დასაძლევად.

ბერკეტის გამოყენებისას მნიშვნელოვანია ბერკეტის მასა და ხახუნის ძალა პრუნვის ღერძთან.

ნებისმიერი მექანიზმის გამოყენებისას სასარგებლო მუშაობა ყოველთვის ნაკლებია სრულ მუშაობაზე. სასარგებლო მუშაობის შეფარდებას სრულ მუშაობასთან, გამოსახულს პროცენტებში, მექანიზმის მარგი ქმედების კოეფიციენტი ეწოდება.

 დაფიქრდით, რა მოუვა მოძრავი ჭოჭონაქის მქ კოეფიციენტს, თუ შევამცირებთ გამოყენებული თოკის მასას და გავპოხავთ ჭოჭონაქის ღერძს?

დასკვნები:

- მექანიზმის გამოყენებისას სასარგებლოსთან ერთად აუცილებლად სრულდება არასასარგებლო მუშაობა;
- არასასარგებლო მუშაობის ერთ-ერთი მიზეზი ხახუნის ძალის არსებობაა;
- სრული მუშაობა მეტია სასარგებლო მუშაობაზე;
- მექანიზმის გამოყენებისას სასარგებლო მუშაობის შეფარდებას სრულ მუშაობასთან, გამოსახულს პროცენტებში, მექანიზმის მარგი ქმედების კოეფიციენტი ეწოდება: $\eta = \frac{A_{სას}}{A_{სრ}} \cdot 100\% < 100\%.$

საკონტროლო კითხვები:

1. სხეულის დახრილ სიბრტყეზე ატანისას ხახუნის ძალის გაზრდა რომელი მუშაობის გაზრდას გამოიწვევს, სასარგებლოსი თუ სრულის?
2. როგორ შეიძლება უძრავი ჭოჭონაქის მქ-ს გაზრდა?
3. რომელი ძალაყინი ჯობს გამოვიყენოთ მძიმე ლოდის ამოსატრიალებლად, მსუბუქი თუ მძიმე (სურ. 2.52)?




ერთად ამოვხსნათ ამოცანა

$m = 500$ კგ მასის სხეული ზევით თანაბრად ააქვთ ორი მოძრავი ჭოჭონაქისაგან შექმნილი სისტემით, რომელიც სურ. 2.98-ზეა გამოსახული. თოკის თავისუფალ ბოლოზე მოდებული ძალის მოდულია $F = 2000$ ნ. განსაზღვრეთ სისტემის მარგი ქმედების კოეფიციენტი, თუ \vec{F} ძალის მოდების წერტილმა 80 სმ-ით აიწია ($g \approx 10$ ნ/კგ).

ამოხსნა:

მოც:
$m=500$ კგ;
$F=2000$ ნ;
$H=80$ სმ;
$g \approx 10$ ნ/კგ.
უ.ვ. ჩ

სისტემა მოძრაობაში მოჰყავს \vec{F} ძალას, ამიტომ მის მიერ შესრულებული მუშაობა იქნება სრული მუშაობა $A_{სრ} = FH = 1600$ ჯ. ამ ამოცანაში მიზანი ტვირთის აწევაა, ჭოჭონაქის სისტემა მხოლოდ საშუალებაა, ამიტომ ტვირთის აწევაზე შესრულებული მუშაობა იქნება სასარგებლო: $A_{სას} = mgh$. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ორი მოძრავი ჭოჭონაქით მანძილს 4-ჯერ ვაგებთ, ამიტომ




სურ. 2.98

\vec{F} ძალის მოდების წერტილის $H = 80$ სმ-ზე აწევისას ტვირთი აიწევს $h = \frac{H}{4} = 20$ სმ-ზე. ამიტომ $A_{სას} = \frac{mgH}{4} = 1000$ ჯ. სისტემის მარგი ქმედების კოეფიციენტი იქნება: $\eta = \frac{A_{სას}}{A_{სრ}} = \frac{1000}{1600} = \frac{5}{8}$, პროცენტებში $62,5\%$.




ამოხსენით ამოცანები:


- რისი ტოლია გლუვი დახრილი სიბრტყის მარგი ქმედების კოეფიციენტი?
- დახრილი სიბრტყის მარგი ქმედების კოეფიციენტი $\eta = 70\%$. ტვირთის ატანაზე შესრულებული სასარგებლო მუშაობა 140 ჯ-ია, რისი ტოლია ტვირთის ატანაზე შესრულებული სრული მუშაობა?
- დახრილ სიბრტყეზე, რომლის სიგრძე 10 მ-ია, სიმაღლე კი – 3 მ, ზევით თანაბრად მიასრიალებენ 40 კგ მასის სხეულს სიბრტყის პარალელური 150 ნ ძალით მოქმედებით. განსაზღვრეთ დახრილი სიბრტყის მარგი ქმედების კოეფიციენტი ($\approx 10 \text{ N/კგ}$).
- 5 მ სიმაღლის დახრილი სიბრტყის მარგი ქმედების კოეფიციენტი 80%-ია. განსაზღვრეთ იმ ტვირთის მასა, რომლის მოცემულ დახრილ სიბრტყეზე თანაბრად ასრიალებისას შესრულებული სრული მუშაობა 200 ჯ-ია ($\approx 10 \text{ ნ/კგ}$).
- დახრილ სიბრტყეზე ტვირთის თანაბრად ასრიალებისას შესრულებული სასარგებლო მუშაობა 800 ჯ-ია. არასასარგებლო მუშაობის მოდული 200 ჯ-ის ტოლია. რისი ტოლია ტვირთის ასრიალებისას შესრულებული სრული მუშაობა და დახრილი სიბრტყის მარგი ქმედების კოეფიციენტი?
- 12 მეტრი სიმაღლისა და 15 მეტრი სიგრძის დახრილ სიბრტყეზე ზევით თანაბრად მიასრიალებენ 20 კგ მასის სხეულს დახრილი სიბრტყის პარალელური ძალის მოქმედებით. სხეულზე მოქმედი ხახუნის ძალა 40 ნ-ია. განსაზღვრეთ დახრილი სიბრტყის მარგი ქმედების კოეფიციენტი ($\approx 10 \text{ ნ/კგ}$).
- 30 მეტრი სიმაღლისა და 50 მეტრი სიგრძის დახრილ სიბრტყეზე ზევით თანაბრად მიასრიალებენ 20 კგ მასის სხეულს დახრილი სიბრტყის პარალელური ძალის მოქმედებით (სურ. 2.99). ხახუნის კოეფიციენტი სხეულსა და დახრილ სიბრტყეს შორის 0,25-ია. მიიჩნიეთ, რომ სხეული დახრილ სიბრტყეს მოდულით $0,8 \cdot mg$ ძალით ანგება და განსაზღვრეთ დახრილი სიბრტყის მარგი ქმედების კოეფიციენტი ($\approx 10 \text{ ნ/კგ}$).
- სურ. 2.100-ზე გამოსახული უძრავი ჭოჭონაქის საშუალებით თანაბრად აიტანეს 20 კგ მასის ტვირთი თოკის მეორე ბოლოზე მოდებული $F = 500 \text{ ნ}$ ძალის მოქმედებით. განსაზღვრეთ ჭოჭონაქის მარგი ქმედების კოეფიციენტი ($\approx 10 \text{ ნ/კგ}$).
- მოძრავ ჭოჭნაქზე ჩამოკიდებული 45 კგ მასის ტვირთი თანაბრად ააქვთ მოდულით $F = 300 \text{ ნ}$ ძალის მოქმედებით (სურ. 2.101). განსაზღვრეთ ჭოჭონაქის მარგი ქმედების კოეფიციენტი ($\approx 10 \text{ ნ/კგ}$).
- სურ. 2.102-ზე გამოსახული I ჭოჭონაქის მქე 80%-ია, II ჭოჭონაქისა კი – 90%. რისი ტოლია ჭოჭონაქების სისტემის მარგი ქმედების კოეფიციენტი?




სურ. 2.100



სურ. 2.101



სურ. 2.99




სურ. 2.102

ეს საინტერესოა

ადამიანები უხსოვარი დროიდან იყენებდნენ მარტივ მექანიზმებს ყოველდღიურ საქმიანობაში, მშენებლობაში, სამხედრო მოქმედებების წარმოებისას.

ძველი ეგვიპტური პირამიდები, ძირითადად, აშენებულია ძ.წ.აღ-ის 2750-1500 წწ. პერიოდში (სურ. 2.103). მათი უმეტესობა შედგება დაახლოებით 2-3 ტონიანი ქვის ბლოკებისგან, რომლებიც განლაგებულია 50 ტონიან ქვის საყრდენებზე. ზოგიერთი პირამიდის სიმაღლე 147 მეტრსაც კი აღწევს. ცხადია, ასეთი მძიმე სხეულების აწევას ადამიანი მექანიზმების გამოყენების გარეშე ვერ შეძლებდა. ძველი მშენებლები სხვადასხვა სამუშაოს შესასრულებლად იყენებდნენ დახრილ სიბრტყეს, ჭოჭონაქს, ბერკეტს. თუმცა რთული წარმოსადგენია, როგორ აჰერონდათ ძალიან დიდი და მძიმე საგნები დიდ სიმაღლეზე. მოვიყვანოთ რამდენიმე შთამბეჭდავი მაგალითი: ფარაონ ხეფრენის პატივსაცემად აგებული ტაძარი შედგება 425 ტონიანი მთლიანი ბლოკებისაგან; ეთიოპიაში, აქსუმის სამეფოს უდიდესი 520 ტონიანი ობელისკი 24 მეტრ სიმაღლეზე; ეგვიპტური მემნოსის კოლოსები – ორი უზარმაზარი 700 ტონიანი ქანდაკება – აღმარულია 18 მეტრ სიმაღლეზე დგას; რომაელების მიერ ლიბანში, ბაალბეჟი იუპიტერის ტაძრის აშენებისას გამოყენებულია 300-დან 700 ტონამდე მასის 30 მთლიანი ქვის ბლოკი.



სურ. 2.103

ძველი ბერძენი ისტორიკოსის – პლუტარქეს გადმოცემით, არქიმედემ დამხმარეების გარეშე ხმელეთზე გამოიყვანა და გადააადგილა ტვირთითა და მგზავრებით სავსე სავაჭრო ხომალდი (სურ. 2.104).




სურ. 2.104

რომაელები რვა თვე ვერ ახერხებდნენ ალყაშემორტყმული ბერძნული ქალაქის სირაკუზის აღებას. მტრისგან თავს ქალაქი სწორედ ყველაზე ცნობილი სირაკუზელის – არქიმედეს – მიერ გამოგონილი სამხედრო მანქანის – „არქიმედეს თათის“ საშუალებით იცავდა (სურ. 2.105). ეს დანადგარი წარმოადგენდა უზარმაზარ ბერკეტს, რომლის ერთი ბოლო გადმონეული იყო გალავნის გარეთ. როდესაც მონინააღმდეგის ხომალდი უახლოვდებოდა გალავანს, „არქიმედეს თათი“ სპეციალური მანიპულატორით ჩაიჭერდა ხომალდის ცხვირს და აატრიალებდა მას. ისტორიკოსების გადმოცემით, ამ ხომალდების მასა 200-დან 500 ტონამდე მერყეობდა.



სურ. 2.105

არქიმედემ ასევე შექმნა მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა წყლის ამოტანა რაიმე სიმაღლეზე. ამ მოწყობილობას „არქიმედეს ხრახნი“ ეწოდება (სურ. 2.106).



სურ. 2.106



კროსვორდი

შვეულად: ↓↑	თარაზულად: ↔
<p>1 – მარტივი მექანიზმი (7 ასო) 7 – ფიზიკური სიდიდის საზომი (7 ასო) 8 – მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობით ხასიათდება (7 ასო) 6 – მუშაობის შესრულების უნარი (7 ასო)</p>	<p>1 – ფიზიკის შესწავლის ობიექტი (6 ასო) 3 – მეცნიერება (6 ასო) 15 – სიგრძე, სიგანე, (7 ასო) 10 – ზღვის ფერი (5 ასო) 11 – საქანელას მოძრაობა (5 ასო) 4 – კუთხის საზომი ერთეული (7 ასო) 14 – აგურებით შენდება (6 ასო) 5 – დედამიწის ზედაპირის ფორმა ანუ (7 ასო) 12 – ზედაპირი, სადაც ხახუნია (5 ასო) 2 – ოპტიკური ან მზის (7 ასო) 9 – ხის სახეობა (ჯიში) (10 ასო) 13 – ჭურჭელი სითხისთვის (4 ასო) 6 – ცდა ანუ (12 ასო)</p>


წ ი გ ნ ჟ ი ა რ ჩ ა ნ ე რ თ ი !

1 →						3 →						
						15	10					
						←	→					
11 →											4 ←	
14 →											5 ←	
						12	2					
						←	→					
13 →											9 ←	
											6 ↑	
						7 ↑			8 ↑			

მეორე თავის შემაჯამებელი კითხვები და ამოცანები

1. რვა ტოლ ნაწილად გაყოფილი 80 სმ სიგრძის ერთგვაროვანი ლერო გაწონასწორებულია. მასზე მოდებული: $F_1 = 700$ ნ, $F_2 = 500$ ნ და $F_3 = 200$ ნ ძალების მოქმედებით (სურ. 2.107). უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

ა) რისი ტოლი იქნება თითოეული ძალის მომენტი \vec{F}_1 ძალის მოდების წერტილში გამავალი ლეროს მართობული ჰარიტონტალური ლერძის მიმართ?



სურ. 2.107


ბ) რისი ტოლი იქნება თითოეული ძალის მომენტი \vec{F}_2 ძალის მოდების წერტილში გამავალი ლეროს მართობული ჰარიტონტალური ლერძის მიმართ?

გ) რისი ტოლი იქნება თითოეული ძალის მომენტი \vec{F}_3 ძალის მოდების წერტილში გამავალი ლეროს მართობული ჰარიტონტალური ლერძის მიმართ?

დ) რომელი ლერძის მიმართ არის უფრო მოსახერხებელი მომენტების წესის დაწერა?

2. $M = 20$ კგ მასისა და 1 მეტრი სიგრძის ერთგვაროვანი ბერკეტი გაწონასწორებულია მის მარცხენა ბოლოზე დაკიდებული 20 კგ მასის ტვირთით (სურ. 2.108). განსაზღვრეთ ტვირთის წონის მხარი და იმ ძალის მოდული, რომლითაც ბერკეტი საყრდენს აწვეპა (≈ 10 ნ/კგ).

3. $M = 50$ კგ მასისა და 1 მეტრი სიგრძის ერთგვაროვანი ბერკეტი გაწონასწორებულია მის მარცხენა ბოლოზე დაკიდებული m_1 მასის ტვირთით, რომლის მხარი 20 სმ-ია. ბერკეტის მარჯვენა ბოლოზე $m_2 = 10$ კგ მასის ტვირთის ჩამოკიდების შემდეგ ბერკეტის წონასწორობა დაირღვა (სურ. 2.109). რა მასის საწონი უნდა დავამატოთ ბერკეტის მარცხენა ბოლოში, რომ წონასწორობა აღდგეს?



სურ. 2.108



სურ. 2.109

4. 20 კგ მასისა და 2 მეტრი სიგრძის ერთგვაროვანი ლერო დევს საყრდენზე. იგი გაწონასწორებულია მის ბოლოებზე დაკიდებული 10 კგ და 70 კგ მასის საწონებით. განსაზღვრეთ მანძილი მსუბუქი საწონიდან ლეროს საყრდენამდე.


5. „აიწონა-დაიწონას“ სათამაშოდ ბავშვებმა 2 მეტრი სიგრძის და 20 კგ მასის ფიცარს საყრდენი ზუსტად შუამი დაუდეს. ფიცარის არაერთგვაროვნების გამო მისი მასათა ცენტრი საყრდენიდან 20 სმ-ზე აღმოჩნდა. განსაზღვრეთ ფიცარის ბოლოებზე მსხდომი ბავშვების მასები, თუ ფიცარი გაწონასწორებულია და საყრდენზე დაწოლის ძალა 1200 ნ-ია (≈ 10 ნ/კგ).

6. 50 კგ მასის და 120 სმ სიგრძის ერთგვაროვანი ლეროს მარცხენა ბოლოზე დაკიდებულია $m_1 = 10$ კგ მასის ტვირთი, რომლის მხარი 20 სმ-ია (სურ. 2.110). ვერტიკალურად ზევით მიმართული რა \vec{F} ძალა უნდა მოვდოთ ლეროს მარჯვენა ბოლოზე, რომ ლერო გაწონასწორებული იყოს (≈ 10 ნ/კგ)?



სურ. 2.110


7. 1,2 მეტრი სიგრძისა და 20 კგ მასის ერთგვაროვანი ლერო გაწონასწორებულია საყრდენზე, რომელიც მისი მარცხენა ბოლოდან 20 სმ-ზეა (სურ. 2.111). განსაზღვრეთ ლეროს მარჯვენა ბოლოზე მოქმედი ვერტიკალურად ზევით მიმართული \vec{F} ძალის მოდული. რა ძალით აწვება ლერო საყრდენს ($g \approx 10$ ნ/კგ)?




სურ. 2.111

8. 2 მეტრი სიგრძის ლერო მარცხენა ბოლოთი ჩამოკიდებულია თოკზე. ამ ბოლოდან $d_1 = 40$ სმ მანძილზე დაკიდებულია 10 კგ მასის ტვირთი (სურ. 2.112). განსაზღვრეთ ლეროს მარჯვენა ბოლოზე მოქმედი ვერტიკალურად ზევით მიმართული \vec{F} ძალისა და თოკის დაჭიმულობის ძალის მოდული, თუ ლერო გაწონასწორებულია. ლეროს მასას ნუ გაითვალისწინებთ ($g \approx 10$ ნ/კგ).

9. ორ თოკზე დაკიდებულ ჰორიზონტალურ ლეროზე ჩამოკიდებულია 80 კგ მასის ტვირთი. მანძილი ტვირთის დაკიდების წერტილიდან ლეროს ბოლოებამდე $d_1 = 20$ სმ და $d_2 = 60$ სმ-ია (სურ. 2.113). განსაზღვრეთ თოკების დაჭიმულობის \bar{T}_1 და \bar{T}_2 ძალების მოდულები. ლეროს მასას ნუ გაითვალისწინებთ ($g \approx 10$ ნ/კგ).




სურ. 2.112




სურ. 2.113

10. ერთგვაროვანი ლეროს მასაა $M = 10$ კგ. იგი გაწონასწორებულია მასზე ჩამოკიდებული ორი ტვირთით (სურ. 2.114). განსაზღვრეთ m_2 , თუ $m_1 = 20$ კგ-ს.

11. სურ. 2.115-ზე გამოსახული ერთგვაროვანი ლერო, რომლის მასა 40 კგ-ია, გაწონასწორებულია. განსაზღვრეთ m_1 , თუ $m_2 = 20$ კგ-ს. რა ძალით აწვება ლერო საყრდენს ($g \approx 10$ ნ/კგ)?



სურ. 2.114




სურ. 2.115

12. რამდენჯერ მოგვაგებინებს ძალას სურ. 2.116-ზე გამოსახული ჭოჭონაქების სისტემა, თუ დიდი ლილვის რადიუსი 50 სმ-ია, პატარა ლილვისა კი – 20 სმ. მიიჩნიეთ, რომ ლილვებისა და ჭოჭონაქების ლერძთან ხახუნი უმნიშვნელოა. თოკების მასას ნუ გაითვალისწინებთ.


13. წინა ამოცანის პირობის მიხედვით, განსაზღვრეთ, რა სიმაღლეზე აიწევს ტვირთი ლილვების 10 ბრუნისას? (წრენირის სიგრძე გამოითვლება ფორმულით: $L = 2\pi r$, რომელიც $\pi \approx 3,14$, ხოლო r წრენირის რადიუსია).

14. რამდენჯერ მოგვაგებინებს ძალას სურ. 2.117-ზე გამოსახული მექანიზმი, თუ დახრილი სიბრტყის სიგრძე 3 მეტრია, სიმაღლე კი – 1 მეტრი? ჭოჭონაქების ლერძთან, ასევე სხეულსა და დახრილ სიბრტყეს შორის ხახუნის ძალა არ გაითვალისწინოთ. თოკის მასა სხეულის მასასთან შედარებით უმნიშვნელოა.

15. წინა ამოცანის პირობის მიხედვით, განსაზღვრეთ ჭოჭონაქის თანაბრად გამწევი \vec{F} ძალის მოდული, თუ სხეულის მასა 45 კგ-ია. როგორ შეიცვლებოდა \vec{F} ძალის მოდული სხეულსა და დახრილ სიბრტყეს შორის 50 ნ-ის ჭოლი ხახუნის ძალა რომ ყოფილიყო?



სურ. 2.116




სურ. 2.117


16. სურ. 2.118-ზე გამოსახული ბერკეტის, ჭოჭონაქებისა და ტვირთებისაგან შემდგარი სისტემა განვითარებულია. ბერკეტის მარცხენა ბოლოზე ჩამოკიდებული ტვირთებიდან თითოეულის მასა $m_1 = 15$ კგ-ია. განსაზღვრეთ უცნობი ტვირთის M მასა. ბერკეტისა და თოკის მასას, ასევე ჭოჭონაქების ღერძთან ხახუნს ნუ გაითვალისწინებთ.

17. წინა ამოცანის პირობის მიხედვით, განსაზღვრეთ M მასა იმ შემთხვევაში, როცა ბერკეტი ერთგვაროვანია და მისი მასა 20 კგ-ია.

18. სურ. 2.119-ზე გამოსახული ბერკეტის მარცხენა ბოლოზე ჩამოკიდებული ტვირთებიდან $m_1 = 25$ კგ და $m_2 = 10$ კგ. განსაზღვრეთ ბერკეტის გამანონასწორებელი ტვირთის M მასა და იმ ძალის მოდული, რომლითაც ბერკეტი საყრდენს აწვება. ბერკეტისა და თოკის მასას, ასევე ჭოჭონაქის ღერძთან ხახუნს ნუ გაითვალისწინებთ ($g \approx 10$ ნ/კგ).




სურ. 2.118



სურ. 2.119

19. წინა ამოცანის პირობის მიხედვით, განსაზღვრეთ ტვირთის M მასა იმ შემთხვევაში, როცა ბერკეტი ერთგვაროვანია და მისი მასა 10 კგ-ია.


20. სურ. 2.120-ზე გამოსახულია ბერკეტი, რომლის მარცხენა ბოლოზე ჩამოკიდებული ტვირთებიდან თითოეულის მასა $m_1 = 30$ კგ-ია. მოძრავ ჭოჭონაქზე ჩამოკიდებული ტვირთის მასა 36 კგ-ია. განსაზღვრეთ ტვირთის m_2 მასა, თუ ბერკეტი განვითარებულია. ჭოჭონაქის, ბერკეტისა და თოკების მასებს, ასევე ჭოჭონაქის ღერძთან ხახუნს ნუ გაითვალისწინებთ.



სურ. 2.120

21. წინა ამოცანის პირობის მიხედვით, განსაზღვრეთ m_2 მასის მნიშვნელობა და ბერკეტის საყრდენზე დაწოლის ძალის მოდული იმ შემთხვევაში, როცა ბერკეტი ერთ-გვაროვანია და მისი მასა **8 კგ**-ია.

22. 20 სმ და 10 სმ რადიუსის სფეროების მასა, შესაბამისად, 30 და 20 კგ-ია. მათ უახლოეს A და B წერტილებს შორის მანძილი კი – 20 სმ (სურ. 2.121). განსაზღვრეთ მანძილი დიდი სფეროს ცენტრიდან მათ საერთო მასათა ცენტრამდე.



სურ. 2.121

23. $L_1 = 1\text{ მ}$ და $L_2 = 40\text{ სმ}$ სიგრძის ერთგვაროვანი ლეროების მასა, შესაბამისად, 15 კგ და 6 კგ-ია (სურ. 2.122). ლეროები ბოლოებით ერთმანეთს მიაწებეს. განსაზღვრეთ მანძილი მათი შეხების ადგილიდან საერთო მასათა ცენტრამდე.

24. ორი გარეგნულად ერთნაირი 45 სმ სიგრძის ერთგვაროვანი ლეროდან ერთის სიმკვრივეა $200\text{ კგ}/\text{მ}^3$, მეორესი კი – $700\text{ კგ}/\text{მ}^3$ (სურ. 2.123). ლეროები ბოლოებით ერთმანეთს შეაწებეს. განსაზღვრეთ მანძილი მათი შეხების ადგილიდან საერთო მასათა ცენტრამდე.




სურ. 2.122



სურ. 2.123

25. ორი გარეგნულად ერთნაირი ერთგვაროვანი კუბიდან ერთის სიმკვრივეა $200\text{ კგ}/\text{მ}^3$, მეორესი კი – $100\text{ კგ}/\text{მ}^3$. კუბები ერთმანეთს წახნაგებით შეაწებეს (სურ. 2.124). განსაზღვრეთ მათი წიბოს სიგრძე, თუ მანძილი საერთო მასათა ცენტრიდან საერთო წახნაგამდე **5 სმ**-ია.



სურ. 2.124

26. როგორ ვიპოვოთ ბრტყელი ერთგვაროვანი მართკუთხა ფირფიტის მასათა ცენტრი (სურ. 2.125) მხოლოდ ფანქრისა და სახაზავის გამოყენებით?

27. ბრტყელ ერთგვაროვან მართკუთხა ფირფიტას ერთ კუთხესთან მართკუთხედი მოაჭრეს (სურ. 2.126). როგორ ვიპოვოთ დარჩენილი ფიგურის მასათა ცენტრის მდებარეობა მხოლოდ ფანქრისა და სახაზავის გამოყენებით?



სურ. 2.125




სურ. 2.126


28. 50 კგ მასის ტვირთი თანაბრად ააქვთ სურ. 2.127-ზე გამოსახული ჭოჭონაქების სისტემის დახმარებით. განსაზღვრეთ თოკზე მოდებული \vec{F} ძალის მოდული. თოკის მასას და ჭოჭონაქების ლერძთან ხახუნს ნუ გაითვალისწინებთ ($g \approx 10\text{ ნ}/\text{კგ}$).

29. მოგვაგებინებს თუ არა ძალას ტვირთის აწევისას სურ. 2.128-ზე გამოსახული ჭოჭონაქების სისტემა? მოგვაგებინებს მანძილს? დაფიქრდით, რაში შეიძლება მსგავსი სისტემის გამოყენება? ჭოჭონაქებისა და თოკის მასას, ასევე ჭოჭონაქების ლერძთან ხახუნს ნუ გაითვალისწინებთ.

30. სურ. 2.128-ზე გამოსახულ ჭოჭონაქების სისტემაში ტვირთი განონასწორებულია მოძრავ ჭოჭონაკზე მოდებული $\vec{F} = 2$ კნ ძალით. განსაზღვრეთ ტვირთის მასა ($g \approx 10$ ნ/კგ).



სურ. 2.127




სურ. 2.128

31. მოგვაგებინებს თუ არა ძალას სურ. 2.129-ზე გამოსახული ჭოჭონაქების სისტემა? მოგვაგებინებს თუ არა მანძილს? დაფიქრდით, რაში შეიძლება მსგავსი სისტემის გამოყენება? ჭოჭონაქებისა და თოკის მასას, ასევე ჭოჭონაქების ლერძთან ხახუნს ნუ გაითვალისწინებთ.


32. ტვირთი თანაბრად ააქვთ სურათ 2.129-ზე გამოსახული ჭოჭონაქების სისტემის საშუალებით. თოკის თავისუფალ ბოლოზე მოდებულმა $F = 2400$ ნ ძალამ 120 ჯ მუშაობა შეასრულა. განსაზღვრეთ, რამდენი სანტიმეტრით აიწია ტვირთმა. ჭოჭონაქებისა და თოკის მასას, აგრეთვე ჭოჭონაქების ლერძთან ხახუნს ნუ გაითვალისწინებთ.

33. წინა ამოცანის პირობის მიხედვით, განსაზღვრეთ ტვირთის მასა ($g \approx 10$ ნ/კგ).

34. მოგვაგებინებს თუ არა ძალას სურ. 2.130-ზე გამოსახული ჭოჭონაქების სისტემა? მოგვაგებინებს თუ არა მანძილს? დაფიქრდით, რაში შეიძლება მსგავსი სისტემის გამოყენება? ჭოჭონაქებისა და თოკის მასას, ასევე ჭოჭონაქების ლერძთან ხახუნს ნუ გაითვალისწინებთ.



სურ. 2.129




სურ. 2.130

35. 80 კგ მასის ტვირთი თანაბრად ააქვთ სურათ 2.130-ზე გამოსახული ჭოჭონაქების სისტემის საშუალებით. განსაზღვრეთ თოკის თავისუფალ ბოლოზე მოდებული \vec{F} ძალის მოდული. ჭოჭონაქებისა და თოკის მასას, ასევე ჭოჭონაქების ლერძთან ხახუნს ნუ გაითვალისწინებთ.

36. წინა ამოცანის პირობის მიხედვით, განსაზღვრეთ \vec{F} ძალის მიერ შესრულებული მუშაობა და ამავე ძალის მოდების წერტილის მიერ გავლილი მანძილი ტვირთის 40 სმ სიმაღლეზე ატანისას.

37. სურ. 2.131-ზე გამოსახულ მოძრავ ჭოჭონაქზე დაკიდებული ტვირთის მასა $m_1 = 10$ კგ-ია. თოკზე მიბმულია $m_2 = 2$ კგ მასის საწონი. განსაზღვრეთ საწონზე ვერტიკალურად ზევით მოდებული \vec{F} ძალის მოდული, თუ სისტემა განონასწორებულია. ჭოჭონაქისა და თოკის მასას, აგრეთვე ჭოჭონაქის ლერძთან ხახუნს ნუ გაითვალისწინებთ ($g \approx 10$ ნ/კგ).



სურ. 2.131


38. სურ. 2.131-ზე გამოსახული მოძრავი ჭოჭონაქის მასა $m_1 = 2$ კგ-ია. მასზე ჩამოყიდებული ტვირთის მასა $m_2 = 10$ კგ-ია, თოკზე მიბმული საწონის მასა კი – $m_3 = 2$ კგ. განსაზღვრეთ საწონზე ვერტიკალურად ზევით მოდებული \vec{F} ძალის მოდული, თუ სისტემა წონასწორებულია. თოკის მასას და ჭოჭონაქის ღერძთან ხახუნს ნუ გაითვალისწინებთ ($g \approx 10$ ნ/კგ).

39. სურ. 2.132-ზე გამოსახულ ჭოჭონაქებზე დაკიდებული ტვირთების მასაა $m_1 = 8$ კგ და $m_2 = 40$ კგ. განსაზღვრეთ თოკის თავისუფალ ბოლოზე ვერტიკალურად ზევით მოდებული \vec{F} ძალის მოდული, თუ სისტემა განვითარებულია. ჭოჭონაქებისა და თოკის მასას, აგრეთვე ჭოჭონაქების ღერძთან ხახუნს ნუ გაითვალისწინებთ ($g \approx 10$ ნ/კგ).


40. სურ. 2.132-ზე გამოსახულ სისტემაში თითოეული ჭოჭონაქის მასა $m_1 = 8$ კგ-ია. მათზე დაკიდებული ტვირთების მასაა $m_2 = 28$ კგ. განსაზღვრეთ თოკის თავისუფალ ბოლოზე ვერტიკალურად ზევით მოდებული \vec{F} ძალის მოდული, თუ სისტემა წონასწორობაშია. თოკის მასას და ჭოჭონაქების ღერძთან ხახუნს ნუ გაითვალისწინებთ ($g \approx 10$ ნ/კგ).

41. ბრტყელი ერთგვაროვანი კვადრატული ფორმის ფირფიტას შეუძლია ბრუნვა მის ცენტრზე მართობულად გამავალი O ბრუნვის ღერძის გარშემო (სურ. 2.133). ფირფიტა განვითარებულია. განსაზღვრეთ მასზე მოდებული \vec{F}_1 ძალის მოდული, თუ \vec{F}_2 და \vec{F}_3 ძალის მოდულები 10 ნ-ია.

42. ბრტყელი ერთგვაროვანი კვადრატული ფორმის ფირფიტის გვერდის სიგრძე 10 სმ-ია. ფირფიტას შეუძლია ბრუნვა მის ცენტრზე მართობულად გამავალი O ბრუნვის ღერძის გარშემო (სურ. 2.134). ფირფიტა განვითარებულია. განსაზღვრეთ მასზე მოდებული \vec{F}_3 ძალის მოდული, თუ \vec{F}_1 და \vec{F}_2 ძალის მოდულები 56 ნ-ია, მანძილი O ნერტილიდან \vec{F}_3 ძალის მოქმედების წრფემდე კი – $d \approx 14$ სმ.




სურ. 2.133




სურ. 2.134

43. 10 კგ მასისა და 8000 см^3 მოცულობის მქონე სხეული ჩამოყიდებულია უძრავ ჭოჭონაკზე გადადებულ თოკზე და ჩაშვებულია წყალში (სურ. 2.135). განსაზღვრეთ თოკის თავისუფალ ბოლოზე მოქმედი \vec{F} ძალის მოდული, თუ სხეული წონასწორობის მდგომარეობაშია. ჭოჭონაქისა და თოკის მასას, აგრეთვე ჭოჭონაქის ღერძთან ხახუნს ნუ გაითვალისწინებთ ($g \approx 10$ ნ/კგ).



სურ. 2.135




სურ. 2.132


44. 2000 კგ/მ³ სიმკვრივისა და 7500 სმ³ მოცულობის მქონე სხეული ჩამოყიდებულია მოძრავ ჭოჭონაქზე და ჩაშვებულია წყალში (სურ. 2.136). განსაზღვრეთ თოკის თავისუფალ ბოლოზე ვერტიკალურად ზევით მოდებული \vec{F} ძალის მოდული, თუ ტვირთი წონასწორობის მდგომარეობაშია. ჭოჭონაქისა და თოკის მასას, აგრეთვე ჭოჭონაქის ღერძთან ხახუნს ნუ გაითვალისწინებთ (≈ 10 ნ/კგ).

45. ორ უძრავ ჭოჭონაქზე გადადებული თოკის ერთ ბოლოზე დაკიდებულია $m_1 = 18$ კგ მასისა და 3000 კგ/მ³ სიმკვრივის სხეული, რომელიც ჩაშვებულია წყალში (სურ. 2.137). განსაზღვრეთ თოკის მერე ბოლოზე დაკიდებული ტვირთის m_2 მასა, თუ სისტემა წონასწორობის მდგომარებაშია. თოკის მასას და ჭოჭონაქების ღერძთან ხახუნს ნუ გაითვალისწინებთ (≈ 10 ნ/კგ).


46. სურ. 2.138-ზე გამოსახული ერთგვაროვანი ბერკეტი გაწონასწორებულია მის ბოლოებზე დაკიდებული ერთნაირი მოცულობის სხეულებით. ისე, რომ ბერკეტის მარცხენა ბოლოზე დაკიდებული სხეული ჩაშვებულია წყალში. განსაზღვრეთ ამ სხეულის სიმკვრივე, თუ მარჯვენა ბოლოზე დაკიდებული m_2 მასის სხეულის სიმკვრივე $\rho_2 = 1500$ კგ/მ³.



სურ. 2.136



სურ. 2.137




სურ. 2.138

47. სურ. 2.138-ზე გამოსახული ბერკეტი გაწონასწორებულია მის ბოლოებზე დაკიდებული სხეულებით, რომელთაგან ერთი ჩაშვებულია წყალში. განსაზღვრეთ იმ ძალის მოდული, რომლითაც ბერკეტი აწვება საყრდენს, თუ $m_2 = 10$ კგ-ს (≈ 10 ნ/კგ). ბერკეტის მასას ნუ გაითვალისწინებთ.


48. სურ. 2.139-ზე გამოსახული ერთგვაროვანი ბერკეტი გაწონასწორებულია მის ბოლოებზე დაკიდებული სხეულებით, რომლებიც ჩაშვებულია წყალში. $m_1 = 10$ კგ მასის სხეულის მოცულობა 5000 სმ³-ია. განსაზღვრეთ მეორე სხეულის მოცულობა, თუ მისი მასა $m_2 = 9$ კგ-ია.

49. წინა ამოცანის პირობის მიხედვით, განსაზღვრეთ ძალის მოდული, რომლითაც ბერკეტი აწვება საყრდენს, თუ ბერკეტის მასა 20 კგ-ია (≈ 10 ნ/კგ).

50. ბერკეტი გაწონასწორებულია მის ბოლოებზე დაკიდებული ერთნაირი სიმკვრივისა და სხვადასხვა მასის ტვირთებით (სურ. 2.140). დაირღვევა თუ არა ბერკეტის წონასწორობა, თუ ტვირთებს წყალში ჩავუშვებთ? ბერკეტის მასას ნუ გაითვალისწინებთ. პასუხი დაასაბუთეთ.






სურ. 2.139



სურ. 2.140

თავი III

სითბური მოვლენები



ამ თავში თქვენ გაეცნობით:

- თბოგადაცემას და მის სახეებს;
- სითბოს რაოდენობასა და სითბური ბალანსის განტოლებას;
- ნივთიერების აგრეგატული მდგომარეობის ცვლილების კავშირს თბოგადაცემასთან;
- საწვავის დაწვისას გამოყოფილ სითბოს რაოდენობას;
- სითბურ ძრავებს და მათ გამოყენებასთან დაკავშირებულ ეკოლოგიურ პრობლემებს.

§ 3.1 შინაგანი ენერგია და მისი შეცვლის გზები

 გაიხსენეთ სხეულის მექანიკური ენერგია, მისი სახეები და შინაგანი ენერგია. ამისათვის შეეცადეთ უპასუხოთ შემდეგ კითხვებს:

- მექანიკური ენერგიის რა სახეები იცით?
- რა ეწოდება ენერგიას, რომელიც სხეულს მოძრაობის გამო აქვს?
- რა ეწოდება ენერგიას, რომელიც სხეულს სხვა სხეულებთან ურთიერთქმედების გამო აქვს?
- რას უწოდებენ სხეულის სრულ მექანიკურ ენერგიას?
- რას იტყვით ერთი სახის მექანიკური ენერგიის მეორეში გადასვლის შესახებ?
- რატომ აქვთ ნივთიერების შემადგენელ ატომებსა და მოლეკულებს კინეტიკური ენერგია?
- რატომ აქვთ ნივთიერების შემადგენელ ატომებსა და მოლეკულებს პოტენციალური ენერგია?
- რას ვუწოდეთ სხეულის შინაგანი ენერგია?

თუ ამ კითხვებზე დამაჯერებელი პასუხის გაცემა გაგიჭირდათ, გაიმეორეთ პირველი თავის 1.8, 1.9 და 1.10 პარაგრაფები.

როგორ შეიძლება შეიცვალოს სხეულის შინაგანი ენერგია? პასუხი ამ კითხვაზე თვით შინაგანი ენერგიის განმარტებაშია – რადგან შინაგანი ენერგია წარმოადგენს სხეულის შემადგენელი ნაწილაკების კინეტიკური და მათი ურთიერთქმედების პოტენციალური ენერგიების ჯამს, ამიტომ მის შესაცვლელად საჭიროა შეიცვალოს ნაწილაკების მოძრაობის სიჩქარე ან მათი ურთიერთმდებარეობა. ე.ი. საჭიროა შეიცვალოს სხეულის შემადგენელი ნაწილაკების მექანიკური ენერგია. თქვენ უკვე იცით, რომ ეს შესაძლებელია მუშაობის შესრულებით.

VII კლასის ფიზიკის კურსიდან ვიცით, რომ სხეულის ნაწილაკების სიჩქარის შეცვლა შეიძლება მისი ტემპერატურის გაზრდით ან შემცირებით. სხეულის გაცხელებით იზრდება მისი ნაწილაკების მოძრაობის საშუალო სიჩქარე. ვინაიდან ნაწილაკის სიჩქარე განუწყვეტლივ იცვლება, ამასთან სხვადასხვა ნაწილაკს დროის მოცემულ მომენტში განსხვავებული სიჩქარე აქვს, შეგვიძლია ვილაპარაკოთ მხოლოდ ნაწილაკების საშუალო კინეტიკურ ენერგიაზე. ე.ი გაცხელებით იზრდება ნაწილაკების საშუალო კინეტიკური ენერგია, ხოლო გაცივებით მცირდება ნაწილაკების მოძრაობის საშუალო სიჩქარე – მცირდება მათი საშუალო კინეტიკური ენერგია.


სხეულის ტემპერატურა განისაზღვრება მისი შემადგენელი ნაწილაკების საშუალო კინეტიკური ენერგიით.

კიდევ რა გზით შეიძლება შეცვალოთ სხეულის შინაგანი ენერგია? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩავატაროთ ორი ცდა:



ცდა 1.

კოლბას გავუკეთოთ მილიანი საცობი. მილის მეორე ბოლო მივუერთოთ მანომეტრს. თავიდან მანომეტრის ორივე მუხლში სითხე ერთ დონეზეა. დავიწყოთ უხეში ქსოვილის გასმა კოლბის ზედაპირზე (სურ. 3.1). გარკვეული დროის შემდეგ სითხის დონე მანომეტრის მარცხენა მუხლში დაიწევს, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ კოლბაში წნევა გაიზარდა, ანუ მასში ჰაერი გაცხლდა. ე.ი. გაიზარდა ჰაერის მოლეკულების სიჩქარე და კინეტიკური ენერგია, შესაბამისად – შინაგანი ენერგია. რის ხარჯზე გაიზარდა ჰაერის შინაგანი ენერგია? ცხადია,



სურ. 3.1

მექანიკური მუშაობის ხარჯზე, რომელიც შესრულდა ნაჭრის კოლბის ზედაპირზე ხახუნისას.

ნებისმიერი ორი სხეულის ერთმანეთზე ხახუნისას ისინი ცხელდება. სხეულის ჭრისას ან ბურღვისას სხეულთან ერთად ცხელდება საჭრისი ან ბურღი, დანის ლესვისას ცხელდება დანაც და სალესი ქვაც (სურ. 3.2 ა, ბ), ლურსმანზე ჩაქუჩის დარტყმის შედეგად ხურდება ლურსმნის ქუდიც და ჩაქუჩიც და ა. შ.



სურ. 3.2

ამრიგად, სხეულის შინაგანი ენერგია შეიძლება გავზარდოთ მასზე მექანიკური მუშაობის შესრულებით.

ცდა 2.

სქელედლიან მინის ჭურჭელში ჩავასხათ მცირე რაოდენობის წყალი. საცობში არსებული ხვრელიდან დავიწყოთ ჭურჭელში ჰატუმბვა (სურ. 3.3). ჭურჭელში ჰატერის წნევა გაიზრდება და გარკვეულ წნევაზე საცობი ამოვარდება. საცობის ამოვარდნის შემდეგ დავინახავთ, რომ ჭურჭელში წარმოიქმნება ნისლი. ალბათ შეგიმჩნევიათ, რომ ნისლი ჰატერის გაცივებისას წარმოიქმნება. ეს მიუთითებს, რომ ჭურჭელში არსებული ჰატერიც გაცივდა – ჰატერის შინაგანი ენერგია შემცირდა. სწორედ ჰატერის შინაგანი ენერგიის ხარჯზე შესრულდა მექანიკური მუშაობა – ჭურჭლიდან საცობი ამოვარდა.

ამრიგად, სხეულის შინაგანი ენერგია შეიძლება შემცირდეს, როცა მუშაობას ასრულებს თვით სხეული.

ამ ცდების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: სხეულის შინაგანი ენერგიის ცვლილება შესაძლებელია მექანიკური მუშაობის შესრულებით.

 დაფიქრდით, რა ემართება ჭურჭელში მყოფი ჰატერის შინაგან ენერგიას ჩატუმბვისას?

მუშაობის შესრულებისას იცვლება სხეულის შემადგენელი ნაწილაკების როგორც კინეტიკური, ასევე პოტენციალური ენერგიაც. მაგალითად, სხეულის დეფორმაციისას იცვლება მისი ნაწილაკების ურთიერთგანლაგება, ანუ პოტენციალური ენერგია. შესაბამისად, იცვლება შინაგანი ენერგიაც.

სხეულის შინაგანი ენერგია შეიძლება შევცვალოთ სხვა გზითაც, მუშაობის შესრულების გარეშე.

განვიხილოთ ცდა:

ჩავუშვათ ლითონის კოვზი ჭიქაში, რომელშიც ცხელი წყალი ასხია (სურ. 3.4). წყლის ტემპერატურა დაიკლებს, ხოლო ლითონის კოვზისა – მოიმატებს. გარკვეული დროის შემდეგ მათი ტემპერატურები გათანაბრდება და პროცესი შეჩერდება. წყლის შინაგანი ენერგია შემცირდება, კოვზისა



სურ. 3.3



სურ. 3.4

– გაიზრდება. ამ დროს წყალმა კოვზს ენერგია ისე გადასცა, რომ მექანიკური მუშაობა არ შესრულებულა.

მუშაობის შესრულების გარეშე სხეულის შინაგანი ენერგიის ცვლილების მაგალითებია ქურაზე წყლიანი ჩაიდნის გაცხელება, გამატბობლით ოთახის გათბობა (სურ. 3.5 ა, ბ), მზის სხივებით წყლის გათბობა და ა.შ.

მუშაობის შესრულების გარეშე სხეულის შინაგანი ენერგიის ცვლილების პროცესს თბოგადაცემა ეწოდება.

ამრიგად, სხეულის შინაგანი ენერგიის ცვლილება შესაძლებელია ორი გზით – მექანიკური მუშაობით და (ან) თბოგადაცემით.

სიღიდეს, რომელიც ტოლია სხეულის შინაგანი ენერგიის ცვლილებისა თბოგადაცემის დროს, სითბოს რაოდენობა ეწოდება. სითბოს რაოდენობა ალინიშნება Q ასოთი.

SI-ში სითბოს რაოდენობის ერთეული იგივეა, რაც მუშაობისა და ენერგიისა – **1 ჯოული.**

თბოგადაცემისას ენერგია თავისთავად გადაეცემა მაღალი ტემპერატურის სხეულიდან დაბალი ტემპერატურის სხეულს.



სურ. 3.5

დასკვნები:

- მუშაობის შესრულების გარეშე სხეულის შინაგანი ენერგიის ცვლილების პროცესს თბოგადაცემა ეწოდება;
- სხეულის შინაგანი ენერგიის ცვლილება შესაძლებელია ორი გზით – მექანიკური მუშაობითა და (ან) თბოგადაცემით;
- სიღიდეს, რომელიც თბოგადაცემის დროს სხეულის შინაგანი ენერგიის ცვლილების ტოლია, სითბოს რაოდენობა ეწოდება;
- სითბოს რაოდენობის ერთეული SI-ში არის **1 ჯოული**;
- თბოგადაცემისას ენერგია თავისთავად გადაეცემა მაღალი ტემპერატურის სხეულიდან დაბალი ტემპერატურის სხეულს.

საკონტროლო კითხვები:

1. რა განსხვავებაა ცივი და ცხელი წყლის მოლეკულების მოძრაობებს შორის?
2. რატომაა დაკავშირებული სხეულის ტემპერატურა მისი ნაწილაკების კინეტიკურ ენერგიისათან?
3. რის ხარჯზე თბება საშლელი ფურცელზე გასმისას?
4. თუ საშლელი თბილია, შეგიძლიათ თუ არა ცალსახად დაასკვნათ, რომ ის ფურცელზე ხახუნით გათბა?
5. რატომ იზომება სითბოს რაოდენობა იმავე ერთეულში, რომელშიც მუშაობა?
6. ჭურჭელში ჰაერის ჩატუმბვისას იცვლება თუ არა მისი მოლეკულების ურთიერთქმედების პოტენციალური ენერგია? რატომ?
7. შეიძლება თუ არა ერთდროულად მუშაობაც სრულდებოდეს და თბოგადაცემაც?



ამოხსენით ამოცანები:

1. მოიყვანეთ მექანიკური მუშაობით სხეულის შინაგანი ენერგიის შეცვლის მაგალითები.

2. მოიყვანეთ თბოგადაცემით სხეულის შინაგანი ენერგიის შეცვლის მაგალითები.

3. ხის ლარში ჯოხის მრავალჯერ სწრაფი გახახუნებით ჯოხის ტემპერატურა იმატებს და მას შესაძლოა ცეცხლი მოეკიდოს (სურ. 3.6). ეს ხერხი გამოიყენება ექსტრემალურ პირობებში ცეცხლის დასანთებად. რის ხარჯზე ხდება ჯოხისა და ლარიანი ხის შინაგანი ენერგიის გაზრდა? ცეცხლის მოპოვების მსგავსი მეთოდები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <http://tiny.cc/4wayjz>

4. დააკვირდით სურათს და გაიხსენეთ ასანთის ანთების პროცესი (სურ. 3.7). ახსენით, რის ხარჯზე გაცხელდება და აალდება ასანთის თავი?

5. მოიყვანეთ მაგალითი, რომელშიც ასანთი აალდება მექანიკური მუშაობის შესრულების გარეშე.

6. სპორტული ავტომობილების მოსახვევში სრიალით შესვლისას მათი საბურავები ისე ცხელდება, რომ ხშირ შემთხვევაში კვამლიც წარმოიქმნება (სურ. 3.8). რის ხარჯზე იზრდება საბურავების შინაგანი ენერგია? კიდევ რისი შინაგანი ენერგია იზრდება ამ დროს?



სურ. 3.7



სურ. 3.8

7. ერთი ბოლოთი დახშულ ცილინდრულ ჭურჭელში დგუშით ჩაკეტილია მაღალი წნევის მქონე ჰაერი (სურ. 3.9). დგუში დამაგრებულია, მას ხახუნის გარეშე შეუძლია ცილინდრში სრიალი. როგორ შეიცვლება ჰაერის შინაგანი ენერგია, თუ დგუშს გავათავისუფლებთ?

8. ცილინდრული ჭურჭელი ჩადგმულია ცარიელ სათლში. ჭურჭელში ჰაერია, რომლის წნევის ძალა დგუშისა და მასზე დადებული ტვირთის სიმძიმის ძალას ანონასწორებს (სურ. 3.10 ა). სათლში ჩაასხეს ცხელი წყალი, შედეგად დგუშმა ზევით აიწია (სურ. 3.10 ბ).

ა) რომელი ენერგიის ხარჯზე მოიმატა ტვირთის პოტენციალურმა ენერგიამ?

ბ) როგორ შეიცვალა წყლის შინაგანი ენერგია?

9. დახშულ ჭურჭელში მოთავსებულია ჰაერი. როგორ შეიცვლება მისი შინაგანი ენერგია, თუ ჰაერის მოლეკულების ქაოსურად მოძრაობის სიჩქარე მოიკლებს?

10. სხეულის ტემპერატურამ მოიმატა. რომელი გამონათქვამია მართებული?


ა) სხეულის შემადგენელი ნაწილაკები გაცხელდა;

ბ) სხეულის შემადგენელი ნაწილაკების ქაოსურად მოძრაობის სიჩქარემ მოიმატა.


პასუხი დაასაბუთეთ.



სურ. 3.6



სურ. 3.9



სურ. 3.10

§ 3.2 თბოგამტარობა

ნინა პარაგრაფში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ თბოგადაცემისას ენერგია თავისთავად გადაეცემა მაღალი ტემპერატურის სხეულიდან დაბალი ტემპერატურის სხეულს. ასევე, ენერგია გადაეცემა სხეულის გახურებული ნაწილიდან მის ცივ ნაწილს. მაგალითად, თუ ლურსმანს მისი ქუდით დავიჭროთ და წვერს სპირტურის ალზე გავახურებთ, რამდენიმე ნამის შემდეგ ხელით შევიგრძნობთ, რომ ლურსმანი გაცხელდა.

 გაიხსენეთ ნინა პარაგრაფში განხილული ცდა. ცხელი წყლის მოლეკულების კინეტიკური ენერგია მეტია ცივი კოვზის მოლეკულების კინეტიკურ ენერგიაზე. ურთიერთქმედებისას ცხელი წყლის მოლეკულები გადასცემს თავიანთი კინეტიკური ენერგიის ნაწილს ცივი კოვზის ნაწილაკებს. შედეგად, წყლის მოლეკულების საშუალო კინეტიკური ენერგია შემცირდება, ხოლო ლითონის ნაწილაკების – გაიზრდება. შეცადეთ, დამოუკიდებლად ახსნათ თბოგადაცემის პროცესი ლურსმნის ცხელი ბოლოდან ცივისაკენ.

ისმის კითხვა: ერთნაირად მიმდინარეობს თუ არა თბოგადაცემა ყველა მყარ სხეულში? მყარ სხეულებში, სითხეებსა და აირებში? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ჩავატაროთ ცდები.

 ავილოთ ლითონის დისკო, რომელზეც მიმაგრებულია სპილენძისა და მინის ერთნაირი ღეროები. რომელიმე მათგანის თავისუფალი ბოლო ჩავამაგროთ შტატივის თათში (სურ. 3.11). ღეროებზე ტოლი შუალედებით პლასტილინით დავამაგროთ პატარა ლურსმნები ან ლითონის საკანცელარიო ჭიკარტები. დავიწყოთ ლითონის დისკოს გაცხელება სპირტქურით. გარკვეული დროის შემდეგ შევამჩნევთ, რომ თავიდან მოძვრება სპილენძის ღეროზე დისკოსთან ახლოს მდებარე ლურსმნები, ხოლო მერე რიგ-რიგობით – ყველა დანარჩენი.

უფრო მოგვიანებით დაიწყებს ჩამოვარდნას მინის ღეროზე დამაგრებული ლურსმნები. რატომ მოხდა ასე?


სპირტქურის ალი გადასცემს ენერგიას დისკოს. მისი ნაწილაკები უფრო ინტენსიურად იწყებს რხევას და მათი საშუალო კინეტიკური ენერგია იზრდება. თავის მხრივ, გაცხელებული დისკოს შემადგენელი ნაწილაკები მიღებული ენერგიის ნაწილს გადასცემს სპილენძისა და მინის ღეროების დისკოზე მიმაგრებულ ბოლოებს. ნაწილაკების ურთიერთქმედების გამო ენერგიის გადაცემა თანდათან გაგრძელდება თვით ღეროებში, პლასტილინი გადნება და ლურსმნები თანმიმდევრობით ჩამოცვივდება. ალსანიშნავია, რომ ასეთი თბოგადაცემისას ნივთიერება არ გადაიტანება.

ნაწილაკების მოძრაობისა და ურთიერთქმედების საშუალებით მაღალი ტემპერატურის სხეულიდან (სხეულის ნაწილიდან) დაბალი ტემპერატურის სხეულში (სხეულის ნაწილში) ნივთიერების გადატანის გარეშე სითბოს გადასვლის პროცესს თბოგამტარობა ეწოდება.

თბოგამტარობა თბოგადაცემის ერთ-ერთი სახეა.

ჩატარებული ცდა გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა ნივთიერება სითბოს ერთნაირად არ ატარებს. ლითონი გაცილებით უკეთესად ატარებს სითბოს, ვიდრე მინა. თბოგამტარობის თვალსაზრისით, ლითონებს შორისაც დიდი განსხვავებაა. თუ ჩატარებულ ცდაში მინის ღეროს შევცვლით ჯერ ალუმინის, მერე რკინის ღეროთი, დავრწმუნდებით, რომ ყველაზე კარგად სითბოს ატარებს სპილენძი, შედარებით ცუდად – ალუმინი და რკინა.

ცუდი თბოგამტარებია: პლასტიმასი, ხე, მინა და სხვა. ამიტომაა, რომ ჩაიძნებისა და ტაფების სახელურებს პლასტმასის ან ხისგან ამზადებენ. ნივთიერებებს, რომლებიც სითბოს ცუდად ატარებს, თბოგამტოლატორებს უწოდებენ.



სურ. 3.11

 სითხეების თბოგამტარობის შესაფასებლად ჩავატაროთ ცდა. წყლიანი ცეცხლგამძლე კოლბა დახრილად ჩავამაგროთ შტატივის თათში და სპირტქურის საშუალებით დავიწყოთ მისი ზედა ნაწილის გაცხელება (სურ. 3.12). წყალი ზედაპირთან მაღლე ადულდება მაშინ, როცა კოლბის ფსკერზე მხოლოდ გათბება. ე.ი. წყლის თბოგამტარობა მცირეა. გამონაკლისია ვერცხლისწყალი და გამდნარი ლითონები.

სითხეების მცირე თბოგამტარობა აიხსნება იმით, რომ სითხეების მოლეკულებს შორის ურთიერთქმედება უფრო სუსტია, ვიდრე მყარი სხეულების მოლეკულებს შორის. ამიტომ ნაწილაკიდან ნაწილაკზე ენერგიის გადაცემა უფრო რთულია და დიდი დრო სჭირდება.



სურ. 3.13

აირები ყველაზე ცუდი თბოგამტარებია. მშრალი, ცეცხლგამძლე კოლბა ჩამოვიცვათ თითზე და გავაცხელოთ სპირტქურის ალზე ფსკერით ზევით. თითი საკმაოდ დიდ-ხანს ვერ იგრძნობს სითბოს ჰაერის მეშვეობით (სურ. 3.13). ე.ი. ჰაერი ცუდი თბოგამტარია. ჩვეულებრივ, მისი თბოგამტარობა თითქმის 10000-ჯერ მცირეა სპილენძის თბოგამტარობაზე.

ბამბა, მატყლი, ბუმბული, ბეწვი ბოჭკოებს შორის შეიცავს ჰაერს და ამის გამო კარგად იცავს ცხოველებს, ფრინველებსა და ადამიანებს სითბოს დაკარგვისაგან.



სურ. 3.12

დასკვნები:

- ნაწილაკების მოძრაობისა და ურთიერთქმედების საშუალებით მაღალი ტემპერატურის სხეულიდან (სხეულის ნაწილიდან) დაბალი ტემპერატურის სხეულში (სხეულის ნაწილში) ნივთიერების გადატანის გარეშე სითბოს გადასვლის პროცესს თბოგამტარობა ეწიდება;
- სხეულის თბოგამტარობის მიზეზი მისი ნაწილაკების ურთიერთქმედება და მოძრაობაა;
- მყარი, თხევადი და აირადი ნივთიერებების თბოგამტარობა განსხვავებულია;
- ლითონები კარგი თბოგამტარებია;
- ჩვეულებრივ პირობებში აირები ცუდი თბოგამტარებია;
- ნივთიერებებს, რომლებიც სითბოს ცუდად ატარებს, თბოიზოლატორებს უნდებენ.


საკონტროლო კითხვები:

1. რომელი გამოთქმაა ფიზიკის თვალსაზრისით სწორი: საბანი გვათბობს თუ საბანი გვიცავს სითბოს დაკარგვისაგან?
2. რატომ ჩეჩავენ დროდადრო საბნის მატყლს?
3. რატომ აკრავენ შენობებს პენოპლასტის ფილებს?
4. ალბათ შეგიმჩნევიათ, სამშენებლო აგურებს ნახვრეტები აქვს. ამბობენ, რომ ეს მასალის ეკონომიკისა და სიმსუბუქის გამოა. თქვენ რას იტყოდით?



ამოხსენით ამოცანები:

1. ცხელი და ცივი აგურები ერთმანეთს შეახეს ჯერ ისე, როგორც გამოსახულია სურათ 3.14 ა-ზე, შემდეგ კი ისე, როგორც ნაჩვენებია სურ. 3.14 ბ-ზე. რომელ შემთხვევაში გათბება ცივი აგური უფრო სწრაფად?



სურ. 3.14

2. ხის კარს და მის ლითონის სახელურს ოთახის ტემპერატურა აქვს. მიუხედავად ამისა, შეხებისას სახელური უფრო ცივი გვეჩვენება, ვიდრე კარი. რა არის ამის მიზეზი?

3. ხისა და ლითონის ტემპერატურა ერთნაირია და 40°C -ია. ხელით შეხებისას რომელი უფრო თბილი მოგეჩვენებათ, თუ თქვენი ტემპერატურა $36,6^{\circ}\text{C}$ -ია. პასუხი დაასაბუთეთ.

4. ძლიერი ყინვაში მცენარეებსა და ნარგავებს თოვლის საფარი იცავს. ახსენით მიზეზი.

5. ახსენით, როგორ გვიცავს სიცივისგან ქურთუკი და საბანი.

6. სახლის ჭერში ხშირად სპეციალურ ფაფუკ მინა-ბამბას აფენენ (სურ. 3.15). რატომ იქცევიან ასე?

7. დიდი შენობების (მაგალითად, სკოლის) გასათბობად წყალს მის გარეთ არსებულ სპეციალურ გათბობის ქვაბში აცხელებენ. ქვაბიდან შენობისკენ გაყვანილ ცხელი წყლის მიღებს კი სპეციალური გარსით ფუთავენ (სურ. 3.16). ახსენით, რა დანიშნულება აქვს მიღების შესაფუთ სპეციალურ გარსს?

8. ლითონის ჭიქაში უფრო მაღე გაცივდება ცხელი ჩაი თუ მინის ჭიქაში? რატომ?

9. უდაბნოში დღისით ძალიან ცხელა, ღამით კი ძალიან ცივა. რა არის ამის მიზეზი?

10. რით აისხება, რომ მინის საგნების დამზადებისას მისი ერთი ბოლო დონბამდეა გაცხელებული, მეორე ბოლო კი ოსტატს შიშველი ხელით თავისუფლად უჭირავს (სურ. 3.17).



სურ. 3.15



სურ. 3.16



სურ. 3.17



საშინაო ცდა:

ცდის მიზანი: აირის გათბობასა და გაცივებაზე დაკვირვება.

ცდისთვის საჭიროა: პოლიეთილენის ბოთლი, ბუშტი, ქვიშა, განიერი ღრმა ჭურჭელი, ცხელი წყალი.

- ბოთლში ჩაყარეთ მხოლოდ იმდენი ქვიშა, რომ წყალში ჩადებისას ჩაძირვა დაიწყოს;
- ჩამოაცვით ბოთლს ბუშტი (სურ. 3.18);
- ჩაასხით ჭურჭელში, თითქმის ბოთლის სიმაღლემდე, ცხელი წყალი;
- ჩადგით ბოთლი წყალში და დააკვირდით ბუშტის ზომის ცვლილებას;
- ამოიღეთ ბოთლი ჭურჭლიდან და დააკვირდით ბუშტის ზომის ცვლილებას;
- დაკვირვების შედეგები ჩანერეთ რვეულში.




სურ. 3.18


§ 3.3 მყარი სხეულების, სითხეებისა და აირების სითბური გაფართოება

საშინაო ცდით თქვენ დააკვირდით ჰაერის სითბურ გაფართოებას. ცხელ წყალში ჩადებისას თბოგამტარობის საშუალებით ჯერ გათბა ბოთლი, ხოლო შემდეგ – ბოთლში არსებული ჰაერი. გათბობის შედეგად ჰაერის ნაწილაკები უფრო სწრაფად ამოძრავდება, გაიზრდება მათი საშუალო კინეტიკური ენერგია, მოიმატებს ჰაერის წნევა და ის გაფართოვდება – ბუშტი გაიბრება. ბოთლის ცხელი წყლიდან ამოღების შემდეგ მასში არსებული ჰაერი დაიწყებს ენერგიის გაცემას, მოლეკულების საშუალო კინეტიკური ენერგია შემცირდება, დაიწევს წნევა – ბუშტი ჩაიფუშება.

სითხის სითბურ გაფართოებაზე დასაკვირვებლად ავავსოთ კოლბა ოთახის ტემპერატურის მქონე შეფერადებული წყლით. მოვარგოთ კოლბას მილიანი საცობი ისე, რომ სითხის ნაწილი ავიდეს მილში (სურ. 3.19 ა). მოვნიშნოთ სითხის დონე მილში. ჩავუშვათ კოლბა ჭურჭელში, რომელშიც ცხელი წყალია. თავიდან სითხის დონე მილში ცოტათი დაიწევს (სურ. 3.19 ბ). ამის მიზეზია ის, რომ თავდაპირველად ცხელდება და ფართოვდება კოლბა. გარკვეული დროის შემდეგ გათბობას დაიწყებს წყალი, რომლის მოლეკულების საშუალო კინეტიკური ენერგია გაიზრდება, გაიზრდება მანძილი მოლეკულებს შორის – წყლის დონე მილში საგრძნობლად მოიმატებს (სურ. 3.19 გ). გაცივების შედეგად წყალი მილში დაუბრუნდება თავის საწყის დონეს. ამრიგად, აირების მსგავსად, სითხეები გათბობისას ფართოვდება.



სურ. 3.19




ვილჰელმ იაკობ
გრავეზანდი (1688-1742)

მყარი სხეულების სითბურ გაფართოებაზე დაკვირვება შესაძლებელია მარტივი დანადგარით, რომელიც შექმნა ჰაერის დიელმა ფიზიკოსმა ვილჰელმ იაკობ გრავეზანდმა. ის ნარმოადგენს სპილენძის მცირე ბირთვს, რომელიც თავისუფლად გადის მის ზომაზე გამოჭრილ რგოლში. თუ ბირთვს სპილენძის ალზე გავაცხელებთ, ის რგოლში აღარ გაეტევა (სურ. 3.20 ა). ბირთვის გაცხელებისას იზრდება ნაწილაკების საშუალო კინეტიკური ენერგია, ნაწილაკები ერთმანეთს დაშორდება და ბირთვი გაფართოვდება.

გაცივების შემდეგ ბირთვი რგოლში ისევ თავისუფლად გავა (სურ. 3.20 ბ) – ბირთვის ნაწილაკები ერთმანეთს დაუახლოვდება.

ცდებით დადგინდა, რომ ერთნაირ პირობებში აირები ფართოვდება ბევრად მეტად, ვიდრე – სითხეები და მყარი სხეულები.



სურ. 3.20

სხვადასხვა ნივთიერება განსხვავებულად ფართოვდება.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ნივთიერება გარკვეულ ტემპერატურულ ინტერვალში გათბობისას იკუმშება, ხოლო გაცივებისას ფართოვდება, ანუ ახასიათებს სითბური გაფართოების ანომალია. ასეთ ნივთიერებებს მიეკუთვნება წყალი, თუკი, ბისმუტი და სხვა.


მაგალითად, თბილი წყალი 4°C -მდე გაცივებისას იკუმშება, ხოლო დაწყებული 4°C -დან 0°C -მდე ის ფართოვდება. ამიტომ ყველაზე დიდი სიმკვრივე წყალს აქვს 4°C -ზე. წყალსატევის ზედაპირზე 4°C -მდე გაცივებული წყალი ჩადის ფსკერზე (წყალი იყინება 0°C -ზე). ზუსტად ამიტომ წყალსატევები არ იყინება ფსკერამდე, წყლის ეს თვისება მნიშვნელოვანია მასში არსებული ცოცხალი ორგანიზმების არსებობისათვის.

სხეულების სითბური გაფართოება გასათვალისწინებელია სხვადასხვა კონსტრუქციის შექმნისას. მაგალითად, რკინიგზის მშენებლობისას ლიანდაგის რელსებს შორის შუალედს ტოვებენ (სურ. 3.21). ზაფხულში რელსები სიგრძეში იმატებს, ეს შუალედები კი თავიდან გვარიდებს გაფართოებისას მათ დეფორმაციას.

სხეულების სითბურ გაფართოებას ითვალისწინებენ ხიდების მშენებლობისას (სურ. 3.22 ა), მილსადენების გაყვანისას (სურ. 3.22 ბ) და ა.შ.



სურ. 3.21



სურ. 3.22



მშენებლობაში ფართოდ გამოიყენება რკინა-ბეტონის კონსტრუქციები, რომლებიც გამოირჩევა დიდი მდგრადობით (სურ. 3.23). ამ კონსტრუქციის სიმყარის საფუძველია ბეტონისა და რკინის ერთნაირი სითბური გაფართოება.



სურ. 3.23

დასკვნები:

- სხეულთა უმეტესობა გათბობისას ფართოვდება;
- ტემპერატურის ზრდისას სხეულთა გაფართოების მიზეზია ნაწილაკების საშუალო კინეტიკური ენერგიის მატება, რაც ნაწილაკებს შორის მანძილის ზრდას იწვევს;
- ზოგიერთი ნივთიერება გარკვეულ ტემპერატურულ ინტერვალში გათბობისას იკუმშება. ამ მოვლენას სითბური გაფართოების ანომალია ეწოდება;
- ჩვეულებრივ, ყველაზე მეტად აირები ფართოვდება;
- სხეულთა სითბური გაფართოება გათვალისწინებულია მშენებლობებში.

საკონტროლო კითხვები:

1. რით აიხსნება აირების შესამჩნევი გაფართოება სითხეებთან და მყარ სხეულებთან შედარებით?
2. რატომ არ იქნება ნიკელი-ბეტონის კონსტრუქცია ისეთივე მყარი, როგორიც რკინა-ბეტონის კონსტრუქციაა, მიუხედავად იმისა, რომ ნიკელის სიმტკიცე რკინის სიმტკიცეზე ორჯერ მეტია?
3. ზოგიერთი რკინის კარი ზამთარში ადვილად იღება, ზაფხულში კი – ძნელად. რით ახსნით ამას?
4. ზამთარში ტბის ზედაპირი გაიყინა. რატომ არ იყინება ტბის ქვედა ფენები?



პროექტი, ჯგუფური მუშაობა.

პროექტის მიზანი: აირის სითბურ გაფართოებაზე დაკვირვება.

პროექტისთვის საჭროა: მინის ბოთლი, დაახლოებით 5 მმ დიამეტრის რეზინის გამჭვირვალე მილი (შესაძლებელია გამოიყენოთ წვენის „საწრუპი“), პლასტილინი, ქვაბი.

სამუშაოს მსვლელობა:

1. ბოთლის თავსახურზე გააკეთეთ ისეთი ზომის ნახვრეტი, რომ მასში მილი მჭიდროდ ჩასვათ. მილს მიეცით სურათ 3.24-ზე ნაჩვენები ფორმა, საჭიროების შემთხვევაში მიამაგრეთ წინასწარ გამზადებულ მყარ მავთულზე.

2. მილსა და თავსახურს შორის დარჩენილი შუალედი ამოავსეთ პლასტილინით.


3. შედგით ბოთლი მაცივრის საყინულები და დაელოდეთ მის უარყოფით ტემპერატურამდე გაცივებას.

4. მაცივრიდან გამოღების შემდეგ მილის თავისუფალ ბოლოში ჩაასხით მცირე რაოდენობის წყალი და მილის მარჯვენა მუხლში მონიშნეთ წყლის დონე.


5. ჩადგით ბოთლი ქვაბში ჩასხმულ ცივ წყალში და გაზეურაზე დაიწყეთ მისი გათბობა (არ ჩადგათ პირდაპირ ცხელ წყალში! ბოთლი გასკდება!).

6. ქვაბში წყლის გათბობასთან ერთად დააკვირდით მილში წყლის სვეტის მოძრაობას და გზადაგზა მონიშნეთ წყლის დონე მილში (იხ. სურ. 3.25).

7. სამუშაოს მსვლელობისას გადაიღეთ ფოტოები და გააკეთეთ ვიდეოჩანანერი. მოამზადეთ პრეზენტაცია თემაზე „აირის სითბური გაფართოება“.



სურ. 3.24



სურ. 3.25

§ 3.4 ტემპერატურის გაზომვა. თერმომეტრი

თქვენ უკვე იცით, რომ ცხელი და ცივი სხეულების კონტაქტისას ცხელი სხეული ცივდება, ცივი კი თბება. როდესაც მათი ტემპერატურები გათანაბრდება, სითბოცვლა წყდება. სხეულების ტემპერატურის ცვლილებასთან ერთად ამ პროცესისას შეიძლება მოხდეს სხვა ცვლილებებიც: შეიცვალოს სხეულების მოცულობა, გადავიდნენ ერთი აგრეგატული მდგომარეობიდან მეორეში და სხვა. ერთნაირი ტემპერატურის მქონე სხეულები ერთმანეთთან კონტაქტისას არ იცვლიან თვისებებს, რადგან ისინი სითბური წონასწორობის მდგომარეობაში იმყოფებიან.

ტემპერატურა სითბური წონასწორობის მდგომარეობის მახასიათებელი ფიზიკური სიდიდე.

დღიდი ხანია ტემპერატურას ზომავენ თერმომეტრით. ყველა თერმომეტრის მოქმედება დაფუძნებულია ტემპერატურის შეცვლისას სხეულის თვისებების ცვლილებაზე.

1742 წელს შვედმა ასტრონომმა და ფიზიკოსმა ანდრეს ცელ-სიუსმა გამოითქვა მოსაზრება ტემპერატურის გასაზომად გამოეყენებინათ სხეულების სითბური გაფართოების თვისება. მან გამოიგონა ხელსაწყო, რომელიც შედგებოდა სითხით (სპირტი ან ვერცხლისწყალი) გავსებული პატარა კოლბა-რეზერვუარის-გან, მასთან მიერთებული წვრილი მილისა და სკალისგან. ცელ-სიუსმა სკალაზე „0“ მონიშნა იქ, სადაც დადგა სითხე მილში ყინულის დნობის ტემპერატურაზე, „100“ კი – წყლის დუღილის ტემპერატურაზე ნორმალური ატმოსფერული წნევის დროს. მიღებული მონაკვეთი მან დაყო 100 ტოლ ნაწილად და მიღილ ხელსაწყოს – თერმომეტრის – სკალა (სურ. 3.26). ამ სკალით მიღებულ ერთეულს ცელსიუსის პატივსაცემად დაერქვა 1°C (1 გრადუსი ცელსიუსი). 0°C -ზე მეტი ტემპერატურა დადებითია, ხოლო მასზე ნაკლები – უარყოფითი.


1°C ტოლია ნორმალური ატმოსფერული წნევის პირობებში ყინულის დნობიდან წყლის დუღილამდე ტემპერატურის ცვლილების ერთი მეასედის.

სითხიანი თერმომეტრით სხეულის ტემპერატურის გაზომვისას აუცილებელია მისი კოლბა-რეზერვუარისა და სხეულის მჭიდრო კონტაქტი. ანათვალი უნდა ავიღოთ ტემპერატურის გაზომვის დაწყებიდან გარკვეული დროის შემდეგ, რათა თერმომეტრისა და სხეულს შორის დამყარდეს სითბური წონასწორობა.


სამედიცინო თერმომეტრის აგებულება ლაბორატორიული თერმომეტრისგან განსხვავდება იმით, რომ მისი მიღი კოლბა-რეზერვუართან შეერთების ადგილზე დავიწროებულია (სურ. 3.27). თერმომეტრზე ანათვალის აღებისას ის სხეულს აღარ ეხება, ამიტომ საჭიროა მან ჩვენება დიდი დროის განმავლობაში შეინარჩუნოს. შევიწროებული ადგილი კი გაცივებისას ხელს უშლის მიღიდან რეზერვუარში სითხის დაბრუნებას.



ანდრეს ცელსიუსი
(1701-1744)



სურ. 3.26



სურ. 3.27

ხელახალი გამოყენებისათვის სამედიცინო თერმომეტრი უნდა დავიქნიოთ რეზერვუარით ქვემოთ – ამ დროს სითხე დაბრუნდება რეზერვუარში. მეტი სიზუსტისათვის სამედიცინო თერმომეტრებში მუშა სითხედ გამოიყენება ვერცხლისწყალი, რომელიც უფრო მგრძნობიარეა ტემპერატურის ცვლილებაზე, ვიდრე – სპირტი.

სითხიანი თერმომეტრების გარდა გამოიყენება მექანიკური (სურ. 3.28), ციფრული (სურ. 3.29) და აირადი (სურ. 3.30) თერმომეტრები. მექანიკური თერმომეტრის მუშა სხეული მყარი სხეულია, აირადისა – აირი, ხოლო ციფრული თერმომეტრის მოქმედების პრინციპს მომდევნო კლასებში გავეცნობით.




სურ. 3.28




სურ. 3.29

დააკვირდით სურ. 3.30-ს და შეეცადეთ ახსნათ, როგორ მუშაობს აირადი თერმომეტრი.



სურ. 3.30

ყოფა-ცხოვრებაში უფრო ხშირად იყენებენ ტემპერატურის ცელსიუსის სკალას, რადგან ის უფრო მოსახერხებელია გარემოს, ადამიანის სხეულის, წყლისა და სხვა სხეულთა ტემპერატურის გაზომვისას. მასთან ერთად ფიზიკაში უფრო ხშირად იყენებენ სკალას,



უილიამ ტომსონი
(1824-1907)

რომელიც შემოიღო ინგლისელმა ფიზიკოსმა უილიამ ტომსონმა (ლორდ კელვინი). ამ სკალის ნული შეესაბამება სხეულის ისეთ სითბურ მდგომარეობას, რომლის დროსაც შეწყდება მოლეკულებისა და ატომების სითბური მოძრაობა. დადგენილია, რომ ეს ხდება -273°C ტემპერატურაზე. ამ ტემპერატურას აბსოლუტურ ნულს უწოდებენ, მასთან დაკავშირებულ სკალას კი – აბსოლუტურ ტემპერატურულ სკალას. ერთეულთა საერთაშორისო სისტემაში ტემპერატურის ერთეულად მიღებულია აბსოლუტური სკალის ერთეული 1 K . აბსოლუტური სკალისა და ცელსიუსის სკალის დანაყოფების ფასი ერთნაირია, ამიტომ ტემპერატურის ცვლილება ორივე სკალაზე ერთნაირია.

$0\text{ K} = -273\text{ }^{\circ}\text{C}$. (სურ. 3 31) ეს ბუნებაში არსებული მინიმალური ტემპერატურაა, რომლის მიღწევა შეუძლებელია. აბსოლუტურ ტემპერატურას აღნიშნავენ T ასოთი. ვინაიდან $0\text{ }^{\circ}\text{C} = 273\text{ K}$, ამიტომ გადაყვანა ერთი სკალიდან მეორეში ხორციელდება ფორმულით:


$$T = t + 273$$

რომელშიც t – ცელსიუსის სკალით გაზომილი ტემპერატურაა.



დაფიქრდით:

- რატომ უნდა იყოს თერმომეტრის ზომები უფრო პატარა, ვიდრე – სხეულის, რომლის ტემპერატურასაც ვზომავთ?
- რატომ უნდა ფართოვდებოდეს თერმომეტრში გამოყენებული სითხე უფრო მეტად, ვიდრე – მინა?



სურ. 3.31

დასკვნები:

- ტემპერატურას ზომავენ თერმომეტრით;
- სითხიანი თერმომეტრის მოქმედების პრინციპი დამყარებულია მისი სითბური გაფართოების თვისებაზე;
- ცელსიუსის სკალის $0\text{ }^{\circ}\text{C}$ შეესაბამება ყინულის დნობის ტემპერატურას, ხოლო $100\text{ }^{\circ}\text{C}$ – წყლის დუღილის ტემპერატურას ნორმალური ატმოსფერული ნეევის დროს;
- კელვინის სკალის ნული შეესაბამება სხეულის ისეთ სითბურ მდგომარეობას, რომლის დროსაც შეწყდებოდა მოლეკულებისა და ატომების მოძრაობა;
- $0\text{ K} = -273\text{ }^{\circ}\text{C}$, $0\text{ }^{\circ}\text{C} = 273\text{ K}$;
- $-273\text{ }^{\circ}\text{C}$ ბუნებაში არსებული მინიმალური ტემპერატურაა;
- კავშირი კელვინისა და ცელსიუსის ტემპერატურებს შორის ასეთია: $T = t + 273$.


საკონტროლო კითხვები:

1. როდემდე გრძელდება სითბოცვლის პროცესი განსხვავებული ტემპერატურის სხეულებს შორის?
2. როგორი იქნებოდა ჩვენი ოთახის ტემპერატურა 0° -ად წყლის დუღილის ტემპერატურა რომ აგველო?
3. რატომ გამოიყენებენ სითხიან თერმომეტრებში ვერცხლისწყალსა და სპირტს?
4. რატომ არ აქვს სითხიან საყოფაცხოვრებო თერმომეტრებს შევიწროებული ადგილი რეზერვუარი-მილის საზღვარზე?
5. რატომ აქვს სამედიცინო თერმომეტრებს შევიწროებული ადგილი რეზერვუარი-მილის საზღვარზე?
6. რამდენით შეიცვალა კელვინის სკალაზე ტემპერატურა, თუ იგი ცელსიუსის სკალაზე $5\text{ }^{\circ}\text{C}$ -ით შემცირდა?
7. რისი ტოლია ბუნებაში არსებული ყველაზე მცირე ტემპერატურა ცელსიუსის სკალით? კელვინის სკალით?




ამოხსენით ამოცანები:


- მოიძიეთ ინფორმაცია ფარენჰიტის სკალის შესახებ. რა კავშირია ცელსიუსის სკალით გაზომილ ტემპერატურასა და ფარენჰიტის სკალით გაზომილს შორის?
- რამდენი კელვინით გაიზარდა სხეულის ტემპერატურა, თუ მისმა ტემპერატურამ 5°C -ით მოიმატა?
- 7 $^{\circ}\text{C}$ -ით გათბობისას სხეულის ტემპერატურა **280 K** გახდა. რისი ტოლი იყო ამ სხეულის საწყისი ტემპერატურა $^{\circ}\text{C}$ -ში.
- მოიძიეთ ინფორმაცია ვერცხლისწყლის გამყარების ტემპერატურის შესახებ. რატომ იყენებენ სპირტიან და არა ვერცხლისწყიან თერმომეტრს ისეთ ადგილებში, სადაც ტემპერატურა ძალიან დაბალია?
- სამედიცინო თერმომეტრის რეზერვუარი (სადაც ვერცხლისწყლია მოთავსებული) მინისაგან არის დამზადებული (სურ. 3.32). მინა ლითონებზე უფრო ცუდი სითბოგამტარია, ამიტომ ტემპერატურის გაზომვას დაახლოებით 10 წუთი სჭირდება. რატომ არ ამზადებენ რეზერვუარს ლითონისგან?
- რამდენი გრადუსი ფარენჰიტით გაიზარდა ტემპერატურა, თუ ის ცელსიუსის სკალით 29°C -დან 50°C -მდე შეიცვალა (სურ. 3.33)?
- განსაზღვრეთ სურ. 3.34-ზე გამოსახული თერმომეტრის გაზომვის ზედა და ქვედა ზღვარი.
- განსაზღვრეთ სურ. 3.34-ზე გამოსახული თერმომეტრის დანაყოფის ფასი და ცდომილება.



სურ. 3.32



სურ. 3.33



სურ. 3.34

- რატომ არ შეიძლება, რომ ტემპერატურა იყოს -273°C -ზე ნაკლები?
- სხეულის ტემპერატურას ზომავენ ცელსიუსის სკალიანი თერმომეტრით. სხეულის გათბობისას ამ თერმომეტრის ჩვენება ორჯერ გაიზარდა. ტემპერატურა რომ კელვინებში გაეზომათ, მაშინ ის $1,09$ -ჯერ გაიზრდებოდა. განსაზღვრეთ თერმომეტრის საწყისი და საბოლოო ჩვენება.



საშინაო ცდა.



ცდის მიზანი: სითბოგადაცემაზე დაკვირვება.

ცდის სთვის საჭიროა: მაგიდის სანათი, რომელსაც არ აქვს აბაზური.

ჩართეთ სანათი და დააცადეთ რამდენიმე წუთი, შემდეგ ხელისგული ფრთხილად მიიტანეთ სანათის ნათურასთან ჯერ გვერდიდან, შემდეგ – ზემოდან (სურ. 3.35). ერთნაირად შეიგრძნობთ სითბოს? დაკვირვების შედეგები ჩაწერეთ რვეულში. გამოიტანეთ დასკვნა.

სურ. 3.35

§ 3.5 კონვექცია


§ 3.6 გამოსხივება

§ 3.7 სითბოს რაოდენობა. ნივთიერების კუთრი სითბოტევადობა

 **გაიხსენეთ:** სხეულის შინაგანი ენერგიის შეცვლის ერთ-ერთი ხერხი თბოგადაცემაა. თბოგადაცემის შედეგად შინაგანი ენერგიის ცვლილებას სითბოს რაოდენობა ვუნიდეთ და აღნიშნეთ Q-თი.

რაზეა დამოკიდებული სხეულის გათბობისას მასზე გადაცემული სითბოს რაოდენობა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩავატაროთ ცდები.


 **ცდა 1.** ავილოთ ორი ერთნაირიცეცხლგამძლე ჭურჭელი. ერთ ჭურჭელში ჩავასხათ ორჯერ მეტი წყალი, ვიდრე – მეორეში, ვთქვათ, 100 გ და 200 გ (სურ. 3.50). თერმომეტრით გავზომოთ მათი საწყისი ტემპერატურა. ვთქვათ, ის 15 °C-ია. შევუნთოთ ერთ-ერთ ჭურჭელს სპირტქურა და გავზომოთ დრო, რომლის განმავლობაში წყლის ტემპერატურა მოიმატებს 50 °C-ით, ანუ გახდება 65 °C. იგივე გავიმეოროთ მეორე ჭურჭლისთვისაც. ვნახავთ, რომ 200 გ მასის წყალს 50 °C-ით გასაცხელებლად, დასჭირდება 2-ჯერ მეტი დრო, ვიდრე 100 გ მასის წყალს. ვინაიდან სპირტქურა დროის



სურ. 3.50

მიხედვით თანაბრად გასცემს სითბოს რაოდენობას, შეგვიძლია დავასკვნათ: ტემპერატურის ერთნაირად შესაცვლელად 200 გ მასის წყალს სჭირდება 2-ჯერ მეტი სითბოს რაოდენობა, ვიდრე 100 გ მასის წყალს. ე.ი. სხეულის ტემპერატურის ერთი და იმავე მნიშვნელობით გასაზრდელად საჭირო სითბოს რაოდენობა მისი მასის პირდაპირპორციულია: $Q \sim m$

 **ცდა 2.** იმავე ჭურჭლებში ჩავასხათ წყლის ერთნაირი რაოდენობა, ვთქვათ, თითოეულში 200 გრამი (სურ. 3.51). შევუნთოთ ერთ-ერთ ჭურჭელს სპირტქურა და გავზომოთ დრო, რომლის განმავლობაში წყლის ტემპერატურა მოიმატებს 20 °C-ით. გავიმეოროთ ცდა მეორე ჭურჭლისათვის, ოღონდ ტემპერატურა გავზიარდოთ 3-ჯერ მეტით $- 60$ °C-ით. დავინახავთ, რომ ამ ცვლილებისათვის საჭირო იქნება სამჯერ მეტი დრო, შესაბამისად, სამჯერ მეტი სითბოს რაოდენობა, ვიდრე – პირველ შემთხვევაში. მაშასადამე, რამდენჯერაც მეტია სხეულის ტემპერატურის ნაზრდი, იმდენჯერ მეტი სითბოს რაოდენობაა საჭირო გადავცეთ მას.



სურ. 3.51

ამრიგად, სხეულის გასათბობად საჭირო სითბოს რაოდენობა მისი ტემპერატურის ნაზრდის პირდაპირპორციულია:

$$Q \sim (t_2 - t_1)$$

ახლა გავარკვიოთ, დამოკიდებულია თუ არა ეს სითბოს რაოდენობა სხეულის შემადგენელი ნივთიერების გვარობაზე.



ცდა 3. ორ ერთნაირ ჭურჭელში ჩავასხათ ერთნაირი ტემპერატურისა და მასის წყალი და ზეთი, ვთქვათ $150-150$ გ. შევუნთოთ სპირტჭურა წყლიან ჭურჭელს და გავზომოთ დრო, რომლის განმავლობაშიც მისი ტემპერატურა მოიმატებს, ვთქვათ 20°C -ით (სურ. 3.52). თუ ზეთის ტემპერატურასაც იმდენითვე გავზოდით, დავინახავთ, რომ მის გასათბობად ბევრად ნაკლები დრო და, შესაბამისად, ბევრად ნაკლები სითბოს რაოდენობა იქნება საჭირო.

ეს ნიშნავს, რომ ერთნაირი მასის სხვადასხვა ნივთიერების ტემპერატურის ერთი და იმავე სიდიდით შესაცვლელად საჭიროა განსხვავებული სითბოს რაოდენობა. ამ სითბოს რაოდენობის გამოსათვლელად შემოტანილია სპეციალური ფიზიკური სიდიდე, რომელსაც ნივთიერების კუთრი სითბოტევადობა ეწოდება.

ნივთიერების კუთრი სითბოტევადობა ფიზიკური სიდიდეა, რომელიც გვიჩვენებს, სითბოს რა რაოდენობაა საჭირო 1 კგ ნივთიერების ტემპერატურის 1°C -ით გასაზრდელად.

ნივთიერების კუთრ სითბოტევადობას აღნიშნავენ C (პატარა) ასოთი (ლათინურიდან capacite – ტევადლობა).

თუ ნივთიერების მასაა m და მისი ტემპერატურა იზრდება t_1 -დან t_2 -მდე, მაშინ ამისათვის საჭირო სითბოს რაოდენობა გამოითვლება ფორმულით:

$$Q = cm(t_2 - t_1)$$

გამოვსახოთ ამ ფორმულიდან C :

$$C = \frac{Q}{m(t_2 - t_1)}$$

ამ ფორმულიდან ჩანს, რომ SI-ში C -ს ერთეულია $\text{ჯ/კგ} \cdot ^{\circ}\text{C}$.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ყველა ცდაში სხეულის ტემპერატურა იზრდებოდა. ცდებიდან მიღებული შედეგები, ცხადია, მართებულია მაშინაც, როცა სხეული სითბოს რაოდენობას კარგავს და მისი ტემპერატურა მცირდება.

თუ სხეულის გასათბობად t_1 -დან t_2 -მდე საჭიროა მას გადავცეთ Q სითბოს რაოდენობა, მაშინ მის გასაცივებლად t_2 -დან t_1 -დე საჭიროა მას წავართვათ იგივე Q სითბოს რაოდენობა. როდესაც სხეული სითბოს რაოდენობას იღებს, მისი შინაგანი ენერგია იზრდება და სითბოს რაოდენობა დადებითია. როდესაც სხეული სითბოს რაოდენობას გასცემს, მისი შინაგანი ენერგია მცირდება და სითბოს რაოდენობა უარყოფითია.


რკინის კუთრი სითბოტევადობაა $460 \text{ ჯ/კგ} \cdot ^{\circ}\text{C}$. ეს ნიშნავს, რომ 1 კგ რკინის ტემპერატურის 1°C -ით გასაზრდელად საჭიროა მას გადავცეთ 460 ჯ სითბოს რაოდენობა. ამავე რაოდენობის სითბოს გასცემს 1 კგ რკინა 1°C -ით გაცივებისას.

სხეულის მასისა და მისი კუთრი სითბოტევადობის ნამრავლს სხეულის სითბოტევადობას უწოდებენ და აღნიშნავენ C (დიდი) ასოთი:

$$C = cm$$

ამიტომ სითბოს რაოდენობის გამოსათვლელი ფორმულა ასეც შეიძლება ჩავწეროთ:

$$Q = C(t_2 - t_1)$$



სურ. 3.52

სხეულის სითბოტევადობა გვიჩვენებს, სითბოს რა რაოდენობაა საჭირო ამ სხეულის 1°C -ით გასათბობად. SI-ში სითბოტევადობის ერთეულია $1 \text{ J}/^{\circ}\text{C}$.

ცხრილში მოცემულია ზოგიერთი ნივთიერების კუთრი სითბოტევადობა, რომელიც ექსპერიმენტულადაა დადგენილი:

ნივთიერება	$\text{c, J}/\text{კგ} \cdot ^{\circ}\text{C}$	ნივთიერება	$\text{c, J}/\text{კგ} \cdot ^{\circ}\text{C}$
მყარი			
ალუმინი	920	კალა	250
ბეტონი	880	პარაფინი	3200
ხე	2700	ქვიშა	970
რკინა, ფოლადი	460	პლატინა	130
ოქრო	130	ტყვია	120
აგური	750	ვერცხლი	250
თითბერი	380	მინა	840
ყინული	2100	ცემენტი	800
სპილენძი	380	თუთია	400
ნიკელი	460	თუჯი	550
თხევადი			
აცეტონი	2200	ნავთი	2140
წყალი	4200	მზესუმზირის ზეთი	1700
გლიცერინი	2400	ვერცხლისწყალი	120
რკინა	830	ეთილის სპირტი	2400
აირადი (მუდმივი წნევისას)			
აზოტი	1000	ჰაერი	1000
წყალბადი	14300	ჟანგბადი	920
წყლის ორთქლი	2200	ნახშირორჟანგი	830

დასკვნები:

- ნივთიერების კუთრი სითბოტევადობა გვიჩვენებს, სითბოს რა რაოდენობაა საჭირო 1 კგ ნივთიერების ტემპერატურის 1°C -ით გასაზრდელად. კუთრი სითბოტევადობა ნივთიერების მახასიათებელი ფიზიკური სიდიდეა. მისი ერთეულია $1 \text{ J/g} \cdot ^{\circ}\text{C}$;
- m მასისა და C კუთრი სითბოტევადობის სხეულის ტემპერატურის t_1 -დან t_2 -მდე გასაზრდელად საჭირო სითბოს რაოდენობა გამოითვლება ფორმულით: $Q = cm(t_2 - t_1)$;
- t_2 -დან t_1 -მდე გაცივებისას სხეული იმდენივე სითბოს რაოდენობას გამოყოფს, რაც მიიღო t_1 -დან t_2 -მდე გათბობისას;
- როდესაც სხეული სითბოს რაოდენობას იღებს, მისი შინაგანი ენერგია იზრდება და სითბოს რაოდენობა დადებითია. როდესაც სხეული სითბოს რაოდენობას გასცემს, მისი შინაგანი ენერგია მცირდება და სითბოს რაოდენობა უარყოფითია;
- სხეულის მასისა და მისი კუთრი სითბოტევადობის ნამრავლს სხეულის სითბოტევადობა ეწოდება, $C = cm$. სითბოტევადობა სხეულის მახასიათებელი სიდიდეა. მისი ერთეულია $1 \text{ J}/^{\circ}\text{C}$.

საკონტროლო კითხვები:

1. რისი პროპორციულია მოცემული ნივთიერების ტემპერატურის ერთნაირად ზრდისას გადაცემული სითბოს რაოდენობა?
2. რისი პროპორციულია მოცემულ სხეულზე გადაცემული სითბოს რაოდენობა?
3. რას ნიშნავს, რომ წყლის კუთრი სითბოტევადობა $4200 \text{ J/g} \cdot ^{\circ}\text{C}$ -ია?
4. გაზეურაზე ერთნაირი ალით აცხელებენ 1 kg წყალს და 1 kg რკინას. რომლის ტემპერატურა მოიმატებს უფრო სწრაფად? რატომ?
5. შენობას აქვს ერთნაირი ბეტონით ნაგები პატარა და დიდი კედელი, რომლის სითბოტევადობაა მეტი? კუთრი სითბოტევადობა?
6. წყალმა 20°C -დან 70°C -მდე გაცხელებისას 210000 J სითბო მიიღო. სითბოს რა რაოდენობას გამოყოფს ის 70°C -დან 20°C -მდე გაცივებისას? 70°C -დან 45°C -მდე გაცივებისას?



ერთად ამოვხსნათ ამოცანა

1000 $\text{J/g} \cdot ^{\circ}\text{C}$ კუთრი სითბოტევადობისა და 20 kg მასის სხეულის ტემპერატურამ Q სითბოს რაოდენობის გადაცემის შემდეგ 20°C -ით მოიმატა. რისი ტოლი გახდება $500 \text{ J/g} \cdot ^{\circ}\text{C}$ კუთრი სითბოტევადობის მქონე, 10 kg მასისა და 10°C ტემპერატურის სხეულის საბოლოო ტემპერატურა, თუ მას იმავე Q სითბოს რაოდენობას გადავცემთ?

მოც:

$$c_1 = 1000 \text{ J/g} \cdot ^{\circ}\text{C};$$
$$m_1 = 20 \text{ kg};$$
$$\Delta t_1 = 20^{\circ}\text{C};$$
$$c_2 = 500 \text{ J/g} \cdot ^{\circ}\text{C};$$
$$m_2 = 10 \text{ kg};$$
$$t_2 = 10^{\circ}\text{C}.$$
$$\Sigma \cdot \Delta t_3.$$

ამოხსნა:

ჯერ გამოვთვალით პირველ სხეულზე გადაცემული Q სითბოს რაოდენობა: $Q = c_1 \cdot m_1 \cdot \Delta t_1 = 1000 \cdot 20 \cdot 20 = 4 \cdot 10^5 \text{ J}$.


ვინაიდან მეორე სხეულს იგივე სითბოს რაოდენობა გადაეცემა, შეგვიძლია დავწეროთ: $Q = c_2 \cdot m_2 \cdot (t_3 - t_2)$. რიცხვითი მნიშვნელობების შეტანით მივიღებთ: $t_3 = 90^{\circ}\text{C}$.

პასუხი: მეორე სხეული გათბება 90°C ტემპერატურამდე.



ამოხსენით ამოცანები:

- განსაზღვრეთ **5** კგ მასის წყალზე გადაცემული სითბოს რაოდენობა, თუ იგი 15°C -დან 95°C -მდე გათბა.
- განსაზღვრეთ ყინულის მასა, თუ მისი -40°C -დან 0°C -მდე გასათბობად **252** კჯ სითბოს რაოდენობაა საჭირო.
- 5** კგ მასის სპილენძის საწონის 20°C -დან 30°C -მდე გასათბობად **19** კჯ სითბოს რაოდენობაა საჭირო. ამ მონაცემებით გასაზღვრეთ სპილენძის კუთრი სითბოტევადობა.
- განსაზღვრეთ **8** კგ მასის ალუმინის სხეულის სითბოტევადობა.
- რა ტემპერატურამდე იყო გახურებული **5** კგ მასის ტყვიის ნაჭერი, თუ **120** კჯ სითბოს რაოდენობის გაცემის შემდეგ მისი ტემპერატურა 25°C -გახდა?
- რისი ტოლი გახდება 20°C -სანყისი ტემპერატურისა და $C = 1000 \text{ J}^{\circ}\text{C}$ სითბოტევადობის მქონე სხეულის საბოლოო ტემპერატურა, თუ მას **60** კჯ სითბოს რაოდენობას გადავცემთ?
- 12** კჯ კინეტიკური ენერგიის მქონე **1** კგ მასის ტყვიის ბურთულა ეჯახება მიწის გროვას და რჩება მასში (სურ. 3. 53). რამდენი გრადუსით გათბება ბურთულა, თუ მისი კინეტიკური ენერგიის **50%** ბურთულის გათბობას მოხმარდა.



სურ. 3.53


- 40 მ/წმ სიჩქარით მოძრავი კალის წვრილი ბურთულა ხვდება ხეს და რჩება მასში. განსაზღვრეთ მისი ტემპერატურის ნამატი, თუ შეჯახებისას გამოყოფილი სითბოს რაოდენობა მთლიანად კალის გათბობას მოხმარდა.
- 6,9** კმ სიმაღლიდან ვარდნას იწყებს ალუმინის ბურთულა, ეცემა მიწას და რჩება მასში. განსაზღვრეთ ბურთულის ტემპერატურის ნამატი, თუ მისი მექანიკური ენერგიის ნახევარი მის გათბობას მოხმარდა.
- რკინის ძელაკს მიასრიალებნ ჰორიზონტალურ ზედაპირზე, მისი პარალელური ძალის მოქმედებით (სურ. 3.54). განსაზღვრეთ, რამდენი გრადუსით გათბება ძელაკი **920** მ მანძილზე სრიალისას, თუ ხახუნის კოეფიციენტი ძელაკსა და ზედაპირს შორის **0,4**-ია. მიიჩნიეთ, რომ ხახუნის შედეგად გამოყოფილი სითბოს რაოდენობა მთლიანად ძელაკის გათბობას მოხმარდა.



სურ. 3.54

§ 3. 8 სითბური პალანსის განტოლება (ლაბორატორიული სამუშაო)

სითბური პროცესების შესწავლისას ხშირად იყენებენ ხელსაწყოს, რომელსაც კალორიმეტრი ეწოდება. კალორიმეტრი მოწყობილია შემდეგნაირად: ჭიქის ფორმის ლითონის ჭურჭელში ჩადგმულია ისეთივე მცირე ზომის მეორე ჭურჭელი, რომელიც დევს პლასტმასის ქვესადგამზე. ჭურჭლები დახურულია და ერთმანეთისაგან გამოყოფილია ჰაერის ფენით (სურ. 3.55). ჰაერისა და პლასტმასის ცუდი თბოგამტარობის გამო შიდა ჭურჭელში მოთავსებული სხეულის სითბოცვლა გარემოსთან მინიმუმამდეა დაყვანილი. ეს საშუალებას იძლევა, რომ კალორიმეტრში მიმდინარე სითბოცვლის პროცესი თითქმის თბოიზოლირებული იყოს.



სურ. 3.55

ლაბორატორიული სამუშაო

სამუშაოს მიზანი: ენერგიის შენახვის კანონის შემოწმება სითბური პროცესებისას.

სამუშაოს საჭიროა: კალორიმეტრი, მენზურა, თერმომეტრი, კოლბა.

სამუშაოს მსვლელობა:

- სამუშაო რვეულში წინასწარ დახაზეთ ცხრილი, რომლის ნიმუში ქვემოთაა მოცემული;
 - ჩასხით კალორიმეტრში 150 მლ ცხელი წყალი, ხოლო კოლბაში – ამდენივე ცივი წყალი;
 - თერმომეტრით გაზომეთ ცივი წყლის ტემპერატურა და ჩანერეთ ცხრილში;
 - ჩასხმიდან 2-3 წუთის შემდეგ კალორიმეტრში გაზომეთ ცხელი წყლის ტემპერატურა და ჩანერეთ ცხრილში;
 - ჩასხით კოლბიდან ცივი წყალი კალორიმეტრში;
 - კალორიმეტრში მიღებულ ნარევს ფრთხილად მოურიეთ თერმომეტრით და გაზომეთ მისი საბოლოო ტემპერატურა. მიღებული შედეგი ჩანერეთ ცხრილში;
 - გამოთვალეთ ცივი და ცხელი წყლის მასები: m_1 და m_2 ($\rho_{\text{წ}} = 1 \text{ г/см}^3$, $1 \text{ мл} = 1 \text{ см}^3$).

წყლის მასა, კგ		წყლის ტემპერატურა, $^{\circ}\text{C}$		ნარევის საბოლოო ტემპერატურა t_3	სითბოს რაოდენობა, ჯ	
ცივი m_1	ცხელი m_2	ცივი t_1	ცხელი t_2		მიღებული Q_1	გაცემული Q_2
		6 0 8 6	8 0 1 9	8 1 5 0 1 0 !		

- $Q_1 = cm_1(t_3 - t_1)$ ფორმულით გამოთვალეთ სითბოს რაოდენობა, რომელიც მიიღო ცივმა წყალმა და ჩანერეთ ცხრილში;

- $Q_2 = cm_2(t_3 - t_2)$ ფორმულით გამოთვალეთ სითბოს რაოდენობა, რომელიც გასცა ცხელმა წყალმა და ჩანერეთ ცხრილში:
- შეადარეთ ერთმანეთს მიღებული და გაცემული სითბოს რაოდენობების მოდულები და გამოიტანეთ დასკვნა.

სამუშაოს მსვლელობისას გვქონდა სხეულთა სისტემა – ცხელი და ცივი წყალი, რომელიც სხვა სხეულებიდან არც იღებდა და არც გასცემდა ენერგიას. ასეთ სისტემას იზოლირებული სისტემა ეწოდება. სისტემაში შემავალ სხეულთა შინაგანი ენერგიის შემცირება ან გაზრდა განპირობებული იყო მხოლოდ თბოგადაცემით: ცხელი წყლიდან ცივზე თბოგადაცემამ ცხელი წყლის შინაგანი ენერგია შეამცირა, ხოლო ცივი წყლისა – გაზარდა. ლაბორატორიული სამუშაოს ჩატარების შედეგიდან დაინახავთ, რომ ცივი წყლის მიერ მიღებული სითბოს რაოდენობა დაახლოებით ცხელი წყლის მიერ გაცემული სითბოს რაოდენობის ტოლია, რაც ენერგიის მუდმივობის კანონის დადასტურებაა (დაახლოებითი ტოლობა გამოწვეულია იმით, რომ კალორიმეტრიც მონაწილეობს სითბოცვლაში. ამიტომ ცდის დროს კალორიმეტრის სითბოტევადობა ბევრად ნაკლები უნდა იყოს ცივი და ცხელი წყლის სითბოტევადობებთან შედარებით). ვინაიდან Q_1 და Q_2 სითბოს რაოდენობები მოდულით ტოლია და საპირისპირ ნიშნები აქვს, ამიტომ $Q_1 + Q_2 = 0$.

განვაზოგადოთ მიღებული შედეგი. ვთქვათ, თბოიზოლირებულ სისტემაში თბოგადაცემის პროცესში მონაწილეობს $(m + K)$ რაოდენობის სხეული, რომელთაგან m რაოდენობის სხეული გასცემს სითბოს, K რაოდენობისა კი იღებს მას. გავიხსენოთ, რომ როდესაც სხეული იღებს სითბოს, სითბოს რაოდენობა დადებითია, ხოლო როდესაც სხეული გასცემს სითბოს, სითბოს რაოდენობა უარყოფითია. რადგან მიღებული და გაცემული სითბოს რაოდენობის მოდულები ტოლია, ამიტომ

$$Q_1^- + Q_2^- + \dots + Q_m^- + Q_1^+ + Q_2^+ + \dots + Q_k^+ = 0$$

რომელშიც Q^- -ით გაცემული სითბოს რაოდენობაა აღნიშნული, Q^+ -ით კი – მიღებული.

ამრიგად, თუ იზოლირებულ სისტემაში შემავალ სხეულთა შინაგანი ენერგიები იცვლება მხოლოდ თბოგადაცემით, მათ მიერ გაცემული და მიღებული სითბოს რაოდენობების ჯამი ნულის ტოლია.

თუ იზოლირებულ სისტემაში n რაოდენობის სხეულია, მაშინ

$$Q_1 + Q_2 + Q_3 + \dots + Q_n = 0$$

ამ ფორმულას სითბური ბალანსის განტოლება ეწოდება.

დასკვნები:

- კალორიმეტრი – ხელსაწყო, რომელშიც მოთავსებულ სხეულებს შორის მიმდინარე სითბოცვლა გარემოსაგან თბოიზოლირებულია;
- თბოიზოლირებული სისტემის სხეულებს შორის სითბოცვლისას, როცა მათი შინაგანი ენერგია მხოლოდ თბოგადაცემით იცვლება, გაცემული სითბოს რაოდენობების ჯამი მოდულით მიღებული სითბოს რაოდენობების ჯამის ტოლია;
- თბოიზოლირებულ სისტემაში შემავალი ყველა სხეულის მიერ მიღებული და გაცემული სითბოს რაოდენობების ჯამი ნულის ტოლია: $Q_1 + Q_2 + Q_3 + \dots + Q_n = 0$

საკონტროლო კითხვები:

- რატომაა კალორიმეტრის შიდა ჭურჭელი გარეშე სხეულებისაგან თითქმის თბო-იზოლირებული?
- თუ ქარხნულად დამზადებული კალორიმეტრი არ გაქვთ, როგორ დაამზადებთ მას ლაბორატორიულ პირობებში?
- შეიცვლებოდა თუ არა ცდის შედეგი, კალორიმეტრში ჯერ ცივი წყალი რომ ჩაგვესხა და მასზე კოლბიდან დაგვემატებინა ცხელი წყალი?
- რატომ უნდა გავზომოთ ნარევის საბოლოო ტემპერატურა მორქვის შემდეგ?
- თუ ჩატარებულ ცდაში ცხელი წყლის მიერ გაცემული სითბოს რაოდენობა 8400 ჯ-ია, რისი ტოლი იქნება ცივი წყლის მიერ მიღებული სითბოს რაოდენობა?
- რა პირობები უნდა შესრულდეს იმისათვის, რომ სითბური ბალანსის განტოლება მართებული იყოს?

გაუფური მუშაობა

სამუშაოს მიზანი: უცნობი ნივთიერებისაგან დამზადებული სხეულის კუთრი სითბო-ტევადობის განსაზღვრა.

სამუშაოსთვის საჭიროა: სასწორი, კალორიმეტრი, მენზურა, წყალი, თერმომეტრი, უცნობი ნივთიერებისაგან დამზადებული სხეული, პინცეტი, სპირტქურა ან ელექტრო-ქურა და ლითონის თასი.

სამუშაოს მსვლელობა: კალორიმეტრში მენზურით ჩაასხით 100 მლ მოცულობის ცივი წყალი და ჩაუშვით მასში თერმომეტრი. თერმომეტრის ჩვენება ჩაინიშნეთ რვეულში. სასწორით გაზომეთ უცნობი ნივთიერებისაგან დამზადებული სხეულის მასა, ჩაუშვით სხეული წყლიან ლითონის თასში და დადგით ანთებულ სპირტქურაზე. როდესაც თასში წყალი ადულდება, მასში ჩაშვებული სხეულის ტემპერატურა 100°C იქნება. პინცეტით ამოიღეთ სხეული თასიდან და ჩაუშვით კალორიმეტრში. დააკვირდით კალორიმეტრში ჩაშვებული თერმომეტრის ჩვენებას და ჩაინიშნეთ იმ მომენტში, როდესაც საბოლოო ტემპერატურა დამყარდება. მიღებული მონაცემებით განსაზღვრეთ უცნობი ნივთიერებისაგან დამზადებული სხეულის კუთრი სითბოტევადობა.

ერთად ამოვხსნათ ამოცანა

1000 ჯ/კგ $^{\circ}\text{C}$ კუთრი სითბოტევადობისა და 10 კგ მასის სხეულის ტემპერატურა 80°C -ია. იგი ჩაუშვეს $4000 \frac{\text{ჯ}}{\text{კგ}} \frac{^{\circ}\text{C}}$ კუთრი სითბოტევადობის მქონე 20°C ტემპერატურისა და 40 კგ მასის სითხეში. განსაზღვრეთ მათი ტემპერატურა სითბური ნონასწორობის დამყარების შემდეგ. სითბურ დანაკარგებს ნუ გაითვალისწინებთ.

ამოხსნა:

თუ დავაკვირდებით სხეულისა და სითხის საწყის ტემპერატურებს მივხდებით, რომ სხეული გაცივდება, სითხე კი გათბება. ცხადია, რომ საბოლოო θ ტემპერატურა მეტი იქნება 20°C -ზე და ნაკლები 80°C -ზე. სითბოს რაოდენობა, რომელსაც სითხე მიიღებს ტოლი იქნება: $Q_2 = c_2 m_2 (\theta - t_2)$. სითბოს რაოდენობა, რომელსაც სხეული გასცემს $Q_1 = c_1 m_1 (\theta - t_1)$. Q_1 გაცემული სითბოა, იგი უარყოფითია, რადგან $\theta < t_1$, ხოლო Q_2 მიღებული სითბოა. რადგან $\theta > t_2$, იგი დადებითა. სითბური ბალანსის განტოლების თანახმად $Q_1 + Q_2 = 0$. $c_1 m_1 (\theta - t_1) + c_2 m_2 (\theta - t_2) = 0$. გავხსნათ ფრჩხილები:

$$\begin{aligned} \text{მოც.:} \\ c_1 = 1000 \frac{\text{ჯ}}{\text{კგ}} \frac{^{\circ}\text{C}}{}; \\ m_1 = 10 \text{ კგ}; \\ t_1 = 80^{\circ}\text{C}; \\ c_2 = 4000 \frac{\text{ჯ}}{\text{კგ}} \frac{^{\circ}\text{C}}{}; \\ m_2 = 40 \text{ კგ}; \\ t_2 = 20^{\circ}\text{C}. \\ \text{უ.გ. } \theta. \end{aligned}$$

$$c_1m_1\theta - c_1m_1t_1 + c_2m_2\theta - c_2m_2t_2 = 0 \Leftrightarrow c_1m_1\theta + c_2m_2\theta = c_1m_1t_1 + c_2m_2t_2 \Leftrightarrow \theta (c_1 \cdot m_1 + c_2 \cdot m_2) = \\ = c_1m_1t_1 + c_2m_2t_2 \Rightarrow \theta = \frac{(c_1m_1t_1 + c_2m_2t_2)}{(c_1m_1 + c_2m_2)}. \text{ რიცხვითი მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ: } \\ \theta = 32^{\circ}\text{C}.$$



ამოხსენით ამოცანები:

1. 5 კგ მასისა და 30°C ტემპერატურის წყალში ჩაასხეს 7 კგ მასისა და 60°C ტემპერატურის წყალი. განსაზღვრეთ ნარევის საბოლოო ტემპერატურა. სითბურ დანაკარგებს ნუ გაითვალისწინებთ.

2. $100 \text{ J/g}^{\circ}\text{C}$ სითბოტევადობისა და 25°C ტემპერატურის სხეული ჩაუშვეს $150 \text{ J/g}^{\circ}\text{C}$ სითბოტევადობისა და 75°C ტემპერატურის სითხეში. განსაზღვრეთ მათი ტემპერატურა სითბური წონასწორობის დამყარების შემდეგ. სითბურ დანაკარგებს ნუ გაითვალისწინებთ.

3. განსაზღვრეთ, რა ტემპერატურამდე იყო გახურებული 2 კგ მასის ალუმინის საწონი, თუ მისი $4,6$ კგ მასისა და 28°C ტემპერატურის წყალში ჩაუშვების შემდეგ დამყარდა 30°C საბოლოო ტემპერატურა. სითბურ დანაკარგებს ნუ გაითვალისწინებთ.

4. 500°C ტემპერატურის სპილენძის საწონი ჩაუშვეს მასზე ორჯერ მეტი მასის წყალში. განსაზღვრეთ წყლის საწყისი ტემპერატურა, თუ სითბური წონასწორობის დამყარების შემდეგ მათი ტემპერატურა 80°C გახდა. სითბურ დანაკარგებს ნუ გაითვალისწინებთ.

5. 200 J ტევადობის კასრი გაავსეს 40°C ტემპერატურის მქონე თბილი და 60°C ტემპერატურის მქონე ცხელი წყლით. განსაზღვრეთ თბილი და ცხელი წყლის მასა-თა შეფარდება, თუ ნარევის საბოლოო ტემპერატურა 48°C აღმოჩნდა. წყლის სითბურ დანაკარგებს ნუ გაითვალისწინებთ.

6. 120°C ტემპერატურის მქონე სხეული ჩაუშვეს 40°C ტემპერატურის სითხეში. განსაზღვრეთ სხეულისა და სითხის სითბოტევადობების შეფარდება, თუ სითბური წონასწორობის დამყარების შემდეგ მათი ტემპერატურა 70°C გახდა. სითბურ დანაკარგებს ნუ გაითვალისწინებთ.

7. C სითბოტევადობის მქონე სითხეში ჩაუშვეს 3C სითბოტევადობის მქონე 60°C -იანი ბურთულა და 4C სითბოტევადობის მქონე 90°C -იანი კუბიკი. განსაზღვრეთ სითხის საწყისი ტემპერატურა, თუ სითბური წონასწორობის დამყარების შემდეგ მათი ტემპერატურა $72,5^{\circ}\text{C}$ გახდა. სითბურ დანაკარგებს ნუ გაითვალისწინებთ.

8. 1 კგ მასის ალუმინის ქვაბისა და მასში ჩასხმული $9,2$ კგ მასის წყლის ტემპერატურა 15°C -ია. წყალში ჩაუშვეს 10 კგ მასისა და 121°C ტემპერატურის მქონე ალუმინის ბურთულა. განსაზღვრეთ მათი ტემპერატურა სითბური წონასწორობის დამყარების შემდეგ. სითბურ დანაკარგებს ნუ გაითვალისწინებთ.

9. 1 კგ მასისის სპილენძის ქვაბისა და მასში ჩასხმული $3,8 \text{ J}$ მოცულობის წყლის ტემპერატურა 40°C . რა ტემპერატურის 2 კგ მასის სპილენძის სხეული უნდა ჩავუშვათ წყალში, რომ სითბური წონასწორობის დამყარების შემდეგ ტემპერატურა 50°C გახდეს? სითბურ დანაკარგებს ნუ გაითვალისწინებთ.

10. 10°C ტემპერატურის მქონე წყალში 40°C -იანი ერთი ბურთულის ჩაშვების შემდეგ საბოლოო ტემპერატურა 30°C გახდა. რისი ტოლი იქნებოდა საბოლოო ტემპერატურა იმ შემთხვევაში, თუ იმავე წყალში ერთის ნაცვლად 7 ისეთივე ბურთულას ჩავუშვებდით? სითბურ დანაკარგებს ნუ გაითვალისწინებთ.

§ 3.9 საწვავის წვის კუთრი სითბო

თანამედროვე ადამიანის ცხოვრება წარმოუდგენელია ელექტროგანათების, სხვა-დასხვა ხელსაწყოს, საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გარეშე. მათი მუშაობისათვის საჭიროა ენერგია, რომელსაც მეტწილად იღებენ ქიმიური რეაქციის – წვის შედეგად. რას წარმოადგენს წვის რეაქცია?

თქვენ იცით, რომ მოლეკულა შედეგება ატომებისაგან. იგი საკმაოდ მდგრადი სისტემაა და ამიტომ ატომებად დასაშლელად საჭიროა ენერგიის დახარჯვა. სამაგიეროდ, ატომებისაგან მოლეკულის წარმოქმნისას ენერგია გამოიყოფა. მაგალითად, ნახშირბადი, რომელიც მრავალი ნივთიერების შედეგენილობაში შედის, უანგბადის ორი ატომის მიერთებისას წარმოქმნის ნახშირორჟანგის მოლეკულას (CO_2). სწორედ ამ პროცესში გამოიყოფა სითბო.

ცხადია, რომ სხვადასხვა ნივთიერების წვისას განსხვავებული სითბოს რაოდენობა გამოიყოფა. **მაღალი სითბონარმომქმნელი უნარის მქონე ნივთიერებებს საწვავს უნდებენ.**

დღესდღეობით კაცობრიობა საწვავად, ძირითადად, იყენებს სასარგებლო წიაღი-სეულს: ქვანახშირს, ტორფს, ნავთობპროდუქტებს (ბენზინი, დიზელის საწვავი, მაზუთი), ბუნებრივ აირს და სხვ. წვის შედეგად ისინი გამოიყოფს სითბურ ენერგიას. სასარგებლო წიაღისეულში „შენახულია“ მზის გამოსხივების ენერგია, რომელიც ძალიან დიდი ხნის წინ შთანთქა ამ წიაღისეულის წარმომქმნელმა მცენარეებმა.

საწვავი შეიძლება იყოს: მყარი (ქვანახშირი, შეშა, ტორფი), თხევადი (ბენზინი, მაზუთი, დიზელის საწვავი, ნავთი, სპირტი), აირადი (მეთანი, პროპანი, აცეტილენი).

სითბური პროცესების რაოდენობრივი აღწერისათვის საჭიროა ვიცოდეთ, სითბოს რა რაოდენობა გამოიყოფა საწვავის დაწვის შედეგად. ამისათვის, პირველ რიგში, უნდა განვსაზღვროთ სითბოს რაოდენობა, რომელიც გამოიყოფა 1 კგ საწვავის დაწვისას. ეს სი-დიდე სხვადასხვა საწვავისათვის ნაპოვნია ექსპერიმენტულად. მაგალითად, 1 კგ მშრალი შეშის დაწვისას გამოიყოფა დაახლოებით 10000 კჯ სითბოს რაოდენობა. შესაბამისად, 2 კგ-ის დაწვისას გამოიყოფა 2-ჯერ მეტი: $2 \cdot 10000 \text{ კჯ} = 20000 \text{ კჯ}$, ხოლო რაიმე მ კილო-გრამის დაწვისას – მ-ჯერ მეტი.

სიდიდეს, რომელიც გვიჩვენებს 1 კგ მასის საწვავის დაწვისას გამოიყოლ სითბოს რაოდენობას, საწვავის წვის კუთრი სითბოს უნდებენ.

საწვავის წვის კუთრი სითბოს აღნიშნავენ **q** ასოთი.


თუ **m** კგ მასის საწვავის დაწვისას გამოიყოლ სითბოს რაოდენობას აღვნიშნავთ **Q**-თი, მაშინ

$$Q = qm$$

ამ ფორმულიდან ჩანს, რომ **SI-ში საწვავის წვის კუთრი სითბოს განზომილებაა ჯ/კგ.**

როგორ დავადგინოთ საწვავის, ვთქვათ, სპირტის წვის კუთრი სითბოს რიცხვითი მნიშვნელობა ცდით? ამისათვის სასწორის მარცხენა პინაზე დავდოთ სპირტით სავსე სპირტქურა. სპირტქურის ზემოთ დავკიდოთ ჭურჭელი, რომელშიც გარკვეული მასის წყალი ასხია. თერმომეტრით გავზომოთ მისი საწყისი ტემპერატურა. სასწორი გავაწონა-სწოროთ. შემდეგ მარცხენა პინაზე დავამატოთ 1 გ მასის საწონი. სასწორის წონასწორობა დაირღვევა (სურ. 56 ა). ავანთოთ სპირტქურა. სპირტის დაწვის შედეგად მისი მასა დაიწყებს შემცირებას, ამიტომ გარკვეული დროის შემდეგ სასწორის წონასწორობა აღდგება, რაც ნიშნავს, რომ დაიწვა 1 გ მასის სპირტი (სურ. 56 ბ). ჩავაქროთ სპირტქურა და გავზომოთ წყლის საბოლოო ტემპერატურა. $Q_1 = cm(t_2 - t_1)$ ფორმულით გამოვთვალით წყლის მიერ მიღებული სითბოს რაოდენობა (ამ ფორმულაში **C** წყლის კუთრი სითბოტე-

ვადობაა, m – წყლის მასა, t_1 და t_2 – შესაბამისად, წყლის საწყისი და საბოლოო ტემპერატურებია). სპირტის დაწვის შედეგად გამოიყო $Q_2 = q \cdot 0,001$ სითბოს რაოდენობა. მივიწიოთ, რომ სითბოს ეს რაოდენობა მთლიანად გადაეცა წყალს, მაშინ $Q_1 = Q_2$, ანუ $cm(t_2 - t_1) = q \cdot 0,001$, საიდანაც გამოვითვლით სპირტის წვის კუთრ სითბოს – q -ს.




სურ. 3.56

თუ ცდას ნავთისთვის გავიმეორებთ, გამოვითვლით ნავთის წვის კუთრ სითბოს. საწვავის წვისათვის გამოიყენება სხვადასხვა სახურებელი: აგურის, თუნუქისა და თუჯის ღუმლები, გაზქურა, პრიმუსი, სპირტჭურა და სხვ. (სურ. 3.57), მაგრამ ყველაზე თანამედროვე სახურებლის გამოყენებითაც კი შეუძლებელია საწვავში „დაგროვებული“ ენერგიის სრულად გამოყენება. ამას ორი მიზეზი აქვს: რეალურ პირობებში არც ერთ საწვავს არ შეუძლია სრული დაწვა და წვის დროს გამოყოფილი ენერგიის გარკვეული ნაწილი „უსარგებლოდ“ იკარგება, იხარჯება გარემოს გათბობაზე, იფანტება წვის პროდუქტებთან ერთად და ა.შ. მაგალითად, გაზქურაზე ჩაიდნით წყლის გაცხელებისას, სასარგებლოა მხოლოდ წყლის გათბობაზე დახარჯული სითბოს რაოდენობა, ხოლო მასთან ერთად ჩაიდნისა და გარემოს გათბობაზე დახარჯული სითბოს რაოდენობა კი – სრული. ამიტომ ყველა სახურებელს გააჩნია თავისი მარგი ქმედების კოეფიციენტი:

$$\eta = \frac{Q_{\text{სას}}}{Q_{\text{სრ}}} \cdot 100\%$$

რომელშიც $Q_{\text{სას}}$ სასარგებლოდ გამოყენებული სითბოს რაოდენობაა, $Q_{\text{სრ}}$ – სრული სითბოს რაოდენობა, რომელიც გამოიყოფა საწვავის დაწვისას.



სურ. 3.57

ცხრილში მოყვანილია ზოგიერთი საწვავის წვის კუთრი სითბო

ნივთიერება	q, მგჯ/კგ	ნივთიერება	q, მგჯ/კგ
დენთი	3,8	ხის ნახშირი	34
მშრალი შეშა	10	ბუნებრივი აირი	44
ტუფი	14	ნავთობი	44
ქვანახშირი	27	ბენზინი	46
სპირტი	27	ნავთი	46
ანტრაციტი	38	წყალბადი	120

დასკვნები:

- საწვავის წვა ქიმიური რეაქციაა, რომლის დროსაც გამოიყოფა სითბოს რაოდენობა;
- სიდიდეს, რომელიც გვიჩვენებს 1 კგ მასის საწვავის დაწვისას გამოყოლ სითბოს რაოდენობას, საწვავის წვის კუთრ სითბოს უნიდებენ და აღნიშნავენ q-თი;
- საწვავის წვის კუთრი სითბოს იზომება $\frac{q}{q_m}$ -ში;
- m მასის საწვავის დაწვისას გამოიყოფა $Q = qm$ სითბოს რაოდენობა;
- სახურებლის მარგი ქმედების კოეფიციენტი გამოითვლება ფორმულით:

$$\eta = \frac{Q_{\text{ხას}}}{Q_{\text{სრ}}} \cdot 100\%.$$

საკონტროლო კითხვები:

1. რატომ გამოიყოფა ენერგია საწვავის წვისას?
2. როგორი სახის საწვავი არსებობს?
3. რატომაა საჭირო ვიცოდეთ 1 კგ მასის საწვავის დაწვისას გამოყოლილი სითბოს რაოდენობა?
4. რას ნიშნავს, რომ ბენზინის წვის კუთრი სითბო 46 მგჯ/კგ-ია?
5. როგორ შეიძლება საწვავის წვის კუთრი სითბოს დადგენა?
6. რას უნიდებენ სახურებელს?
7. რატომაა სახურებლის მარგი ქმედების კოეფიციენტი 100%-ზე ნაკლები?



ერთად ამოვხსნათ ამოცანა

სპირტქურის ალზე აცხელებენ $3000 \text{ J/g}^{\circ}\text{C}$ კუთრი სითბოტევადობის მქონე სხეულს, რომლის ტემპერატურა 20°C -ია. 200 g მასის სპირტის დაწვის შემდეგ სხეულის ტემპერატურა 320°C გახდა. განსაზღვრეთ: ა) სხეულის მასა; ბ) სხეულის ტემპერატურა კიდევ 100 g მასის სპირტის დაწვის შემდეგ. მიიჩნიეთ, რომ სპირტის დაწვის დროს გამოყოფილი სითბოს რაოდენობის ნახევარი სხეულს გადაეცემა.

ამოხსნა:

მოც:
 $c=3000 \text{ J/g}^{\circ}\text{C}$;
 $t_1=20^{\circ}\text{C}$;
 $t_2=320^{\circ}\text{C}$;
 $q=27\cdot10^6 \text{ J/g}$;
 $m_1=200 \text{ g}$;
 $m_2=100 \text{ g}$;
უ.გ. m , t_3 .


ა) გამოვთვალოთ $m_1=200 \text{ g}$ მასის სპირტის დაწვისას გამოყოფილი სითბოს რაოდენობა: $Q_1=qm_1=27\cdot10^6\cdot0,2=54\cdot10^5 \text{ (J)}$. სხეულის 20°C -დან 320°C -მდე გასათბობად საჭირო სითბოს რაოდენობა: $Q_2=cm(t_2-t_1)=3000\cdot m\cdot 300=9\cdot10^5\cdot m$. ამოცანის პირობის თანახმად $Q_2=\frac{Q_1}{2} \Rightarrow Q_1=2Q_2$. ე.ო. $54\cdot10^5=2\cdot9\cdot10^5\cdot m \Rightarrow m=3 \text{ g}$.

ბ) 100 g მასის სპირტის დაწვის დროს გამოყოფა $Q_1=qm_2$ სითბოს რაოდენობა. მისი ნახევარი ხმარდება სხეულის t_2 -დან t_3 -მდე გათბობას, ამიტომ $qm_2=2\cdot cm(t_3-t_2)$. რიცხვითი მნიშვნელობების შეტანით მივიღებთ: $t_3-t_2=150^{\circ}\text{C}$, აქედან $t_3=470^{\circ}\text{C}$.



ამოხსენით ამოცანები:

1. განსაზღვრეთ 3 kg მასის ბენზინის დაწვისას გამოყოფილი სითბოს რაოდენობა.
2. რა მასის სპირტი უნდა დაიწვას, რომ გამოიყო $54\cdot10^6 \text{ J}$ სითბოს რაოდენობა?
3. რა მასის ნავთი უნდა დაიწვას, რომ გამოიყო იმდენივე სითბოს რაოდენობა, რამდენიც გამოიყოფა 460 kg მასის მშრალი შეშის დაწვისას?
4. რამდენით გაიზრდება 50 kg მასის ფოლადის სხეულის ტემპერატურა, თუ მას სრულად გადაეცემა $0,2 \text{ kg}$ მასის ნავთის დაწვისას გამოყოფილი სითბოს რაოდენობა?
5. სურ. 3.58-ზე გამოსახული ორი ერთნაირი ღუმლიდან რომლის მარგი ქმედების კოეფიციენტი იქნება უფრო მეტი? პასუხი დაასაბუთეთ.
6. განსაზღვრეთ 20°C ტემპერატურის მქონე 10 kg მასის სპილენძის სხეულის საბოლოო ტემპერატურა, თუ მას მთლიანად გადაეცა 50 g მასის ანტრაციტის დაწვისას გამოყოფილი სითბოს რაოდენობა.
7. განსაზღვრეთ სპირტქურის მარგი ქმედების კოეფიციენტი, თუ მასზე $10,8 \text{ kg}$ მასის 100°C -ით გაცხელებას 100 g მასის სპირტის დაწვა დასჭირდა.



სურ. 3.58

8. 15°C ტემპერატურის მქონე სამი 6 cm^3 კილოგრამიანი აგური დევს ღუმელზე. რისი ტოლი გახდება აგურების ტემპერატურა, თუ ღუმელში 500 g გრამი მასის ქვანახშირს დავწვავთ? მიიჩნიეთ, რომ ქვანახშირის დაწვისას გამოყოფილი სითბოს რაოდენობის 20% აგურების გათბობას ხმარდა.
9. $14,5 \text{ kg}$ მასის წყალი 2 kg მასის თუჯის ქვაბით დადგმულია შეშის ღუმელზე. წყლისა და ქვაბის ტემპერატურა 20°C -ია. რისი ტოლი გახდება წყლის ტემპერატურა $1,55 \text{ kg}$ მასის მშრალი შეშის დაწვის შემდეგ, თუ გამოყოფილი სითბოს რაოდენობის 20% წყლისა და ქვაბის გათბობას მოხმარდა?

10. 4 kg -იან ალუმინის ქვაბში ასხია $18,4 \text{ dm}^3$ მოცულობის წყალი. ქვაბი დადგეს ნავთქურაზე. განსაზღვრეთ 200 ml ნავთს დაწვისას გამოყოფილი ენერგიის რა ნაწილი მოხმარდა წყლისა და ქვაბის გათბობას, თუ მათი ტემპერატურა 30°C -ით გაიზარდა.

§ 3. 10 დნობა და გამყარება

როგორც ცნობილია, ერთი და იგივე ნივთიერება გარკვეულ პირობებში შეიძლება იყოს განსხვავებულ აგრეგატულ მდგომარეობაში – მყარში, თხევადში ან აირადში. ჩვეულებრივ პირობებში მინა, გრანიტი, რკინა მყარი სხეულებია; ნავთი, აცეტონი, ნაფალი – სითხეებია; აზოტი, ნაფალბაზი, უანგბაზი აირებია. ამავე დროს, ფიზიკური პირობების, კერძოდ, ტემპერატურის შეცვლამ, შეიძლება გამოიწვიოს ნივთიერების თვისებების ცვლილება: მყარი სხეულები გარდაიქმნას სითხეებად, ხოლო სითხეები – აირებად; და პირიქით, აირები გარდაიქმნას სითხეებად, ხოლო სითხეები – მყარ სხეულებად.

ბუნებაში ნივთიერებათა აგრეგატული მდგომარეობების შეცვლა უწყვეტად მიმდინარეობს. მაგალითად, ოკეანეების, ზღვების, ტბებისა და მდინარეების ზედაპირიდან მუდმივად ორთქლდება წყალი, წყლის ორთქლის გაცივებისას წარმოიქმნება ღრუბლები, ნამი, ნისლი, წვიმა. ზამთარში თოვს, ზოგიერთი მდინარე და ტბა იყინება, გაზაფხულზე კი თოვლი და ყინული დნება (სურ. 3.59).



სურ. 3. 59

აგრეგატული მდგომარეობის ცვლილებას ადამიანი ფართოდ იყენებს პრაქტიკაში. წყლის გაცხელებისას მიღებული ორთქლი გამოიყენება თბოელექტროსადგურებში ტურბინის დასატრიალებლად. გათხევადებულ აირს იყენებენ სამცივრო დანადგარებში. თხევადი აზოტი და ჰელიუმი ფართოდ გამოიყენება სამცნიერო ლაბორატორიებში.

იმისათვის, რომ ბუნებაში მიმდინარე პროცესები კარგად გავიგოთ და შევძლოთ ანალოგიური პროცესების მართვა, საჭიროა ვიციოდეთ, რა პირობებში გადადის ნივთიერება ერთი აგრეგატული მდგომარეობიდან მეორეში.

ჯერ განვიხილოთ ნივთიერების მყარი მდგომარეობიდან თხევად მდგომარეობაში, და პირიქით, თხევადიდან მყარში გადასვლის პროცესები. შევისწავლოთ ისინი ცდით:

 ჭიქაში მოვათავსოთ ყინულის ნაჭრები საყინულიდან. ჩავუშვათ ჭიქაში თერმომეტრი და გავზომოთ ყინულის ტემპერატურა. ვთქვათ, ის -20°C -ია. დავიწყოთ ყინულის გათბობა სახურებლით, რომელიც სითბოს რაოდენობას დროის მიხედვით თანაბრად გამოყოფს. ყინულის მოლეკულების კინეტიკური ენერგია და, შესაბამისად, ტემპერატურა დაინტებს ზრდას, ესე იგი, მოიმატებს ყინულის შინაგანი ენერგია.

დროის განმავლობაში ტემპერატურის ცვლილება გამოვსახოთ გრაფიკულად (სურ. 3.60). მასზე AB უბანი შეესაბამება ყინულის გათბობის პროცესს -20°C -დან 0°C -მდე. ვთქვათ, ამ დროს ყინულმა მიიღო Q, სითბოს რაოდენობა. 0°C -იანი ყინულისათვის სითბოს გადაცემის გაგრძელებისას მისი ტემპერატურა გარკვეული დროის განმავლობაში მუდმივი დარჩება (BC უბანი). დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ამ დროს ყინული თანდათან დნება და წარმოიქმნება წყალი. ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, სანამ ყინული მთლიანად გადნება.


ნივთიერების მყარი მდგომარეობიდან თხევად მდგომარეობაში გადასვლის პროცესს დნობა ეწოდება.

ტემპერატურას, რომელზეც ნივთიერება გადადის მყარი მდგომარეობიდან თხევადში, დნობის ტემპერატურა ეწოდება.

დავუშვათ, დნობის პროცესში ყინულის მიერ მიღებული სითბოს რაოდენობაა Q_2 . რაზე იხარჯება სითბოს ეს რაოდენობა, თუ ტემპერატურა უცვლელია?

გავიხსენოთ, რომ ყინულს კრისტალური აგებულება აქვს. რადგან დნობისას ტემპერატურა მუდმივი რჩება, ეს ნიშნავს, რომ მოლეკულების კინეტიკური ენერგია არ იზრდება. სახურებლიდან მიღებული სითბოს რაოდენობა ხმარდება ნაწილაკების ურთიერთქმედების პოტენციალური ენერგიის ზრდას და ნივთიერების კრისტალური მესრის დაშლას.

ვინაიდან სხვადასხვა მყარი ნივთიერების კრისტალურ მესერში ნაწილაკების ურთიერთქმედების ენერგია ერთმანეთისგან განსხვავდება, ამიტომ განსხვავებულია მათი დნობის ტემპერატურაც.



სურ. 3. 60

ცხრილში მოცემულია სხვადასხვა ნივთიერების დნობის ტემპერატურა, რომელიც დადგენილია ცდით:

ნივთიერება	დნობის ტემპერატურა t , $^{\circ}\text{C}$	ნივთიერება	დნობის ტემპერატურა t , $^{\circ}\text{C}$
ვოლფრამი	3387	ტყვია	327
პლატინა	1772	კალა	232
რკინა	1539	ყინული	0
ფოლადი	1500	ვერცხლისწყალი	-39
სპილენძი	1085	სპირტი	-114
ოქრო	1064	აზოტი	-210
ვერცხლი	962	ჟანგბადი	-219
ალუმინი	660	წყალბადი	-259

აქ მოცემული დნობის ტემპერატურები, გაზომილია ნორმალური ატმოსფერული წნევის პირობებში, რადგანაც უმეტესი ნივთიერებისათვის დნობის ტემპერატურა იზრდება წნევის ზრდისას. ყინულსა და წყალს ამ მხრივაც განსხვავებული თვისება აქვს – წნევის ზრდისას ყინულის დნობის ტემპერატურა მცირდება.

გავაგრძელოთ ჭიქაზე სითბოს გადაცემა. როგორც კი ყინული მთლიანად გადნება, წყლის ტემპერატურა ჭიქაში 0°C -დან დაიწყებს მატებას. ამ პროცესს გრაფიკზე CD უბანი შეესაბამება. ამ დროს წყლის მიერ მიღებული სითბოს რაოდენობა აღვნიშნოთ Q_3 -ით. ყველა განხილულ პროცესში ჯერ ყინული, შემდეგ კი წყალი სითბოს იღებდა.

გამოვრთოთ სახურებელი და ჭიქა შევდგათ საყინულები. პერიოდულად ვზომოთ ტემპერატურა და დავაკვირდეთ ნივთიერების მდგომარეობას. წყალი თანდათან გაცივდება 0°C -მდე – უბანი DE. ამ პროცესში ის გასცემს სითბოს რაოდენობას, რომელიც მოდულით Q_2 -ის ტოლია. შემდეგ ჭიქაში დაიწყება ყინულის წარმოქმნა, ანუ წყლის გამყარება – კრისტალიზაცია, რომელიც მუდმივ 0°C ტემპერატურაზე მიმდინარეობს (EF უბანი). კრისტალიზაციის პროცესში გამოიყოფა სითბოს რაოდენობა, რომელიც მოდულით Q_2 -ის ტოლია.

თხევადი მდგომარეობიდან მყარ მდგომარეობაში გადასვლის პროცესს გამყარება ანუ კრისტალიზაცია ეწოდება.

როცა წყალი მთლიანად გაიყინება, მისი ტემპერატურა დაიწყებს კლებას და -20°C -მდე გაცივებისას (FK უბანი) გამოყოფს სითბოს რაოდენობას, რომელიც მოდულით Q_1 -ის ტოლია.

მიაქციეთ ყურადღება, რომ ნივთიერების დნობისა და კრისტალიზაციის ტემპერატურა ერთმანეთის ტოლია.

„დნობის ტემპერატურის“ და „კრისტალიზაციის ტემპერატურის“ ცნებებს ყველა ნივთიერებისათვის ვერ გამოვიყენებთ. ცივი, მაგარი პლასტილინის ხელით გათბობისას შევამჩნევთ, რომ ის ნელ-ნელა რბილდება. თუ გავაგრძელებთ პლასტილინის გათბობას, ის შეიძლება ვაქციოთ ბლანტ სითხედ, მაგრამ განსაზღვრულ დნობის ტემპერატურას ვერ დავაფიქსირებთ. ასევე იქცევა გახურებისას, მაგალითად, მინა. გავიხსენოთ, რომ პლასტილინი და მინა ამორფული ნივთიერებებია, რომელთა ნაწილაკები მოუწესრიგებლადაა განლაგებული.

მაშასადამე, „დნობის ტემპერატურის“ და „კრისტალიზაციის ტემპერატურის“ ცნებები გამოიყენება მხოლოდ კრისტალური ნივთიერებებისათვის.

ტექნიკაში ნივთიერების დნობის ტემპერატურის ცოდნა აუცილებელია. სახურებლები, სადაც საწვავი იწვის, უნდა დამზადდეს მაღალი დნობის ტემპერატურის მქონე ნივთიერებებისაგან. ხახუნის გამო ძალიან ცხელდება მანქანის სამუხრაჟე ხუნდები, დიდი სიჩქარით მოძრავი ობიექტები (სამხედრო თვითმფრინავები, რაკეტები) და სხვა. ამიტომ მათი დამზადებისას გასათვალისწინებელია გამოყენებული მასალის დნობის ტემპერატურა.

 დაფიქრდით: გამოგვადგება თუ არა ვერცხლისწყლიანი თერმომეტრი ანტარქტიდაში ჰაერის ტემპერატურის გასაზომად?

დასკვნები:

- ნივთიერების მყარი მდგომარეობიდან თხევად მდგომარეობაში გადასვლის პროცესს დნობა ეწოდება, საპირისპირო პროცესს კი – გამყარება;
- მყარი კრისტალური ნივთიერება დნება მკაცრად განსაზღვრულ ტემპერატურაზე, რომელსაც დნობის ტემპერატურა ეწოდება;
- დამდნარი კრისტალური ნივთიერება მყარდება მკაცრად განსაზღვრულ ტემპერატურაზე, რომელსაც კრისტალიზაციის ტემპერატურა ეწოდება;

- ნივთიერების დღნობისა და კრისტალიზაციის ტემპერატურები ტოლია;
- კრისტალურ ნივთიერებებს დღნობის (კრისტალიზაციის) განსხვავებული ტემპერატურა აქვს;
- დღნობისა და კრისტალიზაციის პროცესში ნივთიერების ტემპერატურა არ იცვლება;
- ამორფულ სხეულებს დღნობის (გამყარების) განსაზღვრული ტემპერატურა არ აქვს;
- დღნობის პროცესში ნივთიერება სითბოს შთანთქავს, გამყარებისას კი – გამოყოფს.

საკონტროლო კითხვები:

1. რას ხმარდება კრისტალური სხეულის დღნობის პროცესში მასზე გადაცემული სითბოს რაოდენობა?
2. ალბათ შეგინიშნავთ, თოვისას ჩამოთბება ხოლმე. როგორ ახსნით ამას?
3. ზამთარში, ძლიერი ყინვისას, ბელურები ხეებზე ჯდომას წყალსატევის გაყინულ ზედაპირზე ყოფნას ამჯობინებენ. რატომ?
4. რატომ ამზადებენ ვარვარების ნათურის ძაფს ვოლფრამისაგან?
5. შეიძლება თუ არა ტყვია გავადნოთ კალისაგან დამზადებულ ჭურჭელში?



ამოხსენით ამოცანები:

1. ჭურჭელში გვაქვს სითბურ წონასწორობაში მყოფი წყლისა და ყინულის ნარევი. რისი ტოლია ნარევის ტემპერატურა?
2. შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა, რომ ერთი და იგივე ნივთიერება მყარ და თხევად მდგომარეობაში ერთმანეთთან სითბურ წონასწორობაში იყოს, როდესაც მათი ტემპერატურები სხვადასხვა?
3. შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა ალუმინის ქვაბში ჩაყრილი სპილენძის მავთულის ნაჭრების გადნობა? ფოლადის ქვაბში ალუმინის ნაჭრების გადნობა?
4. ტყვიის ნაჭრის ტემპერატურა 320°C -დან 327°C -მდე გაზარდეს. როგორ შეიცვალა ტყვიის შემადგენელი ნაწილაკების ქაოსურად მოძრაობის კინეტიკური ენერგია?
5. 1500°C ტემპერატურის ფოლადის ნაჭერს გადასცეს სითბოს რაოდენობა და მთლიანად განახა. როგორ შეიცვალა:
 - ა) ფოლადის შემადგენელი ნაწილაკების ქაოსურად მოძრაობის კინეტიკური ენერგია?
 - ბ) ფოლადის შემადგენელი ნაწილაკების ერთმანეთთან ურთიერთქმედების პოტენციალური ენერგია?
6. რა სითბოს რაოდენობა უნდა გადავცეთ -20°C ტემპერატურისა და 5 კგ მასის ყინულის ნაჭერს, რომ იგი დნობის მდგომარეობამდე მივიდეს?
7. რა სითბოს რაოდენობა უნდა გასცეს 20°C ტემპერატურისა და 5 კგ მასის წყალმა, რომ იგი გამყარების მდგომარეობამდე მივიდეს?
8. თქვენი აზრით, რატომ არაა მიზანშენონილი ზამთარში ავტომობილის ძრავას გამარილებელ სისტემაში მხოლოდ წყლის გამოყენება?
9. დაფიქრდით, რატომ არ იყინება ძლიერ ყინვაში მდინარეები მაშინ, როდესაც იყინება ტბები და წყალსატევები?
10. რატომ იშლება კლდის ზედაპირი უფრო ინტენსიურად ზამთარში?

§ 3. 11 დნობისა და კრისტალზაციის კუთრი სითბო

ვთქვათ, გვაქვს დნობის ტემპერატურის მქონე ერთნაირი მასის სხვადასხვა კრისტალური ნივთიერება – ყინული (სურ. 3.61) და ფოლადი (სურ. 3.62). ანუ, ყინულის ტემპერატურა 0°C , ფოლადისა კი – 1500°C . როგორ ფიქრობთ, ერთნაირი სითბოს რაოდენობა იქნება საჭირო მათ გასადნობად?



სურ. 3.61



სურ. 3.62

 გაიხსენეთ: სხვადასხვა ნივთიერების ნაწილაკებს შორის ურთიერთქმედების ძალები განსხვავებულია. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ მათი კრისტალური მესრების დაშლისათვის სხვადასხვა ენერგია იქნება საჭირო. ეს პრაქტიკულადაც ასეა. ამიტომ დნობის პროცესის აღსანერად შემოლებულია ნივთიერებათა მახსიათებელი ფიზიკური სიდიდე, რომელიც გვიჩვენებს სითბოს რა რაოდენობას შთანთქავს დნობის ტემპერატურის მქონე 1 კგ მყარი კრისტალური ნივთიერება მთლიანად დადნობისას. ამ სიდიდეს დნობის კუთრ სითბოს უწოდებენ.

დნობის კუთრი სითბო გვიჩვენებს სითბოს რა რაოდენობაა საჭირო დნობის ტემპერატურის მქონე 1 კგ კრისტალური ნივთიერების იმავე ტემპერატურის სითხედ გადასაქცევად.

დნობის კუთრ სითბოს აღნიშნავენ ბერძნული ასოთი λ (ლამბდა).

თუ დნობის ტემპერატურის მქონე 1 კგ მყარი კრისტალური ნივთიერების გასადნობად საჭიროა რიცხობრივად λ -ს ტოლი სითბოს რაოდენობა, მაშინ T მასის ნივთიერების გასადნობად საჭირო სითბოს რაოდენობა ტოლი იქნება:

$$Q = \lambda m$$

ამ ფორმულიდან გამომდინარეობს, რომ $\lambda = \frac{Q}{m}$, ამიტომ SI-ში დნობის კუთრი სითბო იზომება $\text{J}/\text{kg}\cdot\text{K}$.

ცხრილში მოყვანილია სხვადასხვა ნივთიერების დნობის კუთრი სითბო ნორმალური ატმოსფერული წნევის პირობებში:

ნივთიერება	დნობის კუთრი სითბო λ , $\text{J}/\text{kg}\cdot\text{K}$	ნივთიერება	დნობის კუთრი სითბო λ , $\text{J}/\text{kg}\cdot\text{K}$
ვოლფრამი	184	ტყვია	25
პლატინა	113	კალა	60
რკინა	270	ყინული	340

ფოლადი	84	ვერცხლისწყალი	12
სპილენძი	210	სპირტი	11
ოქრო	67	თუჯი	130
ვერცხლი	87	თუთია	120
ალუმინი	390	პარაფინი	150

ტყვიის დნობის კუთრი სითბო **24700** ჯ/კგ-ია ნიშნავს, რომ 327°C ტემპერატურის **1** კგ ტყვიის გასადნობად მას უნდა გადავცეთ **24700** ჯოული სითბოს რაოდენობა, ხოლო 327°C ტემპერატურის მქონე **1** კგ გამდნარი ტყვია კრისტალიზაციისას ამდენივე სითბოს რაოდენობას გამოყოფს.

0°C ტემპერატურის **4** კგ მასის ყინულის გასადნობად საჭირო სითბოს რაოდენობაა

$$Q_{\text{დნ}} = \lambda m = 340 \frac{\text{ვკ}}{\text{კგ}} \cdot 4 \text{ კგ} = 1360 \text{ კჯ.}$$

0°C ტემპერატურის **4** კგ მასის წყლის გაყინვისას იმავე რაოდენობის სითბო გამოიყოფა

$$Q_{\text{ქრისტ}} = -\lambda m = -340 \frac{\text{ვკ}}{\text{კგ}} \cdot 4 \text{ კგ} = -1360 \text{ კჯ.}$$

გამოთვალეთ: ა) სითბოს რაოდენობა, რომელიც საჭიროა **1** კგ 0°C -იანი ყინულის გასადნობად. ბ) რამდენ გრადუსამდე გააცხელებდით 0°C -იან **1** კგ მასის წყალს იმავე სითბოს რაოდენობით? რა დასკვნას გამოიტანდით ამ გამოთვლებიდან?

 დაფიქტრდით: ყინულის დნობის კუთრი სითბო უფრო ნაკლები რომ ყოფილიყო, რას გამოიწვევდა ეს დედამინაზე?

დასკვნები:

- სიდიდეს, რომელიც გვიჩვენებს სითბოს რა რაოდენობაა საჭირო დნობის ტემპერატურის მქონე **1** კგ კრისტალური ნივთიერების გასადნობად, დნობის კუთრი სითბო ეწოდება და აღნიშნავენ λ ასოთი;
- SI-ში დნობის კუთრი სითბო იზომება ჯ/კგ-ში;
- დნობის ტემპერატურაზე λ დნობის კუთრი სითბოს მქონე m მასის სხეულის გასადნობად საჭიროა $Q_{\text{დნ}} = \lambda m$ სითბოს რაოდენობა. გამყარებისას კი სითბოს იგივე რაოდენობა გამოიყოფა: $Q_{\text{ქრისტ}} = -\lambda m$.

საკონტროლო კითხვები:

1. რა მიზეზითაა გამოწვეული დნობის კუთრი სითბოს განსხვავებული მნიშვნელობა სხვადასხვა ნივთიერებისათვის?
2. რას ხმარდება დნობისას გადაცემული სითბოს რაოდენობა?
3. რისი მახასიათებელია დნობის კუთრი სითბო?
4. რას ნიშნავს, რომ კალის დნობის კუთრი სითბო ტოლია **60** კჯ/კგ-ის?
5. რატომ არ შეიძლება საუბარი ამორფული სხეულების დნობის კუთრ სითბოზე?



ერთად ამოვხსნათ ამოცანა

შეშის ღუმელზე დადგმულია ქვაბი, რომელ-შიც ასხია 18 კგ მასის 0 °C ტემპერატურის წყალი (სურ. 3. 63). წყალში ტივტივებს იმავე ტემპერატურის 2 კგ მასის ყინული. რამდენი კილოგრამი მშრალი შეშა უნდა დაიწვას, რომ ყინული გადნეს და ქვაბში არსებული წყალი 20 °C-მდე გათბეს? მიიჩნიეთ, რომ შეშის დაწვისას გამოყოფილი სითბოს რაოდენობის 2/5 ნაწილი ყინულს და წყალს გადაეცემა.



სურ. 3.63

ამოხსნა:

$$\begin{aligned} t_1 &= 0 \text{ } ^\circ\text{C}; \\ m_1 &= 18 \text{ კგ}; \\ m_2 &= 2 \text{ კგ}; \\ t_2 &= 20 \text{ } ^\circ\text{C}; \\ c &= 4200 \text{ ჯ/კგ } ^\circ\text{C}; \\ \lambda &= 340000 \text{ ჯ/კგ}; \\ q &= 10^7 \text{ ჯ/კგ}; \\ \eta &= 0,4. \\ \text{უ.ვ. } m \end{aligned}$$

რადგან ყინული დნობის ტემპერატურისაა, გადაცემული სითბოს რაოდენობა თავდაპირველად ხმარდება მხოლოდ ყინულის გადნობას, რაზეც დაიხარჯება $Q_1 = \lambda \cdot m_2 = 680000$ ჯ სითბოს რაოდენობა.

როდესაც ყინული მთლიანად გადნება ქვაბში 20 კილოგრამი 0 °C ტემპერატურის წყალი იქნება. მის 20 °C-მდე გასათბობად საჭირო სითბოს რაოდენობაა: $Q_2 = c(m_1 + m_2)(t_2 - t_1) = 4200 \cdot 20 \cdot 20 = 1680000$ (ჯ).

თ მასის შეშის დაწვის დროს გამოყოფა $Q_3 = qm$ სითბოს რაოდენობა.

ამოცანის პირობის თანახმად $Q_3 \cdot \eta = Q_1 + Q_2$. რიცხვითი მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$10^7 \cdot 0,4m = 680000 + 1680000 = 2360000. \text{ აქედან, } m = 590 \text{ გ.}$$



ამოხსენით ამოცანები:

1. განსაზღვრეთ სითბოს რაოდენობა, რომელიც საჭიროა დნობის ტემპერატურის მქონე 5 კგ მასის რენის სრულად გასადნობად.
2. საკმარისი იქნება თუ არა 515 კჯ სითბოს რაოდენობა დნობის ტემპერატურის მქონე 2,5 კგ მასის სპილენძის სრულად გასადნობად?
3. განსაზღვრეთ 650 °C ტემპერატურისა და 4 კგ მასის ალუმინის სხეულის სრულად გასადნობად საჭირო სითბოს რაოდენობა.
4. რა მასის წყალს მივიღებთ, თუ -40 °C ტემპერატურისა და 10 კგ მასის ყინულს $186 \cdot 10^4$ ჯ სითბოს რაოდენობას გადაეცემთ?
5. რა მასის მშრალი შეშა უნდა დაიწვას -20 °C ტემპერატურისა და 15 კგ მასის ყინულის მთლიანად გასადნობად? მიიჩნიეთ, რომ შეშის დაწვისას გამოყოფილი სითბოს რაოდენობის 30% ყინულს გადაეცემა.
6. 227 °C ტემპერატურისა და 18 კგ მასის ტყვია სპირტქურაზე გააცხელეს და მისი 0,12 ნაწილი გაადნეს. ამისათვის 100 გ მასის სპირტი დაიწვა. განსაზღვრეთ სპირტქურის მარგი ქმედების კოეფიციენტი.
7. ჭურჭელში მოთავსებულია სითბურ წონასწორობაში მყოფი წყლისა და ყინულის ნარევი. თავდაპირველად წყლის მასა ორჯერ მეტია ყინულის მასაზე. როდესაც ნარევს 1020 კჯ სითბოს რაოდენობა წაართვეს, წყლის მასა ყინულის მასაზე 5 კგ-ით მეტი აღმოჩნდა. რა მასის ყინული იყო ჭურჭელში თავდაპირველად?

8. 200 გ/ნმ სიჩქარით მოძრავი ტყვიის ბურთულა ეჯახება კედელს და რჩება მასში (სურ. 3. 64). განსაზღვრეთ მთლიანად გადნება თუ არა ბურთულა კედელთან დაჯახებისას, თუ დაჯახებამდე მისი ტემპერატურა 327°C იყო. მიიჩნიეთ, რომ დაჯახებისას გამოყოფილი სითბოს რაოდენობა მთლიანად გადაეცემა ბურთულას.

9. 0°C ტემპერატურისა და 21 კგ მასის ყინულის ნაჭერი ჩაუშვეს 34°C ტემპერატურისა და 50 კგ მასის წყალში. განსაზღვრეთ საბოლოო ტემპერატურა. სითბურ დანაკარგებს ნუ გაითვალისწინებთ.

10. -20°C ტემპერატურისა და 21 კგ მასის ყინულის ნაჭერი ჩაუშვეს $31,2^{\circ}\text{C}$ ტემპერატურისა და 100 კგ მასის წყალში. განსაზღვრეთ საბოლოო ტემპერატურა. სითბურ დანაკარგებს ნუ გაითვალისწინებთ.



საშინაო ცდა:


ცდის მიზანი: წყლის აორთქლებაზე დაკვირვება.

ცდისათვის საჭიროა: განიერი ლამბაქი, ორი ერთნაირი ვიწრო ჭიქა, წყალი (სურ. 3.65).

- ჩაასხით ჭიქებში ერთნაირი რაოდენობის წყალი;
- ერთი ჭიქიდან გადაასხით წყალი ლამბაქზე;
- მეორე წყლიანი ჭიქა და ლამბაქი დადგით მზეზე ან გამათბობელთან ახლოს;
- რამდენიმე საათში გადაასხით ლამბაქიდან წყალი პირველ ჭიქაში ისე, რომ არ დაიღვაროს;
- შეადარეთ წყლის რაოდენობები ჭიქებში;
- შედეგი ჩანერეთ რვეულში და გამოიტანეთ დასკვნა.



სურ. 3.65



სურ. 3.64

§ 3.12 აორთქლება და კონდენსაცია

ალბათ შეგიმჩნევიათ, რომ წვიმის შემდეგ გაჩენილი გუბები და სველი სარეცხი ქარიან ამინდში უფრო სწრაფად შრება. რატომ? რატომ აქვს სიცხეში ძალლს ენა გამოყოფილი? ზაფხულის ცხელ დღეს ზღვიდან ამოსვლისას სიცივეს შევიგრძნობთ. რატომ? შევეცადოთ პასუხი გავცეთ ამ და ზოგიერთ მსგავს კითხვას.

როგორც იცით, ნებისმიერ აგრეგატულ მდგომარეობაში ნივთიერების შემადგენელი ნაწილაკები უწყვეტად და ქაოსურად მოძრაობენ – მათი სიჩქარის მოდული და მიმართულება აბსოლუტურად შემთხვევით იცვლება. თუ სითხის ზედაპირთან მყოფმა მოლეკულამ შეიძინა ზედაპირისკენ მიმართული საკმარისად დიდი სიჩქარე და, შესაბამისად, დიდი კინეტიკური ენერგია, იგი შეძლებს დაძლიოს სხვა მოლეკულების მიზიდვა და დატოვოს სითხე. რადგან ყოველთვის არსებობს ასეთი ენერგიის მქონე მოლეკულები, მათი რაოდენობა სითხეში თანდათან შემცირდება, ხოლო მის ზედაპირთან ნარმოიქმნება ორთქლი.

ნივთიერების თხევადი მდგომარეობიდან აირადში გადასვლის პროცესს ორთქლადქცევა ეწოდება.

არსებობს ორთქლადქცევის ორი სახე: აორთქლება და დულილი.

ზემოთ ჩვენ აღვწერეთ აორთქლების მექანიზმი.

აორთქლება სითხის თავისუფალი ზედაპირიდან ორთქლადქცევის პროცესია.

რადგან აორთქლების პროცესში სითხეს ტოვებს ყველაზე სწრაფი მოლეკულები, ამიტომ მასში დარჩენილი მოლეკულების საშუალო კინეტიკური ენერგია მცირდება – სითხე ცივდება, მისი ტემპერატურა იკლებს. სითხის ტემპერატურის შენარჩუნებისათვის საჭიროა მას უწყვეტად გადავცეთ ენერგია.

აორთქლებისას სითხის ტემპერატურის შემცირებას შეიძლება დავაკვირდეთ ცდით: ხელისგულზე დავიწვეთოთ აცეტონის ან სპირტის წვეთი. ცოტა ხანში ჩვენ სიცივეს შეიგრძნობთ. ეს იმიტომ ხდება, რომ აორთქლებისას აცეტონი (სპირტი) ცივდება და სითბოს ართმევს ხელისგულს.


ბანაობის შემდეგ ადამიანის სხეულზე რჩება წყლის წვეთები. აორთქლებისას სითხე ცივდება და ენერგიას ართმევს სხეულს, ამიტომ ადამიანი თბილ ამინდშიც კი სიცივეს შეიგრძნობს.

რაზეა დამოკიდებული აორთქლების სისწრაფე?

გავაანალიზოთ საშინაო ცდაში მიღებული შედეგი: ერთნაირ დროში განიერ ლამბაქზე წყლის რაოდენობამ უფრო დაიკლო, ვიდრე ვიწრო ჭიქაში. რატომ? რაც უფრო დიდია სითხის ზედაპირის ფართობი, მით უფრო მეტია ზედაპირზე მყოფი იმ მოლეკულების რაოდენობა, რომლებსაც აქვთ სითხის დასატოვებლად საკმარისი ენერგია. ამიტომაა, მაგალითად, რომ გაშლილი სველი თეთრეული უფრო მაღე შრება, ვიდრე – გროვად დადებული. ამრიგად, აორთქლების სისწრაფე სითხის თავისუფალი ზედაპირის ფართობის ზრდასთან ერთად იზრდება.




ჩავატაროთ ცდა. მინაზე ბამბის ტამპონით დავიტანოთ ზეთის, წყლისა და სპირტის ერთნაირი ზომის ლაქები (სურ. 3.66 ა). პირველი გაქრება სპირტის ლაქა (სურ. 3.66 ბ), შემდეგ წყლისა, ზეთის ლაქა კი დარჩება საკმაოდ დიდხანს (სურ. 3.66 გ).



სურ. 3.66

ამრიგად სითხის აორთქლების სისწრაფე დამოკიდებულია მის გვარობაზე. ეს აიხსნება იმით, რომ სხვადასხვა სითხეში მოლეკულების ურთიერთმიზიდვა განსხვავებულია.

გავაგრძელოთ ცდა. მინის ორ ფირფიტაზე დავაწვეთოთ ორი ერთნაირი წყლის წვეთი. ერთი ფირფიტა გავაცხელოთ (სურ. 3.67 ა). გაცხელებული ფირფიტიდან წვეთი უფრო სწრაფად აორთქლდება, ვიდრე – ცივიდან (სურ. 3.67 ბ). ეს გასაგებიცაა: ცხელ მინაზე წვეთის ტემპერატურა გაიზრდება და, შესაბამისად, მოიმატებს იმ მოლეკულების რაოდენობა, რომელთაც შეუძლიათ დატოვონ სითხე. მაშასადამე, **რაც უფრო მაღალია სითხის ტემპერატურა, მით მეტია აორთქლების სისწრაფე.**



სურ. 3.67

ცხოვრებისეული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აორთქლების სისწრაფე დამოკიდებულია სითხის ზედაპირთან ჰაერის მოძრაობაზეც. ავხსნათ ეს დამოკიდებულება. სითხის ზედაპირის მახლობლად არსებული ორთქლის მოლეკულები ეჯახება რა ერთ-მანეთს და ჰაერის შედგენილობაში არსებულ სხვა მოლეკულებს, მოძრაობს ქაოსურად. შედეგად, ორთქლის ზოგიერთი მცირე ენერგიის მქონე მოლეკულა იმდენად ახლოს აღმოჩნდება სითხის ზედაპირთან, რომ მოლეკულებს შორის ურთიერთმიზიდვის ძალები მათ ნაწილს დააბრუნებს სითხეში. ცხადია, თუ სითხის ზედაპირთან არის ჰაერის მოძრაობა, მაშინ ორთქლის მოლეკულები მოშორდება ზედაპირს და ვეღარ დაბრუნდება სითხეში. ამიტომ, **რაც უფრო დიდია სითხის ზედაპირთან ჰაერის მოძრაობის სიჩქარე, მით მეტია აორთქლების სისწრაფე.**

ქარიან ამინდში გაფენილი სარეცხი უფრო მაღალ შრება და წყალი გუბიდან უფრო სწრაფად ორთქლდება; თმის სწრაფად გასაშრობად ფენს უფრო მაღალ სიჩქარეზე გადავრთავთ ხოლმე (სურ. 3.68); ცხელი წვნიანის გასაგრილებლად ჩვენ ჰაერს ვუბერავთ კოვზს.

რა მოხდება, თუ სითხიან ჭურჭელს თავზე მჭიდროდ დავახურავთ? თავდაპირველად სითხიდან ამოსული მოლეკულების რაოდენობა მეტი იქნება სითხეში დაბრუნებული მოლეკულების რაოდენობაზე, ამიტომ ჭურჭელში ორთქლის სიმკვრივე თანდათან მოიმატებს, მაგრამ ამასთან ერთად მოიმატებს სითხეში დაბრუნებული მოლეკულების რაოდენობაც. გარკვეული ხნის შემდეგ, დროის რაიმე შუალედში, სითხიდან ამოსული მოლეკულების



სურ. 3.68

რაოდენობა გაუტოლდება იმავე დროში სითხეში დაბრუნებული მოლეკულების რაოდენობას – დამყარდება ე.წ. დინამიკური წონასწორობა სითხესა და ორთქლს შორის.

ორთქლს, რომელიც დინამიკურ წონასწორობაშია თავის სითხესთან, ნაჯერი ორთქლი ეწოდება.

სხვა აირების მსგავსად, ნაჯერი ორთქლიც ანარმობს წნევას, რომელიც ტემპერატურის ზრდასთან ერთად მატულობს. ამასთან, ერთნაირ ტემპერატურაზე სხვადასხვა სითხის ნაჯერი ორთქლის წნევა განსხვავებულია.

თუ სითხის ორთქლი ნაჯერია, სითხე ვერ აორთქლდება. წყლის აორთქლებისთვის საჭიროა, რომ მისი ორთქლი არ იყოს ნაჯერი – ჰაერი უნდა იყოს „მშრალი“.


ჰაერს, რომელიც წყლის ორთქლს შეიცავს, ტენიანს უწოდებენ.

მყარი ნივთიერებაც შესაძლებელია აორთქლდეს.



ჩავატაროთ ცდა. შტატივის თათში ჩავამაგროთ ცეცხლგამძლე სინჯარა, მასში ჩავყაროთ იოდის კრისტალები. დავიწყოთ სინჯარის გაცხელება სპირტქურით (სურ. 3.69). გარკვეული დროის შემდეგ დავინახავთ იოდის ორთქლს – კრისტალური იოდი აორთქლდება.

თხევადი მდგომარეობის გამოტოვებით ნივთიერების მყარი მდგომარეობიდან აორთქლებას სუბლიმაცია ეწოდება.




სურ. 3.70



სურ. 3.69

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორთქლის მოლეკულების გარკვეული რაოდენობა ისევ ბრუნდება სითხეში (სურ. 3.70). ამრიგად, აორთქლებასთან ერთად მიმდინარეობს შებრუნებული პროცესი – ნივთიერება აირადი მდგომარეობიდან გადადის თხევადში.

ნივთიერების აირადი მდგომარეობიდან თხევად მდგომარეობაში გადასვლის პროცესს კონდენსაცია ეწოდება. წყლის ორთქლის კონდენსაციის (condensation – ლათ. შესქელება, გამკვრივება) პროცესს ყოველდღიურად ვაკვირდებით ბუნებაში: ზაფხულის დილას ფოთლებზე ვხედავთ ნამის წვეთებს. როგორ გაჩნდა ისინი? აორთქლების გამო დღის განმავლობაში ჰაერში გროვდება წყლის ორთქლი, რომელიც ლამით, აცივებისას, კონდენსირდება და გამოიყოფა ნამის სახით (სურ. 3.71 ა). როცა ტენიანი ჰაერი ადის ატმოსფეროს მაღალ ფენებში, ცივდება და ჩნდება ღრუბლები (სურ. 3.71 ბ). ისინი შედგება წყლის პატარა წვეთებისაგან, რომლებიც წარმოიქმნა წყლის ორთქლის კონდენსაციით. ასეთივე წყლის პატარა წვეთებისაგან შედგება ნისლი, რომელიც წარმოიქმნება ტენიანი ჰაერის დედამიწის ზედაპირთან გაცივებისას (სურ. 3.71 გ). რადგან კონდენსაციის პროცესში ენერგია გამოიყოფა, ამიტომ ნისლის წარმოქმნა აფერხებს ჰაერის ტემპერატურის შემცირებას.



სურ. 3.71



დაფიქრდით: რატომ მატულობს სითხის შინაგანი ენერგია მის თავზე არსებული ორთქლის კონდენსაციისას?

დასკვნები:

- ნივთიერების თხევადი მდგომარეობიდან აირადში გადასვლის პროცესს ორთქლად-ქცევა ეწოდება;
- ორთქლადქცევა შეიძლება მოხდეს ორი გზით: აორთქლებითა და დუღილით;
- აორთქლება სითხის თავისუფალი ზედაპირიდან ორთქლადქცევის პროცესია;
- აორთქლების პროცესში ენერგია შთაინთქმება, სითხე ცივდება;
- მოცემული სითხის აორთქლების სისწრაფე მატულობს:
 - ა) სითხის თავისუფალი ზედაპირის ფართობის ზრდისას;
 - ბ) სითხის ტემპერატურის ზრდისას;
 - გ) სითხის ზედაპირთან ჰაერის მოძრაობის სიჩქარის ზრდისას;
- აორთქლების სისწრაფე დამოკიდებულია სითხის გვარობაზე;
- ნივთიერების მყარი მდგომარეობიდან აორთქლებას თხევადი მდგომარეობის გა-მოტოვებით სუბლიმაცია ეწოდება;
- ნივთიერების აირადი მდგომარეობიდან თხევად მდგომარეობაში გადასვლის პრო-ცესს კონდენსაცია ეწოდება;
- ორთქლის კონდენსაციისას ენერგია გამოიყოფა.

საკონტროლო კითხვები:

1. რატომ ცივდება სითხე აორთქლებისას, თუ მას ენერგია არ მიეწოდება?
2. რა პირობები უნდა შესრულდეს მოლეკულის სითხიდან გამოსასვლელად?
3. როგორ ახსნით აორთქლების სისწრაფის შემცირებას სითხის ტემპერატურის შემცირებისას?
4. რატომ ორთქლდება სითხე ძალიან დაბალ ტემპერატურაზეც კი?
5. რატომაც ტენიან ამინდში აორთქლების სისწრაფე უფრო ნაკლები, ვიდრე მშრალ ამინდში?
6. რა შემთხვევაშია შესაძლებელი, რომ სველი სარეცხი საერთოდ არ გაშრეს?
7. ზაფხულში, განვიმების წინ, ჩამოცხება ხოლმე. რატომ?

პროექტი. ჯგუფური მუშაობა

პროექტის მიზანი: დედამიწაზე წყლის სხვადასხვა აგრეგატული მდგომარების შესახებ ინფორმაციის მოძიება; წყლის, როგორც სიცოცხლისათვის და ყოფა-ცხოვრებისთვის აუცილებელი კომპონენტის შესწავლა.

წყალი დედამიწის ზედაპირის ფართობის დახლოებით 71%-ზეა განაწილებული. მას ყველგან ნახავთ (მდინარეები, ტბები, ზღვები, ოკეანეები, წვიმა, თოვლი, ყინული, ორ-თქლი და ა. შ.). მცენარეები და ცოცხალი ორგანიზმები დიდწილად წყალს შეიცავს. იგი სიცოცხლისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად მიიჩნევა.


წყალი დედამიწაზე განუწყვეტელ მოძრაობაში იმყოფება. იგი ორთქლდება ზღვე-ბიდან და ოკეანეებიდან, შემდეგ კონდენსირდება და გვევლინება წვიმის სახით, ზამ-თარში – თოვლის სახით. გაზაფხულზე მთის ფერდობებზე თოვლი დნება და ამარაგებს მდინარეებს, მდინარეები კვლავ ზღვებსა და ოკეანეებში ჩაედინება.

თქვენ უკვე გაეცანით წყლის სამ აგრეგატულ მდგომარეობას. დაჯგუფდით და მოი-ძიეთ საინტერესო ფაქტები მათ შესახებ. მოამზადეთ პრეზენტაცია თემაზე „წყალი დედამიწაზე“.

ყურადღება გაამახვილეთ წყლის როლზე ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასევე მისგან მიღებულ ენერგეტიკულ სარგებელზე.

§ 3.13 დულილი


ჩვენ უკვე ვიცით, რომ სითხის აორთქლებისას მისი ტემპერატურა იკლებს, თუ მას ენერგია არ მიეწოდება. იბადება კითხვა: როგორ გაგრძელდება სითხის აორთქლება, თუ მას უწყვეტად გადავცემთ იმაზე მეტ ენერგიას, ვიდრე საჭიროა ტემპერატურის შესანარჩუნებლად?



სურ. 3.72



ჩავატაროთ ცდა. ცეცხლგამძლე მინის ჭურჭელში ჩავასხათ წყალი და ჩავამაგროთ შტატივის თათში. დავიწყოთ სპირტქურით მისი გათბობა (სურ. 3.72). წყალში ჩაშვებული თერმომეტრით დავაკვირდეთ მისი ტემპერატურის ცვლილებას. თავიდან წყლის ტემპერატურა გაიზრდება და ჭურჭლის ფსკერზე დაიწყება დიდი რაოდენობის ჰატარა ბუშტულების წარმოქმნა (სურ. 3.73 ა). ეს წყალში გახსნილი ჰატარის ბუშტულებია – რაც უფრო ცივია წყალი, მით მეტი ჰატარია მასში გახსნილი, ამიტომ წყლის გათბობისას ჭარბი ჰატარი ბუშტულების სახით გამოიყოფა. ბუშტულები ჰატართან ერთად შეიცავს წყლის ნაჯერ ორთქლს, რადგან აორთქლება ბუშტულებშიც ხდება (სურ. 3.73 ბ). ტემპერატურის ზრდისას იზრდება აირის მოლეკულების საშუალო კინეტიკური ენერგია, რაც იწვევს ბუშტულებში წნევის მომატებას. როდესაც ბუშტულების შეგნით ნაჯერი ორთქლის წნევა გადააჭარბებს გარე წნევას, ბუშტულას მოცულობა დაიწყებს ზრდას. გარკვეული მოცულობის მიღწევისას ბუშტულაზე მოქმედი ამომგდები ძალა მოწყვეტს მას ფსკერიდან და ბუშტულა ამოძრავდება ზევით (სურ. 3.73 გ). თავიდან სითხის ზედა ფენები შედარებით ცივია, აქ მოხვედრილ ბუშტულებში ორთქლი იწყებს კონდენსირებას და მათი მოცულობა მკვეთრად მცირდება. ბუშტულების მოცულობის ასეთი კლება პროცესის დამახასიათებელი ხმით – შიშინით მიმდინარეობს. ამ დროს წყალი ხდება არაგამჭვირვალე. როცა მთელი წყალი ერთნაირად გაცხელდება, ბუშტულების მოცულობა ზედა ფენებში ასვლისას აღარ შემცირდება, პირიქით – გაიზრდება. წნევა ბუშტულებში უფრო მეტია, ვიდრე – წყლის ზედაპირზე, ამიტომ ისინი სკდება და მათში არსებული წყლის ნაჯერი ორთქლი ატმოსფეროში ამოიფრქვევა – წყალი დუღს, შიშინი კი წყდება (სურ. 3.73 დ). წყლის უწყვეტ დუღილს განაპირობებს ის, რომ ბუშტულას მოწყვეტის ადგილზე რჩება ჰატარის მცირე რაოდენობა, რომლიდანაც ახალი ბუშტულა წარმოიქმნება. თერმომეტრის ჩვენება დუღილისას დაახლოებით 100°C იქნება.



სურ. 3.73

დუღილი სითხის მთელ მოცულობაში მიმდინარე ინტენსიური ორთქლადქცევის პროცესია, რომელსაც თან ახლავს ორთქლის ბუშტულების წარმოქმნა, ზრდა, ზედაპირზე ამოსვლა და გასკდომა.

გავაგრძელოთ პროცესზე დაკვირვება. სპირტქურიდან მდუღარე წყალი კვლავ იღებს ენერგიას, მაგრამ თერმომეტრის ჩვენება იგივე – 100°C რჩება. მაში, რაზე იხარჯება ამ დროს წყალზე გადაცემული სითბოს რაოდენობა? იგი მთლიანად ხმარდება წყლის მოლეკულების ურთიერთმიზიდვის ძალების დაძლევასა და მათ შორის მანძილის ზრდას. სწორედ ამიტომ დუღილის დროს სითხის ტემპერატურა არ იცვლება.


ტემპერატურას, რომელზეც სითხე დუღს, დუღილის ტემპერატურა ეწოდება.

კიდევ რაზეა დამოკიდებული სითხის დუღილის ტემპერატურა?

დუღილის პროცესის აღწერისას ჩვენ ვნახეთ, რომ ბუჭტულა გასკდება მაშინ, როცა ნაჯერი ორთქლის წნევა მასში მეტი იქნება, ვიდრე წნევა სითხის ზედაპირზე. ამასთან, ვიცით, რომ ნაჯერი ორთქლის წნევა ტემპერატურის გაზრდისას მატულობს, ამიტომ რაც უფრო დიდია გარე წნევა, მით მაღალია სითხის დუღილის ტემპერატურა და პირიქით, გარე წნევის შემცირება დუღილის ტემპერატურის კლებას იწვევს. ამაში შეგვიძლია დავრწმუნდეთ ცდით.

 კოლბაში ჩავასხათ თბილი წყალი (ვთქვათ, 60°C). წყლის ზედაპირზე წნევის შესამცირებლად ტუმბოს საშუალებით დავიწყოთ კოლბიდან ჰაერის ამოტუმბვა (სურ. 3.74). თავიდან კოლბის ფსკერზე დაიწყება ჰაერის ბუჭტულების წარმოქმნა და თუ ამოტუმბვას გავაგრძელებთ, წყალი ადუღდება, მიუხედავად იმისა, რომ მისი ტემპერატურა 100°C -ზე დაბალია. ამ მდუღარე წყალში ძალიან დიდი დროის განმავლობაშიც კი კვერცხი ვერ მოიხარშება.

თუ პირველ ცდაში მდუღარეწყლიან კოლბას გავუკეთებთ ნახვრეტიან საცობს (ნახვრეტში თერმომეტრი ჩავამაგროთ), ორთქლი გარეთ ვეღარ გამოვა და დაიწყებს მოგროვებას სითხის ზედაპირთან. წნევა სითხის თავზე მოიმატებს, დუღილი გარკვეული დროით შეწყდება, ხოლო სითხის ტემპერატურა დაიწყებს ზრდას.



სურ. 3.74



სურ. 3.75



სურ. 3.76

პრაქტიკაში ხშირად იყენებენ დუღილის ტემპერატურის დამოკიდებულებას გარე წნევაზე. მაგალითად, სამედიცინო ხელსაწყოების სტერილურიზაციისთვის მათ ათავსებენ ჰერმეტულად დახურულ კამერებში – ავტოკლავებში (სურ. 3.75), რომლებშიც წყალი დუღს უფრო მაღალ ტემპერატურაზე, ვიდრე 100°C -ია, რაც მიკრობანიზმებს კლავს. ყოფა-ცხოვრებაში სწორადი ხარშვისათვის იყენებენ ქვაბს (სურ. 3.76), რომელშიც წყალი დუღს 120°C . ამიტომ კერძი ასეთ ქვაბში უფრო სწორად მზადდება, ვიდრე – ჩვეულებრივში.

დუღილის ტემპერატურა აგრეთვე დამოკიდებულია სითხეებში გახსნილი აირის რაოდენობაზე. თუ დიდი ხნის განმავლობაში ადუღებენ წყალს და ასეთი გზით მოაშორებენ მასში გახსნილ აირს, მაშინ ნორმალური წნევის პირობებში შესაძლებელია ასეთი წყალი ხელმეორედ გაცხელდეს 100°C -ზე მეტ ტემპერატურამდე. ასეთ წყალს გადახურებულს ეძახიან.

ერთნაირ პირობებში სხვადასხვა სითხის დუღილის ტემპერატურა განსხვავებულია. ამის მიზეზია ნაჯერი ორთქლის წნევის დამოკიდებულება სითხის გვარობაზე – ერთნაირ ტემპერატურაზე, რომელი სითხის ნაჯერი ორთქლის წნევაც მეტია, ის სითხე უფრო დაბალ ტემპერატურაზე დუღს.

ცხრილში მოცემულია ზოგიერთი სითხის დუღილის ტემპერატურა ნორმალური ატ-მოსფერული წნევის პირობებში:

ნივთიერება	დუღილის ტემპერატურა, $^{\circ}\text{C}$	ნივთიერება	დუღილის ტემპერატურა, $^{\circ}\text{C}$
ჰაერი	-192	სპირტი	78
ამიაკი	-33	წყალი	100
ეთერი	35	ვერცხლისწყალი	357
აცეტონი	56	რკინა	3050

დასკვნები:

- დუღილი სითხის მთელ მოცულობაში მიმდინარე ინტენსიური ორთქლადქცევის პროცესია, რომელსაც ახლავს ორთქლის ბუშტულების წარმოქმნა, ზრდა, ზედა-პირზე ამოსვლა და გასკდომა;
- დუღილის დროს სითხის ტემპერატურა არ იცვლება;
- ტემპერატურას, რომელზეც სითხე დუღს, დუღილის ტემპერატურა ეწოდება;
- გარე წნევის გაზრდით დუღილის ტემპერატურა იზრდება;
- სხვადასხვა სითხე განსხვავებულ ტემპერატურაზე დუღს.


საკონტროლო კითხვები:

- რატომ წარმოიქმნება წყალში ბუშტულები?
- ჰაერის გარდა, რა არის ბუშტულებში?
- რატომ მატულობს ბუშტულების ზომა წყლის გათბობისას?
- რატომ იწყებს ბუშტულა ზევით მოძრაობას?
- რატომ არ იცვლება სითხის ტემპერატურა დუღილისას?
- როგორ გავზარდოთ (შევამციროთ) სითხის დუღილის ტემპერატურა?
- სად უფრო სწრაფად მოიხარშება ხორცი – თბილისში თუ გუდაურში?



ამოხსენით ამოცანები:

1. გაზქურაზე დადგმულ ქვაბში წყალმა დუღილი დაიწყო. იცვლება თუ არა წყლისა და მისი ორთქლის ჯამური შინაგანი ენერგია დუღილის პროცესში?
2. გაზქურაზე დადგმულ თავლია ქვაბში წყალმა დუღილი დაიწყო. იცვლება თუ არა წყლის ტემპერატურა დუღილისას? წყლის მოლეკულების ქაოსურად მოძრაობის საშუალო კინეტიკური ენერგია?
3. ერთნაირი მასისა და ტემპერატურის მქონე წყალი აადუღეს ბათუმში და მესტიაში. სად უფრო მეტი სითბოს რაოდენობა დაიხარჯება წყლის ასადუღებლად?
4. ხორცის კარგად მოსახარშად სად დაგჭირდებათ ქვაბი ჰერმეტული თავსახურით, მთაში თუ ზღვისპირა ქალაქში?
5. რა სითბოს რაოდენობა უნდა გადავცეთ **5** კგ მასისა და 80°C ტემპერატურის წყალს, რომ ის დუღილის ტემპერატურამდე გაცხელდეს? მიიჩნიეთ, რომ ატმოსფერული წნევა ნორმალურია.
6. მდუღარე წყალში კვერცხის მოსახარშად საშუალოდ **10** წუთია საჭირო. შეიცვლება თუ არა ეს დრო, თუ დუღილისას ცეცხლს გავაძლიერებთ?
7. მდუღარე წყალში კვერცხის მოსახარშად საშუალოდ **10** წუთია საჭირო. შეიცვლება თუ არა ეს დრო, თუ ხარშვის პროცესში ქვაბს ჰერმეტულად დავხურავთ?
8. შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა ტყვიისაგან დამზადებულ ქვაბში ვერცხლის-წყლის ადუღება, თუ ატმოსფერული წნევა ნორმალურია?
9. ერთნაირ ტემპერატურაზე სპირტის ნაჯერი ორთქლის წნევა უფრო მეტია, ვიდრე წყლის ნაჯერი ორთქლის წნევა. აქედან გამომდინარე, განსაზღვრეთ, რომელი სითხის დუღილის ტემპერატურა იქნება უფრო ნაკლები.
10. კოლბის თავში ჩასმულ საცობში მჭიდროდაა გატარებული მილი. მილის მეორე ბოლო ჩაშვებულია მენზურაში ჩასმულ ცივ წყალში (სურ. 3.77). როგორ შეიცვლება წყლის რაოდენობა მენზურაში, თუ კოლბაში წყალი დუღილს დაიწყებს?



სურ. 3.77

§ 3.14 ორთქლადქცევის კუთრი სითბო

როგორც ვიცით, სითხის ყველაზე ინტენსიური ორთქლადქცევა მიმდინარეობს დულილის პროცესში (სურ. 3.78). ამ დროს სითხე ენერგიას შთანთქავს და ამიტომ დულილის შესანარჩუნებლად მას უწყვეტად უნდა მივაწოდოთ სითბოს რაოდენობა. ის მთლიანად ხმარდება მოლეკულათშორისი კავშირების რღვევასა და მათ შორის მანძილის ზრდას, ანუ ორთქლადქცევას. რადგან სხვადასხვა სითხეში ეს კავშირები განსხვავებულია, ამიტომ დულილის ტემპერატურაზე ერთი და იმავე მასის სხვადასხვა სითხის ორთქლადქცევისათვის განსხვავებული სითბოს რაოდენობაა საჭირო. მის გამოსათვლელად შემოღებულია ნივთიერებათა მახასიათებელი ფიზიკური სიდიდე, რომელიც გვიჩვენებს, სითბოს რა რაოდენობაა საჭირო დულილის ტემპერატურაზე 1 კგ სითხის მთლიანად ასაორთქლებლად. ამ სიდიდეს ორთქლადქცევის კუთრი სითბო ეწოდება.



სურ. 3.78

ორთქლადქცევის კუთრი სითბო გვიჩვენებს სითბოს რა რაოდენობა უნდა გადავცეთ 1 კგ მასის სითხეს იმავე ტემპერატურის მინიმუმის მისამართ გადაქცევისათვის.

ორთქლადქცევის კუთრი სითბოს აღნიშნავენ L ასოთ.

თუ 1 კგ სითხის იმავე ტემპერატურის ორთქლადქცევისათვის საჭიროა L -ის ტოლი სითბოს რაოდენობა, მაშინ იმავე პირობებში m მასის სითხის იმავე ტემპერატურის ორთქლადქცევისათვის საჭირო სითბოს რაოდენობა ტოლი იქნება:

$$Q_{\text{ორთქ}} = Lm$$

ამ ფორმულიდან გამომდინარეობს, რომ $L = \frac{Q_{\text{ორთქ}}}{m}$, ამიტომ SI-ში ორთქლადქცევის კუთრი სითბო იზომება $J/kg\cdot K$.

თუ მასის ორთქლის იმავე ტემპერატურის სითხედ გადაქცევისას გამოიყოფა იგივე სითბოს რაოდენობა:

$$Q_{\text{კონდ}} = -Lm$$

ცხრილში მოცემულია ექსპერიმენტულად დადგენილი სხვადასხვა სითხის ორთქლადქცევის კუთრი სითბო დულილის ტემპერატურაზე ნორმალური წნევის პირობებში:

ნივთიერება	ორთქლადქცევის კუთრი სითბო, MJ/kg	ნივთიერება	ორთქლადქცევის კუთრი სითბო, MJ/kg
ჰაერი (თხევადი)	0,2	სპირტი	0,9
ამიაკი (თხევადი)	1,4	წყალი	2,3
ეთერი	0,4	ვერცხლისნყალი	0,3
აცეტონი	0,5	რკინა (თხევადი)	0,06

წყლის ორთქლადქცევის კუთრი სითბო 100°C ტემპერატურაზე ტოლია $2,3$ მგჯ/კგ. ეს ნიშნავს, რომ 100°C ტემპერატურის 1 კგ მასის წყლის იმავე ტემპერატურის ორთქლად გადასაქცევად $2,3$ მგჯ ენერგიაა საჭირო. აქედან გამომდინარეობს, რომ 1 კგ 100°C წყლის ორთქლის შინაგანი ენერგია $2,3$ მგჯ-ით მეტია 1 კგ 100°C წყლის შინაგან ენერგიაზე.

გაცივებისას წყლის ორთქლი კონდენსირდება. ალბათ გინახავთ ფანჯრის მინაზე წარმოქმნილი წყლის წვეთები (სურ. 3.79). ჩატარებული ცდები აჩვენებს, რომ კონდენსაციისას ორთქლი გამოყოფს ენერგიის იმავე რაოდენობას, რომელიც დაიხარჯა მისი წარმოქმნისას.

ე.ი. 1 კგ 100°C ტემპერატურის წყლის ორთქლის 100°C ტემპერატურის წყლად ქცევისას გამოიყოფა $2,3$ მგჯ სითბოს რაოდენობა.



სურ. 3.79

დასკვნები:

- სიდიდეს, რომელიც გვიჩვენებს, სითბოს რა რაოდენობაა საჭირო დუღილის ტემპერატურაზე 1 კგ სითხის მთლიანად ასაორთქლებლად, ორთქლადქცევის კუთრი სითბო ეწოდება და აღნიშნავენ L ასოთი;
- SI-ში ორთქლადქცევის კუთრი სითბო იზომება $\text{J}/\text{კგ-ში}$;
- დუღილის ტემპერატურაზე L ორთქლადქცევის კუთრი სითბოს მქონე m მასის სითხის მთლიანად ასაორთქლებლად საჭიროა $Q_{\text{ორთ}} = Lm$ სითბოს რაოდენობა. ორთქლის კონდენსაციისას კი სითბოს იგივე რაოდენობა გამოიყოფა: $Q_{\text{კონ}} = -Lm$.

საკონტროლო კითხვები:

1. რა განაპირობებს ორთქლადქცევის კუთრი სითბოს განსხვავებულ მნიშვნელობას სხვადასხვა სითხისათვის?
2. რას ხმარდება მუდმივ ტემპერატურაზე ორთქლადქცევისას სითხეზე გადაცემული სითბოს რაოდენობა?
3. რისი მახასიათებელია ორთქლადქცევის კუთრი სითბო?
4. რას ნიშნავს, რომ სპირტის ორთქლადქცევის კუთრი სითბოა $0,9$ მგჯ/კგ?



ერთად ამოვხსნათ ამოცანა

20 ლ მოცულობისა და 80°C ტემპერატურის წყალში ჩაუშვეს 500°C ტემპერატურამდე გახურებული 12 კგ მასის ალუმინის ნაჭერი. განსაზღვრეთ, რა მასის წყალი იქცევა ორთქლად. სითბურ დანაკარგებს ნუ გაითვალისწინებთ.

θ_m (β):
$c_1=4200 \text{ J/g}^{\circ}\text{C}$;
$V_1=0,02 \text{ m}^3$;
$t_1=80 \text{ }^{\circ}\text{C}$;
$\rho=1000 \text{ g/m}^3$;
$t_0=100 \text{ }^{\circ}\text{C}$;
$c_2=920 \text{ J/g}^{\circ}\text{C}$;
$m_2=12 \text{ g}$;
$t_2=500 \text{ }^{\circ}\text{C}$;
$L=2,3 \cdot 10^6 \text{ J/g}$.
უ.ვ. m

ამოხსნა:

ჯერ გამოვთვალით წყლის მასა: $m_1=\rho V_1=1000 \cdot 0,02=20 \text{ (კგ)}$.

გავიგოთ, რა სითბოს რაოდენობაა საჭირო წყლის დუღილის ტემპერატურამდე მისაყვანად:

$$Q_1=c_1m_1(t_0-t_1)=4200 \cdot 20 \cdot 20=1680000 \text{ (ჯ)}.$$

გამოვთვალით რა სითბოს რაოდენობას გასცემსალუმინის ნაჭერი $100 \text{ }^{\circ}\text{C}$ -მდე გაცივების შემთხვევაში:

$$Q_2=c_2m_2(t_0-t_2)=-920 \cdot 12 \cdot 400=-4416000 \text{ (ჯ)}.$$

როგორც ვხედავთ, სითბოს ეს რაოდენობა მოდულით მეტია წყლის დუღილის ტემპერატურამდე მისაყვანად საჭირო სითბოს რაოდენობაზე, ამიტომ წყალი ადუღდება და დაიწყებს ორთქლად ქცევას. m მასის წყლის ორთქლად ქცევისათვის საჭირო სითბოს რაოდენობა $Q_3=Lm$. სითბური ბალანსის განტოლების თანახმად:

$$Q_1+Q_2+Q_3=0. \text{ რიცხვითი მნიშვნელობების შეტანით მივიღებთ:}$$

$$1680000-4416000+2300000m=0. \text{ აქედან } m \approx 1.2 \text{ კგ. ეს ნიშნავს, რომ ორთქლად იქცა წყლის მხოლოდ ნაწილი.}$$



ამოხსნით ამოცანები:

1. განსაზღვრეთ დუღილის ტემპერატურამდე მიყვანილი 10 კგ მასის წყლის ორთქლად ქცევისათვის საჭირო სითბოს რაოდენობა.

2. საკმარისი იქნება თუ არა $12 \cdot 10^6 \text{ ჯ}$ სითბოს რაოდენობა დუღილის ტემპერატურის მქონე 5 კგ მასის წყლის ორთქლად გადასაქცევად?

3. $78 \text{ }^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის სპირტის ორთქლის კონდენსაციის შედეგად 3 ლ მოცულობის ქილა გაივსო. განსაზღვრეთ კონდენსაციის პროცესში გამოყოფილი სითბოს რაოდენობა.

4. განსაზღვრეთ სითბოს რაოდენობა, რომელიც საჭიროა 8 კგ მასისა და $80 \text{ }^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის წყლის ასადუღებლად და ორთქლად გადასაქცევად.

5. 10 კგ მასისა და $60 \text{ }^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის წყალი ადუღდა და მისი მეხუთედი ნაწილი ორთქლად იქცა. განსაზღვრეთ ამ დროს წყალზე გადაცემული სითბოს რაოდენობა.

6. $100 \text{ }^{\circ}\text{C}$ ტემპერატურისა და 20 კგ მასის წყლის ორთქლი კონდენსირდა და მიღებული წყალი გაცივდა. განსაზღვრეთ წყლის საბოლოო ტემპერატურა, თუ ორთქლმა და წყალმა ერთად $5,02 \cdot 10^7 \text{ ჯ}$ სითბოს რაოდენობა გასცა.

7. $350 \text{ }^{\circ}\text{C}$ ტემპერატურისა და 10 კგ მასის ალუმინის ნაჭერი ჩაუშვეს $100 \text{ }^{\circ}\text{C}$ ტემპერატურისა და 15 ლ მოცულობის წყალში. განსაზღვრეთ ჭურჭელში დარჩენილი წყლის მასა სითბური წონასწორობის დამყარების შემდეგ. სითბურ დანაკარგებს ნუ გაითვალისწინებთ.

8. $75 \text{ }^{\circ}\text{C}$ ტემპერატურისა და 92 ლ მოცულობის წყალში ჩაუშვეს 52 კგ მასისა და $350 \text{ }^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის ალუმინის კუბი. განსაზღვრეთ, რა მასის წყალი იქცევა ორთქლად სითბური წონასწორობის დამყარების შემდეგ. სითბურ დანაკარგებს ნუ გაითვალისწინებთ.

9. რამდენი კილოგრამი ქვანახშირი უნდა დაიწვას, რომ დუღილის ტემპერატურის მქონე 30 კგ მასის სპირტი ორთქლად იქცეს? მიიჩნიეთ, რომ ქვანახშირის დაწვისას გამყოფილი სითბოს რაოდენობა მთლიანად ხმარდება სპირტის ორთქლად ქცევას.


10. განსაზღვრეთ დუღილის მარგი ქმედების კოეფიციენტი, თუ მასში 1 კგ ქვანახშირის დაწვის შედეგად 6 კგ მასისა და $78 \text{ }^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის სპირტი ორთქლად იქცა.

3.15 სითბური ძრავა

ადამიანი ოდითგანვე ცდილობდა, მოეფიქრებინა და შეექმნა ისეთი მექანიზმები, რომლებიც დაეხმარებოდა მას მძიმე სამუშაოს შესრულებაში. ბერკეტის, ჭოჭონაქის, დახრილი სიბრტყის, ჯალამბრის და სხვა მექანიზმის გამოყენება ადამიანს ეხმარება მოიგოს ძალა ან მანძილი. მათი გამოყენებით სამუშაო უფრო მოსახერხებელი და იოლი ხდება, მაგრამ ამ დროს ადამიანს თვითონ უწევს შეასრულოს გარკვეული მუშაობა – დახარჯოს ენერგია. მას შემდეგ, რაც კაცობრიობამ სითბური მოვლენების შესწავლა დაიწყო, დაიბადა კითხვა: ხომ არ შეიძლება საწვავის წვისას გამოყოფილი ენერგიით შევასრულოთ მუშაობა? ანუ, ხომ არ შეიძლება შინაგანი ენერგია გარდავქმნათ მექანიკურ ენერგიად? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩავატაროთ ცდა:

 ავილოთ დგუშიანი ცილინდრი, დავადოთ დგუშზე ტვირთი და სპირტქურით დავიწყოთ ცილინდრში მოთავსებული აირის გაცხელება (სურ. 3.80 ა). გაცხელებისას აირის შინაგანი ენერგია გაიზრდება, მოიმატებს მისი ტემპერატურა და წნევა, ამიტომ აირი გაფართოვდება – დგუში აიწევს ზევით და გარკვეულ სიმაღლეზე აიტანს მასზე დადგებულ ტვირთს – შესრულდება მექანიკური მუშაობა.

ცხადია, აირის მიერ მუშაობის ერთჯერადი შესრულება დამაქმაყოფილებელი არ არის – მუშაობა მუდმივად უნდა სრულდებოდეს. აირმა მუშაობა განმეორებით რომ შეასრულოს, საჭიროა დგუში დავაბრუნოთ საწყის მდგომარეობაში, ანუ აირი უნდა შევკუმშოთ. ამისათვის კი ის უნდა გავაცივოთ. გაცივების შედეგად აირი შეიკუმშება და დგუში ქვევით ჩამოიწევს (სურ 3.80 ბ). შემდეგ შეგვიძლია აირი კვლავ გავაცხელოთ და ის შეასრულებს მუშაობას, კვლავ შევკუმშოთ და ა.შ. ამ შემთხვევაში აირის მუშაობა იქნება ციკლური ხასიათის: აირის გაფართოება-შეკუმშვის პროცესი (ციკლი) მრავალჯერადად, პერიოდულად განმეორდება.



სურ. 3.80


ციკლური მუშაობისას დგუშიც პერიოდულ მოძრაობას შეასრულებს, ამიტომ, თუ მას რაიმე მექანიზმს მივამაგრებთ, მივიღებთ სითბური ძრავას უმარტივეს მოდელს.

სითბური ძრავა ციკლურად მომუშავე მანქანაა, რომელიც საწვავის შინაგან ენერგიას მექანიკურ ენერგიად გარდაქმნის.

განხილულ ცდაში საწვავი სპირტია, რომლის დაწვისას გამოყოფილი შინაგანი ენერგია დგუშის მოძრაობის მექანიკურ ენერგიად გარდაიქმნება.

არსებობს სითბური ძრავას რამდენიმე სახეობა: ორთქლის მანქანა, შიგაწვის ძრავა, ორთქლისა და აირის ტურბინები, რეაქტიული ძრავა. ყველა ამ ძრავაში საწვავის წვისას გამოყოფილი ენერგია გადადის აირის (ორთქლის) შინაგან ენერგიაში. შედეგად აირი ფართოვდება, ასრულებს მუშაობას და ცივდება. მისი შინაგანი ენერგიის ნაწილი გადადის მექანიკურ ენერგიაში.

პირველი სითბური ძრავა – ორთქლის მანქანა (სურ. 3.81), 1784 წელს ჯეიმს უატმა შექმნა.



სურ. 3.81


ჩატარებული ცდის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რა ძირითადი ნაწილებისაგან უნდა შედგებოდეს სითბური ძრავა:

1. განხილულ ცდაში მექანიკურ მუშაობას ასრულებს დგუშის ქვეშ მოთავსებული აირი, რომელიც ცხელდება, ფართოვდება და ზევით წევს დგუშს. აირს, რომელიც გაფართოებისას ასრულებს მექანიკურ მუშაობას, **მუშა სხეული** ეწოდება;

2. დგუშის ქვეშ მოთავსებული აირი ფართოვდება სპირტქურიდან მიღებული ენერგიის ხარჯზე. მოწყობილობას, რომლისგანაც მუშა სხეული იღებს სითბოს, **სახურებელი** ეწოდება;

3. ცდის დროს დგუშის ქვეშ მოთავსებული აირი პერიოდულად აძლევს თავისი ენერგიის ნაწილს გარემოს. ობიექტს, რომელსაც მუშა სხეული აძლევს სითბოს გარკვეულ რაოდენობას, **მაცივარი** ეწოდება. მაცივრის გარეშე დგუში ვერ დაუბრუნდება საწყის მდგომარეობას და მუშაობა ხელახლა ვერ შესრულდება.

სურ. 3.82-ზე სქემატურადაა ასახული სითბური ძრავას მუშაობის პრინციპი: მუშა სხეული სახურებლიდან იღებს Q_1 , სითბოს რაოდენობას, ასრულებს A მუშაობას და Q_2 სითბოს რაოდენობას გადასცემს მაცივარს. ენერგიის მუდმივობის კანონის თანახმად, სითბური ძრავას მიერ შესრულებული მუშაობა ტოლი იქნება:



სურ. 3.82

$$A = Q_1 - Q_2$$

ნებისმიერი სითბური ძრავა მექანიკურ ენერგიად გარდაქმნის სახურებლიდან მიღებული ენერგიის მხოლოდ მცირე ნაწილს. საწვავის ენერგიის დიდი ნაწილი არ გამოიყენდა, ის გადაეცემა მაცივარს და იკარგება გარემოში.

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რამდენად ეკონომიურია ძრავა – საწვავის წვის შედეგად გამოყოფილი ენერგიის რა ნაწილს შეადგენს სასარგებლო მუშაობა. რაც უფრო დიდია ეს ნაწილი, მით უფრო ნაკლები საწვავი დაიხარჯება მოცემული სამუშაოს შესრულებისას. ამიტომ ძრავას ეკონომიურობის დასახასიათებლად შემოაქვთ მისი მარგი ქმედების კოეფიციენტის ცნება.

სითბური ძრავას მარგი ქმედების კოეფიციენტი (მქ) ფიზიკური სიდიდეა, რომელიც ახასიათებს მის ეკონომიურობას და გვიჩვენებს, საწვავის დაწვისას გამოყოფილი ენერგიის რა ნაწილი გარდაიქმნება სასარგებლო მუშაობად:

$$\eta = \frac{A}{Q_1}$$

რადგან $A = Q_1 - Q_2$, ამიტომ

$$\eta = \frac{Q_1 - Q_2}{Q_1}$$

ან პროცენტებში:


$$\eta = \frac{Q_1 - Q_2}{Q_1} \cdot 100\%$$

ვინაიდან სითბური ძრავას მუშაობისას ენერგიის გარკვეული რაოდენობა აუცილებლად გადაეცემა მაცივარს, ამიტომ მისი მქ ყოველთვის ნაკლებია 100%-ზე. ჩვეულებრივ, სითბური ძრავების მქ 20%-დან 40%-მდეა.

განვიხილოთ ერთ-ერთი სითბური მანქანის – ორთქლის ტურბინის – მუშაობის პრინციპი. ორთქლის ტურბინის მუშა სხეულია წყლის ორთქლი, რომელსაც სპეციალურ საქვაბეში იღებენ და ახურებენ დაახლოებით 600°C -მდე. საქვაბიდან ორთქლი მაღალი წნევით მიეწოდება ტურბინას (სურ. 3.83 ა). საქმენებიდან (1) ორთქლის ნაკადი ეცემა ტურბინის ფრთებს (2), რომელიც დისკოზე (3) დამაგრებული თვით დისკო უძრავადაა დამაგრებული ლილვზე (4). ორთქლის წნევის მოქმედებით დისკო იწყებს ბრუნვას და ატრიალებს ლილვს. ორთქლი ასრულებს მექანიკურ მუშაობას.

ორთქლის ტურბინებს (სურ. 3.83 ბ) ფართოდ იყენებენ თბო და ატომურ ელექტროსადგურებზე, სადაც ტურბინის ბრუნვის მექანიკური ენერგია გარდაიქმნება ელექტრულ ენერგიად, საწვავად კი იყენებენ ნავთობპროდუქტებს, ქვანახშირს, ბუნებრივ აირს და ატომურ საწვავს.

საქართველოში მოქმედი რამდენიმე თბოელექტროსადგურიდან ყველაზე მძლავრი გარდაბნისაა.



სურ. 3.83



დასკვნები:

- მოწყობილობას, რომელიც საწვავის შინაგან ენერგიას მექანიკურ ენერგიად გარდაქმნის, სითბური ძრავა ეწოდება;
- სითბური ძრავა ციკლურად მომუშავე მანქანაა;
- სითბური ძრავას ძირითადი ნაწილებია: მუშა სხეული, სახურებელი და მაცივარი;
- სითბურ ძრავაში ენერგიის გარკვეული რაოდენობა აუცილებლად გადაეცემა მაცივარს;
- სითბური ძრავას მქე გამოითვლება ფორმულით: $\eta = \frac{A}{Q_1} = \frac{Q_1 - Q_2}{Q_1}$;
- არც ერთ სითბურ ძრავას არ შეიძლება ჰქონდეს 100%-ის ტოლი მქე.

საკონტროლო კითხვები:

1. რატომ არ გვაკმაყოფილებს მუშაობის შესრულებისას მხოლოდ მარტივი მექანიზმების გამოყენება?
2. რაში ეხმარება ადამიანს სითბური ძრავა?
3. რის ხარჯზე ასრულებს მუშაობას აირი?
4. რატომ არის აუცილებელი მუშაობის შესრულების შემდეგ აირის გაცივება?
5. რას უნდოდებენ მუშა სხეულს? სახურებელს? მაცივარს?
6. როგორ ახსნი $A = Q_1 - Q_2$ ტოლობას?
7. რა მიზნებს ემსახურება სითბური ძრავას მქე-ს გაზრდა?



ერთად ამოვხსნათ ამოცანა

განსაზღვრეთ მოტოციკლზე მოქმედი წევის ძალა, თუ 20 კმ მანძილის გავლისას ბენზინის ხარჯი 1,4 ლ-ია. მოტოციკლის ძრავას მარგი ქმედების კოეფიციენტი 25 %-ია.

ამოხსნა:

მოც:	
$S=20$ კმ;	
$V=1,4$ ლ;	
$\rho=710$ კგ/მ ³ ;	
$q=46 \cdot 10^6$ კ/კგ;	
$\eta=25\%$.	
უ.გ. F	

მოტოციკლის ძრავას მარგი ქმედების კოეფიციენტი იქნება წევის ძალის მიერ შესრულებული მუშაობის შეფარდება ბენზინის დაწვის დროს გამოყოფილ სითბოს რაოდენობასთან: $\eta = \frac{A}{Q}$.

წევის ძალის მუშაობა $A=FS$. ბენზინის დაწვის დროს გამოყოფილი სითბოს რაოდენობა $Q=qm=q\rho V$. ვინაიდან მარგი ქმედების კოეფიციენტი 25 %-ია, $\frac{A}{Q}=\frac{1}{4} \Rightarrow Q=4A$. $q\rho V=4FS \Rightarrow F=\frac{q\rho V}{4S}$. რიცხვითი მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ: $F \approx 571$ ნ.



ამოხსენით ამოცანები:

- რისი ტოლია სითბური ძრავას მიერ შესრულებული სასარგებლო მუშაობა, თუ მუშა სხეულის მიერ სახურებლისგან მიღებული სითბოს რაოდენობა 700 მგჯ-ია, მაცივრისთვის გადაცემული სითბოს რაოდენობა კი – 550 მგჯ.
- რისი ტოლია დიზელზე მომუშავე ძრავას მარგი ქმედების კოეფიციენტი, თუ მის მიერ შესრულებული სასარგებლო მუშაობა საწვავის დაწვისას გამოყოფილი სითბოს რაოდენობის 0,23 ნაწილია?
- განსაზღვრეთ სითბური ძრავას მარგი ქმედების კოეფიციენტი, თუ ყოველ ციკლში მუშა სხეულის მიერ სახურებლისგან მიღებული სითბოს რაოდენობა 500 მგჯ-ია, მაცივრისთვის გადაცემული სითბოს რაოდენობა კი – 400 მგჯ.
- განსაზღვრეთ ბენზინზე მომუშავე ძრავას მიერ 1 კგ ბენზინის დაწვისას შესრულებული სასარგებლო მუშაობა, თუ ძრავას მარგი ქმედების კოეფიციენტი 20%-ია.
- რისი ტოლია სითბური ძრავას მარგი ქმედების კოეფიციენტი, თუ ყოველ ციკლში მუშა სხეულის მიერ სახურებლისაგან მიღებული სითბოს რაოდენობა 5/3-ჯერ მეტია მაცივრისთვის გადაცემული სითბოს რაოდენობაზე.
- მუშა სხეულის მიერ ყოველ ციკლში სახურებლისგან მიღებული სითბოს რაოდენობა 10/7-ჯერ მეტია მაცივრისთვის გადაცემული სითბოს რაოდენობაზე. როგორ შეიცვლება სითბური ძრავას მარგი ქმედების კოეფიციენტი, თუ თითოეულ ციკლში მუშა სხეული მაცივარს 8/7-ჯერ უფრო მეტ სითბოს რაოდენობას გადასცემს?
- განსაზღვრეთ ბენზინზე მომუშავე ამნის მარგი ქმედების კოეფიციენტი, თუ 4,6 ტ მასის ტვირთის 10 მ სიმაღლეზე თანაბრად ატანისას ამნის ძრავაში 100 გ მასის ბენზინი იწვის. წინააღმდეგობის ძალებს ნუ გაითვალისწინებთ.
- ჰორიზონტალურ ლიანდაგზე თანაბრად მოძრავ ორთქმავალზე მოქმედი სრული წინააღმდეგობის ძალა 5 მგნ-ია. რა მასის ქვანახშირის დაწვაა საჭირო, რომ ორთქმავალმა 405 მ მანძილი გაიაროს? ძრავას მარგი ქმედების კოეფიციენტი 15%-ია.
- მოტორიან ნავზე მოქმედი წყლის წინააღმდეგობის ძალა ნავის სიჩქარის პროპორციულია (ნახ. 3.84). ტბის ორ პუნქტს შორის მანძილის თანაბარი სიჩქარით დასაფარად ნავს m მასის საწვავი სჭირდება ნავს m მასის საწვავი სჭირდება. რა მასის საწვავი დასჭირდება ნავს m მასის საწვავი სჭირდება. რა მასის საწვავი დასჭირდება ნავს 2-ჯერ მეტი მანძილის დასაფარად, თუ ნავის სიჩქარეს ორჯერ გაზრდიან?
- მოტორიან ნავზე მოქმედი წყლის წინააღმდეგობის ძალა ნავის სიჩქარის კვადრატის პროპორციულია. სურ. 3.84



§ 3.16 სითბური მანქანებით გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემები

თანამედროვე ადამიანის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საჭიროა ენერგეტიკისა და ტრანსპორტის უწყვეტი განვითარება, რაც, თავის მხრივ, იწვევს ქვანახშირის, ნავთობის, ბუნებრივი აირისა და სხვა საწვავის მზარდ მოხმარებას. სითბური მანქანების მიერ მოხმარებული საწვავის რაოდენობა იმდენად დიდია, რომ სულ უფრო რთული ხდება გარემოს დაცვა წვის პროდუქტების მავნე ზემოქმედებისაგან, რომელიც განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით:

1. საწვავის წვისას მოხმარება ჰაერში არსებული უანგბადი, რის გამოც მისი რაოდენობა ატმოსფეროში კლებულობს. მაგალითად, 1 კგ ბენზინის დაწვისათვის საჭიროა 2,5 კგ უანგბადი; ცნობილია, რომ საჰაერო ლაინერი ევროპიდან ამერიკის კონტინენტზე გადაფრენისას ატმოსფეროდან დაახლოებით 40 ათას კუბურ მეტრ უანგბადს მოიხმარს.

2. საწვავის წვას თან ახლავს ატმოსფეროში ნახშირორჟანგის გამოყოფა, რაც ხელს უწყობს დედამიწაზე „სათბურის ეფექტის“ წარმოქმნას. ეს კი იწვევს დედამიწაზე ტემპერატურის ზრდას. საერთაშორისო კვლევებით, 1961 წელთან შედარებით, საშუალო ტემპერატურამ მოიმატა 1°C -ით. ერთი წლის განმავლობაში სხვადასხვა წყაროდან ატმოსფეროში ხვდება თითქმის 30 მილიარდი ტონა ნახშირორჟანგი, ხოლო ტყეების მიერ შთანთქმება მხოლოდ 4 მილიარდი ტონა. გამოტყორცნილი ნახშირორჟანგის ნახევარს გამოყოფს თბოელექტრონისადგურები (სურ. 3.85), ტრანსპორტი – 24%-ს, დანარჩენს კი ფაბრიკა-ქარხნები, ვულკანები (სურ. 3.86) და ცოცხალი ორგანიზმები;

3. სითბურ ძრავებში საწვავის გარკვეული რაოდენობა სრულად არ იწვის, რის შედეგადაც ატმოსფეროში ხვდება შხამიანი მხუთავი აირი (CO);

4. თითქმის ყველა საწვავის წვის შედეგად ატმოსფერო ბინძურდება აზოტისა და გოგირდის შენაერთებით, რაც იწვევს მუავა წვიმების წარმოქმნას. ზებგერითი თვითმფრინავებისა და რაკეტების მაღალ სიმაღლეზე ფრენისას წარმოქმნილი აზოტის ოქსიდი შლის ოზონის შრეს, რომელიც დედამიწას მზის საშიში გამოსხივებისაგან იცავს;

5. თბოსადგურებში ქვანახშირის წვისას წარმოიქმნება ფერფლი, რომლის ნაწილი იფანტება გარემოში და აბინძურებს მას.

ეს მხოლოდ არასრული ჩამონათვალია იმ მავნე ზემოქმედებისა, რომელსაც გარემოზე სითბური ძრავები ახდენს.



სურ. 3.85



სურ. 3.86



სურ. 3.87



სურ. 3.88

როგორ შეიძლება ვებრძოლოთ სითბური მანქანების გამოყენების ნეგატიურ შედეგებს? ამაზე მუშაობა რამდენიმე მიმართულებით მიმდინარებლის: მომხმარებლის მიერ (მაცივრები, ტელევიზორები, ნათურები და ა.შ.) ნაკლები ენერგიის ხარჯვა, თბოელექტრონისადგურებზე სპეციალური ფილტრების დაყენება, ენერგიის ალტერნატიული წყაროების (მზე, ქარი (სურ. 3.87, 3.88) და ა.შ) გამოყენება, ელექტრომობილების წარმოების გაზრდა და სხვა.



კროსვორდი


შეულად: ↑

- 1 – მყარი მდგომარეობიდან თხევადში გადასვლა (5 ასო)
- 2 – ბალანსის განტოლება (7 ასო)
- 3 – ჰაერის გაცივებისას წარმოიქმნება (5 ასო)
- 4 – მუშაობის შესრულების უნარი (7 ასო)
- 5 – ორთქლებისას წარმოიქმნება (6 ასო)
- 6 – ნივთიერების შემადგენელი (8 ასო)
- 11 – გათბობისას სხეულთა უმეტესობა (10 ასო)
- 12 – წევის საზომი ხელსაწყო (9 ასო)

თარაზულად: ↔


- 7 – წვის სითბო (5 ასო)
- 8 – ორთქლადქცევის ერთ-ერთი სახე (9 ასო)
- 9 – ძრავის ძალა (5 ასო)
- 10 – მყარი, სითხე და (4 ასო)
- 1 – ორთქლადქცევის ერთ-ერთი სახე (6 ასო)
- 6 – ძალის ერთეული (7 ასო)

ნ ი ბ ნ შ ი ა რ ჩ ა ნ ი რ თ !




მესამე თავის შემაჯამებელი კითხვები და ამოცანები


1. ერთმანეთს შეურიეს სამი სახვადასხვა მასისა და ტემპერატურის მქონე წყალი. განსაზღვრეთ მიღებული ნარევის ტემპერატურა სითბური წონასწორობის დამყარების შემდეგ, თუ თითოეულის მასა და ტემპერატურა შესაბამისად არის: 6 კგ და 80°C , 10 კგ და 70°C , 12 კგ და 50°C . სითბურ დანაკარგებს ნუ გაითვალისწინებთ.
2. 2 ლ მოცულობისა და 30°C ტემპერატურის წყალში ჩაასხეს დნობის ტემპერატურის მქონე 500 გ მასის ტყვია. განსაზღვრეთ წყლისა და ტყვიის ტემპერატურა სითბური წონასწორობის დამყარების შემდეგ. სითბურ დანაკარგებს ნუ გაითვალისწინებთ.
3. 1000 ჯ/°C სითბოტევადობის ჭურჭელში 20°C ტემპერატურის 16 ლ წყალი ასხია. რა ტემპერატურა უნდა ჰქონდეს 5 კგ მასის ფოლადის ნაჭერს, რომ მისი წყალში ჩაშვების შემდეგ დამყარდეს 70°C ტემპერატურა. სითბურ დანაკარგებს ნუ გაითვალისწინებთ.
4. რადიატორში შემავალი წყლის ტემპერატურა 80°C -ია, გამომავალისა კი – 60°C . განსაზღვრეთ რადიატორის მიერ დღე-დამეში გაცემული სითბოს რაოდენობა, თუ მასში ყოველ წუთში 12 ლ წყალი გადის.
5. რადიატორში შემავალი წყლის ტემპერატურა 70°C -ია, გამომავალი წყლისა კი – 60°C . განსაზღვრეთ რადიატორის მიერ დღე-დამეში გაცემული სითბოს რაოდენობა, თუ მასში შემავალი და გამომავალი მიღების განივევეთის ფართობი 25 ს^2 -ია, მიღებში წყლის მოძრაობის სიჩქარე კი – $0,4 \text{ მ}/\text{წ}$.
6. ტბის ზედაპირზე წყლის ტემპერატურა 0°C -ია. განსაზღვრეთ დღე-დამის განმავლობაში წარმოქმნილი ყინულის ფენის სისქე, თუ ტბის ყოველი 10 მ^2 ფართობი წუთში 340000 ჯ სითბოს რაოდენობას გასცემს.
7. კუბის ფორმის მქონე ჭურჭელში, რომლის ნიბოს სიგრძე 1 მ -ია, ფსკერზე მიმაგრებულია 15 დ^3 მოცულობის ყინულის ნაჭერი. ჭურჭლის დანარჩენი მოცულობა შევსებულია წყლით. ყინულის და წყლის ტემპერატურა 0°C -ია. რამდენით დაიკლებს წყლის დონე ჭურჭელში, თუ მას $3,4 \cdot 10^5$ ჯ სითბოს რაოდენობას გადაცემთ? მიჩნიეთ, რომ გადაცემული სითბო მთლიანად ყინულის შინაგანი ენერგიის გაზრდას ხმარდება.
8. რა მასის მშრალი შეშა უნდა დავწვათ, რომ გამოიყოს იმდენივე სითბოს რაოდენობა, რამდენიც გამოიყოფა 10 კგ ქვანახშირის დაწვისას?
9. ბენზინის მასა 11 კგ-ით მეტია მშრალი ხის მასაზე. ამ ბენზინის დაწვისას გამოყოფილი სითბოს რაოდენობა კი $9,2$ – ჯერ მეტია მშრალი ხის დაწვისას გამოყოფილ სითბოს რაოდენობაზე. განსაზღვრეთ თითოეულის მასა.
10. რა მასის 0°C -იანი ყინული შეიძლება გავადნოთ 3 ლიტრი სპირტის დაწვის შედეგად, თუ სპირტის წვის დროს გამოყოფილი სითბოს რაოდენობის 50% ყინულს გადაცემა?
11. სურ. 3.89-ზე მოცემული გრაფიკი გვიჩვენებს ყინულის ტემპერატურის დამოკიდებულებას მასზე გადაცემულ სითბოს რაოდენობაზე. განსაზღვრეთ ყინულის მასა.
12. სურ. 3.90-ზე მოცემული გრაფიკი გვიჩვენებს ყინულის და მისგან მიღებული წყლის ტემპერატურის დამოკიდებულებას მასზე გადაცემულ სითბოს რაოდენობაზე. აღნერეთ, რას გვიჩვენებს გრაფიკის თითოეული უბანი და განსაზღვრეთ ყინულის მასა.
13. სურ. 3.91-ზე მოცემული გრაფიკი გვიჩვენებს ყინულის და მისგან მიღებული წყლის ტემპერატურის დამოკიდებულებას მასზე გადაცემულ სითბოს რაოდენობაზე. აღნერეთ, რას გვიჩვენებს გრაფიკის თითოეული უბანი და განსაზღვრეთ ყინულის მასა.



სურ. 3.89



სურ. 3.90




სურ. 3.91

14. სურ. 3.91-ის მიხედვით განსაზღვრეთ დნობის პროცესში ყინულის მიერ მიღებული სითბოს რაოდენობა.


15. სურ. 3.91-ის მიხედვით განსაზღვრეთ ყინულის საწყისი ტემპერატურა.

16. სურ. 3.92-ზე მოცემულია ორი სხვადასხვა მასის ყინულის ტემპერატურის მათზე გადაცემული სითბოს რაოდენობაზე დამოკიდებულების გრაფიკი. განსაზღვრეთ პირველი ყინულის მასა, თუ მეორეს მასა 18°C -ია.

17. სურ. 3.93-ზე მოცემულია ორი სხვადასხვა მასის ყინულის ტემპერატურის მათზე გადაცემული სითბოს რაოდენობაზე დამოკიდებულების გრაფიკი. განსაზღვრეთ სითბოს რაოდენობა, რომელიც მათ დნობის პროცესში გადაეცათ.



სურ. 3.92



სურ. 3.93

18. განსაზღვრეთ, რა სიმაღლიდან დაიწყო ვარდნა სპილენძის ბურთულამ, თუ იგი მიწაზე დაცემის შემდეგ $0,5^{\circ}\text{C}$ -ით გათბა. მიიჩნიეთ, რომ დაცემისას გამოყოფილი სითბოს რაოდენობის ნახევარი ბურთულას გადაეცა. ჰაერის წინააღმდეგობას ნუ გაითვალისწინებთ ($\alpha \approx 10 \text{ ნ/}^{\circ}\text{C}$).

19. ერთნაირი სიმაღლიდან უსაწყისო სიჩქარით ჩამოვარდა ალუმინისა და სპილენძის ბურთულა. განსაზღვრეთ, რომლის ტემპერატურამ მოიმატა უფრო მეტად მიწაზე დაცემის შემდეგ, თუ დაცემისას გამოყოფილი სითბოს რაოდენობა ბურთულებს მთლიანად გადაეცემათ. ჰაერის წინააღმდეგობას ნუ გაითვალისწინებთ.

20. 340 გ სიმაღლიდან უსაწყისო სიჩქარით ჩამოვარდნილი ყინულის ნაჭერი დაეცა მიწაზე. განსაზღვრეთ ყინულის რა ნაწილი გადნება დაცემისას, თუ მისი ტემპერატურა 0°C -ია და დაცემისას გამოყოფილი სითბოს რაოდენობა ყინულს მთლიანად გადაეცემა. ჰაერის წინააღმდეგობას ნუ გაითვალისწინებთ ($\alpha \approx 10 \text{ ნ/}^{\circ}\text{C}$).

21. $8000 \text{ ჯ/}^{\circ}\text{C}$ სითბოტევადობის ქვაბში 10°C და 20°C ტემპერატურის წყალი ასხია. ქვაბი დადგეს გამათბობელზე, რომელიც ყოველ 5 წუთში 1 მგჯ სითბოს რაოდენობას გადასცემს მას. განსაზღვრეთ, რა დროში ადულდება წყალი. სითბურ დანაკარგებს ნუ გაითვალისწინებთ.

22. წინა ამოცანის პირობის მიხედვით, განსაზღვრეთ ადულებიდან რა დროში იქცევა ორთქლად მთელი წყალი.

23. ერთი და იმავე ტემპერატურისა და მასის წყალი ასხია ვიწრო მაღალ ჭურჭელში და განიერ დაბალ ჭურჭელში. რომელ ჭურჭელში ადულდება წყალი უფრო დაბალ ტემპერატურაზე, თუ სხვა გარეშე პირობები ერთნაირია?

24. მდუღარენწყლიან დიდ ქვაბში ტივტივებს წყლიანი პატარა ქვაბი. ადულდება თუ არა წყალი პატარა ქვაბში, თუ დიდ ქვაბს ენერგია უწყვეტად გადაეცემა?

25. კალორიმეტრში მოთავსებულია 5 კგ მასის -20°C ტემპერატურის ყინული. რა ტემპერატურა დამყარდება კალორიმეტრში, თუ მასში შევუშვებთ 100°C ტემპერატურის 200 გ მასის წყლის ორთქლს? კალორიმეტრის სითბოტევადობას და სითბურ დანაკარგებს ნუ გაითვალისწინებთ.

26. კალორიმეტრში, რომელშიც 80°C ტემპერატურის 5 კგ მასის წყალი ასხია, შეუშვეს 100°C ტემპერატურისა და $0,2\text{ კგ}$ მასის წყლის ორთქლი. განსაზღვრეთ ტემპერატურა სითბური წონასწორობის დამყარების შემდეგ. კალორიმეტრის სითბოტევადობასა და სითბურ დანაკარგებს ნუ გაითვალისწინებთ.

27. კალორიმეტრში, რომელშიც 60°C ტემპერატურის 5 კგ მასის წყალი ასხია, შეუშვეს 100°C ტემპერატურისა და 300 გ მასის წყლის ორთქლი. რა მასის წყალი იქნება კალორიმეტრში სითბური წონასწორობის დამყარების შემდეგ? კალორიმეტრის სითბოტევადობასა და სითბურ დანაკარგებს ნუ გაითვალისწინებთ.

28. წინა ამოცანის პირობის მიხედვით, განსაზღვრეთ კალორიმეტრში დამყარებული საბოლოო ტემპერატურა.

29. კალორიმეტრში ჩასხმულია 10 ლ 0°C -იანი წყალი. მასში ტივტივებს 4 კგ მასისა და 0°C ტემპერატურის ყინული. განსაზღვრეთ რა მასის 100°C -იანი წყლის ორთქლი უნდა შევუშვათ კალორიმეტრში, რომ სითბური წონასწორობის დამყარების შემდეგ ყინულის ნახევარი გადნეს. კალორიმეტრის სითბოტევადობასა და სითბურ დანაკარგებს ნუ გაითვალისწინებთ.

30. კალორიმეტრში ჩასხმულია 10 ლ 0°C -იანი წყალი. მასში ტივტივებს იმავე ტემპერატურისა და 5 კგ მასის ყინულის ნაჭერი. განსაზღვრეთ რა მასის 100°C -იანი წყლის ორთქლი უნდა შევუშვათ კალორიმეტრში, რომ სითბური წონასწორობის დამყარების შემდეგ წყლის მასა 1 კგ -ით გაიზარდოს. კალორიმეტრის სითბოტევადობას და სითბურ დანაკარგებს ნუ გაითვალისწინებთ.

31. რა მასის გამდნარი ტყვია უნდა ჩავასხათ 90°C ტემპერატურისა და 5 კგ მასის ყინულის ნაჭერი. განსაზღვრეთ რა მასის 100°C -იანი წყლის ორთქლი უნდა შევუშვათ კალორიმეტრში, რომ სითბური წონასწორობის დამყარების შემდეგ წყლის მასა 1 კგ -ით გაიზარდოს. კალორიმეტრის სითბოტევადობას და სითბურ დანაკარგებს ნუ გაითვალისწინებთ.

32. 0°C ტემპერატურის წყალში მოტივტივე ყინულის წყალზედა ნანილის მოცულობა 1 დმ^3 -ია. რამდენი ჯოული სითბოს რაოდენობა უნდა გადავცეთ ყინულს, რომ მისი წყალზედა ნანილის მოცულობა $0,8\text{ დმ}^3$ გახდეს?

33. 100 სმ^2 განივცვეთის ფართობის მქონე ცილინდრული ფორმის თავლია ჭურჭელში ასხია 100°C ტემპერატურის წყალი, 20 სმ სიმაღლემდე. რისი ტოლი გახდება ჰიდროსტატიკური წნევა ჭურჭლის ფსკერზე, თუ წყალს $3,2 \cdot 10^6\text{ ჯ}$ სითბოს რაოდენობას გადავცემო?


34. ერთნაირად გაბერილი შავი და თეთრი ერთნაირი რეზინის ბუშტები ჩრდილიდან მზეზე გაიტანეს. რომელი ბუშტის ზომა მოიმატებს უფრო მეტად? პასუხი დაასაბუთეთ.



სურ. 3.94


35. ლუკას და თათიას თოვლში თამაშისას შესცივდათ და თბილ ოთახში შევიდნენ. თათიამ ქურთუკი შესვლისთანავე გაიხადა, ლუკამ კი – მოგვიანებით. რომელი მოიქცა უფრო სწორად? პასუხი დაასაბუთეთ.

36. 60 სმ სიგრძის ლერო, რომლის ბოლოებზეც ჩამოკიდებულია თითოეული 10 კგ მასის რკინისა და ყინულის ნაჭერი, ეყრდნობა ორ საყრდენს (სურ. 3.95). მანძილი ლეროს მარცხენა ბოლოდან მარცხენა საყრდენამდე $d=20$ სმ-ია. განსაზღვრეთ რა სითბოს რაოდენობა უნდა გადავცეთ ყინულის ნაჭერს, რომ ლეროს წონასწორობა დაირღვეს. ლეროს მასას ნუ გაითვალისწინებთ, ყინულის საწყისი ტემპერატურა 0°C -ია.



სურ. 3.95

37. ერთმანეთთან მიღით დაკავშირებული ორი ჭურჭლიდან ერთში ჩასხმულია ცივი წყალი, მეორეში კი – ცხელი. ჭურჭლების დამაკავშირებელი ონკანი დაკეტილია. სურ. 3.85 ა-ზე და სურ. 3.85 ბ-ზე გამოსახულიდან რომელ მდგომარეობაში უნდა დავდოთ ჭურჭელი, რომ ონკანის გაღების შემდეგ სითბოცვლა ცივ და ცხელ წყალს შორის სწრაფად შეწყდეს? პასუხი დაასაბუთეთ.



სურ. 3.85

38. თავლია წვრილ ლითონის მიღები ჩასხმულია ოთახის ტემპერატურის მქონე სპირტი. თუ მიღს მდუღარე წყალში ჩავუშვებთ, სპირტის სვეტის სიმაღლე ჯერ მოიკლებს, შემდეგ კი ზრდას დაიწყებს. ასესნით მიზეზი.

39. სითბური ძრავას მუშა სხეული ყოველ ციკლში სახურებლისგან იღებს 20 მგჯ-ით მეტ სითბოს რაოდენობას, ვიდრე გადასცემს მაცივარს. განსაზღვრეთ თითოეულ ციკლში მუშა სხეულის მიერ სახურებლისგან მიღებული სითბოს რაოდენობა, თუ ძრავას მარგი ქმედების კოეფიციენტი 25%-ია.

40. სითბური ძრავას მუშა სხეული ყოველ ციკლში სახურებლისგან იღებს 40 მგჯ-ით მეტ სითბოს რაოდენობას, ვიდრე გადასცემს მაცივარს. განსაზღვრეთ თითოეულ ციკლში მუშა სხეულის მიერ მაცივარზე გადაცემული სითბოს რაოდენობა, თუ ძრავას მარგი ქმედების კოეფიციენტი 25%-ია.

ზოგიერთი ნივთიერების სიმკვრივე

ნივთიერება	ρ , კგ/მ ³	ρ , გ/სმ ³	ნივთიერება	ρ , კგ/მ ³	ρ , გ/სმ ³
მყარი ნივთიერება, 20 °C (გარდა ყინულისა)					
ოსმიუმი	22 600	22,6	მარმარილი	2 700	2,7
ირიდიუმი	22 400	22,4	ფანჯრის მინა	2 500	2,5
პლატინა	21 500	21,5	ფაიფური	2 300	2,3
ოქრო	19 300	19,3	ბეტონი	2 300	2,3
ტყვია	11 300	11,3	სუფრის მარილი	2 200	2,2
ვერცხლი	10 500	10,5	აგური	1 800	1,8
სპილენდი	8 900	8,9	პოლიეთილენი	920	0,92
ფოლადი, რკინა	7 800	7,8	პარაფინი	900	0,9
კალა	7 300	7,3	ყინული	900	0,9
თუთია	7 100	7,1	მუხა (მშრალი)	700	0,7
თუკი	7 000	7	ფიჭვი (მშრალი)	400	0,4
ალუმინი	2 700	2,7	კორპი	240	0,24
თხევადი ნივთიერება, 20 °C					
ვერცხლისწყალი	13 600	13,6	ნავთი	800	0,8
გოგირდმჟავა	1 800	1,8	სპირტი	800	0,8
გლიცერინი	1 200	1,2	ნავთობი	800	0,8
ზღვის წყალი	1 030	1,03	აცეტონი	790	0,79
წყალი	1 000	1	ბენზინი	710	0,71
მზესუმზირის ზეთი	930	0,93	თხევადი კალა 400 °C	6 800	6,8
მანქანის ზეთი	900	0,9	თხევადი ჟანგბადი -194 °C	860	0,86
აირადი ნივთიერება, 0 °C (ნორმალური პირობებისას)					
ქლორი	3,21	0,00321	ბუნებრივი აირი	0,8	0,0008
ჟანგბადი	1,43	0,00143	წყლის ორთქლი 100 °C	0,59	0,00059
ჰაერი	1,29	0,00129	ჰელიუმი	0,18	0,00018
აზოტი	1,25	0,00125	წყალბადი	0,09	0,00009

საგნობრივი საძიებელი

- აბსოლუტური ნული 124
აბსოლუტური ტემპერატურული სკალა 124
აორთქლება 154
არამდგრადი წონასწორობა 70
ბერკეტი 80
ბრიზი 128
გამოსხივება 131
გამყარება 148
განურჩეველი წონასწორობა 70
დახრილი სიბრტყე 96
დნობა 146
დნობის კუთრი სითბო 150
დნობის ტემპერატურა 146
დუღილი 158
დუღილის ტემპერატურა 159
თბოგადაცემა 115
თბოგამტარობა 117
თერმომეტრი 123
კალორიმეტრი 138
კინეტიკური ენერგია 34
კონდენსაცია 156
კონვექცია 127
კუთრი სითბოტევადობა 134
მარგი ქმედების კოეფიციენტი 99
მარტივი მექანიზმები 80
მასათა ცენტრი 56
მაცივარი 166
მდგრადი წონასწორობა 70
მექანიკის ოქროს წესი 91
მექანიკური მუშაობა 10
მომენტების წესი 66
მოძრავი ჭოჭონაქი 85
მუშა სხეული 166
ნაჯერი ორთქლი 156
ორთქლადქცევა 154
ორთქლადქცევის კუთრი სითბო 162
პოტენციალური ენერგია 33
სახურებელი 166
სითბოს რაოდენობა 133
სითბური ბალანსის განტოლება 139
სითბური გაფართოება 120
სითბური ძრავა 165
სიმძიმის ცენტრი 56
სიმძლავრე 29
სუბლიმაცია 156
ტემპერატურა 113
ფარენჰიტის სკალა 125
შინაგანი ენერგია 42
ცელსიუსის სკალა 123
ცხენის ძალა 29
ძალაყინი 80
ძალის მომენტი 62
ძალის მხარი 62
წევა 128
წვის კუთრი სითბო 142
წონასწორობა 58
ჭოჭონაქი 85
ჯალამბარი 67

პასუხები

თავი 1

§ 1.2 1) a) კი; b) კი; c) არა; d) კი. 2) შეუძლია. 3) 10^4 ჯ. 4) $2,25 \cdot 10^6$ ჯ. 5) 15 ნ-ით. 6) 5. 7) $750 \text{ 6, } 7,5 \cdot 10^5$ ჯ. 8) PSL 9) a) 3კჯ, 4,5 კჯ; b) 7,5 კჯ. 10) a) -1კჯ, 1,5კჯ, b) 500 ჯ.

§ 1.3 1) 15 ჯ. 2) 8 ჯ. 3) ერთნაირი იქნება. 4) 500 ჯ. 5) a) 2 კჯ; b) -2 კჯ; c) 0 ჯ. 6) ნულის ტოლია. 7) ნულის ტოლია. 8) a) -1 კჯ; b) 250 ჯ; c) -750 ჯ. 9) 4·A-სი. 10) 20 კგ, -2400 ჯ.

§ 1.4 1) a) უარყოფითია; b) უარყოფითია. 2) გაღებისას უარყოფითია, დახურვისას დადებითია. 3) 2,5 ჯ, -2,5 ჯ. 4) 30 ჯ. 4000 ნ/მ . 5) 1000 ნ/მ , 3,2 ჯ. 6) 1 ჯ. ფიგურის ფართობი რიცხვობრივად ტოლია დრეკადობის ძალის მიერ შესრულებული მუშაობის მოდულის. 7) 1,56 ჯ. 8) 0,2 მ, 40ჯ. 9) a) 50 ნ-ის, 0 ნ; b) თანაბრად; c) 25 ნ-ის; რიცხობრივად ერთმანეთის ტოლია. 10) 5 ჯ.

§ 1.5 1) უარყოფითს. 2) უარყოფითს. 3) -2 ჯ. 4) -500 ჯ. 5) ორივე შემთხვევაში ერთნაირია. 6) 8A-ს. 7) $-24 \cdot 10^4$ ჯ. 8) 0,1. 9) a) -1500 ჯ; b) -2000 ჯ; c) 3500 ჯ. 10) -4000 ჯ.

§ 1.6 1) გაიზარდა; გაიზრდებოდა. 2) შესრულებულ სრულ მუშაობაში არასა-სარგებლო მუშაობის წილი ნაკლები რომ იყოს. 3) a) 1200 ჯ; b) 1250 ჯ; c) 96%. 4) 0,8-ს. 5) 2/3. 6) a) სასარგებლოა; b) არასასარგებლოა. 7) არასასარგებლო მუშა-ობის წილი ნაკლები რომ იყოს. 8) 4500 ჯ, 6000 ჯ, 75%. 9) ტვირთის აწევაზე სასარგებლოა, დიდი დგუშის აწევაზე – არასასარგებლო. მათი ჯამი სრული მუშაობაა. 10) შემცირდება.

§ 1.7 1) ერთ წამში 100 ჯ მუშაობას ასრულებს; ერთ წამში 2500 ჯ მუშაობას ას-რულებს. 2) 6 კჯ. 3) 5 ნმ. 4) 84 კჯ. 5) 14 კვტ. 6) 10 ნმ. 7) 500 ვტ. 8) 1500 ვტ. 9) 10 კვტ. 10) 1 ვტ.

§ 1.8 1) 306,25 ჯ. 2) $15,625\text{-ჯერ}$. 3) 5-ჯერ. 4) 20 ჯ. 5) 20 მ-ს. 6) 14400 ჯ. 7) მაგალითად, გაჭიმული ზამბარის პოტენციალური ენერგიის ხარჯზე გაღებუ-ლი კარი დაიხურება; გაჭიმული რეზინის ზონის პოტენციალური ენერგიის ხარჯ-ზე გავისვრით შერდულიდან კენჭს. 8) 1 ჯ. 9) 2,56 ჯ-ის. 10) 10 სმ, 20 სმ.

§ 1.9 1) 600 ჯ. 2) 1500 ჯ. 3) 100 ჯ. 4) 2 მ. 5) 1,25 მ-ს. 6) ერთნაირი იქნება. 7) a) 45 მ-ზე; b) 30 მ/წმ-ით. 8) a) 400 ნ/მ; b) 3,75 სმ; c) 0,5 ჯ. 9) 2x-ით. 10) a) 5 დმ-ით; b) 20 ნ-ის; c) 10 ჯ-ის; d) რიცხვობრივად დრეკადობის ძალის მიერ შესრულებული მუშაობის მოდულის ტოლია.

§ 1.10 1) მაგალითად, მაკრატლის (დანის) გალესვისას სალესი ქვის მექანიკური ენერგია მათ შინაგან ენერგიად გარდაიქმნება – ორივე მათგანი თბება. 2) ხელების ერთმანეთ-ზე გასმისას შესრულებული მექანიკური მუშაობა მათ შინაგან ენერგიად გარდაიქმნება. 3) სირბილისას კუნთების შესრულებული მექანიკური მუშაობის ნაწილი ორგანიზ-მის შინაგან ენერგიად გარდაიქმნება. 4) გამათბობლისგან მიღებული შინაგანი ენ-ერგიის ხარჯზე თბება ბუშტში არსებული ჰაერი, შემდეგ ჰაერის შინაგანი ენერგი-

ის ხარჯზე ის ფართოვდება – რეზინი იწელება. რაც იმას ნიშნავს, რომ მოიმატებს რეზინის ბუშტის (როგორც დრეკადი სხეულის) პოტენციალური ენერგია. 5) $2 \cdot 10^5$ კ. 6) 1560 ჯ-ით. 7) 100 ჯ-ით მოიმატა. 8) 20 ჯ-თ. 9) 5 ჯ. 10) ა) 700 ნ; ბ) -35 კჯ; გ) 14 კჯ-ით.

პირველი თავის შემაჯამებელი კითხვები და ამოცანები:


- 1) 0,1. 2) 30 ნ, 300 ჯ. 3) სიმძიმის ძალის მუშაობის. 4) 135 ჯ, -50 ჯ. 5) არქიმედეს ძალის. 6) $-0,036$ ჯ, 1,5 ჯ. 7) -85 ჯ. 8) 172,5 ჯ. 9) 640 ჯ. 10) ერთნაირი მუშაობა შესრულდება. 11) ერთნაირ მუშაობას ასრულებთ. 12) არბენისას მეტ სიმძლავრეს ავითარებთ. 13) ორივე შემთხვევაში ერთნაირ მუშაობას შეასრულებთ. 14) გაიზრდება 4-ჯერ. 15) გაიზრდება 8-ჯერ. 16) 3. 17) 4-ჯერ. 18) 2 კვტ. 19) 1200 ვტ. 20) 200 ჯ-ს. 21) ორივე შემთხვევაში ერთნაირია. 22) ორივე შემთხვევაში დადებითია. 23) 200. 24) 0,4 კგ. 25) 200 გ. 26) $\frac{10}{3}$. 27) 5 მ-სა და 25 მ-ზე. 28) ა) 2; ბ) 8. 29) 6 სმ. 30) 20 ნმ.

31) 3,75 ჯ. გამოვითვალოთ გრაფის ქვეშ გამუქებული

5 სმ-მდე მოთავსებული ტრაპეციის ფართობი:

$$S = \frac{100+50}{2} \cdot 0,05 = 3,75 \text{ (ჯ).}$$

ძალის გავლილ მანძილზე დამოკიდებულების გრაფიკის ქვეშ მოთავსებული ფიგურის ფართობი რიცხობრივად შესრულებული მუშაობის ტოლია. 32) 160 კჯ. 33) 120 კჯ. 34) ა) 20 ნ და 80 ნ; ბ) 50 ნ; გ) 5 ჯ; დ) სხეულზე მოდებული ცვლადი ძალის მუშაობა რიცხობრივად ამ ძალის განვლილ მანძილზე დამოკიდებულების გრაფიკის ქვეშ მოთავსებული ფიგურის ფართობის ტოლია. 35) 400 ჯ. 36) 22 მგჯ. 37) 2 მ/წმ-ით. 38) 250 გ. 39) 10. 40) 1600 ჯ-ით. 41) 2-ჯერ. 42) 75 %-ით. 43) 10 მ/წმ-ით. 44) 150 ჯ, 350 ჯ. 45) 20 მ/წმ-ით. 46) 20 მ/წმ. 47) 2,5 მ-ზე. 48) 7,5 მ/წმ. 49) ერთნაირი იქნება. 50) 4h-ს. 51) 50 სმ. 52) ა) 5 ჯ; ბ) 0,2 მ. 53) 10 ჯ, 5 ჯ. 54) ნახევარი. 55) 2 მ/წმ. 56) 2 მ/წმ. 57) ა) 25 ნ; ბ) 2,5 ჯ; გ) 25 ნ. 58) ა) 3,2 ჯ. ბ) 100 ნ. გ) 9,6 ჯ. 59) გაიზრდება. 60) გაიზრდება 100 ჯ-ით. 61) შემცირდება. 62) შემცირდება 200 ჯ-ით. 63) სიმძიმის და რეაქციის ძალები კინეტიკურ ენერგიას არ ცვლის. სრიალის ხახუნის ძალა – ამცირებს. 64) 10 მ/წმ. 65) 70 კგ. 66) 50 მ. 67) 20 მ/წმ-ით. 68) 9 კჯ. 69) 80 მ-ს. 70) 0,4.



თავი II

§ 2.2 1) 10 ნ მარცხნივ. 2) 7 ნ მარცხნივ. 3) ვერტიკალურად ზევით მიმართული საყრდენის რეაქციის ძალა, რომლის მოდული 50 ნ-ია. 4) ა) ქვედა აგურის მხრიდან მოქმედი ვერტიკალურად ზევით მიმართული რეაქციის ძალა, რომლის მოდული 50 ნ-ია. ბ) ქვედა აგურზე მოქმედებს 3 ძალა: 50 ნ სიმძიმის ძალა, ზედა აგურის მხრიდან ქვევით მიმართული 50 ნ წნევის ძალა და საყრდენ ზედაპირზე აღძრული ზემოთ მიმართული 100 ნ რეაქციის ძალა. 5) 850 ნ. 6) დაირღვევა. 7) ა) 40 კნ; ბ) $4/3$ -ჯერ. 8) 5 სმ; 10 სმ. 9) 150 ნ. 10) 100 ნ-ით.

§ 2.3 1) როდესაც დიდი რადიუსი აქვს. 2) სახელურზე მოქმედ ძალას დიდი მხარი რომ ჰქონდეს. 3) ქანჩის საშუალებით ვზრდით ძალის მხარს. 4) 2,5 ნ-მ-ის. 5) ა) 24 ნ-მ საათის

ისრის მოძრაობის მიმართულებით; ბ) 36 ნ·მ საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით; გ) დისკო წონასწორობაში ვერ იქნება. 6) ა) 20 ნ·მ საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით; ბ) 20 ნ·მ საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგოდ; გ) განონასწორებულია. 7) 5-ჯერ უნდა შევამციროთ. 8) ა) 160 ნ-ის; ბ) 50 სმ-ის; გ) 10 სმ-ის; დ) 25 ნ. 9) 10 ნ·მ. 10) 0,5 მ.

§ 2.5 1) მდგრადია. 2) მდგრადია. 3) განურჩეველია. 4) არამდგრადია. 5) მდგრადია. 6) ა) იმავე წერტილში დარჩება; ბ) მესამე სექტორში გადაინაცვლებს. 7) ა) სურ. ა-ზე გამოსახული ბურთის წონასწორობა მდგრადია, სურ. ბ-ზე არამდგრადი; ბ) სურ. ა-ზე გამოსახულ მდგომარეობაში პოტენციალური ენერგია ნაკლებია. 8) ა) 100 ნ; ბ) 4. 9) $d_1=80$ სმ, $d_2=20$ სმ, 10) 120 სმ-ით.

§ 2.6 1) კოშკის მასათა ცენტრზე გავლებული შვეული საყრდენ ფართობში გადის. 2) საყრდენი ფართობის გასაზრელად. 3) ჯოხის დახმარებით ის ინარჩუნებს წონასწორობას. 4) მძიმე ტვირთების ანევისას საერთო მასათა ცენტრი საყრდენ ფართობში რომ დარჩეს. 5) საყრდენი ფართობის გაზრდა. 6) ოთხფეხა. 7) საყრდენი ფართობის გასაზრდელად. 8) ზრდიან საყრდენ ფართობს. 9) 45° -ით. 10) არა.

§ 2.7 1) 20 კგ. 2) 9 კგ. 3) 20 სმ; 80 სმ; 150 ნ-ით. 4) 20 კგ; 10 კგ. 5) 2,4 მ. 6) 1,2 მ; 0,3 მ. 7) 2 კგ; 20 კგ. 8) 1 მ; 250 ნ. 9) 5 კგ; 150 ნ. 10) 60 კგ.

§ 2.8 1) 100 ნ; 200 ნ. 2) 200 ნ; 400 ნ. 3) 20 სმ-ით. 4) ა) 250 ნ; ბ) 500 ნ; გ) 500 ნ; დ) 750 ნ-ით. 5) 10 კგ; 100 ნ. 6) ა) 4-ჯერ; ბ) 8 მ-ით; გ) 500 ნ; დ) 750 ნ-ით. 7) 300 ნ-ს. 8) 28 კგ. 9) 112 ნ. 10) 28 მ-ს.

§ 2.9 1) 2 ჯ. 2) 1206; $\approx 0,017$ მ. 3) 500 ნ; 4 სმ. 4) 3 სმ-ზე. 5) 300 ნ; 90 ჯ. 6) 80 კგ; -400 ჯ. 7) 200 ნ; 40 ჯ. 8) 30 კგ. 9) 300 ნ; 50. 10) ა) 300-ჯერ; ბ) 20 ჯ.


§ 2.10 1) 90 ნ. 2) 40 ნ. 3) 5 კგ. 4) 400 ნ-ით. 5) 40 სმ; 10 სმ. 6) 30 კგ. 7) 125 ნ-ის. 8) 0,1 მ. 9) 160 ნ. 10) 92 ნ.

§ 2.11 1) 100 %-ის. 2) 200 ჯ-ის. 3) 80%. 4) 3,2 კგ. 5) 1 კჯ; 80%. 6) 80%. 7) 75%. 8) 0,4. 9) 0,75. 10) 72%.

მეორე თავის შემაჯამებელი კითხვები და ამოცანები:

1) ა) \vec{F}_1 -ის მომენტი ნულის ტოლია, \vec{F}_2 -ის მომენტია 100 ნ·მ, \vec{F}_3 -ის კი – 100 ნ·მ. ბ) \vec{F}_2 -ის მომენტი ნულის ტოლია. \vec{F}_1 და \vec{F}_3 ძალის მომენტების მოდული 140 ნ·მ. გ) \vec{F}_3 ძალის მომენტი ნულის ტოლია. \vec{F}_1 და \vec{F}_2 ძალის მომენტების მოდული 350 ნ·მ. დ) სამივე ლერძის მიმართ ერთნაირად მოსახერხებელია. 2) 25 სმ; 400 ნ. 3) 40 კგ. 4) 1,6 მ. 5) 48 კგ, 52 კგ. 6) 180 ნ. 7) 80 ნ. 120 ნ. 8) 20 ნ, 80 ნ. 9) 200 ნ. 600 ნ. 10) 10 კგ. 11) 30 კგ; 1400 ნ-ით. 12) 5-ჯერ. 13) $\approx 6,28$ მ-ით. 14) ძალის მოგებას გვაძლებს 1,5-ჯერ. 15) 300 ნ; გაიზრდებოდა 100 ნ-ით. 16) 90 კგ. 17) 70 კგ. 18) 48 კგ; 840 ნ. 19) 40 კგ. 20) 15 კგ. 21) 7 კგ; 930 ნ. 22) 20 სმ. 23) 30 სმ. 24) 12,5 სმ. 25) 30 სმ. 26) დიაგონალების გადაკვეთის წერტილი დაემთხვევა ფირფიტის მასათა ცენტრს.

27) მინიშნება: მიღებული ფიგურა დავყოთ ორ მართვულ-ხედად. ერთ შემთხვევაში ისე, როგორც სურ ა-ზეა გამოსახული, მეორე შემთხვევაში ისე, როგორც სურ ბ-ზეა გამოსახული. 28) 500 ნ. 29) გვაძლევს ძალის ორჯერ ნაგებას; მანძილის ორჯერ მოგებას.



ანс. 27 а

27 б

- 30) 100 კგ. 31) გვაძლევს ძალის ორჯერ წაგებას, მანძილის ორჯერ მოგებას.
 32) 10 სმ-ით. 33) 120 კგ. 34) გვაძლევს ძალის 4-ჯერ მოგებას; მანძილის 4-ჯერ წაგებას. 35) 200 ტ. 36) 320 კგ; 1,6 ტ. 37) 70 ტ. 38) 80 ტ. 39) 140 ტ. 40) 125 ტ.
 41) 20 ტ. 42) ≈40 ტ. 43) 20 ტ. 44) 37,5 ტ. 45) 12 კგ. 46) 2500 კგ/ტ³. 47) 200 ტ. 48) 4000 სმ³.
 49) 300 ტ. 50) არ დაირღვევა.

თავი III

§ 3.1 1) მაგალითად ხელების ერთმანეთზე გახახუნებისას. 2) მაგალითად, გამათბობელი ათბობს ოთახს. 3) ჯოხის ღარში ხახუნისას სრულდება მექანიკური მუშაობა, რომელიც გარდაიქმნება მოხახუნება სხეულების შინაგან ენერგიად. 4) ასანთის ღერის კოლოფზე გასრიალებისას სრულდება მექანიკური მუშაობა, რის ხარჯზეც ასანთის თავი გაცხელდება და აალდება. 5) როდესაც ასანთის თავს ცხელ ღუმელს მივადებთ აალდება. 6) ბორბლებსა და გზის საფარის შორის ალძრული ხახუნის ძალის მუშაობის ხარჯზე. გზის საფარის შინაგანი ენერგია. 7) შემცირდება. 8) ა) აირის შინაგანი ენერგიის ხარჯზე. ბ) შემცირდა. 9) შემცირდება. 10) ნაწილაკების ქაოსურად მოძრაობის სიჩქარემ მოიმატა.

§ 3.2 1) მეორე შემთხვევაში, დიდი ფართობით შეხებისას. 2) ჩვეულებრივ ხის კარიც და მისი სახელურიც ოთახის ტემპერატურისაა, რომელიც ნაკლებია ადამიანის ტემპერატურაზე. ლითონი უფრო კარგი თბოგამტარია, ვიდრე ხე, ამიტომ სახელურზე შეხებისას ლითონი უფრო სწრაფად ართმევს ადამიანის ხელს სითბოს რაოდენობას, ვიდრე ხე. ამიტომაც უფრო ცივი გვეჩვენება ლითონი. 3) ლითონი უფრო ცხელი მოგვეჩვენება. 4) თოვლი ფხვიერია და შეიცავს ჰაერს. ჰაერი ცუდი თბოგამტარია, ამიტომ ძლიერ ყინვაში თოვლი უნარჩუნებს მცენარეებს და ნარგავებს შინაგან ენერგიას. 5) საბანი და ქურთუკი შეიცავს ფაფუკ გარსს, რომელშიც ჰაერია. ჰაერი ცუდი თბოგამტარია, ამიტომ იგი გვინარჩუნებს შინაგან ენერგიას. 6) მინა-ბამბას გარსი ფაფუკია, იგი შეიცავს ჰაერს და უნარჩუნებს ოთახს შინაგან ენერგიას. 7) ცუდი თბოგამტარობის გამო მილების შესაფუთი გარსი უნარჩუნებს წყალს შინაგან ენერგიას. 8) ლითონის ჭიქაში. 9) უდაბნოში ქვიშის კრისტალებს შორის ჰაერია, რის გამოც ქვიშა ცუდი თბოგამტარია. დღისით მზე ათბობს ქვიშის ზედაპირს. ცუდი თბოგამტარობის გამო სითბოს რაოდენობა ვერ აღწევს ქვიშის ქვედა ფენებში, რის გამოც ვარვარდება ქვიშის მხოლოდ ზედაპირი. ამიტომაც ცხელა დღისით. როდესაც მზე ჩავა ჰაერის ტემპერატურის შენარჩუნებას მხოლოდ დღის განმავლობაში გამობარი ქვიშა ცდილობს. ვინაიდან ქვიშის ქვედა ფენები დღის განმავლობაში არ გაცხელებულა, ჰაერის ტემპერატურის შესანარჩუნებლად საკმარისი შინაგანი ენერგია მას არ გააჩნია, ამიტომაც ცივა ღამით. 10) მინა ცუდი თბოგამტარია.

§ 3.4 1) $^{\circ}\text{C} = (^{\circ}\text{F}-32)/1,8$. 2) 5 კ-ით. 3) 0 $^{\circ}\text{C}$. 4) ვერცხლისწყლის გამყარების ტემპერატურა -39 $^{\circ}\text{C}$ -ია, ამიტომ ისეთ ადგილებში სადაც -39 $^{\circ}\text{C}$ -ზე ნაკლები ტემპერატურაა ვერცხლისწყლიანი თერმომეტრი ვერ იმუშავებს. 5) გათბობისას ლითონები მინაზე უკეთესად ფართოვდება. რეზერვუარის ლითონისაგან დამზადების შემთხვევაში რეზერვუარი გაფართოვდებოდა და ვერცხლისწყლის სვეტი მილში შესამჩნევად ვეღარ აიწევდა. 6) 38 $^{\circ}\text{F}$ -ით. 7) ქვედა ზღვარია -10 $^{\circ}\text{C}$; ზედა ზღვარია -50 $^{\circ}\text{C}$. 8) დანაყოფის ფასი 1 $^{\circ}\text{C}$ -ია; ცდომილება 0,5 $^{\circ}\text{C}$. 9) სხეულის ტემპერატურას განსაზღვრავს მისი შემადგენელი ნაწილაკების ქაოსურად მოძრაობის კინეტიკური ენერგია. -273 $^{\circ}\text{C}$ ტემპერატურა ისეთ სხეულს ექნებოდა, რომლის ნაწილაკების კინეტიკური ენერგიები ნულის ტოლი გახდე-

ბოდა. რადგან ნაწილაკების კინეტიკური ენერგია ნულზე ნაკლები ვერ გახდება, სხეულის ტემპერატურა -273°C -ზე ნაკლები ვერ იქნება. 10) $T_1=300\text{k}$.

§ 3.5 1) მიზეზი ეკვატორსა და პოლუსებზე დედამიწის სხვადასხვანაირი გათბობაა. 2) გარედან შემოსული ცივი ჰაერი კონვექციის გამო იატაკისკენ მიდის და ისე ვრცელდება ოთახში. 3) გახურებული ჰაერი კონვექციით ადის საჰაერო ბურთში. 4) ცივი ჰაერი იატაკისკენ გადაინაცვლებს. ოთახიდან გარეთ გამავალი თბილი ჰაერი ჭერიდან ფანჯრის ზედა ნაწილის გავლით გადის გარეთ. 5) ტბის (ზღვის) თბილი წყალი ზედაპირზე ამოდის, ცივი კი ქვევით რჩება. 6) მაღალჭერიან ოთახში თბილი ჰაერი ჭერთან გროვდება, ამიტომ უფრო მეტი დრო დასჭირდება ჰაერის ქვედა ფენების გათბობას. 7) ჭრილებში ქვემოდან შედის ცივი ჰაერი, ზევით ამოდის თბილი. 8) კონვექციის გამო თბილი წყალი მაღლა გროვდება, ამიტომ გამათბობლით სარგებლობისას თბილი წყალი ზემოდან უნდა გამოვიდეს. 9) 6 $^{\circ}\text{C}$ -დან 7 $^{\circ}\text{C}$ -მდე გათბობისას. 10) კალორიმეტრის თავზე ჰაერი გაცივდება, კონვექციის გამო ის ზევით არ წავა, შესაბამისად კალორიმეტრის ღია ზედაპირიდან გარემოს სითბოს რაოდენობა მხოლოდ თბოგამტარობით გადაეცემა. ამიტომაც აზოტი საკმაოდ დიდხანს არ გათბება.

§ 3.7 1) $168 \cdot 10^4 \text{ J}$. 2) 3 კგ. 3) $380 \text{ J/g}^{\circ}\text{C}$. 4) $7360 \text{ J}^{\circ}\text{C}$. 5) 225°C . 6) 80°C . 7) 50°C -ით. 8) $3,2^{\circ}\text{C}$. 9) $37,5^{\circ}\text{C}$. 10) 8°C -ით.

§ 3.8 1) $47,5^{\circ}\text{C}$. 2) 55°C . 3) 51°C . 4) 61°C . 5) $\frac{3}{2}$. 6) $\frac{3}{5}$. 7) 40°C . 8) 35°C . 9) 265°C . 10) 38°C .

§ 3.9 1) 138 MgJ . 2) 2 კგ. 3) 100 კგ. 4) 400°C -ით. 5) სურათ ბ-ზე გამოსახული ღუმლის. 6) 520°C . 7) $36,8\%$. 8) 215°C . 9) 70°C . 10) $33/100$.

§ 3.10 1) 0°C . 2) ვერ იქნებიან ერთმანეთთან სითბურ წონასწორობაში. 3) არა, კი. 4) გაიზარდა. 5) ა) არ იცვლება. ბ) იზრდება. 6) $21 \cdot 10^4 \text{ J}$. 7) $42 \cdot 10^4 \text{ J}$. 8) წყალი გაიყინება, გაფართოვდება და ძრავას დააზიანებს. 9) მდინარეში წყალი მოძრაობს, წყლის ფენებს შორის არის ერთგვარი „ხახუნი“ რომლის დროსაც სითბო გამოიყოფა. 10) ნალექისას კლდის ზედაპირი სველდება, წყლით იულინთება. ყინვის დროს ეს წყალი იყინება და ფართოვდება, რაც იწვევს კლდის ზედაპირის დაბზარვას (დაშლას).

§ 3.11 1) $135 \cdot 10^4 \text{ J}$. 2) არ იქნება საკმარისი. 3) 1596800 J . 4) 3 კგ-ს. 5) $1,91 \text{ kg}$. 6) 10% . 7) 11 კგ. 8) მთლიანად ვერ გადნება. 9) 0°C . 10) $\Theta=10^{\circ}\text{C}$.

§ 3.13 1) იზრდება. 2) არ იცვლება; არ იცვლება. 3) ბათუმში უფრო მეტი სითბოს რაოდენობა დაიხარჯება. 4) მთაში. 5) $42 \cdot 10^4 \text{ J}$. 6) არ შეიცვლება. 7) უფრო მაღებელი მოიხარმება. 8) არა. 9) სპირტი უფრო დაბალ ტემპერატურაზე დაიწყებს დუღილს. 10) მოიმატებს.

§ 3.14 1) $2,3 \cdot 10^7 \text{ J}$. 2) საკმარისი იქნება. 3) $2,16 \cdot 10^6 \text{ J}$. 4) 19072000 J . 5) $6,28 \cdot 10^6 \text{ J}$. 6) $t_2=50^{\circ}\text{C}$. 7) 14 კგ. 8) 1 კგ. 9) 1 კგ. 10) 20 %.

§ 3.15 1) 150 მგჯ. 2) 23 %. 3) 20 %. 4) $92 \cdot 10^5 \text{ J}$. 5) 40 %. 6) შემცირდება 1,5-ჯერ. 7) 10 %. 8) 5 კგ. 9) 2m. 10) 8m.

მესამე თავის შემაჯამებელი კითხვები და ამოცანები:

- 1) $\Theta=63,6\text{ }^{\circ}\text{C}$. 2) $\Theta=33,6\text{ }^{\circ}\text{C}$. 3) $811\text{ }^{\circ}\text{C}$. 4) $Q \approx 87 \cdot 10^9\text{ J}$. 5) $Q \approx 3,6 \cdot 10^9\text{ J}$. 6) 16 სმ.
- 7) 0,1 მმ-ით. 8) 27 კგ. 9) $m_1=22$ კგ; $m_2=11$ კგ. 10) 95 კგ. 11) 1 კგ. 12) 1 კგ.
- 13) 2 კგ. 14) 680000 ჯ. 15) $\approx -29\text{ }^{\circ}\text{C}$. 16) 3 კგ. 17) 340000 ჯ, $1,7 \cdot 10^6\text{ J}$. 18) 38 მ.
- 19) სპილენძი უფრო მეტად გათბება. 20) $1/100$ ნაწილი. 21) 20 წუთში.
- 22) 1 სთ და 55 წთ. 23) დაბალ ჭურჭელში. 24) ვერ ადულდება. 25) 0°C . 26) 100°C .
- 27) 5,3 კგ. 28) $\theta \approx 93,3\text{ }^{\circ}\text{C}$. 29) $\approx 0,3$ კგ. 30) $\approx 0,15$ კგ. 31) ≈ 104 კგ. 32) 612 კჯ. 33) 1 კპა.
- 34) შავი ბუშტი მეტად გაიბერება, რადგან ის უკეთესად შთანთქავს სითბოს და, შესაბამისად, მასში არსებული ჰაერი უფრო მეტად გათბება. 35) თათია უფრო სწრაფად გათბება, რადგან ქურთუკი, რომელიც ცუდი თბოგამტარებია, ხელს არ შეუშლის ოთახიდან სხეულზე სითბოს გადაცემას. 36) $1,7 \cdot 10^6\text{ J}$. 37) სურათ ა-ზე გამოსახულ მდგომარეობაში. 38) თავდაპირველად გაფართოვდება ლითონის მილი, რის გამოც სპირტის სვეტის სიმაღლე მოიკლებს, შემდეგ როდესაც სპირტი გათბება, ისიც დაიწყებს გადართოვებას და მისი სიმაღლე დაიწყებს ზრდას. 39) 80 მგჯ. 40) 120 მგჯ.

